

კ. 19

# მ მ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ხ ლ ი

წელიწადი მეშვიდე

**№ III**

მ ა რ ტ ი, 1900

183



ტფილისი

საქართველოს საბჭოთაო საზღვრო სამართალი

1900

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Апрелья 1900 г.



შ ი ნ ა ა რ ს ი

I—წარსულიდან. — საუშალო სასწავლებელში. — ნა- წილი მესამე. — XVII — XXVI. მოთხრობა ს. შკაღობ- ლიშვილისა. (დასასრული) . . . . .	83 1
II—* * * * * ლექსი (ჰეინედიანი) . . . . .	62
III—ქამუშაძის გაჭირვება. — VI—VIII. მოთხრობა და- გით კლდიაშვილისა . . . . .	63
IV—„ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!“ ამბავი შ. არაგვისშვილისა . . . . .	87
V—„ვეფხისტყაოსნის უაღრესი ადგილები“. — LXVII— აღ. ს.—შვილისა . . . . .	1
VI—ქველად აღზრდილნი წიგნნი მოსკოვის სინო- დალურს სტამბაში. — ად. ხახანაშვილისა . . . . .	19
VII—გატონ ყმოგა სამეგრელოში. — კ. ბორჯღანი- სა, თარგმანი თ. ს.—სა . . . . .	27
VIII—კავკასიაში სწავლა-განათლების მდგომარეო- ბა 1898 წ. ნ. ჯანაშვილისა . . . . .	49

## ქრონიკა:

**IX—ზინაური მიმოხილვა.**—საზოგადო კრებათა სეზონი.—  
თავად-აზნაურთა კრება.—ორიოდე სიტყვა თავად-აზნაურობი-  
სა და წოდებრივ დაწესებულებათა მნიშვნელობის შესახებ.—  
საზოგადო საჭიროებათა შესახებ შუამდგომლობა.—სათავად-  
აზნაურო მამულის გადაკეთება და გამგეობა.—თავად-აზნაურთა  
ახალგაზდობა.—საშვილიშვილო საქმე.—სამეურნეო ბანკის  
წევრთა კრება.—ამ ბანკის ზრდა-განვითარება.—რა იმედები  
ვერ გაამართლა მან?—მიმართულების შეცვლის საჭიროება.—  
ერთი კითხვა თავად-აზნაურთა ბანკის მომავალ კრებაზე.—მი-  
ზეზეები დამხმარებელ საზოგადოებათა დაქვეითებისა.—დანმა-  
რების აღმოჩენის საჭიროება.—კიდევ რამდენიმე სიტყვა „კვა-  
ლს“ და მის სულის ჩამდგმელს.—**დაჯისა.** . . . . .

**X—უცხოეთის მიმოხილვა.**—ინგლის-ტრანსვალის ომი.—  
რუსეთის დიპლომატიის გამარჯვება სპარსეთში.—გერმანიის  
გაძლიერება მცირე აზიაში.—მსოფლიო გამოფენა პარიზ-  
ში.—გერმანიის ზინაური საქმეები.—ჰეინცეს კანონი.—**და-  
ჯისა.** . . . . .



# წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

## საშუალო სასწავლებელში

(შაქრო გეგელაშვილის ნაამბობი)

ნაწილი მესამე

XVII \*)

ფილოსოფოსნა

მოწაფენი ჩვენ მიერ აღწერილის სასწავლებლისა მარტო მასხარაობასა და ლაზღანდარაობაში არა ლევდენ დრო-უამსა; მათში ფილოსოფოსებიც მოიპოვებოდნენ, რომელნიც მართლა, ხუმრობა გაშვებით, ფილოსოფოსობდნენ. იყვნენ სხვა-და-სხვა სკოლის და სხვა-და-სხვა ეპოქის მიმდევარნი და მომხრენი: ფალესიდან დაწყებული ოლიუს კონტამდე. ზოგი ფეხის ხმასაც მისდევდა და ისე რალა თავის თავად ფილოსოფოსობდა, ზოგი კი მართლა შეგნებულად სჯიდა ზოგიერთს ფილოსოფიურს კითხვებზე.

როცა კოკნიმა თავის დამქაშებითა ხუმრობდნენ და მასხარაობდნენ, ეს ფილოსოფოსებიც პოულობდნენ დრო-უამს სჯა-ბაასისას ამა თუ იმ კითხვაზე, მაგრამ დაცინვას ესინიც ვერა სცილდებოდნენ სასწავლებლის მასხარებისაგან. მოსწავლეებს არ ჰყავდათ მრჩევლები, რა წიგნები ეკითხნათ, ეისაც რა მოეწონებოდა, იმას კითხულობდა; ერთი ჯგუფი კითხულობდა ფილოსოფიურს წიგნებსა, მაგალითად, ლიუსის, კუნო ფიშერის ის-

\*) იხ. „მომბე“ № II 1900 წ.

ტორიას ფილოსოფიისას, მილლის ლოდიკას, ფსიხოლოგიურის შინაარსის თხზულებებსა და სხვა რამის წაკითხვა ცოცხალ მი-  
აჩნდათ; მეორე ჯგუფი გატაცებული იყო ისტორიით და ყვე-  
ლას ილღიაში ამოჩრდილი ჰქონდა ბოკლის ისტორია, რომე-  
ლიც მაშინ წიგნაკებად იყო გამოსული; მესამე ჯგუფი შექს-  
პირ-შილერობდა;—მეოთხე ბაირონობდა; ერთი ჯგუფი მეო-  
რეს არ უდგებოდა, ჰკილავედა და ჰკიცხავდა ერთი მეორესა;  
ყველა მათგანი ეიწრო ფარგალში ტრიალებდა.

აგერ სამეცადინო ოთახში შემოსხდომიან გარს გძელს მა-  
გიდას რავდენიმე შევირდი, კითხულობენ, მეცადინობენ; ხან  
შესწყვეტენ კითხვას და ერთმანერთში ჩურჩულობენ, ჩუმად  
იღიმებიან, სიცილს იკლავენ, რომ სხვებს არ დაუშალონ.

ეს ვინ არის, რომ ყრუ-მუნჯივით ზის და არავისი არა  
ესმის-რა? ეს გახლავთ სოლომონ ფილოსოფოსი: ორთავ იდაყ-  
ვები დაუბჯენია მაგიდაზე, თავი მაგრა უჭირავს ხელებით და  
ჩაპბლუის წიგნსა; მხოლოდ კითხვის დროს ტუჩებს იჭამს, იკვ-  
ნეტს უწყალოდ, ხან ჩამოიღებს ერთ-ერთს ხელს, ჰგლეჯს ქა-  
ლაღდს, ასორსაღებს ფრჩხილებით, გაშტერებული იყურება,  
თვალეებს აშტერებს უდაბურს ქალაში დაბნეული კაცისავით;  
მორჩება ამას და იწყებს კვლავ კითხვას.

მეორედან სხვა ფილოსოფოსიც ჩასჩერებია დიდს წიგნს;  
თავს აქეთ-იქით იქნევს, ხელებს შლის, ტუჩებს აცმატუნებს,  
წარბებს ზემოთ სწევს და სჭიმავს; ყარანდაშით უხაზავს გვერ-  
დებს წიგნსა, აწერავს შენიშვნებს; კვლავ კითხულობს, კვლავ  
აწერს, თავს მაღლა იღერებს, ეტყობა თავი მოსწონს, ეტყო-  
ბა ფილოსოფოსს კვანტი გამოსდო, ჩაუკრიტიკა.

აგერ წამოძდგარა ერთი, გაფიცებული დარბის ოთახში,  
თავპირი მოღუშული აქვს საავდროდ მომზადებულ ცასავით;  
ხელს მალმალ ისვამს თავზე, თმას ყალყზე იყენებს, ხელებს  
იტარებს და იბურძენის მას, თითქო თავისი გულის ბოღმა საბ-  
რალა თმაზე უნდა იყაროს; თითს სწევს მაღლა და ჩუმად  
რალაცას ბუტბუტებს. ეს სწორედ შექსპირს, შილლერს, ან

ზაირონს გაუტაცნია, დაათრევს ოცნებათა მორევში, საიდანაც გზა ველარ გამოუგნია და ტრიალებს შიკ, ვითა კამეჩი მორევში.

— შენ რას ჩაფიქრებულხარ, სოლომონ, და აგრე მკაცრად და სასტიკად რად ეპყრობი შენს თითებს და მაგ საცოდავს ქალაღდსა ჰგრენ, ასორსოლაეებ, — უთხრა მასხარა კოკნიმამ.

— მე როცა ვფიქრობ, უთუოდ რამე უნდა ვგრიხო თითებით, ეს ჩემს ფიქრს შველის, — იყო პასუხად სოლომონისაგან.

— დიად, ყოველ დიდ კაცს, დიდს ფილოსოფოსს სჩვევია მაგრეთი ხასიათი, — წარმოსთქვა იმან, რომელიც თავს აქეთიქით იქნევდა და ტუჩებს იკვნეტდა.

— მაშ შენ ტუჩებს იმიტომ იკვნეტ, ჰო?.. რაღა გვიშავს, კარგად არის ჩვენი საქმე, როცა ამდენი სხვა-და-სხვა ჯურის ფილოსოფოსები წამოგვეზღებიან, — გადაჰკრა ვანუამ.

— მაინც, სოლომონ, შენ რაზე ჰფიქრობ?

— მე... ჰმ, მე ვფიქრობ, ქვეყნის გაჩენაზე, ესე იგი ვინ იყო თავდაპირველი მიზეზი ქვეყნის გაჩენისა, ანუ, უფრო რომ სწორედ ვთქვათ, ვინ არის მიზეზი ამ ქკუა-გონება მიუცთომელის ქვეყნიერობის გაჩენისა.

— ვაი, ვაი! სად დაჰბლაუქებიხარ, შე საცოდოეო! არა, შენი ცარიელი გოგრა, შენი ჭიანი ქკუა სად მისწვდება მაგას, — დაუწყო კოკნიმამ.

— შენ რაღაზე იკვნეტ ტუჩებსა!

— თქვენ იცინეთ, ნურას ისწავლით და ეგრე ილაზღან-ღარავეთ, — უთხრა შაქრომ, მეორე ჯურის ფილოსოფოსმა.

— თქვენც გვეყოფით, თქვენც! — უთხრეს ამხანაგებმა.

ფილოსოფოსნი სხვა-და-სხვა სკოლისა ერთად შეიყარნენ და ჩამოვარდა ბასი და დავიდარაბა.

— უნდა ვითხრა, რომ ამ ბერძნებისთანა ძალუმი ქკუა-გონების ხალხი კი არ დაბადებულა ქვეყნის ზურგზედა; პირველი ფილოსოფოსები მაგათ მოუციათ ქვეყნიერობისათვის.

აი, კაცო, ავიღოთ პირველი ფილოსოფოსი ბერძნებისა ფალესი; თუმცა იმისი ცხოვრების ამბები, ნამდვილნი დოქტრინანი მისის ფილოსოფიისა სიბნელითა და წყვედიადით არიან მოცულნიო, მაგრამ მაინც არ დარჩათ გამოუგზნელად ზოგიერთი მისი ფილოსოფიური შეხედულობანი.

— ეინ ამბობს მაგასა?—ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— ეინ ამბობს და დეონ ლიუსი!

— ჰა განგალა, განგალა! მაგას მამაშენი კი ვერ იტყოდა.

— მამაჩემი როგორ იტყოდა, რომ არ იცის!

— ისე იტყოდა, რომ შენსავით წაიკითხავდა ლიუსისა და იტყოდა.

— ხა, ხა, ხა!—დაჰკრეს სიცილი კოკნიმას სიტყვებს ამხანაგებმა.

— შენ რას დასდევ მაგათ ყბელობას, განაგრძე ჯერ შენ და მერე მე ვიტყვი ჩემსას სოკრატზე, —უთხრა შაქრომ.

— ის დაბადებულია მილეტში, მცირე აზიის ქალაქში ნჰნ წ. კრისტეს დაბადებამდე და ამისთანა დიდებული აზრები კი ჰქონია,

— რას დასდევ, როდის დაბადებულია, შენ სთქვი მისი დედა აზრი და გამოსთქვი შენი შეხედულება მაგ დედა-აზრზე, —უთხრეს სხვა ფილოსოფოსებმა.

— ის ამბობს, რომ ქვეყნიერების გაჩენის თავდაპირველი მიზეზი არის წყალიო.

— არა, აგრე არ არის, იქ არის ნახმარი რუსული სიტყვა „влага“—ეს ჰნიშნავს სინეშტეს.

— ხა, ხა, ხა! დახე ჩვენ ფილოსოფოსებს როგორ აერიათ თავგზა! ბიჭო, თქვე ოხრებო, სინეშტე ჰნიშნავს რუსულად— „сырость“—სა, —უთხრა კოკნიმამ.

— სიროსტს კი არა სირისტს, —დაუროთო თხუნელამ.

— მაგათ რა ყურს უგდებთ; ვინმართ ჩვენ წყალი, ანუ სისველე, —დაიწყო სოლომონ ფილოსოფოსმა.

— როგორ მივიდა მაგ აზრამდის ფალესი?

— ის დიდი ჰქვიანი კაცი იყო, დააფიქრა იგი ქვეყნის უცნაურობამ, იფიქრა—იფიქრა, თუ რას უნდა გაეჩინა ეს ასე



ჰარმონიულად შეზავებული ქვეყნიერობა, მიაღდა იმ აზრს, რომ თავდაპირველი მიზეზი, სუბსტანცია ყველა ქმნილებათა, რომელნიც არიან მხოლოდ მისგან წარმოშობილნი, არიან მხოლოდ მისნი ფორმანი, უთუოდ უნდა იყოს რამეო; ეს რამე უნდა იყოს ცხოვრების მომცემი, მუდამ უცვლელი და უკლები არსებაო, რომლისაგანაც ყოველივე იღვამს სულს და ცოცხლობსო.

— ძან კი ნუ გააქიანურე, კაცო! — უთხრეს სხვებმა.

— ფილოსოფოსმა უნდა მოკლედ და ღრმად ილაპარაკოს.

— გძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შიირია ამად კარგო, — უთქვამს რუსთაველსა, — გადმოსძახა იმ ფილოსოფოსმა, რომელიც გაცხარებული დარბოდა. — მოკლედ მოსქერ.

— ერთის სიტყვით, ფალესმა გადაჭრით მისცა თავის თავს პასუხი: რა არის, ანუ ვინ არის მიზეზი ყველა ქმნილებათა? დამ საკითხს მოკლედვე უპასუხა: — წყალიო?

— რამ მიიყენა მაგ აზრამდე?

სოლომონს ცოტა გაუჭირდა; ქალღმერთს მაგრა დაუწყოს სრესა; მერე ახალუხის ჯიბე ამოიბრუნა და სირსრულა დაუწყო.

— ჰო, რაკი ყველგან ჰხედავდა იგი წყალს, დარწმუნდა, რომ უწყლოდ ვერაფერი ვერ ხეირობდა, ყოველივე ნივთიერებაში იპოვება სისველე; როცა დარწმუნდა, რომ ყოველგან სისველეა გაბატონებული, დაასკვნა, რომ პირველი მიზეზი ყველა ქმნილებათა არის წყალიო.

— იიი! არა სკოდნია! — დასცეს კიჟინა მასხარა ამხანაგებმა, — ეგ ფალესმა კი არა სთქვა, ანაქსიმენმა სთქვა.

— სტყუით, ფალესმა სთქვა! ანაქსიმენმა სთქვა, რომ ჰაერია ბუნების გამჩენიო.

— არა, იმანა სთქვა, რომ ჰაერი კი არა, ცეცხლიაო!

— არა, ცეცხლზე სხვამა სთქვა, — მიუგო სოლომონ ფილოსოფოსმა.

— დაიცათ, კაცო, ნუ ჰყვირით, თორემ მონასტერი აირევა, — წარმოსთქვა შაქორო ფილოსოფოსმა. — დაწყნარდით, ფილოსოფიას არ ჰშვენის ასეთი ყვირილი.

— არა, ეჩრებიან, კაცო, ისეთს საქმეში, რომლის ანი-  
და ბანი არ იციან,—წარმოსთქვა წყენით გულ-დამწვარმა სო-  
ლომონმა.

— რა ძალიან იბერები, შვილოსან!—დაიწყო კოკნიმამ,—  
ვინც იტყვის, რომელმა ფელოსოფოსმა სთქვა: ჰაერია ღმერთი,  
შემოქმედი ქვეყნიერებისაო, რომელმა სთქვა რომ ცეცხლიაო,  
ვინც ამას გამოიცნობს, „ღვე პარი ჩაი“ მოდის იმისთვის.

— ფაღესმა წყალი სთქვა, ანაქსიმენმა ჰაერი და ჰერაკ-  
ლიტმა ცეცხლი,—სთქვა სოლომონმა.

— ჰო, მაშ შენ გერგება მენდალი პრასის ლენტითა,—  
უთხრა ვანომ.

— არა, მომიგო, მომიგო!—დაიყვირა თავის ყუთზე და-  
ფისულმა კოკნიმამ, შენთვის ხვალ დილით ხახლოვის ტრახ-  
ტირში მომიმზადებია „ღვე პარი ჩაი“ და ერთი პურის ყუა,  
ჩვენი ბესოს მოჭრილი.

— სტყუის სოლომონი, სტყუის, ეგრე არ იყო,—დაიწ-  
ყო თხუნელამ და წასჩურჩულა კოკნიმას: მე მისი გაბრაზება  
მინდაო.

— თქვენ ეი! ეშმაკის ბარტყებს რომ გავხართ! მისამარ  
ენა მოიმოკლეთ, თორემ ისე ამოვანაყავთ მაგ ცხვირს, რო-  
გორც ნიორსა,—უთხრა სოლომონმა, გამოიწია იმათკენ და  
ისეთი ჩააფერთხა საწყალ კოკნიმას თავში ლიუისის ფილოსო-  
ფიის წიგნი, რომ ოთახმა ხმა მისცა.

— უჰ, რა საქმე მოუვიდა ამ მაიმახსა, რა საქმე! სულ  
ერთიანად თავში ჩააბერტყა სოლომონმა მთელი ფილოსოფია;  
მერე რამოდენა თავი აქვს აჰ ოხერსა, სწორედ საბძელს უგავს,—  
აღერსით უთხრა თხუნელამ.

— მაგის თავში ფილოსოფიას რა დააყენებს, ქარი გაუქრ-  
გამოუქრის შიგა,—დაურთო ვანომ.

— კიდევ იმიტომ მოილო ამოდენა ხმა, რომ ცარიელი  
თავი აქვს,—სთქვა შაქრომ დინჯად.

— ცარიელი თქვენა გაქვთ, რომ რალასაც მიედ-მოედებით;  
თქვე ოხრებო, ღმერთმა ცა და ქვეყანა, ხილული და უხილა-

ვი გააჩინა, ე თქვენისთანა მუტრუკებიც იმავე ღმერთმა ტალახიდან შესთითხნა და ახლა გაიძახით: ეს წყალმა გააჩინაო, ჰაერმაო, ცეცხლმა!! ერთი ნავთიც გაკლიათ რაღა!!... მისამარ გაჩერდით, თორემ თუ ეგ თქვენი ქვეიანური ლაპარაკი ჩვენმა მთავრობამ გაიგო, ისეთს ხაზს გავისმენ, რომ ველარც ფალესმა და ველარც იმისმა პაპის-პაპამ გიშველოთ, — წარმოხსთქვა ამაყად კოკნიმამ და დონჯი შემოიყარა.

— შენ თუ გამოგრისხამენ, შე უბედურო, თორემ სხვას არაეისა, შე მონოფიზიტო, შენა!! — კბილი მოსჭრა სოლომონმა.

კოკნიმამ მონოფიზიტების ხსენებაზე თვალები შეაბრიალა სოლომონს, ტუჩები ჩვეულებრივად ააციმციმა, უნდა ეთქვა რამე, მაგრამ ძალიან ჩასწვდა გულში ეს გახსენება, და მოააგონა ის ჭირის ოფლი, რომელიც ამას წინად მოიხადა.

— სოლომონ, მაინც ჩვენ ჩვენი სჯა ვერ გავათავეთ; ამ ფიზიკოს-ფილოსოფოსებში რომელი უფრო მართალია ქვეყნიერობის გაჩენის შესახებ...

— მე მგონი რომ ყველა ეგ ძალები ერთად მოქმედობდნენ და წარმოშობეს ქვეყნიერობა.

— აფერუმ, ბიკო, აფერუმ!! ეს სულ ახალი აზრია, ეს არც ერთს ფილოსოფოსს არ უთქვამს, — შეჰყვირა შაქრომ, — ნახამთ, თუ სოლომონმა ახალი არა გამოიგონოს-რა.

— მარა, რასაც ეგ ჩაპბლუის მაგ ფილოსოფიის წიგნებსა, რა! ქვეყანაზე მაგას მეტი არა ახსოვს-რა. აბა, ახლა შენ დაიწყე რას ჰფიქრობ, — უთხრეს მოსეს.

— კაცო, თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამთ, თორემ მოჰყვებიან ახლა სუბსტანციების, ნიმების და ათასგვარს აბლაუბლობასა, — წაპოიყვირა კოკნიმამ.

ჯერი მიდგა მოსე ფილოსოფოსზე.

## XVIII

შაქრო ფილოსოფოსი ტყუილად არ იკენეტდა ხოლმე ტუჩებსა; ფილოსოფიურს კლასში ამას ვერავინ დაჰკრაფდა ცოდ-

ნითა, მეცადინეობითა, ნიქითა. იგი არა ჰხუმრობდა და გულ-  
 ში გადაწყვეტილი ჰქონდა რეფორმატორობა, გახდომა რე-  
 ფორმატორად; ეს აზრი ჩაუდო მას ვონებაში სოკრატ ფილო-  
 სოფოსის ცხოვრებამა და მისი ფილოსოფიის გაცნობამა. მას  
 ცხოვრება ვარდის ფრად ეხატებოდა, ბუმბულებზე დადიოდა  
 და ჯერ ეკლიანის გზის გემო არ გაეღო. შაქრო ფიქრობდა: გა-  
 ვალ ცხოვრებაში, კვალში ჩაეუდგები ყოველგვარს ცუდკაცობას  
 ჩვენის ხალხისას, ავწევ, ავაყენებ დაცემულს და გზა-დაბნეულს  
 ხალხსა; ვუჩვენებ სწორ სავალს გზასა და დავისნი გაჭირვები-  
 საგან. მე გავხდები ხალხის მასწავლებლად, გავხდები მღვდლად,  
 ვუმოდვრებ ხალხს; ტყუილად უფროხის თან და თან ეხლან-  
 დელი ახალგაზობა მღვდლობასა და იწევს სხვა-და-სხვა სამსა-  
 ხურში; იმათ არ იციან, არ ესმით მოძღვრობის მნიშვნელობა.  
 თვით ქრისტე პირველი და დიდი მასწავლებელი იყო; პირვე-  
 ლი და დიდი მოძღვარი, დიდი მწყემსი; ჩვენ უნდა მავსდოთ  
 მის კვალსა, ჩვენ უნდა მასავით შევწიროთ თავი ხალხს მისის  
 კეთილ-დღეობისათვის. ამ წმინდა აზრებს აუქათებდა ხოლმე  
 შაქროს თავში შესანიშნავ ფილოსოფოსთა ცხოვრების კითხვა;  
 მათი ცხოვრების კითხვა უფრო უყვარდა, ვინემ მათი ფილოსო-  
 ფიის დევნა, რომელიც ხშირად არც კი ესმოდა და თუ ესმოდა  
 თავისებურად, გადასხვაფერებულად, რაც ხშირად ხდება ხოლმე  
 ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც ეს წმინდა აზრები აუქათდებო-  
 და თავში, მოაყოლებდა ტუჩების კვნეტას, გაშტერდებოდა და  
 მიეცემოდა ოცნებებს; აფრა გაშლილი ოცნებანი დააფრენდენ  
 მას ათასჯან და ათას გვარს აზრებს და სხვა და სხვა გვეგებს  
 ცხოვრების უკედ მოწყობისათვის უშლიდნენ თავში. მერე მარ-  
 ტო ფილოსოფიის კითხვას არ ანდომებდა დროსა, იგი გულ-  
 მოდგინედ მისდევდა ყველა წიგნების კითხვასა, გულითა ცდი-  
 ლობდა განვითარებასა.

შეხედულობა შაქროს ძალიან ეშხიანი, მარილიანი ჰქონდა;  
 თვით იყო ჩასხმული, მხარ-ბეჭიანი, ბრგე და წამოსადეგი; თვის  
 კლასში და თითქმის იმ დროს მთელს სასწავლებელში მოწინავე

მოსწავლედ ითვლებოდა და უიმისოდ ხელსაც არავინ გაანძრევდა; ყველა მას მიმართავდა ხოლმე რჩევისთვის რომელიმე თხზულების დაწერის დროს; ან თუ რომელიმე მასწავლებელი გადაეკიდებოდა შეგირდს, ან სადილზე უხარშავს და წყალ-წყალა ლობიოს და ხელდახელ მოთუთქულს და გაუწურავს ისპანახს მიუტანდნენ შეგირდებს, შაქრო იყო მარტო ხმის ამომღები, და მთელი შეგირდები ცხვრის ფარასავით გაჰყვებოდნენ ხოლმე უკან და ვაი მის დღეს, ვინც უკან ჩამორჩებოდა.

იყო ერთი დრო, მართლაც ვახშმად მიუტანეს შეგირდებს ოდნავ ცხელ წვალში გათუთქული და გაუწურავი ისპანახი, ამისთანა ისპანახს ცოტა ზეთს დაჰკრავდნენ, ცოცხალ-ცოცხალ ხახვს ჩააკვდნენ, ზეთი ბლოჯად ჩანდა წყალში და მოწაფეებს თვალებს უყენებდა.

— ნურავინ დაეკარებით ზედ, — დაიძახა რიხიანად შაქრომ. ეს ისპანახი კი არ არის, საკმელად მომზადებული, არამედ ჭირია; ამას მარტო ხარი თუ მოინელებს, სხვა ვერაფერი; წავიდოთ უფროსთან, ის კეთილი კაცია, მას არ ეცოდინება ეს ამბავი, თორემ არ იკადრებდა ამასა.

აიღო შაქრომ სპილენძის თევში და გავიდა, მას გაჰყვა მთლად შეგირდობა ისპანახიანი თევშებით და მიაღწენ კარხედ უფროსსა, მან შეიწყნარა შეგირდების განცხადება ისპანახის უვარგისობაზე. შეგირდები უმადლიდნენ შაქროს, რომ დაიხსნა იგინი მუცლების დახეთქისაგან.

— ძველ ფილოსოფოსებში მე საშინლად მომწონს სოკრატე; რა არ იყო იგი, — დაიწყო შაქრომ; — კარგი ხელოსანი — მოქანდაკე, ომის დროს უებრო მეოპარი, მამულისათვის თავდადებული მებრძოლი; მინამ იგი გამოვიდოდა სამასწავლებლო ასპარეზზე, სამი ომი მოიხადა და ერთში სიმამაცისთვის ჯილდოც მიიღო. ამასთან ყოველისფერში გმირი იყო: ომში ყველაზე მეტს შიმშილს ითმენდა, საკმელი თუ გაჩნდებოდა, რაც უნდა ყოფილიყო, არ იწუხებდა; თუმცა სმა არ უყვარდა, მაგრამ თუ საქმე არ მოეშებოდა, იქაც ყველას სჯობნიდა. სოფის-

ტებმა გარყენეს ხალხი თვისი დამახინჯებულის სჯა-ბაასითა და სწავლითა...

— აი როგორც ე ჩვენი მასხარები ჰრყენიან, — ჩაურთო სოლომონმა — ახლა, ყმაწვილო, აიღეთ მისი სიტყვები: „მე ვიცი ის, რომ არა ვიცი რა“. განა მართლა არა იცოდა-რა, მაგრამ თავს არ იღებდა, თავი არ მოჰქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ თუმცა ბევრი რამე ვიციო, მაგრამ რაც ვიცი, იმაზე ათის თაბახით მეტი მაკლიაო.

— არა ჰგვანებია ჩვენს ყვავსა, ამოუჩრია ამ დღე ბოკლი იღლიაში და ცა ქუდად არ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნადა; თავის თავი, რაკი ბოკლის ისტორია იღლიაში არა აქვს ამოჩრილი, მართლა ბოკლი ჰგონია; ჩამოუშვია ლაბაბი ბოკლისავით და ბატონით გაუფხულები დაიარება; ერთი ის აკლია, რომ პირი ბოკლივით გაიპარსოს, — გაიხმაურა კოკნიმამ.

— ლამაზადაც კი მოუხდება მაგის დაღმეკილს და შავს პირსა, მგონი გარუჟულ სიმინდის ტაროსა ჰვადდეს, — დაურთო თხუნელამ.

— რა სათქმელია, გარუჟულს მკვარს ეგვანება, — ჩაერია ვანო.

— დამაცადეთ, კაცო! — დაიწყო შაქრომ. — ჰო, იმას ვამბობდი... სწავლაში სოკრეტი იყო პირველი ქრისტიანი... იმისი ცდა ის იყო, რომ ქეშმარიტება დაეცვა, მოეშორებინა მისთვის ყოველ რე მწიკელი, რათა იგი ყოფილიყო წმინდა, როგორც ცეცხლში გამოხურვებული ოქრო-ვერცხლი; მან მიაქცია ყურადღება არა მარტო გარეგანს ბუნებას, არამედ შინაგანსაც; გრძობანი შეიძლება იყვნენ ცვალებადნიო და ხშირად გეტყუებდნენ, მაგრამ ხმა სინიდისისა არ მოცვატყუებსო. „ზნეობითი პრინციპები, — ამბოს ლიუსისი, — იყვნენ სოკრატისათვის ის კლდე, რომელზედაც იგი იყო ქარტეხილის შემდეგ შეტყორცნილი. აქ იგი უშიშრად ჰგრძობდა თავისს თავსა. ამ კლდის მწვერვალთან იგი იძიებდა, იკვლევდა ქვეყნიერობას და სწავლობდა მის მრავალფეროვნობას“, — დაიწყო კვლავ შაქრომ, — ბევრი მტერიც შეიძინა, განსაკუთრებით სოფისტები. სიბერის დროს

მას თავზე დაატყდა უბედურობაც. შესწამეს გარყვნილობა, უკეთურობა და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ასეთია ცხოვრება, რას იზამ? იესო ქრისტე ღმერთი იყო და ჯვარს აცვეს. დიად, ასეა! დიდი კაცი არ ფასდება ხალხისაგან, შემდეგი ჩამომავლობა, ხან თვით ისინიც, ვინც ვერ აფასებს მათ, ბოლოს ცხვირში ამოიკრავენ ხოლმე, მაგრამ თითზე კბენა წამხდარს საქმეს ვეღარ გამოაბრუნებს, დაჭრილს წყლულს ვერ გაამთელებ ისე, რომ მას მხვილის ნაპირევი არ ეტყობოდეს.

— ახლა, რა გინდა სთქვა მაგითი?

— ის, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ და ხალხს გამოვადგეთ, თავი დავდოთ მისთვის.

— გინდა ჩვენც სოკრატით ჩაგეძალონ, რაღა! — უთხრეს სიცილით მასხარა ამხანაგებმა.

— შენმა სიკოცხლემ, მაიმახო, ქვეყანას შეაბერდები აი! ერთხელაც არის უნდა მოკვდე, ის არა სჯობიან სახელით მოკვდე, — უთხრა შაქრომ.

— არ გაგიგონიათ ჩვენი რუსთველის სიტყვები:

„სჯობს სიკოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი“.—

ჩაერია ბაასში შექსპირ-შილერის მათაყვანებელი იაზონი. — შექსპირის ჰამლეტი ამბობს ერთს ალაგასა: „რა კაცია ის კაციო, რომელიც ბედნიერებას ჭამა-სმაში ჰპოვებსო მხოლოდ? თვითონვე აძლევს ამის პასუხსა: იგი მხეცია, მხეცი და სხვა არარაო“.

— ვენაცვალე ჩვენს შოთას, — ჩამოართვა სიტყვა შაქრომ, — მასაც კი უთქვამს მარილიანად: „სმა, ჭამა დადად შესარგი, დება რა სავარგელია; რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო“.

— ვინ უფრო უწინ ცხოვრობდა: რუსთველი თუ შექსპირი, — დაუყვირა კოკნიმამ.

— შე, მხეცო, შენა! შე ქვეყნის მასხარა, ეგეც არ იცი? — შეეკითხა იაზონი.

— მე კი ვიცი, მაგრამ შენ რომ ევრე იბერები და თავი მოგაქვს შექსპირად და შაქროს კადევ რუსთველად, შენ კი იცი?

— ვიცი, მაშ!

— სტყუი არ იცი!.. აბა სთქვი, თუ იცი,—ყვიროდა კოკინმა.

— შექსპირი ცხოვრობდა მეთორმეტე საუკუნეში, რუსთველი მეჩვიდმეტეში,—უთხრა იაზონმა და ჩაასტერდა; ელოდა, აბა რას იტყვის ჩემი მოპირდაპირეო.

— ევრე იტყოდი, რალა! რალას მახვეწიებლი.

— ჰაი, შე ქვეყნის მასხარა, შენა! შექსპირი მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა?

— უკუღმა გითხრეს, შე უბედურო, უკუღმა!—მისცინდნენ ამხანაგები, დაუწყეს თავში ცემა და შეაყენეს მის ყუთზე ზედახორა.

— ჰო, მოიცათ!—დაიწყო კვლავ შაქრომ...

— დაიცა, შაქრო, შაქრო!.. შენის აზრით, ვინ უფრო ღიდი კაცი ყოფილა,—უთხრა იაზონმა: —რუსთველი თუ შექსპირი?

— სოკრათი...

— ამას ახლა სულ სოკრათი ელანდება.

— მე ავრე რიგად კარგად არ ვიცნობ ჯერეთ არც ერთსა და არც მეორესა, მაგრამ რამდენადაც ვიცნობ, ორთავე დიღბუნებოვანი არიან, ორთავე გენიოსნი, კაცის ბუნების გულთამხილავნი; ბევრში რუსთველმა უსწრო წინ, ბევრი ისეთი აზრი გამოსთქვა შექსპირმა, რომელიც შოთას არ უთქვამს... ამაზე ბაას მერეც დავუბრუნდებით როდისმე. ერთობ ძნელი საკითხია და მის გარდაწყვეტისათვის ჯერ არ ვართ დამზადებულნი.

— როგორ, თუ არ იცნობ?

— ღვთის წინაშე, „ვეფხვის-ტყაოსანი“ ზეპირად ვიცი, მაგრამ არ დავსტერებივარ, აკი მოგახსენეთ, მკვლევარის თვალთ არ შევსდგომივარ შოთას დიდებულს თხზულების დაფასებასა.





— რუსთველი მაღლა სდგას, აბა დაუპირდაპირე ერთმანეთს ჩემგან თუნდ შენგან მოყვანილი აზრები რუსთველისაც და შექსპირისაც. რუსთველს იგივე აზრები, რასაც შექსპირი ჰამლეტის პირით ამბობს, ხუთასის წლის წინად უთქვამს.

— აგრე იყოს... მე იქ ვარ, — დაიწყო კვლავ შაქრომ, — რომ ჩვენ სწავლა უნდა ცხოვრებისათვის გამოვიყენოთ; უნდა ცხოვრებაში მოვფინოთ.

— „სარწმუნოება უსაქმოდ მკვდარ არს“, ამბობს საღმრთო წერილი, — მიიძახა თხუნელამ. — თქვენ, შვილოსა, თუ ფილოსოფოსებს კითხულობთ, ჩვენ საღმთო წერილსა; იგი ამას ამბობს, თუ კეთილად არ მოიხმარებ, კეთილ საქმეში არ გამოაჩენ შენ სარწმუნოებასა, იგი მკვდარიიო. მარა, უნდა გამოვიყენოთ, თუ რამე ვიცით.

— მამა გიცხონდა, ლამაზადაც მოგიხდება მაგ დაჯედა ტანზე ანაფორა, აი! — წაუტორღილდა ვანო თხუნელას და ყურში ჩასძახა, თითქო ყრუ არის და კარგად უნდა გაავინოსო.

— შე ვირის თაე-ფეხო! ამას ზმონას მაინც აართმევენ და შენ რა გეშველება, კიბეს თუ მიიდგმენ და ისე აიღებენ შენს ანაფორის ზმონასა.

— შენ ეი, კოკნიმ, დააყე ეგ წანკლიანი ენა, თორემ ისეთს წიხლს ჩაგარტყამ, რომ ეგ ჩალახი ფერდები უარესად ჩაგიქციო.

— არა, ეს კოკნიმა, რაღა უნდა იყოს?

— რა, მაგისმა მზემა არქიელობას მისცემენ.

— არქიელობა შენ მოგცენ, თუ კარგია.

— არა, ძმაო, ჩვენ ეხლავე უნდა გამოვუცხადოთ მთავრობას, რომ ეს სამღვდლო არ არის.

— ეგ კი არა, შაქრო, შაქრო! აბა ერთი შეხედე: შენ ხომ სოკრატი კარგა გცნობია, სოკრატს არა ჰგავს ეს პირდალი, ესა! — გადუწია შუბლიდან ქოჩორი ვანომ და შეახედა ამხანაგებსა. — თუ ძმა ხარ, სწორედ სთქვი...

— შუბლი კი იმასავით თართო აქეს.

— საქმე ის არის, რომ შიგ არა ყრია-რა, თორემ...— მიძახა თხუნელამ.

— უნდა მოგახსენოთ კი, რომ კოკნიმაც ფილოსოფოსია,— ღიმილით სთქვა შაქრომ.

— აი მადისმა მზემ, დიღა! კოჭიც მიუფავს.

— მე ბაირონი ვარ, ისიც ჩემსავით კოჭლი იყო.

— არა, ბაირონი კი არა ხარ, მაგრამ ცინიკი კი ხარ. ერთი ის გაკლია, რომ ტანთ გაიხადო და შაქრის ბოჭკაში შეძვრე დიოდენივით; იგი ხომ ცინიკთა შკოლის წარმომადგენელთაგანია.

### XIX

გაზაფხულია!.. ოთახებში დამწყვედელი შეგირდები ბალკონებზე გამოიფინენ; ზოგი ბეჭებს უშვერდა გაზაფხულის ცხოველ-მყოფელს მზესა; ზოგი შუბლზე ხელ-ჩამოჩრდილებით შესცქეროდა ლაყვარდ ცასა; მთაწმინდის გორა უცხოდ შებიზინებულყო მწვანით და იტაცებდა თვისკენ ყმაწვილებსა. ბუნება იღვიძებს, ბუნება სდგება, ქვემძრომნი, მისუსტებულნი მთელის ზამთრის ძილითა, სანსალით ამოდიან თვისის „ხაროებიდან“; ადამიანის ბუნებაც ბანს აძლევს ამ გარეშე ბუნების აღდგომასა; როგორც გარეშე ბუნება, ისე შინაგანი ბუნება ადამიანისა, ახლდებიან, ცოცხლდებიან, სიამოვნებას ეძლევიან.

ბუნების გამოღვიძებამ შეგირდებს გულები აუცახცახა გარედ გასასვლელად, მთაწმინდის მიდამოების მისარბენ-მოსარბენად; აღარ დასდევდნენ, თუ გაკვეთილები დარჩებოდათ მოუმზადებლად, ოღონდ კი ახალს ჟიჟოზე წამოგორებულიყვნენ პატარახანს და დაღალულ-დაქანცული ზამთრის გამო ჯანი მოუსვენებინათ. ბალკონებზე გამოიფინილს შეგირდების ენამახვილობას საზღვარი არ ჰქონდა.

— ბიჭებო, აი აგერ მოდიან ჩვენი ფილოსოფოსები ლა-  
 პარაკითა, ერთი მაგათ კაი ხერხი ვუგდოთ რამე,—დაიწყა  
 ერთმა...

— რა დროს ფილოსოფოსობაა, შეხე ერთი ამ დღეს!  
 ცხრა თვალი მზე ტრიალებს.

— იცი, სოლომონი ამ გაზაფხულზე რას იტყოდა!

— რასა?

— ბუნებამ განიძარცვა თვისი თბილი სამოსელი, გაიხა-  
 და ტყაპუჭი და წამოისხა თხელი მანტია...

— რას მიჰქარავ, ეგ რა ფილოსოფიური შედარებაა! არა...

— ბუნებამ კმუნვის ღრუბელი გადაიყარა; შეწუხებული  
 სული და გული ადამიანისა მკაცრის ზამთრისაგან დღეს სიხა-  
 რულს ეძლევა და ტყვეობას თავს აღწევს.

— ეეე, არც ეგ ვარგა... აგერ სოლომონი და შაქრო მო-  
 დიან; თვით მათ ვკითხოთ...—სოლომონ, ბუნება რა იყო ზამ-  
 თარში და რა სახე აქვს ამ ჟამად?

— არ მესმის!

— არა გაგაგონა—რა ჩემმა გამჩენმა!—შეოხერო, თუ კან-  
 ტის და გეგელის ენა გესმის და ლამის ყურები გამოგვიჭედო  
 სუბსტანციების ძახილით, ჩემი ენა არ გესმის?

— სწორე სთქვი, შევისმენ.

— აი მაგას რის თქმა უნდა,—გაასწორა შაქრომ:—ბუ-  
 ნება რას ჰგავდა ზამთარში და რასა ჰგავს ეხლა; ფილოსო-  
 ფიური სახელი დაარქვიო.

— ჰო, ეგ სხეა! მაგის თქმა კი შემძლიან.

— მაშ აბა!

— მაშ და მაშ!...—ბუნება ზამთარში ჰერაკლიტობდა და  
 ეხლა კი დემოკრიტობდა დაიწყა.

— ჰა, ჰა, ჰა! აი ამოგაგდოს ღმერთმა!

— რა კარგი სთქვა, რა კარგი სთქვა!

— აკი გითხარით,—დაუმატა შაქრომ,—რომ სოლომონი  
 საკუთარს სწავლას შეჰქმნის-მეთქი.

— ახლა მე განემარტავ სოლომონის ტერმინოლოგიას,—  
 წამოიწყო იაზონმა,—მე!

— ინებეთ,

— ბუნება ზამთარში ჰერაკლიტობდა—ეს იმას ნიშნავს,  
 რომ ზამთარში ბუნება სტიროდა ჰერაკლიტივით, სწუხდა, იგი  
 ჩამობნელებული იყო; როგორც თვით იყო შავბნელი, დაღე-  
 რემილი, ისე ადამიანს აწუხებდა, ატირებდა, შავბნელი ფიქ-  
 რებით უვსებდა თავსა, უწუხებდა გულსა და უზუთავდა სულს...  
 აი გაზაფხულდა!... ბუნებამ ღიმილი დაიწყო, იგი იცინის, უზა-  
 რიან ღრმა ძილისაგან გამოღვიძება; სითბო მოხვდა მის გაყი-  
 ნულს გულს, ძარღვში შეატანა მზის თბილმა სხივმა, სისხლი  
 აუჩუხჩუხა, აამოძრავა მძლავრად; საღათას ძილით მოცულის  
 ადამიანის სახეზედ ღიმილი გამოიწვია; შეხეთ, ყველა ხარობს:  
 მერცხალი დაფარფატობს ჰაერში, ჭია-ღუანი მოზობდავენ სო-  
 როებიდან; ქათამი გადაბრუნებულა მზეზე, ფრთა მალლა აუშეე-  
 რია და სითბოს უშეერს გულსა. მაშასადამე, ბუნება დემოკრი-  
 ტობს, ჰხარობს, იცინის ისე, როგორც ფილოსოფოსი დემოკ-  
 რიტი. ხომ მოგვხსენებათ, ძველად საბერძნეთში ორი ფილო-  
 სოფოსი იყო: ჰერაკლიტი და დემოკრიტი; პირველი სულ და-  
 ღვრემილი, მოღუშული იყო; ცხოვრებას, სიცოცხლეს მწუხა-  
 რის თვალით უცქეროდა, მეორეს—ყველა ეს სიცილად არ ჰყოფ-  
 ნიდა.

— მშვენიერი შედარებაა, მშვენიერი!—მოეწონათ ამხანა-  
 გებსა.

ამ დროს ღოისმა ოთახში მაგიდაზე დაკრული ლეკურის  
 ხმა, შეგირდები ბალკონიდან ფანჯრებში გადაეყუნენ ლეკუ-  
 რის საცქერად.

მეორეგან ოთახში შეჯგუფულიყვნენ შეგირდები; ხარხა-  
 რობდნენ, ხტოდნენ; ხანდისხან მოისმოდა ხმა: „კარგი იქნება,  
 კარგი!“

— მაშ ერთი ჩვენი ფილოსოფოსობაც ვაჩვენოთ მაგათა;  
 არ ეგონოთ, რომ ჩვენ ფილოსოფიას არ მივდევთ,—დაიწყო  
 კოკნიმამ.—მაშ ეგრე, შენ, სვიმონ, გაკეთდი დიოგენად, შენ კი,

ვანო, ანტისფენად, საუცხოვო ცინიკები იქნებით. როცა ჩვენ-  
მა ფილოსოფოსებმა დაიწყონ სჯა-ბაასი, მაშინ შემოდით.

სვიმონმა გაიხადა ტანთ; ჩამოიკიდა ხელსახოცებისაგან  
გაკეთებული პარკი, ხელში დაიჭირა დიდი ჯოხი; ბექებზედ  
წამოაკუხეს ძველი სერთუკის ნაგლეჯები; ვანოსაც დაფლეთი-  
ლი ტანისამოსი ჩააცვეს ტანზე, საიდანაც ტიტველი უჩანდა.

შევირდებმა სადილი სჭამეს, მორბიან კიბეზე სცენას სა-  
ყურებლად; ოთახში შეიყარნენ მთელი შევირდები; სვიმონი  
და ვანო შემოვიდნენ თავის უცნაურის ტანისამოსითა; ატყდა  
ოთახში ფრუტუნი, სიცლი, ფეხების ბრახუნი; კოკნიმა ყუ-  
თიდან ყვირის, აჩუმებს; ოთახი მტვრით გაიბურა, შევირდები  
ცოტა დაწყნარდნენ. ჩვენმა ფილოსოფოსებმაც საკამათო ლა-  
პარაკს თავი დაანებეს, ამით შექმნეს ღიმილი ამ უცნაურს სა-  
ნახაობაზე. ვანო მოხუცებულს ანტისფენს აღგენს, დიოგენი  
მის შევირდს. ვანო იღრიჯება, დაღალულობისაგან ვითომ  
მუხლთ ეკეცება.

— შევლა გნებათ?—ეუბნება სვიმონ-დიოგენი.

— რით შეგიძლიან, შე უბედურო, ჩემი შევლა.

— მე? არაფრით, მხოლოდ ხანჯალს გიშოვნის.

— მე მსურს განთავისუფლება ტანჯვათაგან და არა სი-  
ცოცხლისაგან.

— ჰა, ჰა, ჰა!—გაისმა ამხანაგებში სიცლი.

— როგორ დაუსწავლიათ ცინიკების ლაპარაკი და!—სტკვა  
შაქრომ;—ეგეც კარგია თქვენგან, მე და ჩემმა ღმერთმა; ნათ-  
ქვამია: ჯორჯმა ძაღლმა რომ კურდღელი მოგობრუნოს, და-  
ქერაში ჩაეთვლებაო.

— რა ხერი გაქვს, ძმაო ანტისფენ, რომ ასე დაეხეტე-  
ბი, რა ხერი გაქვს ამ ფილოსოფიისაგან,—უთხრა ვითომ-და  
დიოგენმა.

— დიდი, ძლიერ დიდი! მე ჩემი თავი მუდამ მე მახლავს,  
ბატონი ვარ მისი, სხვა ყველა ფეხებზე მკიდია... აი ეს ჩენი  
ფილოსოფოსები ყველა სულ ფეხებზე მკიდია..

— რა დაგიშავით, რად ნებულობთ გაწყრომას, ბატონო ცინიკთა მეუფეო, — უთხრეს ამხანაგებმა — ფილოსოფოსებმა... . თქვენ, ბატონო ანთისფენ, ყველა გაქებთ.

— ვაიმე, ახლა კი დავლუპულოვარ, თუ ყველა მაქებს, მაშ ჩემზე უვარგისი, უხეირო და საძაგელი არაინა ყოფილა პირ-სა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა.

მინამ ტყუილი ანთისფენი, ჩვენი ცნობილი მასხარა, ლაპარაკობდა, ტყუილა დიოგენი, სვიმონა, გაიპარა, აანთებინა ქონის სანთელი და ოთახში დაიწყო ბროტიალი, ხან ვის წააწყდებოდა, ხან ვისა.

— ვის დაეძებ, დიოდენ, ვისა?

— მე?!.. ჰმ! ვის დავეძებ!?

— ჰო, ვის დაეძებ? სთქვი, რას აქეთ-იქით აცეცებ სანთელსა!

— მე დაეძებ შპიონსა.

— ოოო, შეეშალა; დაავიწყდა, ველარ ასრულებს დიოდენობასა, — დასქყვივლეს ფილოსოფოსებმა.

— ნამდვილი დიოდენი იტყოდა: კაცს დაეძებო, მაგრამ მე ვამბობ: შპიონს დაეძებ-მეთქი.

სვიმონ-დიოდენმა სანთელი მიაცენა ერთს შეგირდთაგანს, მას ფერი შეაერთა, გულმა რაღაც უთხრა; ყველანი გაჩუმდნენ და რაღაც უცნაურს ამბავს ელოდნენ.

— აა, შენა ხარ, შენა, ის გმირი, რომელმაც იმ დღეს ისპანახის ამბავი გააგებინა ჩვენს ბატონებსა და კინალამ შეგირდები დაარიცხვინა!.. იუკაღრისე ჩვენი ამხანაგობა, ჰა? აბა, ჰკათ მაგას!

სვიმონმამ მოუღერ თავის ჩობახი, დაჰკრა მას, მას მიჰყვნენ სხვანი და შპიონად დასახელებული გააძევეს ოთახიდან ისე, როგორც ღამურა გადევნეს აკაკის იგავ-არაკში ჩიტუნებმა.

სვიმონმა კვლავ დაიწყო სანთლით სიარული ოთახში; ამხანაგებმა სული განაბეს, ელოდნენ კიდევ რამე უცნაურს

ამბავს ამ გასაოცარ მსახიობთაგან. სეიმონ-ლიოგენმა იარა, იარა და კვლავ მიაღვა ანთისფენს.

— შეილო, დიოდენ, რას დაბროტიალებ სანთლითა.

— შპიონი ვიპოვე, ახლა სხვა ვისმეს დავეძებ.

— ვისა?—დაუყვირა კოკნიმამ.

— ვისა?!... ჰმ, ვისა?!

— გაგიწყრეს ჩვენი სალოცავები, თუ არა თქვა! განა არ ვიცით, რასაც იტყვი, მაგრამ მაინც გვინდა, როგორ იტყვი.

— მე დავეძებ ჭაცსა?

— შეე ოხერო, კაცები არ არიან ეს ამოდენა დამუტრუკებული ხალხი?—დაუძახა კოკნიმამ.

— კაცები კი არ არიან—ძაღლები არიან, ძაღლები!

— ძაღლები თქვენა ხართ, თქვენ, ცინიკები; თქვენ ძალღუტად ცხოვრობთ.

— გაცით იქით, გაცით, ახლო ნუ მოდიხართ, არ მიკბინოთ,—დაუყვირა სეიმონ-ლიოგენმა მასზე მოსეულს ამხანაგებსა, რომელთაც თვისი გძელი ჯოხით იგერებდა.

— შეილო, დიოდენ, კმარა! ახლა ერთი მსხვერპლი შევესწიროთ იუბიტერსა.

მსხვერპლის ძებნაც დიდ ხანს არ მოუწდათ; მოიყვანეს მსუქანი ზვარაკი, ანთისფენმა ხელნი განაპყრო ცისადმი, ხოლო დიოდენმა შესწირა დიდის მოწიწებითა თვისითა ღმერთებსა ზვარაკი იგი და სისხლიანი ცერები ნერწყვით გადაიბანა.

— დიდი მადლობელი ვარ, რომ აგრე მშვენიერად შეასრულეთ თქვენ თქვენი როლები; მართლა და, თუმცა „ღვეპარა ჩაის“ დაგვირდით, მაგრამ მე თქვენ დღეს ერთ კარგა ლაზათიანად გაპაყარნებთ „ხახლოვის ტრაბტირში“,—უთხრა კოკნიმამ თავის ამხანაგებსა. მოვატაინებ „ბუბლიკებს“, ერთი შაურის რძეს, და ორი შაურის არღანსაც დავაკვრევენებ.

— ახლა, თქვე უბედურებო! რას ნიშნავდა ეს თქვენი უწმაწური წარმოდგენა,—უთხრა იაზონმა.

— იმას, რასაც თქვენი გაბერილი ლაპარაკი.

— გაბერილი რა, შენი ფეხებია! — შესძახა კოკნიმას თხუნელამა.

— ჩემი ფეხებივით რომ იყვეს გაბერილი, რა უშავს... კაცო, უნდათ ქვეყანა გადმოაბრუნონ; ასე ვიზამთ, ისე ვიზამთ; ოქროს გუთნით ზენას დავიწყებთ, ყანები ოქროს თავთავს დაისხმენო...

— ვინ მოგახსენა ეგ, შე ჩალახო, შენა! ჰა? რომ ერთი კარგი ჩაგაფერთხო მაგ ფუყე თავში, — უთხრა იაზონმა.

— ბიჭო, ჩვენ მაინც რამე რიგიანს საგნებზე ვლაპარაკობთ; თქვენ კი ხომ ცინიკები ხართ და ხართ და ახლა იმათ მოძღვრებასაც ჰქადაგებთ. ნეტა სხვისი აზრები გაიზებოროთ ხოლმე ისე ლამაზად, როგორც მაგათ ანთისფენის და დიოდენის ნალაპარაკევი დაუსწავლიათ. თვით მათი მოძღვრება რაში მდგომარეობდა, ის კი არ იცით. მაგით მხოლოდ ჩვენი მასხარად აგდება გინდოდათ, სხვა არაფერი, — სთქვა შაქრომ; იყავნება თქვენი. თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის.

— თეთრსა და შავს ცხოვრება გვაჩვენებს, — დაურთო სოლომონმა და მებრძოლნი დაიშალნენ.



## ბოტა

უცნაური კაცი იყო ერმოლოზი, თავი მწვანე კიტრივით მოჰქონდა; ყოველივე თვისი ნამოქმედარი მოსწონდა, „მაშ, ბიჭმა იცის! მე ბოტი ვარ, ბოტი, ჩამოდექით!“ — სულ ამას გაიძახოდა; თვისის უცნაურობით ყველა „ბურსაკებს“ გადააჭარბა. თვით ერმოლოზი მოსხეპილი, მაღალი ტანისა იყო, ბეჭებში გადგმული, მკვრივად ჩასხმული და რკინის აგებულებისა; სახე ჟანგის ფერისა, მოწითანო, უფრო წითელ კანიანის ჩამომავლობისას ჰგავდა მისი ფერი; ლაპარაკობდა ბოხის ხმით და გარკვეულად; მისი ცხოვრების მრწამსი კუჭი



იყო; სწავლობდა იმისთვის, რომ შემდეგში ადგილი იმიტომ ეშოვნა, რათა ის ოხერი კუჭი იმოყვარნა; ყველაზე ადრე ის ჩაეიდოდა სასადილოში და რამდენსამე მათლაჟა წვეწვს შესჭამდა, პურით ჩაბუტბუტებულსა; ამხანაგებთან კიდევ ერთს იმდენს შესჭამდა; საღამომდის კიბხვა-წერაში ატარებდა; ღვთის წინაშე, ძრიელ მუყაითი შევირდი იყო; საღამოზე კვლავ დაიწყებდა წვეწვი-ჭამიობას და მიდიოდნენ მისნი დღენი ამ სახით.

ერმალაოხს ევროპიული ტანისამოსი უფრო მოსწონდა; მუდამ გახამებულს პერანგში იყო გამოწყობილი, მაგრამ ვაი იმ პერანგს: ქუჭყისაგან არ გაირჩევოდა, თუ რა სახისა იყო იგი, როცა ბოტის ტანზე მოექცა. რაც სასწავლებელში იყო ერთი სერთუკი ეცვა; აღარ ეტყობოდა, რისა იყო იგი სერთუკი: გლასისა, დიმიკოტისა, თუ მაულისა; ქუჭყისაგან აღარ იცნობოდა, მთლად თავიდან ბოლომდის თებოთი იყო გაგლეხილი, წელამდე თეთრად ჰქონდა ვადმოყრილი თავიდან ქერტლი; ხელსახოციც ბოტისა ის სერთუკი იყო და პირსახოციცა; ზეთიანს, თუ ერბოიანს ხელს ზედ ჩაპოისვამდა, ტუჩებს მითი შეიწმენდდა; უცნობი კაცი რომ შემოსულიყო სასწავლებლის პანსიონში და ენახა ბოტის სერთუკი, მაშინვე შეატყობდა, თუ იმ დღეს რა ჰქონდათ შევირდებისათვის სადილად: ლობიო, თუ ისპანახი, მაკარონი, თუ ფლავი, ბორში, თუ შჩი, შილაფლავი, თუ უბრალო წვეწვი—ყოველივე ეს მის სერთუკის წინაკალთებზე და გულის პირზე იყო აღბეჭდილი: აქ ლობიო ჰქონდა მიმხმარი, აქეთ ისპანახი დამჩნეოდა ლაჟვარდის ფერად, ზოგან დაკრობილი ჰქონდა კოშხოსტოს, ან ქარხლის ნაჟულეთი, ან გულზე ჩამოგლესილი ჰქონდა შილაფლავი. სერთუკის უკანა ჯიბეც არ გახლდათ კარგს მდგომარეობაში: იგიც ისევე გაპოხილი იყო ზეთით და ერბოთი, რომ როცა დადიოდა ჯიბეს ტლაკა-ტლუკი გაუდიოდა და გაზებში მათრახივით სცემდა. ეს ჯიბე ბევრი რამეს მოწმე და მნახველი იყო: ბევრჯერ ჩაუსვირნია შიგ ცხელ-ცხელს ფლავის და მაკარონის ძირს, ვადანარჩენ პურის ნაჭრებს, რომელნიც მიჰქონდა ყუთში შესანახავად. როცა შეამჩნევდნენ ამხანაგები, რომ ბოტს

მიაქვს ოთახში ფლავის ძირი, რომლიდან გამონადენი ზეთის, თუ ერბოს წუწები ჩამოდოდა გზა-გზა და ამჩნევდა კვალსა, დაედევნებოდნენ უკან წასართმევად, იგი იფორიაქებდა, როგორც არწივი მისზე მისეულს ყვავებსა, და თან დასძენდა: „ბოტი ვარ, ბოტი!“

ამ ჩვენს ბოტს ყუთში გამოუღვეელი ჰქონდა ქილით ერბო, რომელიც შინიდან ჩამოსდიოდა. დილით აღრიან გაიმართავდა საუზმეს: სასადილოდან ამოტანილს ნარჩენებს წაუსვამდა სქლად ერბოს და ყლაქა-ყლუქით გადაჰქონდა სევ მუცელში; ერბოში ამოსვრილს ხელებს თმაზე გაისვამდა, იქიდან ხელს ჩამოიყოლებდა წვერ-ულვაშზე და თვის მშვენიერს სერთურკზე; ერბოსაგან უბზინავდა თმა და წვერულვაში, მზეზედ ხომ სულ უეღვარებდა და კისერში ჩაჰქონდა ოფლს ერბოს წვეთები. როცა გაიღეშებოდა, მოჰყვებოდა მაღალის ხმით სიმღერას, აქცევდა იქაურობას და მოსვენებას არ აძლევდა ამხანაგებსა. თუმცა ბოტი ასეთი ღორ-მუცელი იყო, მაგრამ სწავლაზედ ბეჯითი იყო და ნიჭიც შესწევდა; გაკვეთილებს ერთი თვალის გადავლებაზე დაისწავლიდა და მერე შეუდგებოდა სხვა-და-სხვა წიგნების კითხვას; სხვა-და-სხვა თხზულებებს, მასწავლებელთაგან ამა თუ იმ საგანზე შეკვეთილს, არ ვისზე ნაკლებად არ სწერდა. სწავლით დაწინაურებულმა ამხანაგებმა იცოდნენ ეს, ცდილობდნენ მის დაახლოვებას, გამოყვანას იმ ფარგალიდან, რომელშიაც იგი იყო მოყოლილი, უნდოდათ მუცელ-ღმერთობაზე აეღებინებინათ ხელი და ჩაერიათ სჯა-ბაასში სხვა-დასხვა საგნებზე, მაგრამ ვერას გზით ვერ მოადრიკეს მისი სიჯიუტე.

მოსწავლეთა ზნე-ხასიათის გაწრთვანა-განეთარებაზე ძველი სისტემა სწავლისა იოტის ოდნადაც არა ცდილობდა; მასწავლებელნი ასრულებდნენ მხოლოდ ფორმალურად თვის მოვალეობას: შევიდოდნენ გაკვეთილზე და წუთ-წუთად სთვლიდნენ დროს, რომ მალე გასულიყო დანიშნული ვადა გაკვეთილისა და გაქცეულიყვნენ სახლში. შეგირდები ამ მიზეზის გამო სიბნელეში დაბროტიალებდნენ; მხოლოდ ძლიერის

ნიქით შემკულნი, ესეც ათასში ერთნი, თუ იკვლევდნენ ამ სიბნელის წყვილიაღში გზას სიკეთისაკენ. ამიტომაც იყო, რომ კლასები ცარიელდებოდა, კურს დასრულებისას სამოციდან ოცზე ჩამოდიოდა რიცხვი შეგირდებისა; დანარჩენნი გადიოდნენ უდრო-უდროვოდ ცხოვრებაში და, როგორც მოუმზადებელნი არსებობის ბრძოლისათვის, იკარგებოდნენ უმნიშვნელოდ, უკვალოდ. ამიტომაც იყო, რომ ორმოცდაათიან და სამოციან წლებამდე სასწავლებლებიდან ვერ გამოდიოდნენ განვითარებულნი ადამიანები. სამოციან წლებში კი სასწავლებლებს სხვა სიომ დაჰბერა; აქა-იქ აჩნდნენ, როგორც ცაზე დიდის გოლვის შემდეგ ავდრის მომასწავებელნი ღრუბელნი, ხალხის გულ-შემატყვიარნი, შეიტანეს შუქი ბნელს წყვილიაღში და სიბნელეში დაქსაქსულნი გამოარკვიეს, გამოიყვანეს ნათელში. არ დარჩა ამ დიდებულის პირების გაელენა უმნიშვნელოდ მოსწავლე ახალგაზღვაბაზედაც. ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ქაბუკებმა გარღეს სწავლის გეშო, თვალი აეხილათ და იცნეს ხეკეთილისა და ბოროტისა. გავლილი უქმად დაკარგული დრო სასწავლებელში მყოფობისა შეეზიზღათ; თავზე ხელი მოისვეს და იწყეს ფიქრი თვისს მომავალზე. მცირე გუნდი ჩვენ მიერ აღწერილ „ფილოსოფოსთა“ თან და თან იზრდებოდა, მათს წრეს ემატებოდა. ის გუნდი მუდამ ქაშს ცდილობდა შეემატებინათ ნიქიერი ამხანაგები, კითხვით, სჯა-ბაასით გამოერკვიათ მომავალი ცხოვრების პროგრამა, რათა უქმად არ ჩაეგლო მათს ამოდენი ხნის წვა-დაგვას სასწავლებელში და რაიმე წვლილი შეეტანათ ცხოვრებაში მის კეთილ წარმატებისათვის.

— ბიჭო, ერმალოზ! შე ოჯახდაქცეულო, რა სულ ქამაში ატარებ შენს წუთი-სოფელსა,— დაუწყო ერთხელ შაქრომ.

— მაშ, ბოტი ვარ, ბოტი, და იმიტომ.

— რა არის ეს შენი ახირებული სიტყვა: ბოტი! სიტყვისა და სიტყვის თავზე ბოტი გაკერია პირზე; საცა არა მგონია, წარამარად წამოროტავ მაგ ოხერს სიტყვასა.

— რა გინდა ჩემგან! გინდა ერბო გაქამო? ჰა, დაიკი! — და ბოტმა მიაწოდა ერბოთი გავლესილი პური.

— არა ქამო, შაქრო, არა! — შეჰყვირეს ამხანაგებმა.

— რატომამო? — შეჰბღვირა ბოტმა. თუ თქვენც გინდათ, მოდით, დაგიღოსოთ პურზე.

— იმიტომა რომა, იმ დღეს თავი ჩაპრჩობოდა შიგა!

— რაო, თავიც ისეთივე ცხოველია, როგორც ჩვენა; თუ კი მე ყოველ დღე მივირთმევე ერბოიან პურსა და ყელს ვიგეპრიელეებ, ვითომ თავი რაღაა! იგიც იმ ღმერთის გაჩენილია, რამაც ღმერთმა მე გამაჩინა; კუჭი მასაც კი აქვს...

— შენსავით გაუმაძღარი, — მოუჭრეს სიტყვა.

— ჰა, დაცინვას თავი ანებე, თორემ თუ ჩემი ხვედასავით მუშტი დავარტყი, სულს გავაფრთხობინებ. ხომ იცი, ბოტი ვარ!.. თავესაც ისეთივე გრძნობა აქვს შიმშილისა, როგორც ჩვენა. ენლა ახალი სწავლაა დარვინისა; იგი ამბობს, რომ ბუნებამ შექმნა ცხოველი არსება, იგი ათსგვარს ცვლილებაში მოჰყვა, იარა-იარა და ზოგი თავგად დარჩა, ზოგი მატლად, ზოგ-ზოგი მაიმუნად და ზოგი ადამიანად გადაიქცა, ჩვენ მაიმუნებიდან გადავკეთებულვართ...

— რისთვის, რის დასამტკიცებლად მოგყავს ეგ აზრები, — ჰკითხა შაქრომ.

— მაგათ საპასუხოდ, რომ მიკიჟინებენ, თავი ჩაერჩო ქილაშიო; მართალია, ჩაირჩო, მაგრამ ამოვიღე იგი, მოვაშორე ერბოს და ერბო ისევ ერბოდ დარჩა...

— გამიგონე, ბოტო, — დაუწყო შაქრომ.

— მგლის თავზე მღვდელი სახმრებასა კითხულობდა, მაგრამ მგელი სულ ბატკანზე ფეკრობდაო; ათასი რომ ელაპარაკო შენ, შაქრო, მაგ ბოტსა, მაინც თავისს მრწამსს ვერ შეაცვლევინებ და ჩვენებურად მამაო ჩვენოს ვერ ათქმევინებ, — უთხრა მას ლაპარაკზე შემოსწრებულმა სოლომონმა.

— მაცალეთ, კაცო, მე ვიცი და ამანა.

— ჰო, კარგი, რა გინდა, მითხარი, — სთქვა ბოტმა.

— შენ არავისზე ნაკლები არა ხარ ჩვენში არც კუჭით, არც გონებითა, არც ნაკითხოებითა, მაგრამ შეკეტილი ხარ, როგორც ის მთა, საიდანაც შენ ხარ ჩამოსული; არავის არ გვეკარები; საქმედ გაგიხდია მარტო შენი კუჭი, მას ემსახურები, ის არის შენი ღმერთი; ორთა უფალთა მონება არავის ძალუძსო, — ბრძანა მაცხოვარმა.

— ძალიან კარგად შეიძლება; ჩემი კუჭი ჩემს სწავლას რას უშლის.

• — სწავლას არ უშლის, მაგრამ იმას კი უშლის, რომ შენ ამხანაგებისათვის დაკარგული ხარ; იმ საქმისათვის, რომლისათვისაც ჩვენ მოწოდებულნი ვართ, დაკარგული ხარ; შენისთანა ნიქიანები რომ ჩამორჩებიან საქმეს, არ ვარგა; ცხოვრებაში კუჭის აყოლა არ გამოგადგება, უფარგისი იქნები. აი ეხლა ჩვენ რამდენიმე ამხანაგი შევთანხმდით, შევერთდით, გვინდა ჩვენის მომავალის ცხოვრების პროგრამა შევიმუშავოთ...

— შევიმუშავეთ, ვინ გიშლით, — გააწყვეტინა ბოტმა.

— კი, მაგრამ ცოტა მაცალე, — შეაჩერა შაქრომ; — ავერ საცოლო კაცები გავხდით და ღღევანდლამდე ჩვენ თავზე არ გვიფიქრნია, არ გვიფიქრნია არც ჩვენ, არც ჩვენ მშობლებს, არც ვისმე სხვასა; ჩვენოდენები ღღეს სხვაგან, სხვა სახელმძღვანელებში, სამწერლო ასპარეზზედაც არიან გამოსულნი, სამასწავლებლოზედაც და სხვანი და სხვანი; მადლობა ღმერთს, ჩვენც არა გვიშავს-რა; ჯანი და ღონე შეგვწვეს, ცოდნით, თუმცა ციდან ვარსკვლავები არ ჩამოგვაქვს, მაგრამ არა გვიშავს-რა; ოღონდ იყოს კეთილი სურვილები და ამ კეთილის სურვილების აღსრულება, უთუოდ აღსრულება. ყველგან ვინმე რამეს ზრუნავს, ზრუნავს არა მარტო თავის-თავისათვის, სხვისათვისაც; ჩვენც რომ ასე არ მოვიქცეთ, სირცხვილია. ღმერთმა რომ თვისი ხატება მოგვანიჭა და სული ძლიერი ჩაგვბერა, უნდა ღვთიურად გავიხმაროთ იგი და არა ისე, როგორც იმ მონამ, რომელსაც რამდენიმე ქანქარი მისცეს მოსახმარებლად და მან კი იგი მიწაში დაფლა...

— ნუ მიკითხვე მაგისთანა ანბანურს ქეშმარიტებებსა; მე უკვე მაქვს შესმენილი ჩემი პროგრამა.

— მაინც რაში მდგომარეობს შენი პროგრამა.

— აი რაში, რახან ამალაპარაკე, გეტყვი: ჩვენ ეხლა ვათავებთ სასწავლებელს; დღეს თუ ხვალ გამოგვიცხადებენ: აი ესა და ეს სამრევლოები დაცლილია, ეკურთხეთ მღვდლადო.

— კარგი და პატიოსანი, მერე?

— მერე და მერე, გადავაცვამ ანაფორას და ის არის.

— მეტი არაფერი?

— მეტი რა ფერი უნდა, — ჩაერიფენ ლაპარაკში სხვები, — რომელნიც იმავე ცხოვრების გზას ადგნენ, რომელსაც ბოტი. მაშ რისთვის გვზრდიდნენ ჩვენი მშობელნი.

— მოვდგები მერე, — დაიწყო ბოტმა, — და გაუსვამ ტაბლებს ხელსა; საცა კაი ბეჭია, ჩემი იქმნება, საცა კარგი დეკულის თემო იქმნება, მე მომერთმევა.

— დიაკონო, ქადა-მადა, აიღე და ჩადე მანდა, ვეტყვით, დიაკონიც გასტენს ხურჯინს და შევეუდგებით სახლის გზასა. მა რისთვის ვიტანჯეთ ამოდენა ხანს. დედა-ჩემი სულ იმას ჩამჩიჩინებს, ნეტა ერთი როდის იქმნება, შეილო, შენი ანაფორა ვნახო და შენი ნაკურთხი ტაბლა შინ შემოტანილიო, რომ ერთი ამ სიბერის დროს სული მოვითქვაო, — მოაყოლა კოკნიმამ ბოტის საქომადოდ ლაპარაკი.

— მაგას ეინ გიშლით, მაგრამ მაგის გარეშე სხვა საზრუნიც უნდა გექონდეს ცხოვრებაში თუ არა? უნდა გაჭირვებულს ხალხს შევეწიოთ სიტყვით თუ საქმით, გავაგებინოთ თვისი ვინაობა, გავაცნოთ თვისი ცხოვრება, შევახედოთ ამ ცხოვრებაზე ნათელის თვალითა, რომ ადამიანს დაემსგავსოს.

შაქრო არ ეშვებოდა, მაგრამ ბოტს და მისს მიმდევართ არჩეული გზა კუქის თაყვანის ცემისა ვერ შეაშლევინა, თუმცა კი ბევრი შეაფიქრიანა და გულის ხმაში ჩააკლო.

## „და იქმნა ნათელი“

სამოცდა ათიან წლების დასაწყისში ახალი ხანა დაუდგა სასწავლებელსა: იმ ერთად-ერთს მხედარს, იმ ერთად-ერთს მერცხალს, იმ სულითა და გულით განათლებულს ადამიანს, რომელზედაც ამას წინაღ გვექონდა ლაპარაკი, მოჰყვნენ სხვა მხედარნი, სხვა მერცხალნი და მისგან გაკვალულს ბილიკს შეუდგნენ. აქნამდე ბნელში მათს ახალგაზღობას გაუჩნდნენ თვალის ამხელნი. ესენი იყვნენ ახლად ჩამოსულნი მასწავლებლნი, რომელნიც დღესაც კეთილად სუფევენ, მხოლოდ სასწავლებლის გარეშე კი, და საპატოო ადგილი უკავიათ ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში. ამათ თვისის ქუთიანურის და საღის მიმართულებით სული ჩაუდგეს მოსწავლეებს, შეაყვარეს სწავლა და მეცნიერება. იმ მოსწავლეებს, რომელნიც ჩამორჩენილნი იყვნენ, რომელნიც მხოლოდ ლაზღანდარობასა და მასხარობაში ატარებდნენ დროსა, დღეს აეიხლათ თვალები, მაგრამ გვიან-ღა იყო; ისარგებლეს მხოლოდ იმათ, ვინც ძალის-ძალათ გაიკვლიეს თავით თვისით გზა ამ წყვილადში და სწავლობდნენ თავის თავად.

ზემოდაც ვთქვით, რომ შევირდებს ყოფა-ცხოვრებაზე, მათის ზნე-ხასიათის გასწორებაზე და კეთილს მიმართულებაზე ღრავინ არ ცდილობდა. ამ ახალმა მასწავლებლებმა პირველი თვისი ყურადღება ამ მხარეს მიაქციეს, ძმურად ჩაჰკიდეს საქმეს ხელი და მალე, ძალიან მალე მოიმკეს ნაყოფი თვისის უანგარო და თავდადებულის შრომისა: მოსწავლეებმა შეიყვარეს იგინი, უგონებდნენ, მისდევდნენ მათს დარიგებასა, დაუახლოვდნენ მათ; იმ ღვთივ მოვლენილთა პირთა პირველად მიაქციეს ფრიადი ყურადღება ერთს დიდს ნაკლს ბავშვების ცხოვრებისას: არაფითარიმე ცნობა და ცოდნა არ ჰქონდათ მოსწავლეთა თვისის ქვეყნისა: არც მისი წარსულისა და არც აწმყოისი.

მხოლოდ მაშინ გავიცანით, რომ ჩვენც გვყოლია მწერლები, ჩვენც გვხურებია ქუდი და ქვეყანაში ვრეულკართ; ცოტა დრო დაურჩათ ზოგიერთებს იმ მასწავლებელთა ზედ გავლენაში ყოფნისა, მაგრამ ისე მაგრა და ღონივრად დაეწაფნენ სწავლასა, მათ ნამოძღვრებ მკნებასა, რომ წყურვლია ცოდნისა თუ სრულად არა, ნახევრობით მაინც მოიკლეს. შესდგა მთელი წრე, მთელი რაზმი უფროსთა მოსწავლეთა, რომელნიც გულით შეუდგნენ სამშობლო ისტორიის და ლიტერატურის შესწავლასა, შეუდგნენ სწავლის შეძენას, მის განტრიალას უმაღლესს სასწავლებლებში.

— ბრძანა უფალმა: „იქმნეს ნათელი და იქნა ნათელი!... დღეს დავიბადენით, დღეს დაგვიდგა მზიანი დღე, დღეს ნათელში ვართ, — დაიწყა აღტაცებით შაქრომ და მიჰპართა თვის ამხანაგებსა. წარმოიდგინეთ, მე „ვეფხისტყაოსნის“, „სიბრძნე სიცრუის“ და „დავითიანის“ მეტი წიგნი არ მეგონა თუ გვქონდა დღემდისა. თურმე ნუ იტყვიან, ჩვენ გვყოლიან დიდებულნი პოეტნი, რომანისტნი, ისტორიკოსნი, პუბლიცისტნი, საზოგადო მოღვაწენი; გვქონია ქურნალები, გაზეთი; ჩვენ კი დღემდის გვეძინა, სწორედ გვეძინა.

— იქნება კიდევ არ გვეძინა, — ჩამოართვა სიტყვა იაზონმა, — მაგრამ არ გვყვანდნენ ხელომძღვანელნი, თვალს ამხელნი, გულ-შემატკივარნი.

— ოჰ, ღმერთო, რა დიდებული სიტყვებია: „ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყოზადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“, ეუბნება პოეტი ილია ჭავჭავაძე ქართლის დედასა, ვის არ ააღვლეებს, ვის არ აღუფთოვანებს სულს მისივე სიტყვები:

„წმინდა იგი, ვისაც ეღირსა  
 მამულისათვის თავის დადება!...“

ნეტა იმ ვაჟ-კაცს, ნეტა იმ გმირსა,  
 ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.

მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,  
 შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს



და არა ერთხელ ჰაბუკთა ყრმათა  
ხლმის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს“.

— გინახავთ „ჩანგური“? — იკითხა იოსებმა.

— ეგ რაღაა?

— რაც კი რამ კარგი დაწერილა ჩვენის პოეტებისაგან, სულ იქ არის თავმოყრილი, მოვიტან და სულ ერთიან გადავიკითხოთ; ბევრი მაგინა აკაკი წერეთლის „აბელაციის მკოდნემ“.

— იოსებ, სოქვი, სოქვი! შენ ზეპირად გექნება დასწავლილი, გიყვარს ლექსების დასწავლა.

იოსებმა რიხიანად და წყლიანად დაიწყო ლექსის კითხვა და როცა ეს აღგილები წარმოსთქვა:

ქართულ ტანისამოსსა აბა რაღად იკადრებს:  
სწავლული კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია,  
ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს;  
ვინ ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია!... —

მსმენელებმა მორთეს ხარხარი.

— კიდევ, კიდევ, იოსებ! შენ პოეტი კაცი ხარ, გაგვაცანი ხოლმე პოეტთა ნაწერები.

იოსებმა კვლავ დაიწყო:

თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,  
მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;  
უსწავლელებთან თურმე მოსდის ზაფრის ქარები;  
რა ჰქნას? არ გავამტყუნებ, ის სწავლული კაცია!

— ხა, ხა, ხა! ძალიან გაუმართახავს ეს ფუტურო სწავლელები, ძალიან, — შესძახეს მოსწავლეებმა.

— ნეტა ერთი გვაჩვენა ეგ დიდებული კაცები, — სთქვა შაქრომი; — უეჭველია იოსებს ენახებო.

— ეგ საზოგადოებაში გართულია, ეგა და ეს ჩვენი ბეორე პოეტი ნიკო; ერთი გვიამბეთ.

— მე იღია ჰავჭავაძე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ ისეთი ლამაზი და მარტივია, კაცი თვალს ვერ მოაშორებსო;

მშვენიერი ფართო შუბლი, თმა ხშირი და შავი, როგორც გიშერი, შუაზედ გაყოფილი და გძლად დაშვებული კისრამდე; ლაპარაკობს თურმე ღმობიერად და როცა ბაასი და სჯა შეეხება საჭირ-ბოროტო კითხვებსა, ჩვენს ვარამსა, მაშინ იგი თურმე გრგვინავს, როგორც მეხი, როგორც ლომი; ტანით თურმე პატარა კახს მიაგავს, მაგრამ როცა ზისო, ჰგონია აღმიანს, ხიზაბაერელის მხარ-ბეჭი აქვსო.

— ვენაცვალე გამჩენში, კარგი რამ ყოფილა, კიდევ იმიტომ ჩამოუსხამს მარგალიტრით ლექსები... აკაკი მაინც არ გინახავს?

— ის კი ხშირად მინახავს, წამოღით კვირას ბულვარზედ და ყველას გაჩვენებთ: აკაკის, ნიკოს, სერგოს, გიორგის, ანტონის პეტრესა.

— ნეტავი შენა, იოსებ, რომ ყველანი გინახავს.

— თქვენ რომ არსად დადიხართ, ვისი ბრალია, აი წამომყევით ხოლმე და ყველას გიჩვენებთ.

— იოსებ, ანტონთან წავიყვანოთ, აკი იქაც მოდიან ხოლმე ჩვენი მწერლები, — უთხრა ნიკომ.

— ერთი აკაკიც აგვიწერე, ჩვენო იოსებ! — მიეხვიენენ ამხანაგები.

— რა აგიწეროთ, კაცო, იმას სიტყვით ვერ აგიწერთ და კალმით ვერ დაგიხატავთ: მშვენიერი, ბრვე ვაჟკაცია, აბა შუბლი იმასა აქვს აი! სწეროდ მტკაველ ნახევარი იქმნება, რომელსაც გარს შემოჰხევეია მშვენიერი ხუჭუჭა თმა. ღმერთო, რა სავარცხელი უძღვებს... ახლა, რომ გიკტერის, თითქო შენს გულში ყველაფერსა ჰკითხულობსო, თითქო გაიგო ჩემი ფინაობაო და დამცინისო... ეჰ, მე ესე ვერ ავწერ, უნდა ჰნახოთ, რომ... აღვილია მათი ნახვა... წავიყვანთ „დროება-კრებულის“ რედაქციაში, ან „მნათობის“ რედაქციაში, და იქ ყველას ენახავთ... ჰო, მართლა! ყური დამიგდეთ, მე იქ ერთხელ ფაზელი ვნახე...

— ფაზელი ვილა?

— ფაზელია მამია გურიელი, გურიის მთავრის შვილი.

— მერე რა ხელოსანია?

— რა ხელოსანია!?!... ხელოსანი კი არა, იგი ახალგაზდა პოეტია... ოჰოოო!.. აბა ის კითხულობს ლექსებს აი! იმის მოსმენას არა სჯობიან-რა; როგორც კრიალოსანს ჩაბოსთვლიან მარცვალ-მარცვალ, ისე ის ღინჯად და გარკვევით ამბობს ლექსსა... ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვა არ გამოგებარება; ეს არაფერი, ყოველი სიტყვა გულსა გხედება და სამოდ გიღელვებს მას, თითქო სადღაც მიჰყევხარ, თითქო ფრთები გესხმის და ცის სივრცეში იკარგები.

— ეს მეორედ ვსიამოვნებ ჩემს სიცოცხლეში,—დაიწყო შექრომ,—ეს მეორედ ჩაადგა სვეტად ჩემს გულს ნათელი: ერთი როცა პირველად მოვყვანიდი ტფილისში,—ამ სასწავლებელში, ჩემს კომექსასა, და აი მეორედ დღეს. მაშინ პირველად მისგან გავიგე ჩვენი ვინაობის ამბავი; მაგრამ აქ, სასწავლებელში, ის პირველი ცეცხლი, ცეცხლი კი არა, ოღონავ მბუეუტავი ვარსკვლავი ჩამიქრა; მას გამაძლიერებელი გარემოებანი არ შეხვდა; აი დღეს მეორედ ამენთო ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა, სიყვარული მისთა მოღვაწეთა, და ეს ცეცხლი აღარ ჩაქრება ჩვენში... ჩვენში-მეთქი? ამას რას ვამბობ? ჩვენშია? ჩვენ ყველამ უნდა გავაძლიეროთ ეს ჩვენში ახლად დაბადებული, ანუ უკედ ვთქვათ, ახლად შთანერგული აზრი. ეს აზრი, ყმაწვილებო, იმაშია, რომ ჩვენ დღეიდან უნდა გულმხურვალედ შევუდგეთ შესწავლას ყოველივე ჩვენისას; ცოტადა დრო დაგვრჩენია ყოფნისა ამ სასწავლებელის კედლებში, მაგრამ ეს ცოტაც უნდა გამოვიყენოთ.

— სირცხვილი კი, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ქართველები ვართ, ქართულად თითქო უნაკლულოდ ვლაპარაკობთ და ქართული კი არ ვიცით,—სთქვა კოტემ, რომელსაც შიო და სხვები დაემოწმენ.

— შექროც მაგას ამბობს,—სთქვა იაზონმა...—ესეც არის სათქმელი: დღემდე ჩამოშორებული ვიყავით ქვეყანას... ეხლა

იოსებისა და ნიკოს საშუალებით გავეცნოთ ჩვენს საზოგადოებასა, ვიკითხოთ, რაც კი მოგვეძევება ქართულს ენაზე და შევიტყოთ ჩვენი აეკარგი.

— უნდა ყველა წიგნები მოვაგროვოთ...

— ახლა შექროს ისე ჰგონია, ტომრებით იყოს საზიდი, — სთქვა ნიკომ; — სულ ხუთიოდე წიგნი კი მოიპოვება დაბეჭდილი, მეტი კი არა.

— რაც არის, ის მაინც წავეიკითხოთ; მაინც რამდენი წიგნი იქნება.

— ი „ვეფხვის ტყაოსანი“ ხომ ყველამ იცით, ამას გარდა „სიბრძნე-სიცრუე“ დაბეჭდილი, „სურამის ციხე“, „თამარ ბატონიშვილი“ და „სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვილი“, — უთხრა იოსებმა.

— ვაი, ვაი! მეტი არა? — იკითხეს გაოცებით ყველამა.

— მართლა, „ქართლის ცხოვრება“ კიდევ.

— „ჩონგური“?

— „ჩონგური“ ხომ ერთი კაცის თხზულება არ არის, აკი გითხარით, იმაში მოქცეულია ყველა ჩვენი ახალი მწერლების ლექსები.

— მაშ ამათ მალე გავეცნობით.

— არა, ამათ გარდა კიდევ ჟურნალებშია დაფანტული ჩვენი მწერლების ნაწერები.

— მართლა იმ დღეს თომამ რომ წაგვიკითხა „გლახა ქრიაშვილი“!.. ისა?

— ოჰ, რა ლამიზად კითხულობს! დაგვირდა, კიდევ ბევრს რამეს წაგვიკითხავთო...

— თანდათან გამოჩნდება საკითხი, ფიქრი არ არის, — დაამედა იოსებმა.

— ყმაწვილებო, აი აგერ ჩვენ თორმეტნი ვართ, დროს ნულარ დაეკარგავთ, გავიყოთ შრომა და რიგრიგზე, ყველამ სათითაოდ, მოვამზადოთ თითო წიგნის შინაარსი, დრო დავ-

ნიშნით და ერთმანერთს ვუამბოთ ხოლმე, — წარმოსთქვა შაქრომ.

— კარგი იქნება, ძალიან კარგი!

— მაგრამ მარტო თორმეტი!? მარტო ჩვენ რას ვეყოფით საქმესა; ჩვენ უნდა ყველა ჩვენი კლასის ამხანაგები ჩავრიოთ საქმეში, იმათაც უნდა გავუზიაროთ. თუმცა ისინი უხვირო ცხოვრებამ სასწავლებლისამ გააცუდლუტა, თითქმის გაასალახანაეა, მაგრამ მათ ნიჭი არ აკლიათ; წარმოიდგინეთ, თუნდა იმ დღევანდელი სცენა, სვიმონისაგან და ვანოსაგან შესრულებული; რა მშვენიერად შეასრულეს ანთისფენ და დიოდენ ცინიკების როლები!... რომ უფრო შევისწავლოთ ქართული, მარტო კითხვა არ უშველის ამას,....

— რა იყო, ბიჭო!

— იცი, რა? მეტიჩარას ნუ დამიძახებთ: მოდი ჩვენც გამოვცეთ ხელთ-ნაწერი ჟურნალი; ვისაც რა შეუძლიან; ის სწეროს; ზოგმა სთარგმნოს; ეს ჩვენ გაგვწერთნის; შეიძლება ზოგს ისეთი ნიჭი გამოაჩნდეს, რომ შემდეგში ჩვენს ლარიბს ლიტერატურას გამოადგეს.

— მშვენიერი აზრია! ის იყო მე მადგა ენაზე, — სთქვა სოლომონ ფილოსოფოსმა, — დღეს ჩვენთვის ეს დღე ბედნიერი დღეა.... სწორედ სთქვა შაქრომ: „და იქნა ნათელი!“

## XXXII

## შაქრის ფაქრები

ერთს საღამოს დიდ ხანს შეჰყვა შაქრო ქართულის ჟურნალების კითხვას, კითხულობდა გატაცებით, სურვილით, როგორც ძალზე დამწეული კაცი საქმელსა; რამდენჯერმე გადაიკითხა „სადღეგრძელო“ ორბელიანისა, და ბუტბუტით იმეორებდა მშვენიერს აღგილებს პოემისას; მის თვალ-წინ იხატებოდნენ დიდებულნი სურათნი „გმირთა მამულის განმადიდეთა“, მიდი-მოდოდნენ ეს სურათნი მისის გონების თვალთა წინაშე, ერთი-მეორეს სცვლიდა, ერთი-მეორეს მისდევდა.....

ღამე გაუტყდა, რამდენიც კი უძლიობდა გულიდან გადაეყარნა მწარე ფიქრები, იმდენი უფრო ზედ მოესივნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ, ამ უთვალავმა შავმა ფიქრებმა თავი გაუხურეს, დაამძიმეს, მოსთეთქვეს ლოგინში.

— ჩვენს ხანში სხვა ქვეყნებში უკვე გამოსულნი არიან სხვა-და-სხვა ასპარეზზე სამოქმედოდ; მგონი ქვეყანასაც კი აკვირვებენ თავის ჭკუა-გონებითა, მიმართულებითა, კაცურ კაცობითა, ჩვენ კი ჯერ ისევ სასწავლებლის სკამს ვაკრავართ და თუ ქვეყანა იყო სადმე, მოიპოვებოდნენ სულიერნი არსებანი, მებრძოლნი სიკეთისთვის, ყველა ეს მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში შევიტყეთ; შევიტყეთ ამ ახლად მოსულის მადლიანის კაცებისაგან. რომ მივიხედები უკან და გადავავლებ თვალს უქმად გავლილს თორმეტ წელიწადს, გულში რაღაც ჩამწყდება ხოლმე. რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით

ამ ხნის განმავლობაში? სრულიად არაფერი. მშობლის სახლმა მოგვცა მხოლოდ უზომო სიყვარული თვით სახლისა და იმ სოფლისა, სადაც დავიბადეთ. ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი? წინა დროსა, ამისი წარმოდგენა ბუნდად გვექონდა, ცოტა ოდენი რამე თუ ჩავგრჩენია თავში მამებისაგან ძველს დროებზე გადმოცემულნი ამბავნი, თორემ სხვა არასფერი; ეს ჩარჩენილი ამბებიც დრო-ყამმა, უხეირო სწავლამ და თავში ცემაჲ ჩაჰკლა, ჩააქრო; არავის ჩვენგანს აღარ შემთხვევია გვიანობამდე ის სასურველი წამი, რომ აღედგინა ჩვენში იგი ჩამქრალნი მოგონებანა; მხოლოდ ერთხელ ხელი შეახო ამ ჩვენს მოგონებათა, როგორც წელანაც ვთქვი, მეღავითნე კომექამ, რომელმაც გზაში მოგზაურობის დროს პირველი გაკვეთილი მოგვცა ჩვენ დიდებულს გმირებზე, დიდებულს ნაშთებზე. კვალად მიიძინა ამნაც. არავინ არა ზრუნავდა ჩვენის განვითარებისათვის, მარტო გაკვეთილების სწავლაზედ იყო მიმდგარი საქმე და გაკვეთილების გაკაჰკაჰებით შორს ვერ წავა კაცი, იგი მარტო უჩლოუნგებს შევირდს გონებას, გულს უტრუებს სწავლაზე და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ასალახანავებს. რადენი ნიჭიერი ახალგაზდა დაიკარგა, ვინ მოსთვლის. ავიღოთ თუნდა ის ამხანაგები, რომელნიც კიდევ შეჩინენ სასწავლებელსა, მაგალითად, კოკნიშა, თხუნელა, ყარა-ვანო, სვიმონი და სხვანი და სხვანი. განა ამათ ნიჭი აკლიათ? მაგრამ ძველის სწავლის, როგორც გუშანაც ითქვა, წეს-რიგმა უკულმართად მომართა მათი ნიჭი. ვინ ჩვენგანი სჯობიან ნიჭით ბოტსა? თითქმის არავინ, მაგრამ იგი დაკარგულია ყველასთვის, თვით თავის თავისადაც. დრო გამოუხიზლებიან იწყება, ვკონებ; კეთილს ნიადაგზე დაეცა ახალი მოძღვრება ჩვენთა მასწავლებელთა; იგი კეთილს ნაყოფს გამოიღებს. თუმცა გვიან მოხვდა ჩვენს გულს, მაგრამ მძლავრად შეარხია იგი; როგორც დასვენებული მიწა კარგად ითვისებს მისს გულში ჩაბნეულს თესლს, ისე ჩვენი დამშეული სული და გული ღრმად ჩაიჭდევს ახალს მოძღვრებას, ახალს აზრებს, ახალს მიმართულებას და აღარ გადაუხვევს მას. იმედიანად ვუცქერი იმ პატარა წრეს, რომე-

ლიც შესდგა ჩვენში, ჩვენს ამხანაგობაში, და რომელიც მტკიცედ შეუდგა წარმატების გზასა“.

„თუმცა ჩვენ შევუდევით ჩვენის ვინაობის გაგებას, შესწავლას ისტორიისას. ლიტერატურისას, მაგრამ არ გვაქვს კიდევ რიგიანად გაკვლეული პროგრამა ჩვენის მოქმედებისა სასწავლებლის გარედ; აგერ ჟურნალიც დავაარსეთ, ეს გარემოება გვიშველის ენის შესწავლაში; არ შეიძლება, რომ არ გამოჩნდნენ ისეთი ნიქიერნი, რომელნიც შემდეგში მწერლობაშიაც იჩენენ თავსა; ძალიან შესაძლებელია ეს, ბევრს მათგანს კიდევაც ეტყობათ ეს უნარი.

„აი, ჩემის აზრით, რას უნდა ვდეთ, რომ „მივცეთ მომავალი ხალხს“, როგორც ამბობს ჩვენი დიდებული პოეტი: ჩვენმა მწერლებმა დაგვიხატეს ხალხის ცხოვრება ბატონ-ყმობის დროისა; დიდი გმირობა, დიდი თავგანწირულება იყო, რომ ჩვენმა დიდებულმა მწერლებმა ახადეს ფარდა ბატონ-ყმობის დროს და დაგვანახვეს, როგორც სარკეში, ტანჯვა-ვაება ჩვენთა უმცროსთა ძმათა, დაგვანახვეს შელახვა კაცის ღირსებისა და ზნეობისა, დაგვანახვეს ბატონების უმსგავსობა, უსულ-გულლობა. ყველა ეს კარგი და პატიოსანი! ეხლა აგერ ხალხი განთავისუფლდა, იგი ჰგავს ახლად, გაზაფხულის პირზე, ხვრელიდან ამოსულს ქიას, რომელიც ძლივს დასანსალებს ზამთრის სუსხისაგან ჯან გამოლევული. მაგრამ მას გაზაფხულის თბილი მზე მოასულიერებს, ძალას მისცემს და ბოლოს გამოვა საბრძოლველად არსებობისათვის. ამ ახლად განთავისუფლებულს ხალხსაც ეჭირვება ამ ქამად თვისი მზე, რომელმაც მას სული უნდა ჩაუდგეს, ამოძრავოს მისი სისხლი, მისი მთელი არსება, გამოიყვანოს იგი იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც არის. იგი მიანებეს თავის-თავსა; აჰა, განთავისუფლდი, მოუარე შენს თავსაო; მაგრამ ეს არა კმარა: აი ეხლა უნდა მათ კაი პატრონი, რომ არ დაიქსაქსონ, რომ ეს ნებაზე გაშვებული ხალხი არ გადიჩეხოს კლდეზე, არ ჩაეარდეს რკინის გალიაში, არ მიეცეს უარესს ბატონ-ყმობის ბრკყალებსა. ეხლა საჭიროა ხალხში კარგი მთესველი, დამრიგებელი, მქადაგებელი; საჭი-



როა მას უსათუოდ მიეცეს სწავლა-განათლება, უსათუოდ და-  
 მართოს სკოლები. აქამდის სოფლად მხოლოდ სოფლის გო-  
 გოები სწავლობდნენ ხარის ბეჭზე წერა-კითხვას, სწავლობ-  
 დნენ იმდენად მხოლოდ, რომ მოკითხვის წერილის წერა შესდ-  
 ლებიყოთ. მთელს სოფელში მხოლოდ მღვდელია სწავლული,  
 მხოლოდ მას შეუძლიან ცოტად თუ ბევრად აამოძრაოს თვი-  
 სი ჭკუა-გონება, მხოლოდ მას შეუძლიან წაუძღვეს წინა ერსა  
 და ასწავლოს ჭკუა; მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნ-  
 და გავიდეთ ხალხში მოძღვრებად, დავაარსოთ სკოლები გან-  
 სავითარებლად ხალხის ჭკუა-გონებისა. მაგრამ ჩვენის სწავლით,  
 რომელიც გვაქვს შეძენილი, შეგვიძლიან სანატრელი სარგებ-  
 ლობა მოვუტანოთ ხალხს და ქირის ოფლი შევაშროთ? გან-  
 ვითარება გვექორცება და ამიტომ ვისაც ნიჭი შესწევს, უნდა  
 უმაღლესი სასწავლებელიც დაამთავროს, ამიტომ საჭიროა ამ-  
 ხანაგობამ გამოიღოს წვლილი, აგროვოს ფული და ღარიბს და  
 ნიჭიერს ამხანაგებს შემწეობა მისცეს სწავლის დამთავრებისა-  
 თვის, რომ უფრო მომზადებულნი გამოვიდნენ ცხოვრების ას-  
 პარეზზე“.

„უნდა შევისწავლოთ ჩვენი ხალხის ავ-კარგი; მისი ცუდი  
 მხარე არ დაფთაროთ, ხელი არ დაფაფაროთ, გამოვაშხვევოთ და  
 საქები ვაქოთ. გავაცნოთ თვისი თავი, გავაცნოთ მისი გმირუ-  
 ლი წარსული, გავაცნოთ, რომ ყველა მათგანს ჰყოლია დიდე-  
 ბულნი წინაპარნი, რომელთაც ცალი ხელით მტერი უგერებიათ,  
 მეორე ხელით ჯვარი სჭერიათ და ამ გვარად მამული და სარ-  
 წმუნოება დაუცვავთ; ჩავაწვეთოთ ყურში, რომ არც ერთი გვა-  
 რი არ არის საქართველოში, რომელსაც არ შეეწიროს მამუ-  
 ლისათვის თავისი სიცოცხლე, არ ეწვიმებინოს თვისი სახელი  
 და მითი არ გაეპოხიერებინოს სამშობლო ადგილი.“

„ჩვენი ხალხი მისდევს მარტო ერთს დარკს მეურ-  
 ნეობისას—მიწად მოქმედებას, ხვნა-თესვას; დანარჩენი მიწის  
 მოსავალი მოჰყავს იმდენად, რაც კი ეყოფა მას საჭმელად  
 მთელ წელიწადში და ისიც საკმაოდ არ მოსდის. ამიტომ ხალხ-  
 ში უნდა აღძვრათ სურვილი, რათა მიჰყონ ხელი სხვა-და-სხვა

მიწის მოსავლის მოყვანას; მიჰყვნენ მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას; ჩვენში ძველად ყოველივე ეს ყოფილა; ყოველივე ეს დედაკაცებს უწარმოებიათ, მამაკაცი მხოლოდ ჰხნავდნენ და წლის მოსავალი მოჰყავდათ; მაგრამ უწინ სხვა იყო, ეხლა სხვაა: მაშინ თავისი თავი თვით ახლდათ; მაშინ ხალხს მხოლოდ გარეშე მტერი აწუხებდა, ეხლა კი შინაური მტრები ჰყავს ზედ მოსეული რომელთთანაც ბრძოლა სწავლის იარაღათ უნდა და არა ხმლითა. ყველა ეს თვით ჩვენ უნდა ვუჩვენოთ, უნდა ცხადად, თვალსაჩინოდ დაენახვოთ, რომ ხალხი მოგვეყვეს, მოგებაძოს.“

„მე მრწამს, რომ იმ ხალხს, რომელიც მხოლოდ იღვწოდა მარტო იმიტომ, რომ დაეცვა თავისი წმიდა წმიდათა, რომელსაც დაუცვავს მამული და სარწმუნოება, რომელსაც სხვა ანგარი აზრები არ ახელმძღვანელებდნენ, ხალხი, რომელიც არ ეტოტინებოდა სხვებს დასამორჩილებლად, დასაყმობად, რომელმაც თვის კალთის ქვეშ შეივრდომა ბევრი გაქირვებულნი, რომელიც არ შეჰხებია არავისს სარწმუნოებას, არ შეუწუხებია, არ უწამებია ვისიმე სული და სინიღისი, — ამისთანა ერს ღმერთი არ დაჰკარგავს, მაგრამ გულ-ხელ დაკრფილი ჯდომა კეთილს არ დაგვაყრის; ღმერთიც და კაციც მაშინ მოგვიმართავს ჩვენ ხელს, როცა ჩვენც გავინძრევით, თვალს გავახელთ, ავს ავიცილებთ და კეთილს მაგრა მოვქიდებთ ხელსა. რაც კი რამ კარგი აქვს ხალხს, განვამტკიცოთ მასში, ცუდი ზნე-ჩვეულებანი კი, რომელიც უშლის ხალხს სულიერს ზრდასა, აღმოვფხრათ, ძირიანად ამოვაგდოთ, ამოვმარგლოთ“.

ღლით გაბრუებული წამოდგა შაქრო და თვისი ღამის გატეხა და ნაფიქრევი უამბო ამხანაგებსა, რომელთაც გაიზიარეს ეს ფიქრები და შეღავათი მისცეს მით მისს დაღალულს სულსა.

— მხოლოდ ჩვენ ცხოვრებამ არ უნდა შეგვაშინოს; ცხოვრება ხომ იცით, დედინაცვალია, ბევრს მწარე ღღეს დაგვაყენებს, — დაიწყო შაქრომ ამხანაგებთან.

— ამაზედ მეტს სიმწარეს რას ვნახავთ, რაც სასწავლებელში გამოგვივლია, — ჩაუბრთო იაზონმა.

— მაგას ნუ იტყვი, ჩემო კარგო! მართალია, აქაც ცეცხლ-ნათში გამოვიარეთ, უარარაობაში გავატარეთ დღემდე დრო-ჟამი, მაგრამ ცხოვრება სხვაა. იგი ცხრა თავიანი მდევია, მას-თან ბრძოლა დაგვჭირდება.

— ან ყოფნა კაცურად, ან არა! — ჩამოართვა სიტყვა სო-ლომონმა; — შექსპირიც ჰამლეტის პირით ამას ამბობს: ყოფნა, ან არ ყოფნაო! კაცი გვირგვინია ქმნილებათა; მას რა შეჰფე-რის? — კითხულობს ჰამლეტი. ის რომ მუდამ იტანჯოს, გული მიუშვიროს უბედურებას, შეებრძოლოს ზედ მოსეულის უბე-დურებას, შეაწყიოს იგი, მოსპოს იგიო! მე ამას ვიტყვი, რომ აღამიანი არ უნდა შეუშინდეს მასზედ მოზგავებულს უბედუ-რებასა.

— კაცობრიობის ისტორია სავსეა თავგანწირულების მა-გალითებითა: ხალხის მოყვარული, მისი სიკეთით განმსჭვალული, არ შეუდრკება სიკვდილსა.

— მე მგონი, როცა კაცი თავის მოვალეობას ბრწყინე-ლედ შეასრულებს, როცა იგი ჰგრძნობს, რომ ემსახურება წმინდა აზრებსა და მისთვის კვდება, მაშინ იგი სასტიკს სას-ჯელზე აღარ ფიქრობს, ტანჯვის დროსაც მისი ფიქრია ხალ-ხი, მისი ფიქრია ის წმინდა საქმე, რომელსაც ემსახურებოდა. სოკრატი სვამს საწამლავს გულ შეუკრთობლად, სიამოვნებით და თან ებაძება მას, ვინც საწამლავი მიაწოდა ჭიქითა; თვით ღმერთი, იესო მაცხოვარი, ჯვარს ეცვა და მაშინაც კი ლო-ცავდა თვისთა მტერთაცა, ავედრებდა მამა ღმერთსა: „უფა-ლო, მიუტყვე, რამეთუ არა იციან რასა იქმან“; იოანე გუ-სი ცოცხლივ დაიწვა კოცონზე, მაგრამ წარბიც არ შეუხ-რია; იოანე ოქროპირი, ეს დიდი მოძღვარი, პატიმრობაში მოკლეს; მოციქულები რა რიგად აწამეს. აი ეს მაგალითე-ბი უნდა გვასულდგმულებდნენ ჩვენ ჩვენს მომავალს ცხოვ-რებაში.

— ფიცი მტკიცი მივცეთ ერთმანერთს, რომ ჩვენგან არჩეულს მიზანს არ ვუღალატებთ. ძმური სიტყვა, ძმებო, ძმური!

— ნიკო მართალს აბობს, შევფიცოთ ერთმანერთს, რომ არ ვუღალატებთ ამ ჩვენს ნალაპარაკვეს და განძრახვებს შევასრულებთ.

— ჯერ სწავლა, მომზადება გვაკლია კიდევ!

— რას ამბობ, შიო! რასაკვირველია ჯერ სწავლა უნდა დაეამთაეროთ; უთოფო კაცი ომში რას გამოადგება.

— ყოჩაღ, კოტე, ეგრე უნდა, ეგრე! სწავლის შემდეგ ბრძოლა, არა, ძმებო!— შესძახა შაქრომ.

— ამინ, ამინ! ბრძოლა პატრიონური ხალხის საკეთილდღეოდ, — შესძახეს ყველამ.

### XXXIII

#### „ გ ა ჯ ა ბ ა “

იყო ისეთი დრო, რომ სასწავლებელში სხვა-და-სხვა წიგნების კითხვას არაეინ უშლიდა; ამ მხრივ სრული თავისუფლება სუფევდა; შეგირდებს განსაკუთრებული წიგნთ-საცავი ჰქონდათ, თავის საცოდავი გროშებით შეძენილი; ამ წიგნთ-საცავში მოიპოვებოდა ყველა საუკეთესო წიგნები რუსთა მწერლებისა: ბელინსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და ჟურნალი „Современник“ ის ყველა ნომრები, საიდანაც ცალკე წიგნებად ჰქონდათ შეკრული ჩერნიშევსკის თხზულებანი; აგრეთვე აქვე იყო თხზულებანი ყველა წარჩინებულ სიტყვა-კაზმულ მწერალთა. ამ წიგნთ-საცავში გაჩნდა ქართული წიგნებიც, სხვათა შორის გაზეთი „დროება“, ჟურნალი „მნათობი“ დი „კრებული“.....

სასწავლებელში გაჩნდა ერთი კაცი, რომელსაც მოსწავლეთა სვე-ბედი ხელთ ჩაუვარდა.

იგი იყო უმაღლესის სასწავლებლიდან; მოგეცათ ღვთის წყალობა, კლასში იგი კარგი იყო, ღმობიერი, უებრო გადამცემი გაკვეთილისა, მოწყალე, შეგირდის შემბრალებელი. კლასს გარეშე კი... ღვთის რისხვა, კაცის მკამელი, შეუბრალებელი, დაუნდობელი კლასს გარედ, ეს იყო ზღაპრული ორ-თავიანი მღვივი, რომელსაც ერთ თავს რომ მოსჭრიდნენ ხოლმე, მეორე მიებმებოდა, მეორეს მოსჭრიდნენ პირველი მოებმებოდა. ამასთან იყო ცეტმანა, დამთხვეული; ამ დროს სასწავლებლის ეზოში ხშირად შემოდის ერთი დამთხვეული მთხოვარაოსი, სახელად „გალაბო“, შეგირდებმა აი ეს სახელი დაარქვეს ამ ორთავიან კაცსა.

— გაიგეთ, ბიჭებო, რა ამბავია?—უთხრა ამხანაგებს იაზონმა, რომელიც ქაქანით მოიჭრა ამხანაგებთან.

— რა, რა?—მიამახეს ერთად ყველამ და შემოეხვივნენ გარს იაზონსა.

— ვილასაც გაუშხელია ჩვენი წიგნთ-საცავი გალაბოსთვის და უცბად გვიპირებს დაცემასა და ყუთების გაჩხრეკასა. არიქა, ჩქარა მივმალეთ სადმე.

შეგირდები დაფაცურდნენ; როგორც იყო, ბოხჩებში გამოჰკრეს წიგნები, გაარბევინეს გარედ, მაგრამ ის კი ველარ მოისაზრეს, რომ რაც ხელში საკითხავი წიგნები ჰქონდათ, ისინიც სადმე მიემალათ.

გალაბო საჩქაროდ ამოიჭრა, დაურბინა ყუთებს, მაგრამ ვერას გახდა, მხოლოდ იპოვნა ნიკოს ყუთში დობროლიუბოვის თხზულება.

— აა, თქვენ ძალიან შეგიტოპნით, ყმაწვილებო! ვინ მოგცათ ამ წიგნის კითხვის ნება?

— მაგის კითხვას რა ნება უნდა?—იკითხა შაქრომ.

— თქვენ უნდა იკითხოთ ჯერ გაკვეთილები...

— მარტო გაკვეთილებით, ბატონო, შორს ვერ წავა კაცი; ეს თქვენ უკედ მოგეხსენებათ.

— მოიცა! — შეუტია გაღაბომ და დაუტყაპუნა ფეხები... —  
 შენ შეგირდი ხარ და არა საზოგადო პირი, ცხოვრებაში გამო-  
 სული; როცა შეგირდობას გაათავებ, მაშინ შეგიძლიან მელაპა-  
 რაკო, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეგიძლიან სიტყვა შემომიბ-  
 რუნო, მანამდე კი პირს კლიტე უნდა გედოს და უსიტყვოდ  
 ემორჩილებოდე შენის უფროსის სიტყვებს; შენ უნდა იცოდე,  
 რომ შენი უფროსი შენთვის ცუდს არას დროს არ მოინდო-  
 მებს.

— მა რა არის ეს? ცუდის ნდომა არ არის, მა რა ჰქვიან  
 ამას სახელად, რომ ამისთანა მოწინავე მწერლის თხზულების  
 კითხვას გვიშლით, წიგნი დაატყვევეთ და ჩვენც, ვინ იცის, რა  
 მოგველის? — უბასუხა კვლავ შაქრომ.

— ფრთხილად-მეთქი!.. იმას ვამბობდი... ჯერ გაკვეთილე-  
 ბი და შემდეგ იმისთანა წიგნები, რომელნიც გაკვეთილს დაე-  
 ხმარებიან და სხვა არა რა, გესმით?... რაც აქნამდე იყო, ის  
 აღარ იქნება; აქნობამდე თავაშვებულები ყოფილხართ; დღე-  
 იდან ცოტა შელაგმვა გჭირიათ, თორემ ცხოვრებაშიაც თავ-  
 აშვებულები გახვალთ და მერე ჩვენ დაგვაბრალებენ, ყური არ  
 უგდიათო.

— რა არის მინც, ბატონო, ამის კითხვაში საწინააღმდე-  
 გო; ხომ ვკითხულობთ ჩვენ ტურგენიევს, ლოსტეფსკისა?

— მოსაწონია!

— მაშ, თუ ეს მოსაწონია, რატომ არ უნდა წავიკითხოთ  
 დობროლიუბოვის აზრი მაგ დიდებულს მწერლებზე?

— ჰმ, რატომ არ უნდა წაიკითხოთ? ამაზე პასუხს მე არ  
 გაძლევთ, თვით შენც იცი ეს... მხოლოდ გეფრთხილებთ: დღე-  
 იდან ამგვარი წიგნები აღარ ვნახო თქვენ შორის, თორემ ცუ-  
 დი, თქვენთვის არა სასიამოვნო, შედეგი მოჰყვეს ამას... თქვენ  
 შეგიძლიანთ ამისთანა წიგნები სასწავლებლის გათავების შემდეგ  
 იკითხოთ, როცა სულ თავისუფლები იქნებით...

— სწავლისა და კითხვის გეშო სასწავლებელში უნდა და-  
 ენერგოს კაცსა; საძირკველი აქ უნდა ჩაიყაროს. როცა აქ აღა-

მიანს არ ჩაენერგვის სიყვარული რომელიმე საგნისა, გარედ ველარ იშოვის, აქედან უნდა გაჰყვეს კაცს ყოველიფერი,—მიუგო კელავ შაქრომ.

— გახსოვდეს ეგ სიტყვის შემობრუნება, გახსოვდეს!!

— ჩვენ არ მოვიშლით წიგნების კითხვას; შაქროსთან ერთად ჩვენც ვიქნებით,—მიუგო მთელმა დასმა შეგირდებისამ;— ჩვენ თვით გავუსწორდებით იმათ, ვინც ეგ ამბავი მოგიტანათ: თქვენც მშვიდობით იქნებოდით და ჩვენც არ მოგვესპოვდა სასარგებლო წიგნების კითხვა.

გალაბომ ხელი ჩაიქნია, წიგნი ილღიაში ამოიჩარა და გასწია საჩქაროდ სხვა ყუთების დასათვალიერებლად.

— დღეიდან, როგორც შევიტყე, ძალიან ფართო გზა მიეცემა შვიონობასა და უნდა გაფთხილებულნი ვიყვნეთ, რომ ამ სიკეთის დროს არ დაგვრისხონ,—დაიწყო კოტემ,—გამორისხვის, ნუ გგონიათ, შეშინოდეს; მაგრამ მინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

— მართალია! მაგრამ ასე უნდა ჩავუტაროთ ვილაც ოხერს ჩვენი დაბეზლება? ეს ისეთი სენია, რომ მთელს სასწავლებელს მოედება; ეს დიდი იარაღია სუსტი შეგირდებისათვის, რომელნიც ამის საშუალებით ეძებენ კურსის გათავებას და უფროსთა აღერსსა, და ეძებენ ამხანაგთა დაღუპვითა. არა, უნდა სასტიკად დაისაჯონ იგინი, უნდა!—ჰყვიროდა ოთახში შაქრო.

— თქვენ ცარიელი ყვირილისა და ფილოსოფიის მეტი არა იცით—რა; თუ კაცები ხართ, ან აღმოაჩინეთ შვიონსა, ან ისეთს რამეს გამოიგონებთ, რომ დანარჩენნი შეშინდნენ,—დაუძახა თავის ყუთიდან კოკნიმამ,—რომელიც ახალ დასსში ჩაეწერა და სიამოვნებით უსმენდა ხოლმე ქართულის წიგნების კითხვასა და მუდამ ესწრებოდა შაქროსა და მისი დასის სჯაბაასში.

— არიქა, კოკნიმ, გვიშველე!

— მე ეჭვიცა მაქვს ერთს სულიერზე, რომელიც მუდამ საღამოთი ჩაძვრება ხოლმე მელასავით გალობასთანა....



— საიდან იცი?

— თქვენ, ჩემო ძმებო, ცოტა მოიდილისტობთ; ყურს არ უგდებთ ჩვენის სასწავლებლის ცხოვრებასა და მომავალის ცხოვრების კვლევა-ძიებაში ხართ; მე კი ამ ჩემის ყუთიდან ყველას შევცქერვი და ვწონავ, ვინ როგორია, ვინ რას აკეთებს, სალამოთი შევფოფხდები ხოლმე ჩემი ყუთიდან ფანჯარაში და აქედან ვათვალიერებ, ვინ სად დაძვრება, ვინ ვის ელაპარაკება.

— ძალიან ობსერვატორია გაუმართავს კოკნიმას თავის ფანჯარაში.

— მაშ როგორ გგონიათ; მას შემდეგ, რაკი მე პირი თქვენსკენ ვქენი და ლაზღანდური წრიდან გამოველ, ასტრონომიას მივყავ ხელი; როგორც კარგი ვარსკვლავთ მრიცხველი ცას, ისე მე ვადვენებ თვალს აქაურობას...

— მაინც სახეში გყავს ვინმე?

— მყავს და არც მოვტყუვდები.

— ვინ არის?

— აქეთ მოდით და გეტყვით.

ამხანაგებმა კოკნიმას წრე გაუკეთეს, ზოგი ყუთზე შეცუტკდა; კოკნიმამ ხმა-დაბლა დაუწყაო ლაპარაკი და დაუსახელა შპიონები.

— თოფოლ-ოდლი? აი ჩენი ბლუ სემონა?

— თვალე-ჭყეტიაცა? ამათგან კი არ მოველოდით.

— ის კი არამზადაა, ის... რა ჰქვიან?

— კალენიკე? დიდი გაიძვერაა, დიდი; ეგ ყველა შპიონების უსტაბაშია,—უთხრა კოკნიმამ.

— არა, თავ-ჩალუნული რომ დადის მათელი დღე, თითქო ჭიის გასრესა არ უნდაო.

— მე ერთს ხრიკს მოვიგონებ, ისეთს ხრიკსა, რომ ყველა შპიონებს ხელში მოგცემთ და შემდეგ თავი მოვარიდოთ.

— აბა ჰო, კოკნიმ.

— მაგ კალენიკეს სასწავლებლის წიგნთ-საცავისკენ, ჩრდილში, უყვარს ძილი, მიიდგამს ხოლმე სკამეიკას ბალკონის სუ-



რაიებთან, გაჰყოფს ცხვირს სურაიებში და განცხრომას მიეცემა ხოლმე; როცა ძილს მიეცემა, მაშინ ის სურაიებზე და სკამზე თოკით მივაბათ.

— როგორ იქნება, კაცო! ეგ ხომ მტარვალობაა, — უთხრა კოტემ.

— არა, ძმაო, თქვენ მაგ იდეალისტობით შორს ვერ წახვალთ... შეპრო რომ ქადაგობს, უნდა ვიბრძოლოთო, ვის უნდა ვიბრძოლოთ? აი ჩემი პასუხი: სასწავლებელში შვიონებს, გაიძვერებს, ამხანაგის მოღალატეებს, ორგულებს; ცხოვრებაში კი ხალხის მოღალატეებს.

— მართლა ამბობს ჩვენი ბრძენი კოკნიმა.

— ტყუილად კი არ გამობმია საბძელის ტოლა თავი, ცარიელი ჭკუაა.

— დაიცა, ვანო, ხუმრობაზედ ნუ გადახვალ.

— მერე, მერე!

— მივჯაჭვოთ იმ სურაიებზე სკამეიკით, როგორც ამირანია მიჯაჭული იაღბუზის მთის გულში: გამოიღვიძებს და, უეჭველია, შექმნის ღრიალსა. არავინ ჩვენგანმა არ მიჰხედოს, იმას თვით გაუჩნდებიან ქომაგნი, ნუ გენაღვლებათ. გაღაბომაც თუ მხურვალე მონაწილეობა მიიღო კალენიკეს მდგომარეობაში, თავი გამოიღო და დაუწყო ძებნა დამნაშავეებს, მაშინ დარწმუნდებით, რომ იგი ყოფილა შვიონი, ჩვენი გამცემი.

— გაღაბო ყველას ეგრე მოექცევა; შენც რომ მიგაკრა თოკით, შენთვისაც ეგრე გამოიღებს თავსა, — უთხრა სოლომონმა.

— შენც არ მომიკვდე, რომ შენთვის და ჩემთვის, მერე ემ შეპროსთვის, თავის დღეში თავს არ გამოიღებს. ერთს დღეს რომ დაეწყდეთ, ერთს დღეს, ჩვენის გულისთვის იგი წარბსაც არ შეიხრის, — უთხრა კოკნიმამ.

— ახლა მიკვრაა საქმე თოკითა.

— მაგისი მე და ვანომ ვიცით, თავგამოდებით წარმოხტევა თხუნელამ. ისეთ ღროს ვიხელოებ, რომ ადამიანის ჭკვა-

ნება არ იყოს ბალკონზე; ვედრას შეევხსნი თოკს, მოვიმზადებ და მალე, დღესვე, გაყურებინებთ სეირსა.

— მაშ იწყება ბრძოლა რაღა, იწყება! — წარმოსთქვა შაქრომ.

— იწყება, სწორედ იწყება! — უთხრა იაზონმა.

— ყოფნა, ან არ ყოფნა, — დაურთო სოლომონმა.

— თუ ეხლა თავისი გავაყვინეთ გალაბოს და მის შვიონებს, ზედ შეგვსდებიან და შემდეგს თაობას ხომ სულ მიწასთან გააქრობენ, გულს ამოგლეჯენ და უსულო და უგულო კაცი რა გასატარებელია ხალხში; მე ვიქნები თქვენი ქირის სანაცვლო, ყველა ხომ ვერ გამოვა ასპარეზზე, მე მაკალეთ, — წარმოსთქვა შაქრომ და გულში ხელი ჩაიბრავუნა.

მზემ გაღიხარა; ბალკონებზე სიციხის გამო არავინ სჩანდა; სიომ ცოტად შეაგრილა ჰაერი; აქა-იქ სკამიკებზე, ჩრდილში, შეგირდებს შუა დღის ძილი სძინავთ; ოთახებშიც ყუთებზე თავით წიგნები დაუდვიათ მუთაქად და წამოგორებულან საძილედ; კოკნიმა შეფაფხულა ფანჯარაში, თავი მინისთვის მიუღვია და გაჰყურებს ბალკონებსა.

თხუნელამ და ვანომ იდროვეს; კალენიკეს ღრმად სძინავს, პირი დაუღრენია და ბუზები დასეირნობენ მის ტუჩებსა და კბილებზე; ფთხილად გადაავლეს თოკი გულმკერდზე არტახივით, ამოავლეს სკამიკას და სურაიაზე გამოაბეს.

#### XXIV

— შე გლახა, შენ! როგორ დავემართა, რომ ვერ გაიგე; რა ისეთი ძილ-ქუში დავაწვა, რომ თოკით მიგაქრეს, თოკითა, შე უბედურო, სურაიებზე და შენ კი ვერ შეიტყე, — აყვედრიდა იმ საღამოზნდვე გალაბო თავის კალენიკესა, — სწორედ მითხარ, ვინ აგხსნა თოკიდან, ვინ მოგეხმარა; ვერავის შეჰნიშნე სიამოვნება მითი, რომ შენ მიკრული იყავი, ერთი მითხარი რამე, რას ჩაგიქინდრია თავი ქირიანი ინდოურივითა?

კალენიკე იდგა გაშეშებული, თვალი გაღაბოს კაბინეტის იატაკისათვის მიეპყრო, გული დარდისაგან გასივებული ჰქონდა და მკერდში ველარ ეტეეოდა; გასივებოდა იგი იმიტომ, რომ არ იცოდა დაბეჯითებით ბრაზი ვისზე გაეხეთქნა, ვისზე ეყარა გულის ბუხარი.

— მაინც ვისზე გაქვს ექვი, რად გემტერებიან შენა? — არ ეშვებოდა გაღაბო, — სულში უძვრებოდა და ჰსურდა კალენიკეს გულის ნადები შეეტყო, ჰსურდა დაეფქვევინებინა რამე შეგირდებზე და გაეგო ახალი ამბები შეგირდების ცხოვრებიდან.

— იმაზე მემტერებიან, რომ თქვენთან დაახლოვებული ვარ.

— მაგაზე? მართლა?!

— დიად, მაგაზე! სულ შვიონს მეძახიან.

— ჰე! ჰე! — და გაღაბომ მუშტში ჩაახველა, — თმაში თითები გაიტარა, გაიწეწა, მიიფხან-მოიფხანა, მერე აღელვებით დაუწყო მაგიდაზე თითებს რაკუნის და ააყოლა იგინი თითქო ფორტოპიანზე უკრავსო.

კალენიკემ შეატყო, რომ გაღაბოზე, ცოტა არ იყოს, იმოქმედა მისმა სიტყვებმა, დაჰბადა მის გულში შურის ძიება იმ შეგირდებისადმი, რომელთაც მას, კალენიკეს, შვიონად უწოდეს, და უფრო შეუკეთა გაღაბოსა, ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი კიდევ შეუმატა.

— ეგ რა, ბატონო! ისეთი საქმე დამმართეს იმ დღესა...

— რა, რა? — მიატანა ხმის კანკალით გაღაბომ, — ნერვებ მოშლილი კაცივით.

— სათქმელადაც კი ძნელია!

— მაინც!

— მე, ბატონო, ხომ გამოსავალ კარებთან ვწევარ...

— რად წევხარ, მერე?

— თქვენის ბრძანებით, ბატონო!...

— როგორ თუ ჩემის ბრძანებითა?

— ისე, ბატონო, რომა თქვენ მიბრძანეთ აქ დაწექიო, ყური უგდე, გვიან შემსვლელს საძილე ოთახშიო, უდრო-უდროვოდ კარში მოწანწალებს და შემატყობინე ხოლმეო.

— ჰო, კარგი, კარგი! მერე?

— მერე, ბატონო, იმ დღეს იმ საძაგელმა ვანომ როკა-ვაშვილმა მძინარეს ზედ სახეზე... კალენიკე შესდგა.

— სთქვი, შე ჩერჩეტო! მე კი მოთმინება დამილიე და!

— უკაცრაული სიტყვა გახლავს და ვერ მიკადრებია თქვენთვის მისი თქმა.

— რა გაეწყობა, სთქვი.

— იმ შეჩვენებულმა ზედ სახეზე გადმომამფურთხა; მე ზეზე წამოვვარდი რეტიანივით, ბრაზი თავში მეცა. ბოდიშის მაგივრად, იცით, რა მიყო?... იმან უფრო მამიკლა გული, ოცჯელ რომ გადმოეფურთხებინათ, ის მერჩიენა... რომ წამოვვარდი, იმან იყვირა: არიქა, კალენიკე გაგიჟდაო, გაგიჟდაო?... მთელი შეგირდები თავს დამესხნენ და მშვიდება დამიწყეს...

— განგებ, რასაკვირველია! — გააწყვეტინა გალაბომ და კვლავ თითებით აარაკუნა მაგიდაზე.

— რასაკვირველია, განგებ! იგი, უეჭველია, დარიგებული იქნებოდა სხვებისაგან.

— კარგია, მაგას თავი დავანებოთ... შენ ერთი რამე უნდა მოვანდო... ხომ გყავს ისეთი ამხანაგები, რომ მხარი დაგიჭირონ; თუ არა გყავს, იშოვნე, დაჰპირდი ჩემს წყალობასა...

— როგორ არა, ბლომად გახლავან მაგისტანები.

— მაშ კარგი... აი ჩემი მონდობილობა: გუშინ რომ პირში შემება შაქრო გეგელაშვილი, იმას თვალი აღეენე, შეატყო რამე თუ არა, მაშინვე მაცოდინე; ეგ მავნე კაცია; იმაზე ნაკლებები, ვატყობ, სხვებიც არ არიან; მე იმ დღეს რომ ველაპარაკებოდი, სხვები იმაზე უარესად აილენენ და აიმრიზნენ, ისინი ყველა ერთი ჯურის ხალხია; მე ცოტა თუ არ შემამოკლე ისინი, სასწავლებელს გარყენიან, შეგირდებს გადარევენ.



— ეეე, ბატონო! რას შვრებიან ისინი, რომ იცოდეთ, ყურებში თითხ დაიცობს ადამიანი.

გალაბოს თვისი დაბადება არ გახარებია ისე, როგორც ის, რომ კალენიკე მოჰყვა როშვასა; გალაბოს სახე შეეცვალა, გაუბრწყინდა, ნერვოზულ მდგომარეობიდან გამოვიდა, ზარი გააწყრილა და მის ხმაზე შემოსულს მსახურს უბრძანა:

— პავლუშა, ლენოა შემომიტანე... კალენიკე, ჩამოგექსკამზე, ცოტა შეკვამოთ რამე... მაინც აბა რას მიაშობ.

— ამ ღამე ქართულს წიგნებს კითხულობენ და აქვთ ერთი ლაპარაკი, რაღაც პლანებს აწყობენ; მე იმასაც მოვკარყური, რომ ხელთნაწერი ჟურნალიც უნდა გამოდიოდეს ამ სასწავლებელში და შეგირდებში დადიოდეს; ღამე გარედ იპარებიან; გარეშე შეგირდებთანაც აქვთ კავშირი, იმათ გაზღვევენ ღამით და ხანდისხან აღარც კი ბრუნდებიან; იმათ მაგივრად კი მუთაქებს შეახვევენ ხოლმე ლოგინებში.

— ჰმ, ჰმ!.. ეს კაი ამბები ყოფილა!. უფროსებს დიდი დანაშაული მიუძღვით, დიდი, რომ ასე გაუთამამებიათ შეგირდები...

— დიად, იმას მოგახსენებდი, როჰა ღამე ხანდახან გარდაც რჩებიან... ამას გარდა საიდუმლო წიგნთსაცავიც აქვთ და საცა აკრძალული წიგნია, სულ აქ აქვთ თავმოყრილი.

— აი, რას იზამ შენ—და მერე მე ვიცი: როგორმე მოიგდე ხელში რომელიმე ქართული წიგნი, თუნდ რუსული, მხოლოდ იმ საიდუმლო წიგნთ-საცავიდანა, ან იქნება გაზეთს დაატანო სადმე ხელი; ერთის სიტყვით, უნდა გაძვრე-გამოძვრე, ჩემო კალენიკე, ღობე-მძვრალა ჩიტვით და ეს საქმე შემისრულო... ჰა, რას ჩაფიქრდი?

— ხერხს ვიგონებ, ხერხს!

— აბა სიჩქარით შეუდექ საქმესა, იერიში მიიტანე, რომ მტერი ხელიდან არ წაგივიდეს.

„ჰმ!! ძალიან საქმე მოვახდენ; აღმოვაჩენ ისეთს რამეს, რომ ქვეყანა გაჰკვირდეს; მე დიდი ბედნიერება მომეღის; ხუმრობაა,

ზღმოვანიო სახელმწიფო სახელმწიფოში?... ჰმ!... მწლ-მწლ!... ჩიწლაპუნა გალაბომ ღვინიანი პირი და თითები ჩამოიტკაცუნა.

„რა სიკეთე მომელის და!—ფიქრობდა კალენიკე, გალაბოდან გამოსული, გაეკეთდი კაცი! კურსს კარგა გამათაეებინებს, კაი ადგილს ვიშოვნი და შევუდგები ჩემს კორტოხსა. მაინც ძალიან წაიჭამეს თავები იმ ვაებატონებმა: ამ დღე სულ მავას გაიძახიან, ხალხს ქირის-ოფლი უნდა მოეწმინდოთო, ი თვალდამდგრები, მა რილათი უნდა იცხოვრონ, თუ ხალხს არ ჩააჯდებიან კისერში... დამაცადონ, იაფად არ დავესვამ ჩემს თოკით გადაკვრას და გადაფურთხებასა!... ტყუილს და მართალს ერთნაირად გავიყვან გალაბოსთან და ასეთს დღეს დავმართავ მავათ, რომ ხორცს კბილით იგლეჯდნენ“.

ორივე ასე სასიამოვნო ფიქრებს მიეცნენ და იმ ღამეს ტკბილად დაიძინეს.

### XXXV

არც მეორე მხარეს ეძინა: კოკნიმა თავისის ობსერვატორიდან გადასცქეროდა გალაბოს ფანჯრებს, საიდანაც სანთლის შუქზე გალაბოს ოთახში აშკარად ხედავდა კალენიკესა.

— ბიჭებო, ახლა კი გაფრთხილდით! ის შეჩვენებული იქ არის და ხომ იცით, კარგს არავისზე იტყვის... ვისაც რამე გაქვთ, მიმალ-მომალეთ, — დაიწყო კოკნიმამ.

— მიმალ-მომალევა, რასაკვირველია, ურიგო არ იქნება, მაგრამ რაკი ჯიბრში ჩავვიდვა, ეს ხერხიც ვერას გვიშველის, — დაიწყო შაქრომ. — ის ჯოხს, მე ვატყობ, ჩემზე გასტეხს, მაგრამ ფიქრი არ არის, ბეჭები მაგარი მაქვს; დეე, მე გავხვდე ყველას ქირის სანაცვლო — მე ეს გადავწყვიტე, გულიდან ამოვიღე...

დიდ ხანს აღარ გამოუვლია; კალენიკემ სადღაც იხელთა სხვა შვიონების შემწეობით გაზეთი „ღროება“. შემფოთებუ-

ლია სასწავლებელი; ეგზამენები გათავებულია; დღე-დღეზე ელიან გამოცხადებას კურსის გათავებაზე; გაზეთის პოვნამ ალიაქოთი ჩაადლო, მიხლა-მოხლაა, შვიონები დაძვრებიან. ბრალიანზე და უბრალოზე მიაბრენინებენ ენას გალაბოსთან. გამოცხადდა. დიდ ოთახში შეიყარნენ შეგირდები. ოთახი აივსო, გული უფანცქალებთ შეგირდებს; არც მიხეზნი ამ ალიაქოთისა არიან დაწყენარებითა; შემობრძანდა გალაბო.

— ეს რა არის?—აიშვირა გალაბომ გაზეთი შეგირდების დასანახებლად.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა; კრინტს არაფინ სძრავს, მხოლოდ აქა-იქ ისმის ფშვინვა და ხრუტუნის ზოგიერთებისა.

— ვინ შემოიტანა ეს გაზეთი აქა?

— მე,—მიუგო მტკიცედ შაქრომ.

— შენ?...—ჩაეკითხა ცბიერად შაქროსა.—შენ ვინ მოგცა, არ შეიძლება შევიტყოთ?

— მე მომცა მემ და სხვამ არაფინ.

— როგორ?

— მე ვიშოვნე; რად გნებავთ სხვაც გააბათ, მსხვერპლად მეც ვკმარვარ.

— სირცხვილია ტყუილის ლაპარაკი, ცოდვაა, არ შეგფერის, სწორე სძქვი.

— ტყუილი მაშინ არის ცოდვა, როცა იმ ტყუილით ვნება ვისმე მიეცემა; თუ ჩემი სიტყვა ტყუილია, მაენე ტყუილი არაა; მართალია, ფილოსოფიურის შეხედულობით თავისთავად ტყუილია, თვით ბუნება ტყუილისა დასაგმობია; თუნდ მაენეც არ იყოს, არ უნდა ითქვას, მაგრამ მე ამ განყენებულს მოსაზრებას ტყუილზე არ თანავუგრძნობ, არ ვეთანხმები.

— ფილოსოფიის დრო არ არის, მეუბნები თუ არა, ვინ მოგცა, სად იშოვე ეს გაზეთი, რად შემოიტანე სასწავლებელში.

— აკი მოგახსენეთ: მე მომცა ეგ მემ, ჩემმა თავმა; იგი ვიშოვე იარმუკაზე და შეწოვიტანე საკითხავად.



ამ მტკიცე პასუხმა გალაბო მთლად ჭკუიდან შეშალა.

— არ იცი, ამისათვის, შე თავხედო, რა მოგელის?

— მართალია ჯერ ისევ სასწავლებელში ვარ, მაგრამ კაცი ვარ, გთხოვთ თავაზიანობას... კარგად ვიცი, რაც მომელის.

— არ იცი, რომ აღკრძალულის წიგნების კითხვა არ შეიძლება?... იმ დღეს რუსული წიგნი გიპოვეთ, ახლა გაზე-  
თი...

— ვიცი, რომ აღკრძალულია, მაგრამ კითხვა კი შეიძლება.

— შეგიძლიანთ ცხოვრებაში გასვლისას იკითხოთ... ეს მოსაწონი არ არის, რყენის შეგირჯობას.

— ნება მიბოძეთ თქვენი ნათქვამი შეევსწოროთ—ავი-  
თარებს შევირდებს.

— გაჩუმდი-მეთქი!— შეუტია გალაბომ და ბრაზის წინწ-  
კლები სახეზე მისახურა შექროსა.— შენი საქმე გათავებულა,  
იცოდე, წარდგენილი იქმნები ამალამვე დათხოვნაზე.

— ეინ?— შეჰკვივლეს შექროს მეგობრებმა.

— ვინ და ეს თქვენი ბელადი.

— არ მოხდება ეგა, არა? ჩვენც ყველანი თან გაგვაყო-  
ლეთ.

— აი, თქვენი ქადაგების ნაყოფი,— მოუბრუნდა გალაბო  
შექროს ამ სიტყვებითა...— ჰხედავ, როგორ წინააღმდეგობას  
მიცხადებენ. რაც მოხდეს, თქვენ თქვენს თავს დააბრალებთ,  
— უთხრა თითის ქნევით გალაბომ,— საჩქაროდ გაეიდა ოთა-  
ხიდან, რომლის კარი გაიჯახუნა, რაც ამტკიცებდა იმის აღელ-  
ვებასა.

შეგირდებში ერთს წამს სიჩუმე ჩამოეარდა.

— უნდა საქმეს ვუშველოთ რამე: თხოვნა მიეართვათ ამა-  
ლამ უფროსსა, რომ საქმე გამოიძიონ, ან ეგ იყოს, ან ჩვენ  
ყველანი, ყველას ხომ ვერ დაგვრისხვენ,— სთქვა სოლომონმა  
და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა ქალაღდს ასოარსლებდა.

— მართალია, ყველას ვერ გამოგვრისხვენ, მაგრამ ერთ-  
ორს კი ანაცვალდებენ ამ უბრალო საქმესა; იმათ კი, ვინც ეს



საქმე ჩაიდინა, ყველას თავს წამოსმენ და დღეის შემდეგ ენებს დაგვაძრობენ; ამიტომ მთავრობას უნდა გავაგებინოთ ყოველი ფერი, თავი ჩვენი დაეიცვათ, — დაუმატა იაზონმა.

— არც ერთი არ გამოდგება, — მიუგო პასუხად შაქრომ, — აქ სხვებსაც გააბმენ და ჩვენს პატარა ჯგუფს დაჭვანტვენ, სულის ძალას მოუკლავენ; ბევრი ჩვენგანი, — ვიტყვი გულახდით, — ვერ აიტანს და შეიძლება ძალას დამორჩილდეს...

— ეგ აგრე არ იქნება, — იყვირეს მეგობრებმა.

— იქნება-მეთქი, მოსალოდნელია. დამაცათ: ვთქვით, რომ „ან ყოფნა და ან არ ყოფნა“; უნდა გავუმკლავდეთ უსამართლობას, დაე თუ ჩვენ ვერ ვძლევთ, მან გვძლიოს; უმართლობის ძლიერა — ძლიერა არ არის, ძლიერი მაინც სამართლიანი გამოდის იმიტომ, რომ იმას აზრი უფრო უმტკიცდება, ზიზღი უსამართლობისადმი ერთი-ორად მატულობს მასში, იზრდება და ისეთს დროს გასკდება ბრაზად უსამართლობაზე, რომ ძირიანად ამოაგდებს... დაე, ძმებო, მე ვიყო თქვენი ჭირის სანაცვლოდ. რა მერე, რომ მე აქედან პატენტს ვერ მივიღებ; სოფელი განიერია, ის გახდება ჩემს მამად, ჩემს პატრონად, მე მას ვემსახურები, მას გაეიხდი შეილად, ძმად, მეც მათ ვეშვილები, ვეძმობი. მე თქვენზე უზრუნველყოფილი ვარ: სახლი მაქვს, კარი მაქვს, შიმშილით არ მოვკვდები, იმდენიც მექნება, რომ თქვენ შეგეწიოთ პირობისამებრ. ხალხი თვის მოკეთეს არ დაჰკარგავს; ხალხი თვისს მოკეთებებს არ დაჰკარგავს; ხალხს უყვარდა ყოველთვის ივინი, თავს ანაცვალებდა მას, ეს მე კარგად მახსოვს ჩემი პატარაობიდან; ჩემს მამა-პაპას კეთილი სახელი აქვს დარჩენილი ჩვენს ხეობაში; იქ კიდევ ახსოვთ სოფლისათვის თავდადებულნი; სერის საქოლავი ჰმოწიობს მასა; „მგელ-ბაბია“ და „კომეჭა“, რომელზედაც არა ერთხელ მიამბნია თქვენთვის, უტყუარა საბუთია ჩემის სიტყვების დასამტკიცებლად. მე თუმცა აქაური „პატენტი“ არ მექნება, მაგრამ უსწავლელად არ დაერჩები, გადავვარდები სადმე ერთი ორის წლით, რომ მეცნიერებას გავეცნო; მე თქვენთან არც სულაერს და

არც ნიეთიერს კავშირს არ მოვსპობ; იქნება ეს შარი, ხეირად დამიჯდეს.

— მართალი კაცი ხალხში არ დაიკარგება, მაგრამ ჩვენი ხალხი როგორღაც ეჭვის თვლით უცქერის ჩვენისთანებსა, გულს არ უხსნის, შიგ არავის ახედებს, — სთქვეს ამხანაგებმა; ამ მხრივ საშიშია, ვაი თუ ვერ მივეუდგეთ ხალხსა, მან არ შეგვიწყნაროს და ჩვენი აზრები ჩაიშალოს.

— მაგას ნიჭი და მოხერხება სჭირია; ხალხს შესწავლა უნდა, გაცნობა მისის სულისა და გულისა, იქ უნდა მოახვედრო ნესტარი, სადაც წყლულია განსაკურნავი; ხალხი, მერე ჩვენი ხალხი, დიდი ქკუიანია, ერთს ლანდზე მიგიხვდება, თუ რა გწადიან მისთვის, რა სურვილებით ხარ აღჭურვილი; გულწრფელობას რაკი შევატყობს, თავს განაცვალებს. ჩვენ სოფლის შვილები ვართ, მე თვით კარგად ვიცნობ სოფელსა; მე ვგრძნობ, რომ იგი მე შემითვისებს და მე მას შევეთვისები.

შეგირდებში სიჩუმე ჩამოვარდა; ზოგი დაღონებული დადიოდა; იაზონი სიბრაზით უღვავს იგრებდა და ღრმა ფიქრებში გაერთო; სოლომონ ფილოსოფოსს შარვლის ჯიბე ამოებრუნებინა, სრესდა, ასორსოლაებდა და ერთს ალაგს მიეჩერებინა თვალები; კოკნიმა შეფოფხალიყო თავის ფანჯარაში, თვალებს აბრიალებდა, კრიჭა მოეჭირა და ლოყის თავები უთა მაშებდა. ყველას ბრაზი ეტყობოდა სახეზე; ყველა ჰგრძნობდა, რომ გალაბოსაგან კეთილი არა გამოვიდოდა—რა.

—

ზაფხულის დილაა, მოსწავლენი მოცლით არიან, დღეს თუ ხვალ სახლებში აპირობენ წასვლას; ყველა მზადებას შესდგომია; ბოხჩებს ჰკვრენ, აბგებში წიგნებს ალაგებენ. მხოლოდ ერთი ჯგუფი შეგირდებისა ერთგან არის თავმოყრილი, ყველა მათგანი გაჩუმებულია; მხოლოდ აკლია მათ შაქრო, არსად არა სჩანს; ლოდინმა გული გაუღია ყველას; მოუთმენლად დადიან წინ და ჟკან; ზოგს ფანჯარაზე მიუდვია ცხვირი და რაღაცას ელის.

## XXIV

. . .

## XXV

. . .

## XXVI

## ს ო ფ ე ლ შ ი

სულ სხვა სანახავს წარმოადგენდა ამ ჟამად ის დიდი ცაცხვი, რომელიც ედიშერ გეგელაშვილის არე მარეს ჩრდილაფდა: იგი დღესაც ამაყად გადასცქერის სოფ. სერის გორაკიდან დაბლა მშენიერს ფრონის ხეობას, რომლის შუა მოაკლაკნება ანკარა მთიური მდინარე ფრონე; მხოლოდ დღეს კი თოფიარალის ნაცვლად მის ბერ ტოტებზე ჰკიდია სათამაშოდ საქანელები, ერთგან ბადეც არის ჩამოკიდებული, მომართული ჩასაწოლად და საძილედ. ცაცხვის ქვეშ მოკრიალებულია ისე სუფთად, რომ აღამიანის ფეხს არა აეკვრის რა; ქვეშ დგას დიდი და გძელი მაგიდა, ზედ აწყვია ათას გვარი ქურნალ-გაზეთები, სხვა-და-სხვა წიგნები; საზოგადოდ ისეა მოწყობილი ცაცხვის ძირი, რომ დიდს დარბაზს წარმოადგენს, ის ადგილები, საიდანაც ქარი დაჰკრავს, ჩამოფარებულია ტილო ფარდებითა. მაგიდას შემოსხდომიან რამდენიმე ახალგაზდა, ესე თხუთმეტ-თექვსმეტის წლის. სოფლის გოგოები, ახალგაზდა ბიჭები, წიგნებს კითხულობენ, გაზეთებს სინჯავენ; ყველგან სიწყნარე

სუფევს; ერთი მოვა, მეორე წავა, აუჩქარებლად, დინჯად, ერთი-მეორეს არ უშლის; ცაცხვს ქვეშ მალ-მალ შემოდის ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც დიდი ჟურნალი უჭირავს ხელში საჭრელი დანით, თან სჭრის მას, თან კითხულობს; მხოლოდ ამ ქალთან თუ მიიქცევიან რისამე საკითხავად მაგიდას გარს შემომსხდარნი, თორემ სხვა დროს კითხვაში არიან გართულნი.

იქვე ახლოს დაბლა მოკეცილი ზის მოხუცებული მარიამი, თვალეზზე უცნაური დიდი სათვალეები დაუწყვია და უკან კეფაში სხვილი შავი ზორნით გაუბამს; წინ უდგია პატარა და პრტყელი ხის სკამი, რომელსაც ფეხის სკამს ეძახიან, და ზედ უწყვია ლაზლის გორვალი, წინდის მარქაფა ჩხირები, დიდი საბნის ნემსი, მახათი, გვერდით შალის ორი ჩოხა, შალისავე შარვლები, ცხავი, ცხრილი; ხელზე უხვევია ლაზლი და გაჩქარებული ჰქსოვს წინდას; ხანდისხან ჩაუვარდება წინდის თვალი, თუმცა აცეცებს სათვალეებიანს თვალებს, მაგრამ ველარ პოულაობს ჩავარდნილს თვალს, ამ შემთხვევის დროს იწვევს იმ ახალგაზდა ქალს თვალის ამოსაღებად, ისიც სიამოვნებით ამოუღებს ხოლმე ჩხირით ჩავარდნილს თვალსა.

— შვილო, ქეთევან, ერთი პეტრეს დაუძახე, ე ცხავი და ცხრილი გამაცალოს, ისე კარგა შემოვხკერე ორთავეს მეში, რომ ერთ წელიწადს კიდევ გვემსახურებიან კალოზე, ბიჭებს ჩოხებიც დავუკერე და შარვლებიცა; თვალთ აღარ მერჩის, თორემ გული კიდევ კარგადა მაქვს. მაინც ამ ზაფხულს რამდენიმე საჩოხეს მაინც ჩამოვართავ ჩემს ჯარაზე, ჯერ ეს წინდები დავქსოვო... შვილო, შვილო, დიდედა გენაცვალოს, ერთი წამიკითხე რამე ამ დაღალულს გულზედა, მიაშება, — მიეაღერსა დიდედა თავის შვილის შეილსა.

— რა წაკითხო, დიდედი!

— განა არ იცი, რაც მე მიყვარს: „დიმიტრი თავდადებული“, „თორნიკე ერისთავი“.

— ნეტავი შენცა დიდედი! არ მოგწყინდა მაგათი კითხვა?

— კარგი რამე, შვილო, როდის მოსწყინდება ადამიანსა. ეხლა განა შენი ცქერა მომწყინდება მე, შენს დიდედასა, გენაცვალოს იგი და მტლედ დაგედოს შენა

— დათიკო, რად ურჩობ, გიბძანებს, წაიკითხე, — გადმოვლაპარაკა ახალგაზდა ქალი.

— ეხლავე, დედა, ეხლავე, — უბასუხა დათიკომ და მარდად დატრიალდა წიგნების მოსანახად.

ამ დროს წმიდა ელიის ეკლესიის ეზოდან ხალხის ქრიამული შემოისმა, აღტაცების კიენი, მოწონების ხმა.

— ეს რა ხმა არის, შვილო, წირვა არ გამოსულა ჯერა.

— როდის წირვა გამოვიდა, აღარც კი მახსოვს... ეს წირვის შემდეგ სკოლაში კითხულობდნენ „გლახის ნაამბობსა“, გაუთავებიათ და ახლა ხალხი ხმაურობს.

ელიშერის ცაცხვი, როგორც ჰხედავს მკითხველი, საზაფხულოდ იყო მომართული, რომ მის ქვეშ სოფელს ეკითხა წიგნები და გაზეთები, იქვე ეკლესიის ეზოში სკოლა იყო გამართული და სკოლასთან წიგნთ-საცავი.

— ნათლი-დედ, შენი ჯანის ჭირიმე, მიშველეთ რამე; ი ჩემი. კაცი რო ისე უცბად აეად გამიხდა დღესა; სად არის ბატონი, იმას შემოვგველე თავსა, ერთი მიშველოს რამე.

— შეილო, ქეთევან, შაქრო სად არის?

ამ კითხვაზე შაქროც გამოჩნდა, ხელში წიგნი ეჭირა და გვერდით სოფლის ხალხი მოსდევდა, ებაასებოდნენ, შესცინოდნენ და ზოგი გაოცებით ელაპარაკებოდა.

— რა მღვდელი ყოფილა ი დალოცვილი და!

— ამ დღეებში სწორედ იმისთანა მღვდელი მოგივათ და მე ჩემს ხელობას სწორედ იმას გადავულოკავ.

— ნუ, ნუ, შენი კვნესამე! შენ თავს ნუ დაგვანებებ, თორემ დაეიღუბებია, აი თოკები მოგვაბი ყელეებზე და დაგვანჩე შენის ხელითა.

— მე ეხლა ერთი ვარ და ის მღვდელი რომ მოვა, ჩემი ამხანაგი, ჩემი ძმა კოტე, მაშინ ორნი ეიქმნებით, უფრო ბევრს

წაგიკითხავთ, უფრო ბევრს გემსახურებით... ოო, ნათლია თინას გაუმარჯოს; რას მობუძღულობარ, ნათლი, რა დაგმართ-  
ნია?

— რაღა რა, გენაცვალე! გაგვიჭირდება თუ არა, მაშინ-  
ვე შენსკენ გამოვრბივართ... ჩვენი მისამართი შენა ხარ... ჩქა-  
რა შექრო მომგვარეო, შემომბლავლა ჩემმა კაცმა.

— ნუ გამიბი, ჩქარა მითხარი, რა მოუვიდა, ავად გახდა?

— ჰო, გენაცვალოს თინას ორთავ თვალები... ი საცო-  
დავი ნათურიდან გადმოვიდა დაღალულ-დაქანცული; მთხ-  
ლის შექამანდი მქონდა, იმას გიახლათ და მას უკან ასე მოუ-  
ვიდა.

— ცხელი სქამა?

— ცხელ-ცხელი და შიგ ის იყო თონიდან ახლად ამო-  
ყრილი ქაღი ჩააბუფბუფა.

— ქეთო, მომე სიცხის საზომი... ჰა, ნათლია, გაიშალე  
წელში, ემ საათში ფეხზე წამოვაყენებ შენ ზურაბასა.

— აი, გაგახაროს ზეციერმა მამამა ჩვენი პატრონობისა-  
თვის, გაგახაროს, და თინამ ზეცისკენ ალაპყრო ხელები და  
თვალები.

— აბა წაეიდეთ!.. მეჩქარება, იქიდან გაღმა სოფელში უნ-  
და გაეიდე, აცრილ ბავშვებს დაეხელო.

შექრო საჩქაროდ გაჰყვა თინასა; ცაცხეთან მოლოგდა ეკ-  
ლესიის ეზოდან გამოსული ხალხი და ყურს უგდებდა დათას  
კითხვასა. ამ დროს მოვიდა სამი დარბაისელი კაცი და სა-  
ლამი მისცეს მარიამსა; ქეთევანი ფეხზე წამოდგა და მოი-  
კითხა.

— შექრო, სადა ბრძანდება?

— ემანდ ზურაბისას გაღიარა, ცოტა ავად შექმნილა. რა  
იყო?

— არაფერი, მისი ნახვა მოგვიწოდებდა... რა დაგიმალათ, ჩვე-  
ნი დედა ხარ; თქვენი სახლი დღეს ჩვენი სახლია, ჩვენი—თქვე-  
ნია. ღმერთმა ასე გვაკურთხა, ალბად რაღაც მაღლი მიუძღო-

და ჩვენ საწყალს ხეობასა ღვთისა წინაშე, რომ ასეთი ბედნიერი დღე გვადირსა... შაქრო ჩვენთვის თავგადადებულია, დედო მარიამ, თავსა გეწირავს, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი... ჩვენც გვიმსახურეთ, თორემ, ღმერთმანი, ძალიან შევწუხდით; პირთამდე ვართ საესენი შაქროს და ყველა თქვენგანის პატივისცემითა... ეხლა სახალხოდ გადავწყვიტეთ: ყოველ წლივ სოფელმა მოგიხნათ, დაგიტესოთ, მოგიმკათ, გაგიღეწოთ; რაც კი სამუშაო დაგჭირდებათ, ყველა ჩვენ ვიკისრეთ. რათაო, დედა, რითვინაო: თუ კი შაქრო ჩვენი გულისათვის წელეგზე ფეხს იდგამს, ჩვენ რაღაო მერე...

— უიმე, გენაცვალეთ, არ გააგონო ჩემს შაქროსა ეგ სიტყვები, თორემ ერთ ამბავს დააწევს,—უთხრა მარიამმა.

— რად შეგაწუხოთ,—დაიწყო წყნარად ქეთევანმა,—ჩვენ ჩვენი სამყოფი ღუკმა გვაქვს, თქვენი შეწუხება მეტია.

— არა, დამო, ჩვენ ჩვენი ნამუსი გვაწუხებს; რა დიდი რამ არის მერე ჩვენი პატივისცემა: შაქრო ჩვენ გვასწავლის, გვექიმობს, ყველა საქმეებს გვიკეთებს, ჩვენ ფული არა გვაქვს, და თუნდა გვქონდეს, თავს იკლავს და არ გვართმევს; ჩვენ ხელი გვაქვს, მუშა ხალხი ვართ, ჩვენც ჩვენს ხელს შევაწევთ...

— არა, მაგას ნუ გვეტყვი, ეგ სასყიდელი გამოვა,—უთხრა ისევ წყნარად ქეთევანმა.

— ნწარა! შაქრო გვეწევა, ჩვენც უნდა შევეწიოთ.

— თქვენ გეჭირვებთ შეწევნა, ჩვენ კი არა; თუ გავგიჭირდებ, მაშინ შეგვეწიეთ.

— ღმერთმა ნურა გავგიჭიროთ—რა, მაგრამ, ნათლია-შვილობამა, ნამუსი გვაწუხებს...

— რაო, რაო? რას შეუწუხებინართ?—უთხრა ახლად მოსულმა შაქრომ...

— არაფერსა, შენი კვნესამე, ისე მოგახსენებდით, რომა შენი ამაგი ყელში ამოგვდის, ჩვენც გვიმსახურე, თავს შემოგვევლიე...

— ჯერ არა მიჭირს-რა, ჯანი არ მაკლია და ღონე; ჩემი მამული ხელს მაძლევს; თუ გამიჭირდება, მაშინ მიშველეთ..... მანამ კი მე მინაცვალეთ, თქვენ ბევრი გაჭირვება გადგიათ.

— შვილო, ზურაბს რა დამართნია?

— ცხელი მთხლე, დედა, სპირტს უდრის, უქამია და გულს შემოსჭიდებია...

— ჰუჰუ! — შესძახეს გლეხებმა.

— იცოდეთ, რომ მთხლის შექამანდი ცხელ სპირტზე უარესია; იგი ღვინის ნარჩენი ჭაჭიდან გამოწურული წვენი; ამ წვენს რომ ვაცხელებთ, არაყს ვხდით, ვაოტკავებთ; ქაფ-ქაფს შექამანდს მთხლისას რომ ვქამთ, თითქმის იგივე ოტკაა, აღამიანს გულს უხდენს, თავში უვარდება, ჩვენ გვგონია, გულს უპოვის დაღალულს კაცსაო; მართალია, პირველად ესიამოვნება, მაგრამ ბოლოს კი ავნებს. რომ არ მომესწრო, ზურაბის საქმე ცუდად იყო...

— ჩვენ, შენი კენესამე, იმაზე გიახელით, რომ სოფელმა გარდასწყვიტა, ყოველივე შენი სამუშაო ჩვენ ვიმუშაეთ.

— რადა?

— რადა და იმადა, რომ ყელამდე მოვიყარენით შენი პატივისცემითა... ნამუსი აღარ გვაყენებს.

შაქრომ შორს დაიჭირა, მაგრამ სოფელმა თავისი არ დაიშალა.

—

სასწავლებლიდან გამორისხული შაქრო ბევრს ეწვალა, მანამ გზას გაიკვლევდა მეცნიერების შესასწავლად; შეისწავლა ჯერ სამეურნეო ნაწილი, შემდეგ საექიმო ნაწილზე გადავიდა და დაბრუნდა სახლში. სახლობას მოეკიდა; ქეთევანი სათნო ქალი გამოადგა. თვისი სწავლა, თვისი ძალა და ღონე ხალხის კეთილ-დღეობას შესწირა; დააარსა წიკნთ-საცავი, სამკითხველო, გაამართინა სკოლა, ბოლოს მღვდლად ერთ თავის ამხანაგ-თავანი გადმოაყვანინა თავის სოფელში; მადლიერმა ხალხმა დააფასა იგი. შაქროს სახლი მათთვის საყდარი იყო; შაქროს-



თვისაც აგრეთვე მათი სახლი. რა გაუჩნდებოდა ხალხს, შაქროსთვის არ მიეტანათ; პატარა მწყემსი მინდვრიდან რომ ჩიტს მოიყვანდა, ისიც კი შაქროს სახლში მიჰქონდათ, რომ მის დათას გაეხარნა.

— ყოველთვის მადლიანი ხალხი იყო გეგელაშვილის ოჯახი. შაქრომ მადლს მადლი მოუმატა; ჩენც მადლი მიგვიძლეოდა, აღბად, რომ ცით ანგელოზი მოგვივლინა უფალმაო; ხალხის პატრონს ღმერთი, იმისმა ძალმა და მადლმა, არ დაჰკარგავს.

ასე ამბობდა მადლიერი სოფელი თვისს მოყვარეზე.

## ს. მკალაბლაშვილი

\* \* \*

(ჰენეღან)

მაგ შენ ფუნთუშა ღოუებზედ  
კეკლეტი გაზაფხულია.  
გულში კი, ჰატარა გულში  
ზამთარი არის სრულია.

გამოცვლება ვეღა ეს,  
ჰატარა სატრეფი სულისა:  
ტურფა ღოუები იზამთრებს  
ზაფხული მფა გულისა.



# ქამუზაძის გაჭირვება

(მოთხრობა)

## VII

ამგვარი სურათებისა და ამბების ყურება სონიას ახლა თავისთავზედ უფრო და უფრო ძალა-უნებურად აკვირვებდა, თავის მდგომარეობაზედ ანიშნებდა. ყველასაგან და ყოველ მხრიდან მხოლოდ გაჭირვებულ და შევიწროვებულ ცხოვრებაზედ ჩივილი რომ ესმოდა, იგიც შიშში ჩავარდა—ვაი თუ მეც ამათთანვე და ამათგვარსავე მდგომარეობაშივე ვიყო და მხოლოდ ვერ ვამჩნევდეთ. ეს შიში მით უფრო იპყრობდა, რომ, რასაც ჯერ ხედავდა ამ ახალ ოჯახში, საიმედოს არაფერს უქადიდა მომავალისათვის. ვერაფერს ბედნიერებას იგემებდა მასზედ მოიმედებდ და მყარებული აღამიანი.

— ნუ თუ მეც გაწვალებული და გამწარებული ცხოვრება მომეღიწის?!... — გაუბრუნდა დრო-გამოშვებით ყმაწვილ ქალს და მაშინ აუტანელი მოუსვენრობა და გულის-წუხილი ერეოდა და ერთი მეორეზედ უფრო უნუგეშო სურათები თვალწინ ეხატებოდა.

მაგრამ კარზედ მომდგარმა შემოღგომამ, ცოტა არ იყოს, გადაავიწყა ყოველივე ეს, მოსეული, დარღები და ფიქრები. მთელი სოფელი აფუსფუსებული იყო; ყოველგან სიმინდის ტეხა, მისი წიკვა, ვენახის კრეფა. ყოველ მხრიდან მოისმოდა ურმის ჭრიალი და მეურმეების ხარების გასამხნევებლად შეძახილი. დილა აღრიანიდან მოკიდებული შუალამემდინ, ნამე-

\*) იხ. „მოამბე“ № II, 1900 წ.



ტურ მთვარიანებში, განუწყვეტლად იდგა ჰაერში ეს ხმაურობა, კრიჭინი ურპებისა და მუშების მხიარული ძახილი.

ამ საერთო მუშაობაში არც სონია დარჩენილა უსაქნაროდ. იგიც გაიტაცა საზოგადო მოძრაობამ და უკან არ რჩებოდა არც დედამთილსა და არც ქმარს არავითარ მუშაობაში, თუმცა ეკვირინე თავს იკლავდა, რომ სიმინდის რჩევით ხელებს გაიფუჭებო. მაგრამ სონია მაინც არ იშლიდა არც რჩევასა, არ ერიდებოდა და ქმარს ეხმარებოდა ურმით მოტანილ სიმინდიან ძარის გადაგორებაში, ზიდავდა ვენახიდან ყურძენს კალათებით საწნახლამდინ, რომელიც უფრო როფსა ჰგავდა. ხან და ხან ჩაფით ტკბილიც მიჰქონდა ქურში ჩასასხმელად.

საწნახელში ჩამდგარი ოტია ღიმილით მისჩერებოდა ამ დროს ცოლს და მეტად უხაროდა.

— აკი გეუბნებოდი, შვილო, რომ ყორიფელში მალე გეჩვენებოდა-თქვა! ხომ ხედავ! ოქროა, ოქრო, მაგას ვენაცვალე! — აღტაცებით იძახოდა ეკვირინეც და ყურძენის მარცვლებით რომ ითვლიდა გამოწურული ტკბილის რაოდენობას, თან უმატებდა თითო-ოროლას, რომ ბოლოს უფრო მეტი ეჩვენებინა რძლისათვის და ამით მისი გული გაემხიარულებინა.

— ძვირფასი რამ ქალია, შვილო! ძვირფასი!

— ეგ აგრეა, დედა, მარა სირცხვილში ვართ, მაინც! — სთქვა ოტიამ.

— რა სირცხვილში, შვილო?

— ნამეტანი ხელმოკლე ვართ-და.

— ჰმ!... — წამოიძახა ეკვირინემ.

— ჩვენ შეჩვეული რომ ვართ ამ ხელმოკლეობაში ცხოვრებას, ჩვენ გვიჭირს და ვწუხვართ, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა...

— სუ, სუ! — შეუტია ეკვირინემ — სუ! აბა რაღას მოგყვებოდა, თუ შენთან მაგანაც ყორიფელი გაჭირვებაც და დალხინებაც ერთად არ მიილა!?. არა, შვილო, მაგაზე ფიქრს ნუ ჩივდები გულში, თვარა ვინ იცის სად არ წავიყვანს, რას არ

გაფიქრებებს!.. სხვებს არც ჩვენოდენი აქვთ, მარა კი არიან დაწყნარებულად და დამშვიდებულად!.. შენ ნუ დღიწყებ მაგის-თანებზე დარღობას და მაგ თავისთავად ყორიფელს მოურიდება და შეიფერებს!

ოტია მ აღარა სთქვა-რა, გაჩერდა, მხოლოდ თავი გაიქნია და მოჰყვა გულმოდგინედ ყურძნის ქნეხვას. სონიაც დაბრუნდა ჩაფით ქურის თავიდან. აშკარა იყო, რომ ამ კაცის გულში რაღაც ხდებოდა, რომ მასში აღძრული იყო რაღაც ახალი აზრი, რომლის გამოთქმა სრულიად ვერ მოახერხა დედასთან, რომლის გავლენის ქვეშ მყოფი ოტია კი წინანდებურად ვეღარ ჰგრძობდა თავის თავს, წინანდებურად მოსვენებით აღარ იყო, თუმცა ამისი შემჩნევა მასში არც ისე ადვილი იყო. და ეს მაწუხებელი ფიქრი მისი იყო სწორედ ის ხელმოკლეობა და გაჭირვებაში ცხოვრება, რომელიც ახლა ამ ქალის ცოლად მოყვანის შემდეგ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მისთვის დღითიდღე და რაც ათასგვარ ფიქრებს ახვევდა თავზე და აქამდისინ უცნობელ დარღებს ჰგვრიდა. მისმა სინიდისიერობამ რომ დააკვირვა ცოლის მდგომარეობაზე მის ოჯახში, მის ოჯახის ამბავი სულ სხვანაირად მოაჩვენა, დაანახვა და თითქო ბრძად ყოფილს თვალეები აეხილა. ამან ათქმეინა დედამისთან ის სიტყვაც, რაც ასე ეწყინა ეკვირინეს, ამ თვალთა ახილვას, ეკვირინესი არ იყოს, ვინ იცის სად არ მიჰყავდა იგი და რა აზრებს არ უერთებდა, რომ გზა ეპოვნა თავის ხელმოკლეობის და გაჭირვებული ცხოვრების, სულ თუ არა, ცოტათი მაინც, გამოსაბრუნებლად.

ასე თვალთა რომ აეხილა და ეს ფიქრი რომ დაეგადა გულში, სწორედ იმ წამიდან რაღაც დამნაშავედ ჩაითვალა თავისი თავი ცოლის წინაშე და მოვალედ ჰგრძობდა თავის თავს საქმე გამოეკეთებინა და ამ მოტყუებული ადამიანის წინაშე მაინც რამოდენადმე პირნათლად გამოსულიყო. მას რცხვენოდა ცოლის, მეტად მორიდებით იყო მასთან და მუდამ რაღაც საქმეში, მუშაობაში იყო.

წლის მონაწევმა ვერაფრად გაახარა მისი ცოლი. ახლა მისთვისაც ცხადი იყო, რომ ბევრი არაფერის მქონებელი იყო. იგიც იმ გვარადვე ჩაფიქრებული შეიქმნა, როგორც მისი ყმაწვილი ცოლი, რომელიც გაფაციცებით თვალს ადევნებდა ყოველიფერს, რაც წლის სარჩოდ შემოდინოდა, რომელიც ყველაფერს მეტის დაკვირვებით სინჯავდა და რომლის გული ამ დაკვირვებამ და დაახლოვებამ ვერ გაამხნევა და შეამაგრა, მხოლოდ უფრო დაამწუხრა და ააშფოთა.

როცა ორივე ცოლ-ქმრის გულში ერთნაირივე ცეცხლი ტრიალობდა უჩინარად, ეკვირინე თავისებურად ისევ გულგამხნევებულად, ისევ უდარდელად და მხიარულად იყო.

— მადლობა უფალს... მადლობა უფალს!... მართალია, შარშანდელზე ნაკლები მოსავალი მოგვცა, მაინც არაფერია, სამღურავი მაინც არ ითქმის! გაისათ ორი ამდენი მოვა! — ამედებდა იგი რძალს.

მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ სონიას გულს უფრო მწუხარებას უმატებდა იგი, ამ ნაირი ლაპარაკი გაუტეხლობასა ჰგავდა და თითქმის დაუდევრობას ნიშნავდა და ამით მხოლოდ თავს აბეზრებდა მოხუცებული დედამთილი ყმაწვილ ქალს. მისი ყოველ სიტყვაზე წამოძახილი „ღმერთი მოგვცემს“-ო, მისი ის გულმხიარულობა და ხალისიანობა, რომელსაც ეს მოხუცებული ქალი არ ჰკარგავდა ამ სისაწყლოში და ღარიბულ ცხოვრებაში, გულს უსერავდა ყმაწვილ ქალს და თითქმის აძულებდა მის თავს. ეკვირინეს კმაყოფილება მისთვის გაუგებარი რამ იყო. მას ვერ წარმოედგინა, თუ აღამიანს შეეძლო ასე გულმხიარულად ყოფნა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც მათი ყოველ ფიქრს მოკლებული ოჯახი იყო. და ამ ხალისიანის, კმაყოფილის და თავმომწონე დედამთილის ყურება აჯავრებდა, უსიამოვნებას ჰმატებდა და გულს უკლავდა. გულის დასამწვიდებლად და დასაწყნარებლად სონია მირბოდა ოჯახიდან ქველიძისას, სადაც იზოვა მეგობარი, რომლის სიახლოვეს მას ავიწყდებოდა თავის ოჯახიც, გულშემაწუხებელი დედამთილი და

ყოველივე უსიამოვნობა. ნინო შეიქმნა მისი მფარველი ანგელოზი იმ დღიდან, როცა მას დაუხლოვდა და მისი ამხანაგობა უადვილებდა მისთვის მძიმე ასატან ცხოვრებას ქმრის ოჯახში. ამასთან ყმაწვილი ქალი სარდიონის ოჯახში ისევ კეთილშობილად ჰკრძნობდა თავის თავს, ისევ დაწინაურებულად, რაც გარდამეტებით შელახული ჰქონდა თავის საკუთარ სახლში.

ეს ოჯახი, რომელიც ასე საყვარელი შეიქმნა სონიასათვის, ერთ დღეს მართლაც კარგი ოჯახი იყო. სარდიონ ქველიძე რიგიან აზნაურებში ითვლებოდა თავის კუთხეში ქონებითაც და დარბაისლობითაც, თავმომწონე აზნაურთაგანი იყო; და სწორედ ეს უკანასკნელი თვისება შეიქმნა მიზეზი მისი კეთილდღეობის დარღვევისა. თავმომწონე აზნაურმა ფასი არ დასდვა ბატონ-ყმობის გაუქმებისაგან შეცვლილ ცხოვრებას, მის ახალ პირობებს სრულიად წაუყრუა ყური, თითქმის ეგვიტებოდა მათ კიდევ ძველი ცხოვრების მიყოლით, სანამ ამ შებრძოლებამ რიყეზე არ გააგდო ეს მედიდური-ჯიუტი მებატონე, რომელიც გლეხებს სიხლოვეს არ იკარებდა, როცა ესენი განთავისუფლებას სთხოვდნენ.

— მოიცადეთ, ძმობილებო, ნამეტან აღრე მირბახართო! — ეუბნებოდა იგი გლეხებს.

მერე კი თავის თავად იძულებული შეიქმნა ხვეწნა დაეწყო მათთვის, თავი დაიხსენით და ფული მომეცითო. ცოტ-ცოტად, ნაწილ-ნაწილად აღებულნი ფული მალე შეიჭამა, ნელ-ნელა ადგილებიც გაიყიდა და როცა, მისივე დაუდევრობით, უკანასკნელი ქონება ბანკს გააყიდვინა, მშრალზე დარჩენილმა სარდიონმა მხოლოდ მაშინ წამოაქცივითა ყურები, მაგრამ გვიან-ლა იყო.

რაც ახალ ცხოვრებისათვის მოუშადებლობას უნდა დაეკლო მისთვის, მან თავისი მხრით თავისი დაუდევრობა და ჯიუტობა წაიხმარა და ამის წყალობით დარჩა თითქმის ულუკმაპუროდ, ცხოვრებისათვის ყოველ საღსარს მოკლიბული. ახლა კი აწრიალდა სარდიონი, საჭირო იყო რითიმე ერჩინა თავისი

კოლმზილი, რამე ელონა, რამე გზა ენახა, ოჯახში კოტაოდენი რამ შემოეტანა და წლიდან-წლამდინ თავი გამოეტანა. იქით ეცა გაღარიბებული აზნაური, აქეთ ეცა, ბევრი იბრუალა და ბოლოს იმაზე გადასწყვიტა, რომ სოფლის სასამართლოში ვექილობა დაეწყო, გლეხების საჩივრები ეწარმოებინა. ბევრს ვერაფერს მისცემდა ეს, მაგრამ მაინც სჯობდა სულ არა-რაობას.

გაერია წინად ამაყი აზნაური გლეხებში, ჩარგო თავი მათ-დავიდარაბებში, მოშივებულ მგელივით აღარასფერს აღარ-ერიდებოდა, ოღონდ კი რამე ეშოვა, რამეს ვაპორჩენოდა; უკან აღარ იხევდა განგებ აეტეხნა სადმე საჩივარი, რომ ერთ-ერთი გლეხი ხელში ეგდო და საპურედ გაეხადნა; ხშირად, როცა მოსახერხებელი იყო, ორივე მხარეს არიგებდა და მომ-ჩივანისაგანაც და მოპასუხესაგანაც სარგებლობას არ ჰკარგავდა. დიდხანს არ გაუფლია, რომ მისი ხასიათი და მოქმედება ყვე-ლასაგან გაგებულნი შეიქმნა, მაგრამ მიმსგლელი მაინც არ შე-მოჰკლებია; წინააღმდეგ, უფრო და უფრო ეტანებოდნენ მას, რაც ვრცელდებოდა მისი ახლართულ-დახლართული ნამოქმე-დარის ამბები.

და აი ამ გზით ნაშოვარით გამოჰყავდა მას თავისი ოჯახი; ამ ნაშოვრით ცდილობდა გაჰყოლოდა ცხოვრებას, ცდილობდა დაეთარა ოჯახის დაქვეითება, დაემალა სიღარიბე და დაეცვა ოჯახის კეთილშობილება, გარეგნულად მაინც.

მისდა იღბლად ოჯახიც არ ჰყოლია დიდი ჩვენებურ პირო-ბაზე; ორი ვაჟი ჰყავდა და ორი ქალიშვილი. კოლი მისი მათათი იმ მხარეში ნახსენებ აზნაურ კაკაბიძეების გვართაგანი იყო და მათათი კრიალ ოსნით ხელში, ტახტზე მუხლმოკეცილი მუდამ ამათზე ესაუბრებოდა შინაურებსაც და სტუმარსაც. მუდამ იმათ ამბავში იყო. შვილებსაც ძრიელ დასჩემდა თავის გვარისა და ნათესავებით თავმომწონეობა, ესენიც თავისიანების სიმამაცისა, ვაჟკაცობისა და გამოჩენილობის ხსენებაში იყვნენ გარ-თულნი; ნამეტურ ეს ხასიათი ემჩნეოდა ქველიძის უნცროს ქა-



ლიშვილს ოლიკოს, რომელიც დედის გასაოცარი მსგავსება იყო ყოველისფრად.

სულ სხვა იყო უფროსი ქალიშვილი ნინა, სარდიონისაგან სხვა შვილებში გამოჩენილი საყვარელი შვილი. განსხვავებულ სილამაზესთან, ბუნებას მისთვის განსხვავებული, დანარჩენ მამის შვილებთან, ხასიათი მიენიჭებინა. გულ-მობიერი, ნაზი, თავმდაბალი, მუდამ ხალისიანი, გრძნობიერი, იგი გსაკვირველად იზიდავდა ყველას, იახლოვებდა და ხიბლავდა, ვისაც კი გაეცნობოდა. მართალია, წოდებრივი სიამაყე მასშიაც გამოსჭვივოდა, მაგრამ საკვირველი მოხერხებულობით და წინდახედულად გამოაჩენდა ხოლმე, თუ შემთხვევა იქნებოდა, რომ სხვისი საწყენი და დამამდაბლებელი არასოდეს არ ყოფილა. და ეგ იყო სწორედ მიზეზი, რომ გლენკაკობაშიაც კი განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა მას ამით მოპოვებული. სილარიბემ დაარჩინა იგი ოც და ხუთ წლამდინ გაუთხოვარი, მზითევრს უქონლობამ, თორემ ბევრს კარგს მოუწადინებია მისი ცოლად შერთვა. და ამ მიზეზის გამო მას რომ დარჩენილად ხედავდა მამა მისი, სარდიონი, დანაშაულად უმზერდა თავის თავს ამ საყვარელი შვილის წინაშე, გულსა ხვდებოდა, რომ მის ბედნიერებას ვერ ხედავდა, რომ მისი ამ გვარი დღევანდელი მდგომარეობა, მამა მისის წინ დაუხედავი, გაუფთხილებელი წინანდელი ცხოვრების შედეგი იყო.

ცეცხლი ეკიდებოდა მას შემხედვარე მამას, მორიდებულს მასთან, მზა მყოფს ყოველივე მისი სურვილისა და ნანატრის აღმასრულებლად, რამდენადაც გაუვიდოდა. რამდენჯერ გამწვარებულ სარდიონს უფროსი ვაჟიშვილისათვის მიუძმართნია, დახმარება უთხოვნია მისგან, რომ ეგებ ორივეს ძალ-ღონით ქალიშვილისათვის მისი საკადრისი გზა მიეცა.

— გადაადგი, შვალო, კარს გადაღმა გადაადგი, რაქდენ, ფეხი! ეგებ შენც იშოვო რამე, კაცო, როგორც ზოგიერთები შოულობენ! გეინძერი, შე კაცო! ორივემ ეგებ რამე ვისაშვალოთ და მაგ საწყლებს, ორივეს თუ არა, ერთს მაინც ვუშვე-

ლოთ, შეიძლება!... კოდვია და მერე შენთვისაც უფრო სამძი-  
 მო შეიქნება; მე ხომ მიღღემში არ გეყოლები! რა ვიცი, ჩემი  
 ხნის კაცს ხვალინდელ დღეს რა მომელის!

რაქდენი მართლა ჩაიცვამდა, გამოეწყობოდა, საღლაც კი-  
 დევაც გასწევდა, ეზოს გადაღმა ფეხს გადაადგამდა მაგრამ მეო-  
 რე-მესამე თვეზე შინ ბრუნდებოდა ისევე მამასთან, დაღონე-  
 ბული, რომ საქმე ვერაფერი იშოვა, სხვებთანკი დილიდან სა-  
 ლამომდინ მხოლოდ იმის ამბებში იყო, თუ სად დალია, რამ-  
 დენი და ვის აჯობა ღვინოში ამ უკანასკნელ მოგზაურობაში  
 ანა და მასთან რა ღვაპარაკი და ყაილა შეხვდომია. სარდიონ-  
 მა იცოდა, რომ ასე იქნებოდა, გული მოსდიოდა, უწყრებოდა  
 შეიღოს, კაცად გამოუსადეგრობასა და დაგლახაეებას უქაღიდა,  
 მაგრამ ამით არაფერი კეთდებოდა.

— ქვეყანა მაინც დაინახავს, რა რიგად იცხოვრებ, ვაჟ-  
 ბატონო, მე რომ აღარ გეყოლები! ჰმ! უკვდავება ხომ არ მო-  
 უნიჭებია ჩემთვის უფალს, შე ღმერთ-გამწყრალო, ჩემ იმედით  
 რომ აპირობ შენი წუთი სოფლის გატარებას!... ეგებ მე ხვა-  
 ლაც აღარ გეყოლო, რაღას შობი მაშინ?! რათი აპირობ გა-  
 უძღვე ოჯახს—ამას რატომ არა ფიქრობ, შე უსინდისო  
 ვაჟბატონო! ოც და რვა წლის კაცს რომ ამის გახსენება და-  
 ჩიჩინი ჭირდებოდეს! ჰმ!...

სიკვდილის შიშმა ამ დაბოლოს მაინც გასაოცრად ჩაიბუ-  
 და სარდიონის გულში. იმის წარმოდგენა, იმის აზრი თუ ვის  
 უნდა ერჩინა, რითი უნდა ეცხოვრა მის ცოლ-შვალს მისი სი-  
 კვდილის შემდეგ საშინლად სტანჯავდა მას, სასოწარკვეთი-  
 ლებაში აგდებდა და სიცოცხლის დღეს უმწარებდა. იგი  
 უკვე ხედავდა, უიმისოდ დარჩენილებს, უკიდურეს გაჭირვე-  
 ბაში ჩავარდნილთ, დამათხოვრებულთ, ქვეყნის შესაბრაღი-  
 სად გამხდართ; მისი ძვირფასი, უწყინარი, ანგელოზის მსგავ-  
 სი ნინა მშვიერი, მწყურვალი, დაკონკილი ეხეტებოდა, უზა-  
 ტრონო; მის ძარღვებში სისხლი დგებოდა, თავბრუ ესხმე-  
 ბოდა და გაბოროტებული სარდიონი მოუსვენრად ბორგავდა,

ერთ ადგილს ვეღარ რჩებოდა და ხან იქით მირბოდა, ხან აქეთ, თითქო უნდოდა ამასობაში მიეფანტ-მოეფანტა შემოსეული, სულის შემაწუხებელი, გენიის ცეცხლის მომკიდებელი ფიქრები.

მისთვის ათასწილად სამჯობინარი იქნებოდა, ამ მწუხარების ატანის გამაადვილებელი, რომ ეს შვილი სრულიად არ მისცემოდა ანა და ამისთანა მშვენიერება არ ყოფილიყო. მისი ლამაზობა, მისი გულკეთილობა, სინაზე, ტკბილი ხასიათი, მორიდებულობა დედამამასთანაც და სხვებთანაც, ისიც, რომ იგი ყველას უყვარდა, ყოველივე ამის პატრონი არსება თითქო ღმერთმა განგებ გაუჩინაო ამ კაცს, რომ ამისით მას ჩაეხედნა თავის სინიდისში, დაენახვა ახლა მაინც, რისიც მქნელი ხდებოდა თავის დაუდევრობის გამო, თავის ამაყობისა და გაჯიუტებით რა ცოდვაში ჰქონდა ჩადგმული ფეხი, როგორ სატანჯველს უმზადებდა თავის სისხლ-ხორცს. თავის ცოდვის სამაგიეროს მოძღვნილად დებულობდა სარდიონი ყოველს ამას, და როცა ამასთან ნინოსაგან არა სმენია არა რაიმე საყვედურის გამომთქმელი სიტყვა, მის მშვენიერ სახეზე ღიმილის მეტი რომ არა შეუმჩნევია-რა, რომ მისი წარბები არ შეყრილა უკმაყოფილების გამოსახატავად, — ყოველივე ამისაგან უფრო იჩაგრებოდა იგი, უფრო სტკიოდა გული და უფრო გამწარებული იყო.

ვერაფერ ამას, რასაკვირველია, სონია ვერ ამჩნევდა ქველიძისას, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გაეგო აქაური ამბავი, რადგან ყოველივე ოჯახის ნამდვილი და ქეშმარიტი გარემოება, რაც შეიძლებოდა, იფარებოდა და მიმალული იყო იქაურებისაგან. იგი უმზერდა გარეგნულ ცხოვრებას, ესმოდა თავად-აზნაურობის ცხოვრების ამბები, წარჩინებულ პირებზე ლაპარაკი, სოფლამდგ მოწეული, მათი ნამოკმედარ-ნათქვამის ამბავი „შემოსრულ“ მოდების შესახებ და ამგვარები. რადგან კარგი ჭრა-კერვა იცოდა, ხშირად ეხმარებოდა ქალიშვილებს მათ საკერავში, რჩევას აძლევდა ფასონების ამორჩევაში, გულ-

უბრყვილოდ ჰკვირობდა და იცინოდა, როცა ნინო სწყევლიდა უკანასკნელად შემოდებულ მოდებს, რომლისათვის მეტი მატერია იხარჯებოდა და ისე იკვეცებოდა, რომ შემდეგ აღარაფრად გამოსადეგი აღარ რჩებოდა გამონაცვალი.

— თავს დავანებებ ამნაირად შეკერვას!.. ორი არშინი აკლდება ორივე სახელოს... რა ვუყო ახლა!—იტყოდა ხოლმე გულ-დაწყევტით ნინო.

— ორი არშინი?—ჰკითხავდა დედა.

— აბა.

— აბა უნდა ვიყიდოთ, შეილო!.. უნდა ვიყიდოთ!.. ვეტყვი მამა-შენსა და გიყიდის!

— არა, არა... იყოს! ისე შევიკერავ... არ დევნებ ამ მოდას!—გულ-დაკლებით წამოიძახებდა მაშინ ნინა.

— უბრალოდ როგორ შეიკერავ... საღა გამოაჩენ მერე! რაც მოდაა მოსული, შეილო, ისე უნდა გექნეს, რას იზამ!..

— არ ვიცი, ღმერთმანი!..—წაილაპარაკებდა საკერავზედ თავჩაღუნული ნინა, —როდის მომესწრება დასამატის ყიდვა, ვინ წავა ახლა ამის საყიდლოდ!?

— გამგზავნს როგორ ვერ იშოვნის?—სიცილით მიუგებდა ამაზე სონია სრულიად დაშორებული იმ აზრს, რომ ნინოს სიტყვა მხოლოდ მიზეზი იყო; ნამდვილი კი იმაში მდგომარეობდა, რომ საჭირო ხდებოდა ფული ამ შემოდებულ მოდისათვის და იგი კი მოდების დენაში სახარჯავად კი არა, სხვა მიუცილებელ საჭიროებისათვისაც არ იყო. სონიას ვერ გაეგო ყმაწვილი ქალიშვილის ყოყმანი, არ იცოდა, რომ ყოველი ახალი მოდა ამათთვის მეტი შემაწუხებელი რამ იყო, რადგან თავს ვერ არიდებდნენ დენას რაოდენადმე მაინც და აქედან, შევიწროვებულ მდგომარეობაში მყოფთ, მეტი სამძიმო ხარჯი მოსდიოდათ. ამიტომ სწუხდა კიდევაც ნინა და ამიტომაც იწვევდა ამდენ ლაპარაკს ეს საკერავისათვის დაკლებული ორი არშინი მატერია. და ამ მიუმხვედრობის მიზეზი იყო, რომ სონია არ ეშვებოდა, თავის მხრითაც ურჩევდა მის საყ-

ვარულ ამხანაგს უსათუოდ წემატებინა დანაკლისი და ამორჩეულ ფასონზე შეეკერა „რუბაშკა“.

— ღმერთს გფიცვარ, გასაოცრად დაგშვენდება!.. შინც კარგი ხარ, მაგრამ ამ „რუბაშკაში“ გასაგიჟებელი რამ იქნები, შენ ნუ მომიკვდები, ნინო ჩემო! — აღტაცებით ეუბნებოდა სონია, ასე რომ ელიჩკას გაეცინა კიდევ და თან წამოიძახა:

— არ გადარია ამ ჩვენმა ნინამ ეს ქამუშაძეები ცოლიც და ქმარიც!..

მათათიმ ერთი უნებურად გაიღიმა, მაგრამ იქვე მწყრომი სახე მიიღო და ქალიშვილს შეუტია.

— სად ისწავლე მაგნაირი ზრდილობა, შვილო!?. — და თავის უკმაყოფილების დასანახავად თავი გააქნია.

მაგრამ სონიას არ სწყენია ეს, როგორც კვლავაც, როცა ელიჩკა აჯავრებდა მის დედამთილს ეკვირინეს, ბიცოლა ეფროსინეს და ბიძია ომანს, დათიას და მთლად იმათ კუთხის ქალებსა და კაცებს. სონია თავადაც გულიანად იცინოდა მაშინ, თავის მხრით მასალასაც აძლევდა ამ დასაცინისათვის ელიჩკას მეზობლების ამბების გარდმოცემით. აქ, ამ ოჯახში, თავის მაგვარ კეთილშობილებს რომ ხედავდა, ყოველ ხუმრობასაც ადვილად იტანდა, დაცნვაც საწყენად არ ურჩებოდა ამ თავის ტოლებისაგან და ყოველივე ხუმრობას სიამოვნებითაც ისმენდა. გარდა ამისა, რომ აქაურობა იზიდავდა მას თავის კეთილშობილური შეხედულებით, რომ ამითი კმაყოფილდებოდა მისი წოდებრივი გრძნობა და თავ-მოყვარეობა, მის თავში ისეთი აზრი ტრიალებდა ამ ბოლოს ხანებში, რომლის აღსრულებითაც იგი სამუდამოდ დაუახლოვდებოდა ამ ოჯახსაც და სიკვდილამდის არ განშორდებოდა თავის ძვირფასს საყვარელს ნინოს. ეს იყო — ნინოს სარძლოდ აჩემება და მან კიდევაც ორჯერ-სამჯერ მისწერა ამაზე დედ-მამას და ურჩევდა ყოველივე ღონე ელონათ და ბეგლართან ამის შესახებ მოელაპარაკნათ. საქმე მით უფრო ადვილად მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო, მისის აზრით, რომ ბეგლარსაც გაცნობილი ჰყავდა ქალიშვილი, როცა იგი ერთ-

ხელ მის სანახავად მოვიდა და როგორც მაშინ ეტყობოდა, მას ძლიერ მოეწონა ლამაზი წინა. ამ აზრს შეხაროდა სონია და მოუთმენლად მოელოდა ამის აღსრულების დღის შესწრებას, მანამდე კი, რამდენადაც შეეძლო, ცდილობდა განუშორებლად ყოფილიყო ამ საყვარელ არსებასთან, რომლის სიახლოვეს ავიწყდებოდა თავისი ღარიბი ოჯახიც, თავისი დარღებიც, თავ-მომამებზრებელი მოხუცებული დედაპილიც და ყოველივე უსიამოვნება, რაც მას ხვდებოდა ამ ახალ ადგილას, სადაც მისის გულის გამხსნელს და გამაღონიერებელს თითქმის ვერას ხედავდა ჯერჯერობით და შეიძლება სრულიადაც ვერ დაენახა ვერც შემდეგში.

### VIII

ზამთრდებოდა. ფოთოლ-გაცვივებული, გატიტვლებული ხეები აღარ მალავდნენ, უფრო გამოაჩინა დაბალი, პატარა-პატარა, ზოგან მერცხლის ბუდესავით ფერღოებზე მიკრულ-მიკოსებული, სახლეზი, სახურავებიდან ამომავალი კვამლის შავ ბურ-თავ-დადგმული.

ღლითი-ღღე გაღონიერებული სიცივისაგან უფრო და უფრო იკრუნჩხებოდა, იკუმებოდა ყოველიფერი, სადღაც იპარებოდა და დამალვას ცდილობდა, გარედ გამოხედვას ერიდებოდა. სულიერიც თბილ ბინას აღარ შორდებოდა. სოფელი მიწყნარდა, მიილუშა; ცხოვრება თითქო შესწყდაო. კაცსაც ძვირად თუ დაინახავდა კაცი: ხანდახან თუ გაივლიდა ორღობეში წვივება-მდინ ფეხ-ტიტყელი, შეფუთენილი, გამოხვეული ძველებში სოფლელი ხან ურმით, ხან ტომრით ზურგზე წისქვილისკენ მიმავალი, როცა ნამეტან ამდგარ ტალახისა გამო გზები შეიკვრებოდა.

ტყვის ფერ ცის ქვეშ საცოდავად გამოიყურებოდა სიცივისაგან შეშინებული არე-მარე; მყინავი, ნემსებივით მიხვლე-

ტავი ცივი ქარი უსიამოვნოდ სისინებდა გაფშიკებულს ხის შტო-ებში.

ვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მთლად მომარაგებული სა-ზამთრო შეშა, ახლა კიდევ შეეძლო თითო-ორიოლა გზობა მაინც მოეგლო ურმით და თუ სადმე ეგულებოდა მოსაჭ-რელი რამე, იჩქაროდა მოეტანა სახლში. სანამ თოვლი სრუ-ლიად შეუკრავდა ყოველგვარ მისელა მოსვლას.

ოტიამ კარგი ძალი შეშა ჩამოზიდა საიდანაც და ჯერ კიდევ ისევ ზიდავდა. საცოდავი სანახავი იყო იგი ამ დროს— გაწუნწული, ტალახში ამოთითხილი, ქუდის მაგივრად ძველ ყაბალახით ყურებიანად თავშეხვეული, სიცივისაგან აკანკალებ-ბული სახლში რომ შემოვარდებოდა და თბუნებას დაუწყებდა დაძრულ ხელებს ცეცხლზე, რომელსაც დილიდან საღამომდის უხსდნენ ორივე რძალ-დედამაილი. ცეცხლისაგან შეხურებულ სველ ტანისამოსს ორთქლი ასდიოდა და ბურში გახვეული ოტია ციბრუტივით ტრიალებდა, რომ კარგად გამშრალიყო; წვივებზე შემხმარი ტალახიც სცილდებოდა და იქვე იყრებოდა ცეცხლის პირას მიწაზე. სონია თვალს არიდებდა ამ დროს ქმარს — მისი თავ-მომწონეობა მეტის-მეტად ილახებოდა ამ სურათს რომ უყურებდა.

— აწი, შვალო, ხარებიც შემოიყვანე, ჩალა ჩოუყარე და ბარემაც სადილიც ვქამოთ... მეორე გზობას მერე იზამ... ეტ-ყოდა ხოლმე ეკვირინე შვილს.

— მაცალე, მაცალე, თუ ღმერთი გწამს!... ხელები წამა-რთვა სულ სიცივემ... გვეთბობ, ძვლებს გავაგებინებ... თითებს ვეღარ ვხმარულობ... უცნაური ქარ-ყინვა დალოცვილი... იმ მთებში მაინც! — მიუგვებდა ოტიამ, რომელიც ცეცხლს ვეღარ შორდებოდა.

მაშინ ეკვირინე თვით წამოდგებოდა, შემოიყვანდა ხარებს სახლში, რადგან სხვა ბინის უქონლობისა გამო საქონლისათვის ბაგა აქვე ჰქონდათ მოწყობილი, შემოათრევდა ორიოდ კონა ჩალას და თავის ხელით ჩაუტეხავდა ხოლმე მოზივებულ პი-

რუტყვთ მათ საქმელს. მერმე თავიანთ სადილოს გამოუბრუნდებოდა, რომელსაც აქვე სჭამდნენ ცეცხლის პირას, საქონლის ჩაღის ხრამუნში და მათი განავალით აქოთებულს ჰაერში, რადგან უბუხრო მეორე ოთახში ცეცხლი არ ინთებოდა,— გარდამეტებული სიცივე იყო. მაგრამ სადილიც დიდხანს არ გრძელდებოდა,— ლობიოსა და ჭადს ხანგრძლივი შექცევა არ სჭირდებოდა.

დაიწყო თოვა და რამოდენიმე დღის განმავლობაში სვეტაკმა თოვლმა მოჰფარა არე-მარე. სოფლისთვის რომ შეგეხებინათ, იტყოდით, თითქო განგებ ჩაურგავთ აქა-იქ პაწიწინა ხის კოლოფებიო, ისე მოჩანდნენ სახლები იმ ღრმა თოვლში. ეხლა სრულიად მიწყდა ყოველივე მოძრაობა, მისვლა-მოსვლა, შეიკრა მეზობლებშიაც სავალი გზები. ყველანი დაიბუნდნენ თავთავიანთ სახლებში, უსხდნენ ცეცხლს და გარედ გამოსვლას ერიდებოდნენ. ამგვარ დატყვევებულ-დამწყვდევულ მდგომარეობაში ჩავარდნილ სონიას სული უწუხდა; მისთვის აუტანელი რამ ხდებოდა ეს ქვეყნიერობასთან დაშორება,— თითქო საღმე უდაბნოში ყოფნა, თითქო მის გარშემო სხვა სულიერი არავინ ყოფილიყოს ესეთი მოწყვეტილი და განმარტოებული ცხოვრებით, რომლითაც იძულებული იყო ეცხოვრნა. ეკკლესიაზე გასვლაც დიდის გასაჭირით მოუხერხებია სულშეწუხებულს, არ დარიდებია ხანდახან გზის სიძნელეს, ოღონდ კი ვინმე გარეშე ენახა, ვისმესათვის ხმა გაეცა, მაგრამ აქაც მხოლოდ კაცები თუ იყვნენ, თორემ ქალები ძვირად გამოდიოდნენ.

ნინოს ნახვა სრულიად დაეკარგა სონიას, რაკი ზამთარი დაიწყო. ხანდახან გარეშეთაგან თუ შემოვიდოდა სიცივისაგან მოკრუნჩხული, ძველ-კონკებში შეფუთვნილი ფეროსინე, რომ ოტისასათვის ეთხოვნა წისქვილში წაეღო დასაფქვევად მისი ორისამი ბათმანი სიმინდი, თორემ ისხდნენ ორივე დედა-შვილი და სონია ცეცხლის პირას, ეფიცებოდნენ და ღროს ამოკლებდნენ ერთმანეთში თავიანთ მოგონებათა გაზიარებით. დღეები მიიზღაზნებოდნენ, მისდევდნენ ერთმანეთს ერთფეროვანად, გა-



ნუსხავებლად, გულის მომკვლელ მოსაწყენისად, მიუჩეველ ადამიანისათვის განსაკუთრებით, რასაკვირველია. დილით აღრე აღგომა, ცეცხლის დანთება, გასათობად მასთან დაჯდომა, ცოტა ხნის შემდეგ სადილის თავდარიგი, სადილი, იქვე, როგორც შებინდებოდა ვახშმის მზადება, ვახშამი და მაშინათვე ძილი; მეორე დღესაც ეგრევე, მესამესაც; ეგრე ატარებდნენ კვირებსა და თვეებსაც.

ეკვირინეც და ოტიაც კარგად ხედავდნენ, რა რიგად უჭირდა ყმაწვილ ქალს ამგვარი ცხოვრების ატანა, მათთვის ეს აღვილი წარმოსადგენიც იყო, რადგან იმათაც კი, შეჩვეულებსაც ემძიმებოდათ ამნაირი მდგომარეობა და რამდენადაც შეეძლოთ, ცდილობდნენ გაერთოთ იგი სხვა-და-სხვა ამბებით სოფლის ცხოვრებიდან, მაგრამ ეს ამბებიც მოსაწყენისი ხდებოდნენ და გამართობელ სიცხოველეს ჰკარგავდნენ ამ გულის მომკვლელ ცხოვრებაში, მსმენელის დამძიმებულ ტვინში შთაბეჭდილებას ვეღარ სტოვებდნენ.

ამ დაყრუბულობაში მყოფთ ქამუშაძეებს ერთ დღეს, ის იყო სადილი რომ გაათავეს, რალაც ყვირილი, კივილი და ხმაურობა, შორიდან მომავალი, უეცრად მოესმათ. ყვირილის ხმა თანდათან მატულობდა, უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

ოტია მივარდა კარებთან და გაიხედა, უნდოდა გაეგო, თუ საიდან მოდიოდა ხმა; იქვე დაყრუბული იყვნენ რძალ-დედამთილიც.

— ლევანისასაა ეს ხმა ანა და ომანისას!—წამოიძახა ცოტა ხნის შემდეგ ოტიამ.

— ბავში თუ მოუკვდა ომანს! უსათუოდ!.. კი, კი უსათუოდ ასე იქნება!—წამოიძახა ამაზე ეკვირინემ.

— კი მარა, შეცხადებას რომ არ გავს!—სთქვა ოტიამ.— ეს რალაც სხვა ამბავია... უცნაური ამბავი უყურეთ, უყურეთ!... ყაბალახი მომი, დედა!... წავალ ერთი გვევიგებ მიინც, რა არის!...

— გეიგე, გეიგე, შენი ჭირიმე!.. აჰა, შეიხვეი კარგათ, ყუ-  
რებზე არ შეგცივდეს... ჩოხა შემოიხვიე კარგათ, კარგათ... სი-  
ცივემ არ შემოგკრას, ცეცხლთან ნაჯდომი ხარ!..—უკან უყ-  
ვიროდა ეკვირინე ოტიას, რომელმაც თავზე მოიხვია ყაბალა-  
ხი, ამოიკრა ჩოხის კალაები და, რამდენადაც ეხერხებოდა, მუხ-  
ლებამდინ თოვლში ზევითკენ გაეჩქარა, თავის ბიძებისაკენ, სა-  
იდანაც ხმა ისმოდა.

ხმაურობა სწორედ ომან ქამუშაძის შვილის გამო იყო  
ატეხილი. დილიდან ბავშვი ცუდად შექმნილი, სადილობის  
ხანს უკანასკნელ მდგომარეობაში ჩაეარდა და გამწარებულმა  
მისმა მშობელმა, სისხლ-მორეულმა უცბად დაავლო ხელი უშ-  
ველებელ კეტს და ერთის დამუქრებით და ქადილით გადა-  
ეარდა იმისკენ, ვისაც ბრალს სდებდა შვილის სიკვდილზე  
მიყენებაში.

ეფროსინემ, ბედად, თვალი მოჰკრა კეტით, თოვლში მო-  
ბაჯაჯგუნე, თავშიშველა, თმა-გაბურძგენილ მაზლს და მიხვდა,  
რომ იგი მასთან მორბოდა გაბრაზებული, მიხურა ისევ კარი  
და შიგნიდან გადარაზა.

— სად დამემალეები, სად?—შორიდან მიაყვირა ომანმა,—  
სად გამექცევი, შე წყეულო, შე არა-წმინდავ... შე კუდიანო,  
უღვთო, ურჯულო, შეჩვენებულო! მოგკალი ეს-ეს არის, ოუ-  
შვი... თავი გაანებე ბავშვს, თუ არა, ეს არის გავათავე, იცო-  
დე! არ გესმის, შენ ეი!... ეი!—საზარელი ხმით შეჰყვირა გამხე-  
ცებულმა კაცმა სახლთან რომ მივიდა,—და რაც ღონე ჰქონ-  
და, კარებს დაუშინა კეტი.

— ურჯულო!... ურჯულო! ოუშვი-მეთქი, ნუ მიკლავ  
შვილს, ნუ მიკლავ შვილს, მითქვამს შენთვის, თავი გაანებე,  
თვარა ეს არის გავაცხებიანე სული!... ეი, ეი! მალე, მალე, მა-  
ლე!—და ამ თავზარდამცემ ღრიალთან იგი ისევ უმოწყალოდ  
სცემდა კეტს, რომ ჩაემტვრია კარები და ხელში ეგდო მისი  
გამამწარებელი დედაკაცი.



შიგნიდან არავითარი ხმა არ ისმოდა, თითქო სახლში არავინ იყო. ომანი ისევ ღრიალობდა უცნაური ხმით, ისევ ცდილობდა კარების ჩაბტვრევას. მოირბინეს მისმა ორმა ქალიშვილებმაც და მამასთან ერთად ახლა ესენიც გაჰკიოდნენ კარებთან და უყვიროდნენ ვფროსინეს, მომაკვდავი ბავშვი აეშვა და სიცოცხლე დაებრუნებინა მისთვის.

ხმაურობაზე მოირბინა ორიოდვე გლენბაც, რომელნიც შეეცადნენ ვითომ ომანის შეწყნარებას, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს ვერც კაცთან და ვერც ქალებთან.

— მოითმინე, ომან, მოითმინე, ღვთის გულისთვის! — ეხვეწებოდნენ და აწყნარებდნენ გააფთრებულ ომანს გლენბები.

— გარეთ გამოეთრას მაგ კუდიანი! თვალით დამენახოს მაგ ურჯულო, თვალთ დამენახოს!

— ოუშვას, ოუშვას, კოწია ოუშვას!... ნუ კლავს! — ჰყვიროდნენ ქალიშვილები.

— რა ვუქენით საამისო მაგ არა-წმინდას, ასე კბილი რომ ჩაასვა საწყალს ბავშვს!... ლაპარაკი ვის არ მოსვლია მეზობლობაში?.. მოვკლავ, მოვკლავ, ამ წუთში მოვკლავ, ჩემს ცოდვაში ფეხს ნუ იდგამს!.. სად მემალება? სად მემალება მაგ დაწყევლილი, სად?... სად? სა-ა-ად! — და ომანმა ისევ დაუშინა კეტი კარებს, ისე რომ ფიცრების ნატკეჩები აქეთ-იქით იფინებოდა.

ამ დროს ოტიამაც მოასწრო. რა თვალი მოჰკრა, რაც ლევანის კარებთან ხდებოდა, იგი გამოიქცა, რამდენადაც შეიძლო გამოჩქარება თოვლში, მოვარდა გადმოხურულში და ბიძას მიადახა მწყრალოდ.

— რა ამბავია?! რას შვრებით ამას ხომ არ გადარეულხართ, ხომ არ გაგიყებულხართ, მითხარით ერთი?! — მისწი-მოსწია ქალიშვილებს და მიეფარა კარებს.

— იქით!.. იქით!.. ჩამომეცალე, — შეჰყვირა ომანმა, — იქით, თვარა შენც მიგაჰყლეთ მანდვე... გამეცალე!.. მითქვამს შენთვის!

— სად გაგეცალო?.. ადამიანს მოკვლას უპირებ და გაგეცალო?!

— თავი გამანებე-მეთქი!.. თავი, თავი!..

მაგრამ ოტია ეცა ხელში და კეტის წართმევა მოინდომა. მაშინ ქალიშვილები მიაფრინდნენ მას; რამოდენიმე გლახიცი ჩაერია ამათში და იმათაც მოუნდომეს ომანს დახელდაცალიერება. შეიქმნა ერთი ყვირილი, ჯიგლიგი.

— ეფროსინე, ეფროსინე!— მივიდა კარებთან მოხუცებული გლახი— გამოიხედე ერთი... ერთი სიტყვა მაინც თქვი, დალოცვილო, კაცი დაამშვიდო ეგებ! არ გესმის?!.. ნუ გეშინია, აგერ ვართ ამდენი ხალხი!..

რამოდენისამე განმეორების შემდეგ, რომლის განმავლობაში დანარჩენები ისევ ომანთან ძიგლიგში იყვნენ, კარი გაიღო და გამოჩნდა მიწის ფერ-გადაკრული ეფროსინე.

— რა გინდათ!? — გადმოიძახა ერთი დონჯებ შემოყრილმა წელში გამართვით ლევანმა. — რა გინდათ?! — შეუყვირა წყრომით და მეტის ჯავრისაგან ათრთოლებული სიტყვას რომ ველარ ახერხებდა, შერჩა ერთ ადგილას გაქვავებულივით.

— გამიშვით! — დაიღრიალა ომანმა. — გამიშვით, დამალევით მაგის სისხლი... მაგისი!.. ნუ მიკლავ, შე არა-წმინდავ, შვილს, ნუ, ნუ, არ გესმის, შე უღვთო!? ა, არა?! — მიაყვირა მებრძოლმა ომანმა, რომელსაც ვერას გზით ვერ მოუხერხეს კეტის ხელიდან გამოგლეჯა. ქალიშვილებმაც მოინდომეს კარებისკენ გაწევა, რომ სცემოდნენ ეფროსინეს, მაგრამ ორმა გლახმა გზა გადუღობეს და აღარ მიუშვეს და შორიდან ქაქანებდნენ.

— გაანებე თავი, ეფროსინე... თუ მართლა შენგან არის, შენი მიზეზითაა ის ბაეში, მიუტოვე, აპატივე, ნუ ჩადგამ ფეხს ცოდვაში... რაც რომ იყვეს, თქვენი სისხლ-ხორცია მაინც... — მიმართა მოხუცებულმა გლახმა.

— მომკალით, მომკალით ახლავე!.. — შეჭყვირა ეფროსინემ.

— გაანთავისუფლე!.. იმხელა ოჯახს ორი ვაჟის მეტი არ ყავს!.. მუშა ხელს ნუ მოაკლებ, ეფროსინე!.. თუ შენითაა!... ოჟუფი!

— ოჟუფი, ეფროსინე, თუ რამე შენგანაა!.. ნუ შერევი მაგას!—მიადახა კიდევ ერთმა-ორმა გლეხმა.

ეფროსინემ გადმოაბიჯა ზღურბლზე, ალაპურო ხელები მალლა ზეცისკენ და გამწარებით შესძახა:

— შენ მოჰკითხე, შენ მოჰკითხე, ჩემო გამჩენო, პასუხი, შენ მოჰკითხე პასუხი, ვინც მე ათასნაირ უბედურებასა და უცნაურობას მახვევდეს და მიგონებდეს, შენ მოჰკითხე...

ღალადი არ გაეთავებინა მას, რომ ეზოში ლობიდან გადმოვარდა პატარა გოგო და თოვლშიც ეფლებოდა და თან გაჰკიოდა:

— მამა, კოწია მოკვდა, კოწია მოკვდა... მამა! მოკვდა კოწია!..

ამის გაგონებაზე ერთი წუთით ყოველივე მიწყნარდა, მიყუჩდა.

— მოკვდა კოწია, მამა!—წამოადახა ხელ-ახლავ თოვლიდან წამომდგარმა გოგომ და ახლა ქალიშვილებმა ერთი უცნაური ხმით შეჰკვივლეს და ომანიც შეინძრა ისეთის ტონით, რომ ყველანი აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარა და ეფროსინესაკენ ისკუპა.

ამ უკანასკნელმა გაქცევა დააპირა, შევარდა თოვლში, მაგრამ ცალკე თოვლი არ უშვებდა, ცალკე კაბაც ეხვეოდა, ფეხებში; ათიოდე ნაბიჯი კი მოასწრო გადაედგა, რომ იქვე ჩაიკეცა, წაიქცა და ამავე დროს მიწეულ გაბოროტებული, გააფთრებული ომანისაგან მოქნეული კეტი მარჯვენა ბეჭზე მძიმედ დაეშვა. ერთი კი შეჰსწივლა საცოდავმა და თავი ჩაჰყო თოვლში.

— მოჰკლა, მოჰკლა!—ერთხმად წამოიკვივლეს ეკვირინემ და სონიამ, რომელთ გულმა ველარ მოუთმინათ ოტიას დაბ-

რუნებამდინ ამბის გაუგებლობა, ხმაურობას ამოჰყვენ და ის იყო ლევანის ეზოში შემოვიდნენ.

ომანმა ისევ მოიქნია თავით თოვლში ჩაფლული კეტი, ისევ უნდოდა მეორედ დაერტყა გრძნობა-მიხდილ მოხუცებულისათვის და კიდევაც უსათუოდ იქვე გაათავებდა, რომ ისევ ოტიას არ ემარჯვნა და ხელებში არ სტაცებოდა ბიძას და ორიოდ გლახის დახმარებით არ წაერთმიათ კეტი მისთვის.

ახლა ომანმა დაიწყო ყვირილი და გინება უშვერის სიტყვებით, ისევ მუქარა და თან ტიროდა შვილს ცხარე ცრემლებით. ქალიშვილები ქაქანით და მოთქმით გაემართნენ ეზოდან. ცოცხალ-მკვდარი ეფროსინე ამოიღეს თოვლიდან და წაიღეს სახლისაკენ.

— ომან, სულის წაწყმენდა მეინდომე?!... ღმერთის აღარ გეშინია?!... — და მივიდა ომანთან ეკვირინე.

— საწყალი ბიცოლა! — ტირილში ამოსკდა გულიდან სონიას.

— მაგია საწყალი, მაგი, მაგი შეჩვენებული?! — დაიყვირა ომანმა, — მაგია საწყალი?!... ოჰმე, ოჰმე... ცოცხალია კიდევ? ვერ მოვკალი, ვერა? მაგი უნდა შეიბრალოს ქრისტიანმა?!... რა მიქნა, რა მიქნა?!... ვაიმე შვილო, შვილო, შენი ქარიმე! შენ რა აწყენიე შე უბედურო, შენგნით რა შეხვდა, რომ ასე შოგისპო დღე!... წამოდი, წამოდი, შენი ქარიმე, რა შვილს გამომათხოვა, რა საიმედო შვილს გამაშორა მაგ ურჯულომ, შაგან!... სად წამივა, რითი გადამირჩება, სით მიპირობს გაქცევას, სით?!... — მან მოჰკიდა ხელი სონიას და გასწია თავის სახლისკენ.

შესაბრალისი შესახედავი იყო ეს მართლა დათვის მსგავსი უშველებელი კაცი, ბავშვივით რომ ღრიალობდა და მოსაქვამდა. სონია მორჩილად მიჰყვებოდა და უკან ეკვირინეც მისდევდათ და რამოდენიმე გრესთავანიც. ოტია და ორიოდ სხვა ეფროსინესთან დარჩნენ.

ომანის სახლიდან ერთი ზრიალი მოისმოდა. ამათ მის-  
ვლაზედ ღრიალმა კიდევ იმატა.

ცეცხლის პირას სკამ-ლოგინზედ მდებარე ახლად მიცვა-  
ლებულ ათი-თორმეტი წლის ბავშვს გარს შემოსეოდნენ დე-  
და და დები და გულშემზარაფი ხმით დაჰკიოდნენ და დას-  
წიოდნენ თავს. ამათ ზრიალს ახლად მოსულების ტირილიც  
შეემატა კიდევ.

— ადექი, ადექი, შვილო!... შენი ჯერეთ გაუცნობელი  
რძალი მოგივიდა, ხმა გეეცი, შე უბედურო! ხმა გეეცი, შვი-  
ლო!... ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, აღარაფერი ესმის, აღარაფერი!—  
შეჰყვირა გამწარებულმა დედაშ და თავს ურტყამდა გაციფე-  
ბულ გვამს.

სონიამაც და ეკვირინემაც მიუტირეს ჭირისუფალოთ, ცო-  
ტა ხანს დარჩნენ და შინისკენ გაბრუნდნენ. გზაში კიდევ კარგა  
ხანს ესმოდათ ტირილის ხმა.

— რა საცოდავად ყოფილა, ბეჩა, ეს უბედური ომანი!—  
შისდა უნებურად წაშოიძახა სონიამ.

— საცოდავად არიან აბა!.. მარა მაინც არ წყნარდებიან,  
ყოველთვის ერთს შფოთსა და უბედურებაში არიან! ვერაფერ-  
მა ვერ დაამშვიდა... ვერც სიღარიბემ და ვერც სიღატაკემ...  
ესევე ეგებ სიმდიდრეში შველებოდათ რამე, მარა მდიდარი არც  
წინად ყოფილან და აწი რაღა უბედურებამ უნდა გაამდიდ-  
როს!...

ეს დაცინებასავით ნათქვამი ეკვირინესაგან უსიამოვ-  
ნოდ მოხვდა სონიას გულზედ და ლაპარაკი ეფროსინეზე გადა-  
იტანა.

— ამ უბედურ ბიკოლა ეფროსინეს რაღას ერჩოდნენ,  
მისი რა ბრალია საწყლისი? რა შეუძლია საცოდაეს, რომ ში-  
ხით ან მოკვდეს ან გაცოცხლდეს ადამიანი!... ღმერთო ჩემო!

ეს უგუნურობაა, სხვა მეტი არაფერი! — სთქვა გულ აჩვილებულმა სონიამ.

— ვინ იცის, შეილო, ვინ იცის!.. რაფარც კი არ გითხარი, ათასნაირ უბედურებას სწამებენ მაგ შავდღეზედ გაჩენილს და მაგ, კერპი, გაუტყეხელი, მაინც არაფერს არ ერიდება და არ იშლის!.. მაინც მკითხაობს, რაღაც წამლებს არიგებს, ვის რას არ ელაპარაკება, რათი არ აშინებს ზოგიერთებს. შეიძლება ყოარიფელი ტყვილიც იყოს, განგებ სჩადიოდეს, რომ ხან რამე იშოვოს, ხან ვინმე შეაშინოს და მორიდებაში იყოლოს, ხაწყენი მისთვის ვერ გაუბედნია — შეიძლება ასედაც იყოს; მარა მთლად სოფელს ისე აქვს ჩაგონებული მაგისი ამბავი, რომ ველარაის ათქმევინებ, თუ ყოლიფერი, რასაც კი მაგაზედ არ ამბობენ, თუ მართალი არაა!.. თავის თავს დააბრალოს! ხომ ნახე რა დღე დააყენეს!! ყოლიფელი თავისთავს დააბრალოს! შენ კარგათ მყავდე და მაგათ თავი უტეხიათ, ერთმანერთიც ამოუწყვეტიათ... წყდებიან ხომ მაინც! ღმერთო, ნუ მიწყენ და იმ ბავშვის სიკვდილი, კაცმა რომ სთქვას, მადლიცაა — რაცხოვრება მოელოდა საწყალს, რომ გაზრდილიყო... იმდენს სულში, რაც იმ ოჯახშია, რა უნდა რგებოდა მას, რა შეხვდებოდა საწილოში!! მადლიცაა, ცხონდა ჩემი სული, მადლიცაა, რომ ასე უმანკოდ გაშორდა ამ სოფელს — სასუფეველი მაინც არ დაეკარგება მის ანგელოზათ წარსულს სულს, თვარა რომ დაცლოდა და გაზრდილიყო, ვინ იცის, რა გზას დაადგებოდა, სიღარიბე და შიმშილი კუქს გოუხურებდა! ცოტაა ამის მაგალითები ახლა ჩვენში?!

სონია, რომელიც ძლივს აღგამდა ფეხს თოვლში და სიცივისაგან კანკალობდა, ამ გვარმა ეკვირინეს ლაპარაკმა სრულიად მოჰლალა, მოჰქანცა და განძრევის ღონე წაართვა; გულდაღონებულმა სიარული ველარ შეიძლო და ბოლოს კადევაც შესდგა და ერთი ღრმად ამოისუნთქა. ამ მოხუცებულმა ქალმა თავისი წინ — დაუხედავი ლაპარაკით, მისგან ამ ბოლოს ნათქვამით ყმაწვილ ქალს საკუთარ მდგომარეობას აგონებდა და



მისი შეხედულებით, მისი დაკვირვებით ეს მდგომარეობა ბევრით ვერაფრით განირჩეოდა სხვების მდგომარეობისაგან, რომელზედაც ისე უყვარდა შებრალებით ლაპარაკი ეკვირინეს. სონია თავის თავს ხედავდა იმნაირსავე ყოფაში, რაწაირშიც, ეკვირინეს სიტყვით, მისი ქმრის ნათესავები და მეზობლები იყენენ; თავზარდაცემული, შიშ შეპყრობილი სონია განძრევასაც ვეღარ ახერხებდა; გონება ეკარგებოდა, სიცივისაგან სხეული უცახცახებდა და გული უწუხდა უნუგეშო მომავალის წარმოდგენით. ამგვარ ყოფაში მოუსვენრად იმეორებდა:

— აბა რაღა ვქნა?!... რაღა ვქნა?!... რაღა ვქნათ, ღმერთო, ღმერთო!...—მას სრულიად მოესპო განძრევის ღონე.

— გამოიარე, გამოიარე, შენ გენაცვალე!... გამოიარე, ნუღა შეჩერდები, თვარა ეს სიცივე უარესად შეგაწუხებს კიდევ!... უიმე, რაღა კანკალობ, შენი ჭირი შემეყაროს!... მოერიე თავს და მალე თბილ ცეცხლთან ისევ გამობრუნდები!... ნეტავი სულაც არ წამომეყვანე... კისერი უტეხიათ მაგათ—შენ რა გასარევი ხარ მაგათში, რომ თავი მაგათ ამბით შეიწუხო!... ა, შენ დებიბჯგე ეს ჯოხი, გზას გაგაადვილებს!... ა, შენი ჭირიმე!—და კვირინემ ხელში რომ გრძელი ჯოხიჭქონდა, სონიას გარდასცა.

თბილმა ცეცხლმა სიცივე დააფიწყებინა სონიას მართალია, მაგრამ წარსული და გაგონილი ზედ დაერთვნენ წინანდელ განაგონთ და ნანახ უხალისო სურათებს და ამ კარჩაკეტილ სოფლის ზამთრულ ცხოვრებაში მუდამ მის გონებას ეხვეოდნენ, მასთან განუშორებლად იყვნენ, ესეოდნენ და თითქო მისი ჟინი სჭირვებოდათ, უცნაურად იზღებოდნენ, ისეთ გვარად განიერდებოდნენ, იმგვარად უხატავდნენ ყოველიფერს, მის გარშემო რაც რომ იყო, რომ მათგან დაჩაგრულს გული უკვდებოდა და სული ეხუთებოდა. მასში იღვიძებდა შიში აქაურ ცხოვრების წინაშე; და ყოველსავე ამას ხელს უწყობდა ეს მოსაწყენარი, დამტანჯველი, სოფლის კაცისათვის დამატყვევებელი, კარის ჩამკეტავი, ქვეყანას გამაშორებელი

სოფლის ზამთარი, რომელიც არა თუ სონიას, შეჩვეულ-  
 ეკვირინესათვისაც და ოტიასათვისაც, მძიმე ასატანი ხდებო-  
 და, შემაწუხებელი, რომლის მალე დათავებას თავმოებზრე-  
 ბულნი, ცეცხლის პირას გდებულნი, დღე მუდამ ღმერთს შეს-  
 თხოვდნენ.

დავ. კლდიაშვილი

(დასასრული იქნება)

## «ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!...»

### I

„...—იცი, ჩემო მეგობარო,—დაიწყო ერასტიმ,—როდესაც ჩვენ შენზევეით შევხვდით კარგა ხნით უნახავები და ერთმანეთს ავ-კარგი გამოვკითხეთ: „ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ უთქვამთ ჩემ მშობლებს და ნათესავებს, სხვებსაც: „ღმერთმა გაგაბედნიეროსო“, და მეც გულში მსამოვნებია... ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ სმის დროს საესე ჭიქით მოუპართავთ ჩემთვის და უთქვამთ, შენც კი რამდენჯერმე გითქვამს: „შენ საბედლოს გაუმარჯოსო“!.. გამხარებია და გულის თანკვლით თვალ-ყური მიდევნებია; ვინ გამოსცლიდა საესე ჭიქას ამ სადღეგრძელოს დროს და ვინ არა. რა სიამოვნებით გიახლებოდი სამადლობელს მის მაგიერად!.. გაბედნიერება ჩვენში, ხომ იცი, რასაც მოასწავებს?! მეც აგრევე მეგონა. მოუთმენლად ველოდი, როდის იჩენდა თავს ჩემი საბედო, რომ გაბედნიერებულვიყავ. აკი, ერთხელ, ამ სამი წლის წინად შევხვდი ერთ ასულს, რომელიც პირველ გაცნობაზედვე თვალში მომივიდა. ერთი ორჯერ კიდევ ვნახე და უფრო მომეწონა. მოწონება სარჩულად სიყვარულს ედება ხოლმე, და მეც ასე დამემართა. მშვიდი, წყნარი, გულ-კეთილი და ამასთან ძარილიანიც. კაცი ვერ იტყოდა, გასაგიჟებელი სილამაზისაო, და ვერც წინააღმდეგს, ესე იგი, ულამაზოაო. მოკლედ რომ გითხრა, ჩვენი დროის სილამაზისა იყო. მაგრამ გარეგნობას ვინ აქცევდა ყურადღებას?!... სული, სული და სული!... აი, ჩემო ელიზბარ, რამ წარმიტაცა. კრავი იყო, კრავი...»

„... ასაკში მოსულმა, საცოლედ ყელ-მოღერებულმა უსტრუცვოდ წამოვიძახე: „აი, ჩემი საბედო-მეთქი“ და საბედო ბედათაც გარდავაქციე. ჩქარა მისი მშობლები გავიცანი და ჩქარაც ყოველივე ჩემი გარდაწყვეტილება მათ გავაგებინე. უფრო ჩქარა მე და ჩემი ელისაბედი დაცოლქმარებულნი ამავე დღეს ჩემ მამა-პაპეულ მამულში გავემგზავრეთ...“

„... ქ. ქუთაისში რომ ვყოფილიყავ და იქაური ქალი მეთხოვნა, ჯვარის დაწერამდის უკვე ყოველისფერი მეცოდინებოდა უსახელო წერილებით ჩემი მიჯნურის შესახებ. მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ყოველივე ეს ტფილისში მოხდა და მეც სწორედ ტფილისისებურად ფილოსოფიურად ხელი ჩავიქნიე და არც კი ვაგრძნობინე, თუ ყოველივე შევიტყე. „იქნება უმგზავს, საზიზღარ არსების მსხვერპლია და, ნუ თუ—მე ვფიქრობდი მაშინ.— ამისთვის უსაბედო მსხვერპლს ხელი უნდა ვკრა?...“ არც ის ჩაეთვლება დანაშაულად, რომ ჯვარის წერამდის არა მითხრა-რა, რადგანაც ჩემი ელისაბედი მეტის-მეტად კდემით მოსილია და ვერ გამიბედავდა-მეთქი... მაგრამ, წარმოიდგინე, ჩემო ელიზბარ, ამ ჩემ ფილოსოფიურ ხელის ჩაქნევას არა ფილოსოფიური შედეგი მოჰყვა...“

„მე ხომ არაფერი ვაგრძნობინე სამაგიეროდ, ალერსს უფრო ვუმატე, მაგრამ ჩემი ელისაბედი, ეს კრავი, წყნარი და მშვიდი ზღარბად გარდიქცა: რამდენადაც ალერსს ვუმატებდი, ის უფრო ეკალს უშვებდა და მაშინებდა მასთან მიახლოვება...“

## II

„... ჩემო ელიზბარ, ნურას დროს ნუ გეგონება, ვითომც გასათხოვარი ქალის ხასიათი გაიგევი. ქალის ხასიათს მხოლოდ მაშინ გაიგებ, როდესაც ცოლად შეირთავ. მეც მეგონა, ელისაბედს კარგად ვიცნობ-მეთქი; მაგრამ, როდესაც მასთან საშუღამო კავშირით შევევრთდი, მხოლოდ მაშინ ვიცანი ნამდვილი ელისაბედი, მხოლოდ მაშინ შევიტყე, რაც იყო ნამდვილად ელისაბედი, რა ხასიათების პატრონიც იგი იყო...“

„დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას და მე და ელისაბედი კიდევ ერთმანერთში სიძულვილეს ეუმატებდით. მაგრამ, არა, არა!... მხოლოდ ელისაბედი უმატებდა. ძმობას გეფიცები, ელიზბარ, ჩემ მხრივ არავითარი მიზეზი არ იყო, რომ ელისაბედი ისე მომქცევოდა. რა ვიცი, თუ ალერსი და სიყვარული სიძულვილს დაჰბადავს, მაშინ მეც დამნაშავე ვყოფილვარ! მეტი დანაშაულობა მის წინ არა მიმიძღვის-რა. ნეტავი ეთქვა ჩემთვის, რა მიზეზით შემიძულა პირველი დღიდანვე და, ვფიცავ ყოველივე სიწმიდეს, თუ კი რაიმე სიწმიდე არსებობს კაცობრიობაში, მე მყისვე, თუ კი ჩემ ხელთ იქმნებოდა, მოვსჯობდი. მაგრამ მე ჩემი ვქმენ და იმან თავისი და არ მითხრა ყოველ ჩემ კითხვაზე, თუ რაა მიზეზი, რომ მაგრე მექცევოდა. ის მოკლედ მიპასუხებდა: „თავიდან მომშორდი!.. რას ჩამციბიხარ“-ო. რა უნდა მეთქვა?! მეც გაჩუმებული, გულ-ჩაწყვეტილი ვშორდებოდი და სასოწარკვეთილი... მეგობარო, მაშინ უნდა გენახევი, რომ ჩემი მწუხარება ამოგეკითხნა, შემომეჩიეღნა შენთვის. ეხლა კი იმდენად არც ენა მიჭრის და, თუნდაც ენა მიჭრიდეს, აღარც ის გრძობა ექმნება, რომ მოგიყვე. წარსული ვაება ყოველთვის ცოტათი გაქარწყლებულია ხოლმე შემდეგში. ამისთვის წარსული ჩემი ტანჯვის აღწერვით არ შეგაწუხებ... მაგრამ, ჩემო ელიზბარ, იქნება ჩემი მოთხოვრებით თავი შეგაწყინე?!—უეცრივ შესწყითა სიტყვა და საშინელის მოწყენილის სახით დამეკითხა:

—ერასტი, თუ მაგრე გგონია, შეწყვიტე შენი მოთხოვრა!..—გულწრფელად ვუპასუხე ერასტის.

მე და ერასტი ერთად შევიზარდენით ბავშობიდანვე, თითქმის ერთადვე დავამთავრეთ სწავლა უცხოეთში და ამ დროის განმავლობას ყოველთვის მეგობრებად ვითვლებოდით. მხოლოდ სწავლის დამთავრების შემდეგ დავშორდით ერთმანეთს და ერთმანეთისა აღარა ვიცოდით-რა.

ეხლა რამდენიმე წლის დაშორების შემდეგ შეეხვდით და, ნუ თუ მე გულმოდგინედ არ მოვისმენდი ჩემი ძველი მეგობრის თავ-გადასავალს?!



ეს შემატყო ერასტიმ და თითქმის ბოდინის მოხდით ვა-  
ნაგრძობ: „ჰო, იმას გეუბნებოდი: მთელი წელიწადი გავიდა  
ჩვენი დაქორწინების შემდეგ და მე მაინც ვერ შევიტყე მიზე-  
ზი იმის სიძულვილისა. რაღა დამრჩენოდა?! დავმორჩილდი  
ჩემ ბედს და, ხშირად რომ თვალში არ წაფხიროდი და სი-  
ძულვილი უფრო არ გამემწვაებინა, ვარჩიე იშვიათად შევ-  
ხვედროდი. გადაეწყვიტე და კიდევაც ამ გარდაწყვეტილების  
განხორციელებას შევუდექი: მთელი კვირაობით და ორ კვი-  
რაობით თოფით ხელში ტყეს და ველს ვაძლევდი თავს. ნუ-  
ღარ მკითხავ, რანაირი ცხოვრება მქონდა ნადირობის დროს?!  
არ დაიჯერებ, ელიზბარ, ორი წლის განმამავლობაში არც  
ერთხელ თოფი არ მისროლია ნადირისათვის. სანადიროდ დავ-  
დიოდი და ნადირს კი არ ვეძებდი, ელისაბედის განშორებას...

„კვირაში, თუ ორ კვირაში ერთხელ ვბრუნდებოდი სახლ-  
ში და...

— ოხ, მონადირეს გაუმარჯოს! ნანადირევისათვის ურე-  
მი გავგზავნოთ?! — ზიზღით მომესალმებოდა ხოლმე ელისაბედი...

„მე ხმა გაკმენდილი შევდიოდი ჩემ ოთახში და თავრეტ  
დასხმული ძალღვივით მივეგდებოდი. ან კი რა უნდა მეპასუხ-  
ნა?! ეხლაც რომ დავუფიქრდები და ჩემ თავს ვეკითხები: „რა  
უნდა მეპასუხნა იმისთვის“, პასუხი ვერ მომიძებნია...

„სულ გადვიკარგებოდი საღამე, მაგრამ, ეს ოხერი ჩვენი  
ცხოვრება, ჩვენი ჩვეულება მაყენებდა... თითონ მეც, მართა-  
ლი გითხრა, არ მინდოდა მამა-პაპის ოჯახის, ძველი ჩვენი ოჯა-  
ხის სანთელი გამექრო. მხოლოდ ეს მიკავებდა, და ნადირო-  
ბიდანაც კვირაში, თუ ორ კვირაში ერთი-ორი დღით ვბრუნ-  
დებოდი სახლში, რომ ბიჭებისთვის რაიმე განკარგულება მი-  
მეცა. ცხოვრება საჭირო იყო...

„ხომ იცი ჩემო ელიზბარ, ყოველთვის წინააღმდეგი ვი-  
ყავი მოხელედ ყოფნისა. მეტის-მეტ შეცდომად ვთვლიდით და  
ვთვლი, თუ კი ცოტაოდენი მამული ვისმეს აქვს, მოხელედ შე-  
ვიდეს. ამ აზრისა ვიყავი და კიდევაც ასე ვიტყვოდი. მამა-პაპათ  
დამიტოვეს კარგა მამული, მომცეს შესაფერი სწავლა და ჩემ

მხრივ დიდი ცოდვა იქმნებოდა აქეთ-იქით მერბინა, არ მომეველო ამ მამა პაპეულისთვის და ჩემი ცოდნა მოძმესათვის არ გამეზიარებინა: ვიმეორებ, მხოლოდ ეს მიჭერდა და არ გადვიკარგე. ერთ ლუკმა პურს ყველგან ვიშოვნინდი საზრდოდ. მინდოდა პირ-ნათლად გამოვსულვიყავ ჩემ წინაპრებთან და ღირსეულად გადამეცა...

ერასტი საშინლად დაიქმუხვნა. ეტყობოდა, რაღაც მწარე აზრი, საშინლად მწვაფი მოაგონდა. მე გაჩუმებული თვალს ვადევნებდი მის სახის ცვლილებას...

„...ჰო, ჰო, გარდავცემდი და კიდევაც გარდავცემ.—ცოტათი სახე დამშვიდებულმა განაგრძო:—მაგრამ... ელიზბარ, ელიზბარ!... თვალ-ცრემლიანი ერასტი ნიდაყვით მაგიდას დაეყრდნო და ნაწყვეტად განაგრძო: კარგი რამ არის, ელიზბარ, როდესაც... პატარა არსება... შენი სისხლი და ხორცი... ჰო!..—თავი შეარჩია, თითქოს აზრების დალაგება უნდაო, წელში გაიმართა და პირდაპირ მზერა დამიწყო.

„სისულელეა ამაზედ ფიქრი—რამოდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ერასტიმ:—მე იმას ვწუხნდი, რომ შეილი არ მყვანდა. ენატრობდი, რომ შეილი გყყოლოდა. იქმნება მაშინ ელისაბედი სხვანაირად მოქცეულიყო. დამტკობოდა...“

„ყოველთვის სამწუხაროდ მიმაჩნდა და მიმაჩნია, რადესაც ახალგაზდა კვდება, ქალია ეგ, თუ კაცი, სულ ერთია, რომელთაც თავიანთ მგზავსი ამ ქვეყნად არ დასტოვეს. და არას დროს არ შემებრალებია და არც შემებრალება ის, გინდაც სულ ახალგაზდა იყვეს, რომელსაც შეილი ეყოლა, და თავის მაგიერი დასტოვა ამ ქვეყნად. თითქოს მაშინ ცხოვრებას მეტი აზრი ეძლევა, ცხოვრება შენი, როგორც მამისა, მიზნიანდება... მაგრამ ამას ძალიან შორს მოვეკიდე, და ამის გაყოლა ჩემ ამბავს გაუთავებელს გაჭხდის...“

„ასე იყო, თუ ისე, მე ვერც შეილით გავიხარე.—დაიწყო ერასტიმ რამდენისაზე წამის სიჩუმის შემდეგ:—სამი წელიწადი ვიცხოვრე იმასთან, და, არ დაიჯერებ, სამჯერ რიგიანად, ტკბილად არ შემოუხედნია. ნეტავი შენა, ელიზბარ, რომ ჯერ ცოლი არ შეგიერთავს და...“

— მოიცა, ბიძიავ, — სიტყვა გავაწყვეტინე ცოტა არ იყოს წყრომით: — შენი ელისაბედი ხორც-შესხმული ტარტაროზი ყოფილა და რატომ გგონია, ყველა ქალები ელისაბედს ემგზავსებიან?!. ელისაბედისთანა ქალები ძალიან იშვიათნი არიან და სწორედ მებრალეები, რომ შენ შეგხვედრია ელისაბედი...

— ღმერთმა ნუ ჰქმნას, ყველა ქალი ელისაბედს ემგზავსებოდეს!.. მაგრამ არც ისე ცოტანი არიან, როგორც შენ გგონია.

— სწორედ, შენი ელისაბედისთანას არ შეგხვედრივარ და არცა მგონია, შევხვდე.

— აკი წედან ვთქვი: „ქალის ხასიათებს მხოლოდ ქმარი გაიცნობს“ — მეთქი. შენ ჯერ ქმარი არა ჰყოფილხარ და ამისთვის...

— თუ მე ქმარი არა ეყოფილვარ, სხვები ხომ არიან, სხვებს ვხედავ, როგორ ტკბილად ცხოვრობენ.

— ეჰ, ჩემო ელიზბარ, დავანებოთ ამას თავი. ერთს კი გეტყვი: ყველა ქმრებმა რომ ჩემსავით გულ-ახდით გაიბონ, იქნება ათასში ხუთიც არ იყოს კმაყოფილი თავის მეუღლისა.

მინდოდა მეწინააღმდეგნა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რადგანაც, ვშიშობდი, კამათი გაგვაბამს, და ერასტი ელისაბედის შესახებ აღარას მიაშობს...

### III

„...ხვალ, — ვფიქრობდი ველად გასული სანადიროდ: — სამი წელიწადი შესრულდება, რაც მე და ელისაბედი დავქორწილდით. ხვალინდელმა დღემ, იქმნება გაელენა იქონიოს და შემირიგდეს, თუმცა კი მე არას დროს არ გავწყრომივარ...“

„გადავწყვიტე დილა აღრიანად სახლში მისვლა, ელისაბედთან მოურიდებლივ მხიარულად მისალმება და ჩვენი ჯვარის წერის დღის მოგონება...“

„გადავწყვიტე და იმავე წამს სახლისკენ გამოვწიე.“



„ჩვენი სახლის ახლო, სულ ხუთი ვერსის მანძილზე მშვენიერი მთიანი ტყეა. ძალიან მიყვარდა და მიყვარს კიდევაც ეს ტყე. იგია ჩემი ბავშვობის ბედნიერი დღის მოწამე და დიდობის უბედურებისაც. ხშირად, ხშირად ტყის ბაასისთვის შემოერთებია უმწიკვლო ბავშვური კისკასი და დიდობისას გულის კვნესა! სწორედ ამ ტყის პირას გადავსწყვიტე ღამის თვეა და დილით შინ დაბრუნება...“

„ის იყო სულდგმულთ ხმაურობა მისწყდა და პირდაპირ მთის მწვერვალისკ ოდნავ გაშუქდა, რომ მე მივედი იმ ტყესთან და განაპირას მდგომ ას წლოვან ვერხვის ახლოს მწვანეზე გულ-აღმა დავწექი. თოფი გვერდით მოვიდე, ხელები თავ-ქვეშ ამოვიწყე და ჩემი გონება პირდაპირ მთის მწვერვალმა, რომელსაც თან-და-თან შუქი ეპარებოდა, ჩანოქა.“

„ნახი სინათლე ცაში გაფანტულ ღრუბლებს მიეშუქა და ააფერადა, ოდნავ მბჟუტავ აქა-იქა ვარსკვლავთ ბჭყვრიალება მოაკლდათ, და ჩქარა, სულ ჩქარა სხივიარობა დაჰკარგეს, როდესაც მთის წვერიდან მძიმედ ამოცურდა მთვარე და დედოფლურის ღიმილით არე-მარეს თვალი გადაავლ-გადმოავლო, რამაც ყოველივე გააოცნება და ააფრთოვანა, გარდა ვარსკვლავთა, რომელნიც შურის თვალით შორთ უჭკვრეტდნენ... ტყე ოდნავ ახმაურდა დედოფლის გამოჩენაზე და მიესალმა; მეც დედოფლის მისალმებასთან ერთად ჩემს ელისაბედსაც მივესალმე; გული გადუშალე და იმანაც სამაგიერო მომიწყო. ეს მისალმება დაედო ჩემს ოცნებას სარჩულად და მერე სად და როგორ მიმოვლო, რა ნეტარება გამოიარა, ამის ამოკითხვა შენთვის მომინდვია...“

„კარგია ხოლმე ხანდისხან ოცნებით გატაცება. ყოველივე ისე მოძრაობს, როგორც შენ გინდა, ვსურს და წამს გგონია, ვითომ სინამდვილეა; ვითომ ყოველივე იმას ოცნება კი არ ამოქმედებს, ცხოვრების ჩარხი და შენც სიამოვნების ოფლი გასველებს...“

„ჩემმა გონებამაც შემოთარგლა დიდი, დიდი წრე; ბევრგან, და თითქმის ყველგანაც, ისე შეუხამა მოქმედებანი, სა-

დაც ყოველთვის მე გამარჯვებული დაერჩი, ყოველივე ჩემ სასიამოვნოდ მოეწყო და ბოლოს საიდანაც დაიწყო, ელისაბედი დამისკუბა თვალ-წინ ყოველივე მისი ღირსებით, და მეც გონს მოვედი; უეცრივ ელისაბედის მაგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დამირბინა, და თვალი არემარეს მივაღწე-ღე, რომ გონებიდან არა სასიამოვნო სანამდვილე გამედგენა. არე-მარე ისევ ისე ფანტასტიური იყო: მთები ტყით შემოსილნი, თითქოს ერთი ერთმანეთისკენ მიივლტოდნენ სიყვარულით გადასახვევანად და ღელეებში ჩახვეულნი ტკბილად, ტკბილად ეაღერებოდნენ ერთმანეთს; აგერ, თითქოს მათე ტკბილი აღერსი კიდევაც მოისმის, მეტის-მეტე აღელვებისგან ხმა მიჰსუსტებიათ და ოდნავ ძლივსღა სისინობენ..

„ღედოფალი?!

„ღედოფალი კიდევ ცის შუა გულიდან დაჰყურებს და აცხოველებს მათ სიყვარულს; იგი თავის სხივებთან ერთად აწვე-თებს სიყვარულს, რომ არე-მარე მთლად სიყვარულად გარ-ღიქმნას, და მეც უბადრუკს, მომხვდა რამდენიმე წვეთი ღე-ღოფლისა და, ვაი, ცრემლად გადმოვაფრქვიე...

„მივიხედ-მოვიხედე და მარტოდ ვიგრძენ თავი. გეყურება, ელიზბარ, მარტოდ-მეთქი?! და ამ გარემოებამ ამიჩუყა გული, ჯერ ჩქარი სუნთქვა ამივარდა, მერე შემიდგა სულ სუნთქვა, და, როდესაც სუნთქვა დავიწყე, სუნთქვასთან ერთად ცრემ-ღია გადმომსკდა ნაკადულად...

„მაგრამ გონებამ ელისაბედი თავის მკაცრის სახით ისევ წინ წამომიყენა და უეცრივ ცრემლი გამიშრა. ეუმზერდი ეხლა ელისაბედს. თან და თან მისი მკაცრა სახე იფერებოდა; იგი ჩქარა დაიფერა და ვითა ეთერი თავს მევლებოდა. მეც გული მომეწმინდა. სიმწვავე, რომელმაც ცრემლი მადინა, გამიქარ-წყლდა, და ეთერთან ერთად ნაეარდობა დავიწყე...

IV

„ღმერთო ჩემო!—წაშოვიდახე გონება დაბნევით, როდესაც პირდაპირ მთის მწვერვალს თვალი მოვკარ, რომელსაც თან და თან შუქი ეპარებოდა: „მე კარგად მახსოვს ეს სურათი!—ვიცხადი უსიტყვოდ: ნუ თუ ჯერ... მაგრამ მთვარე ცის შუა გულში ვნახე და... აგერ ნაკლეჯი ღრუბლებიც!...ეგენიც...—წამოვჯექ და თვალი მივაფლ-მოვაფლე.“

„შემომესმა ტყიდან ვანუწყებტლივი დიადი ჟივილი ფრინ-ფელთა. მხოლოდ ამ ხმამ გამომარკვია, რომ უკვე თენდებოდა, და ჩემგნით ნანახი სურათი მთვარის ამოსვლა სინამდვილე იყო. ეხლა კი დიდებული ცის მნათობი ამოდიოდა... ხელმეორედ შივაფლ-მოვაფლე თვალი ცას და ვიგრძენ განსხვავება ფერებისა. რომლითაც დიდებული მნათობი აყვავებდა არე-მარეს.“

„მე ჩამძინებოდა, და ეს ამისთვის დამემართა.—მაგრამ, ელიზბარ, მგონი შენ კიდევაც მოიწყინე?!—უეცრად დამეკითხა ერასტი, და ისევ არც კი მაცალა ხმის ამოღება, თითონ განაგრძო: „ახლა ჩქარო მოფრჩხები ჩემ ამბავს; ბარემ სულ დაეთავებ, რაკი დაფიწყე“...“

— თუ ძმა ხარ, ნუ შეამოკლებ, ყველაფერი დაწვრილებით მიახბე!—შევევედრე მე.

„— რაც უნდა ძალიან გავაჭიანურო, ჩქარა ეღება ამ ამბავს ბოლო,..“

„ჰო!...—რამოდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ერასტი:—მას ვამბობდი. რამწამს გამოვერკვიე, ისაც მომავონდა, რა განზრახვითაც დაფუხლოვდო ჩემ სახლს, და მაშინვე შინისკენ გაემგზავრე...“

„სოფელში რომ შევედი და მეზობელი გლეხები სალამს მადღევდნენ, ცოტა არ იყოს მათმა ღიმილმა შემაფიქრიანა, და ჩემ იმედებს ცოტათი ფრთები შეაკვეცა... მივედი სახლში. მოჯამაგირეები და დედაკაციც იმავე ღიმილით დამხვდნენ. მე ვითომ მათ ღიმილს არ ვამჩნევ, პირდაპირ ჩემ ოთახისკენ წა-

ვედი. ელისაბედის ამ დროს შეხვედრას არ მოველოდი, რადგანაც იგი გვიან ილვიძებდა. ამისთვის გადავწყვიტე: როდესაც გოგოს დაუძახებს, მეც მაშინ შევალ-მეთქი და...

„შევედი ჩემ ოთახში. ოთახი, როგორც დავტოვე, ისევ ისე დამხვდა. მაგიდას მოვუჯექ და უეცრივ იქ აყუდებულ წერილს თვალი მოვკარ...“

„ხშირად მოსულა წერილები ჩემ შინ არ ყოფნის დროს, მაგრამ ეგრე არ დამხვედრია.“

„წერილები ყოველთვის მარჯვნივ ეწყენენ ხოლმე, და მაგრე აყუდებული კი არას დროს არ დამხვედრია თვალში წასაჩხირავად. მაშინვე იმ წერილს თავი გადავუხიე ხელების კანკალით და გადაშლის უმალ ჩემი სახელი ამოვიკითხე: „ერასტი,—ასე იწყებოდა წერილი,—მე შენი საქციელის გაძღება აღარ შემიძლიან“...“

„ხელები უფრო ამიკანკალდა ბრაზისაგან... ჩემდა უნებურად წერილი დავსრისე, დავსრისე და მინდოდა სარკმლიდან მესროლნა, რომ თავი შევიმაგრე. ცნობის მოყვარეობა აღმეძრა. მინდოდა შემეტყო, ჩემი ელისაბედი კიდეც რას მომწერდა, რომ მომზადებული დავხვედროდი, როდესაც იგი თავის ოთახიდან გამოვიდოდა. წერილი ისევ გავშალე, ნაოჭები გავუსწორე და კითხვა დავიწყე: „შენ ხელში ერთი დღე კარგი არ მინახავს. მომეწყინა ამდენი ტანჯვა და ამისთვის ვარჩიე მოგშორებოდი...“

„ჩემ თვალებს არ ეუჯერებდი. ეს სიტყვები კიდეც, კიდეც და კიდეც გადავიკითხე. „ღმერთო, ღმერთო!... ნუ თუ ელისაბედი მომშორდა?!“ გავიძახდი ხმა-მალლა და ოთახში დავბოდი.“

„წერილი კიდეც გადავშალე და თავიდან ბოლომდის ჩავიკითხე. წერილის ბოლოს მწერს: „ერთი ეს თხოვნა მაინც ამისრულე და გამომიგზავნე ნება თავისუფლად ცხოვრებისა ამ აღრესით: ქ. №...“

„უთუოდ მემასხრება-მეთქი“,—გავიფიქრე და მაშინათვე ელისაბედის ოთახისკენ გავექანე. კარი ყუნწამდის გაღებული

დამხვდა. იქაურობა აწეწილ-დაწეწილი იყო. საჩქაროდ გამოვ-  
ბრუნდი, ახლა სხვა ოთახებში ძებნა დავუწყე. უეცრივ გოგო  
წინ შემეფეთა...

— სოფო, ქალბატონი სად არის? — ქაქანით დავეკითხე  
და მკლავი მაგრად დავუჭირე...

— რა მოგახსენო, ერთი კვირაა, რაც სადღაც წაბრძან-  
და. — გულ-მტკივნელობით მიპასუხა გოგომ.

— არა სტყუი?!

— ზიარების მადლმა, მართალს მოგახსენებ.

— მაშ წავიდა, წავიდა?! — ატაცებით ჩავეკითხე სოფოს  
და პასუხი აღარ ვაცალე, მაშინვე გარედ გამოვევარდი.

— ბიჭო, ალექსი, ცხენი დროით მომიშადე! — გადავქყივ-  
ლე და მოუთმენლად ველოდი ცხენის მომზადებას.

„ამ ლოდინის დროს იქავე სახლის კუთხიდან ოღნავი  
ტუტუნის შემომესმა. მორიდებით გავიხედე იქით და დავინახე,  
სოფოს გარს შემოაჭვეოდნენ სოფლის დედაკაცები და გაფაცი-  
ცებით უსმენდნენ იმას. რასაკვირველია, სალაპარაკოდ მე ვე-  
ყოლებოდი, და ამისთვის ყური არ ვათხოვე...“

„უეცრივ ცნობის-მოყვარეობამ შემიპყრო და სოფო მო-  
ვიხმე.“

— შენ აქ იყავ, როდესაც ქალბატონი წავიდა?

— აქ გახლდით, ბატონო!

— მაშ გეცოდინება, მარტოკა წავიდა, თუ ერთად ვის-  
თანმე?!

— აქედან კი მარტოკა წავიდა, და მერე კი, არ ვიცი....

— კარგი.

„შეკმაზული ცხენიც მოიყვანეს, საჩქაროდ მოვახტი ცხენს  
და სწორედ კარგ დროს მივედი სამაზრო ქალაქში — ში. მაზ-  
რის სამართველოში მოხელენი ჯერ ისევ იქ იყვნენ. საჩქაროდ,  
მიცნობდნენ, დამიმზადეს სამუდამო საკუთრად ცხოვრების, სა-  
დაც კი ენება, საბუთები, და მაშინათვე ფოსტაში გავაქანე...“

„როდესაც ელისაბედთან ვასაგზაენი საბუთები ჩავაბარე  
ფოსტაში, ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ. ერთი ეს-ლა“

აჩრდილებს, ჩემო ელიზბარ, ჩემ ბედნიერებას, კიდევ არ დამიბრუნდეს ელისაბედი...”

გაჩუმდა ერასტი. მეც გაჩუმებული ძირს ჩავიკვირებოდი და არ ვიცოდი სიჩუმე რა ნაირად დამერღვია. სწორედ ამ დროს ჩემ გასახაროდ ჩემი მეგობარი ვახუშტი თავს წამოგვადგა და მხარზე ხელის დარტყმით ჩამომძახა:

— ცხვირი რა ძირს ჩავიკვიდნია, კაცო, ქვეყნის ვალები ხომ შენ არ დაგაკისრესო?!

— აა, ვახუშტი, ასე უეცრივ საიდან გაჩნდი? — დავეკითხე მე და შემდეგ სულ სხვა საგანზე ჩამოვავადეთ ბაასი...

შ. არაგვისპირელი



## „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი აღმწერები

LXXII \*)

ფატმან აცნობებს წიგნით ნესტან-დარეჯანს, რომ მისი მიჯნური ცოცხალია და ტარეელის «ძმად შეფიცუბული» ავთანდილ, სპასპეტი ანბეთისა, მისს საძებრად მოსულა. ვაჭრის-ცოლი, სხვათა შორის, სთხოვს უფლისწულს, ტარეელისთვის რაიმე ნაშანი გაძოგნაგნოს, რომ თავისი დარჩენა შეატყობინოს. ნესტან-დარეჯან, ფატმანთან ზასუხის შეძგეგ, თავის საყვარელს სწერს უსტარს, რომელიც ჰაემის ტექსტში ასე იწეება (გვ. 289—290):

1286. „აწ საყვარელსა მივეწერ, გულ-ამოსკვნილი, მტირალი, მისმანვე ცრემლმან დაუვის ვის ეღებოდა ვის ალი“  
დასწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი;  
ვარდი გააბის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამამჭირვალი.

1287. ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონადეაწები,  
ტანი კალმად მაქეს, კალამი ნაღველთა ამონაწები,  
მე გული შენი ქალაღდად გულსავე ჩემსა ვაწები;  
გულო, შეგგულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები

1288. ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქნელია?  
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია;  
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან საწუნელია,—  
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვაჰმე, რა დიდი ძნელია.

1289. ჰხედავ, ჩემო, ვით გაგყარნა სოფელმან და ჟამმან კრულ-  
ვეღარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულმან, | მან,

\*) იხ. „მოამბე“ № IX, 1899 წ.

ნეტარ რა ჰქმნას უშენომან გულმან, შენგან დაღაზვრულმან;  
 გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

1290. შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე,  
 ჩემი მეთქვა, გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;  
 აწ რა მესმა, შემომქმედი ვადიდე და ღმერთსა ვპონე,  
 ჩემი ყველა აქანამდის კირი ღონისა შევაწონე.

წიგნის დასაწყისის პირველივე ლექსი გასაშტერებელია. ვის მიმართავს ნესტან-დარეჯან ამ სიტყვებს: «აწ საყვარელსა მიგუწერ, გულ ამოსკენილი, მტირალიო?»—ტარიელს?... მართალია, უსტარი ერთად-ერთი სალიტერატურო დარგია, რომელიც არავითარს სტილისტიურს განიხსნის არ ექვემდებარება და ყველა ფორმა მისთვის გამოსადეგია, მაგრამ რა განდ ფორმითაც იყოს დაწერილი, გონიერება უსტარისათვის ისევე საჭიროა, როგორც ყველა კაცის ნაწარმოებისათვის. რისთვის-ღა აცნობებს ნესტან-დარეჯან ტარიელს «საყვარელს მიგუწერო», თუ მისი წიგნი ტარიელთან არის მინაწერი? ან ეს «აწ» რაღაა?—საყვარელს ანიშნებს, ესლა შენა გუწერო, ამას წინადა კი სხვას ვისმეს ვწერდიო?... ვინ გამოიცნობს ამ გამოცანებს?!

იტყვიან, შესაძლებელია, ეს ლექსი ადრესის მაგივრად იყოსო. დიად, მაგრამ მე-1287 ხანის თავში ლექსია—«ქე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწებია»—რაღა არის, მეორე ადრესი? შესაძლებელიაო,—იტყვიან აგრეთვე,—რომ მე-1286 ხანის პირველი ლექსი ფატმანთან მიწერილს წიგნს ეკუთვნოდეს, რომ ნესტან-დარეჯანს, რა აცნობებს ფატმანს ნიშნის გაგზავნას (ხ. 1285), და უმატებს: წიგნსაც ვწერ ჩემს საყვარელსო. იქნება მიუხედავრემაც ვინმე გადმომწერელმა უადგილოდ გაჭყო ტექსტი, ნესტან-დარეჯანის წიგნის სათაური, იმის მაგივრად, რომ მე-1286 ხანის უკან მოექცია, წინ ჩაურთო და ესრედ ფატმანთან მიწერილს წიგნს ბოლო მოკვეთა. დიად, შესაძლებელია ასეთი შეცდომა, მაგრამ საუბედუროდ, ფატმანთან მიწერილი წიგნი საკსებით დასრულებულია მე-1285 ხანით, და მე-1286 ხანის პირველი ლექსი რაღაც post scriptum-ს ეკვანება, რომლის სსვა მაგალითი პოემაში არ მოიპოვება. ამას გააჩნია, ნიშნის გამოგზავნის ხსენება ფატმანთან მიწერილს წიგნში



საჭიროა, რადგან რადის ნაჭკერი უტყუა, უსტარი გი თვითონ ატ-  
სადებს თავის დამწერს და მიმღებულსაც. ნიშნის გაგზავნის სსენ-  
ბა ფატმანის თხოვნისა პასუხისა, საყვარელთან წიგნის მიწერის შე-  
სახებუ გი ფატმანს თავისს უსტარში არა უთქვამს-რა

ღაწის ერთად-ერთი საგონებელი, რომ ტარიელთან წიგნის  
წერას ფატმანის მონა დაესწრო და ნესტან-დარეჯანმა, რა ფატმან-  
თან წიგნის წერა გაათავა, გრძნეულს ზანგს უთხრა: აწ საყვარელ-  
სა მიუწერ, გულ-ამოსკვნილი, მტირალია!... მაგრამ რად ეტყო-  
და უფლისწული გრძნეულს მონას, ჩემს საყვარელს წიგნსა ვწერო,  
ან რისთვის დაუმატებდა, «გულ-ამოსკვნილი და მტირალია ვწერო?»  
განა ფატმანის მონა ბრძა, ანუ ყრუ იყო?

თუ მე-1286 ხანის პირველი ლექსი ვითამც ნესტან-დარეჯან-  
ნის თქმულია, ყოვლად შეუძლებელია, მეორე ლექსიც მის წარმოთ-  
ქმულად ჩაითვალოს: „მისმანვე ცრემლმან დაუვისის, ვის ედებოდა  
ვის ალი!“ — რასაკვირველია, ნესტან-დარეჯანი თავის თავზე ასე კერ-  
იტყოდა, რადგან ასეთის აღნაქსის ფაზა გრამატიკის წინააღმ-  
დეგი იქნებოდა: პირველი ლექსი პირველის პირისაგან არის თქმუ-  
ლი, მეორე გი — მესამე პირისაგან. ცხადია, რომ ლექსი კერც ტა-  
რელს შეესება, რადგან საიდან ეცოდინებოდა ქაჯების პატიმარს,  
დაუვისის ტარელს ალი მისმანვე ცრემლმან, თუ არა?

ლექსების უზრობით ილაჯ-გაწვევტილს მკითხველს შეიძლება  
ფიქრად მოუვიდეს: იქნება ის ორი ლექსი ნესტან-დარეჯან-  
ნის თქმული არ იყოს, იქნება აქ ტექსტი შერყენილია და სიტყვა  
თვით ხეტორს ეკუთვნოდეს. განა უფრო ჭკუაზე ასლეს არ იქნე-  
ბოდა ასეთი რედაქცია:

აწ საყვარელსა მიუწერს, გულ-ამოსკვნილი მტირალი,  
მისმანვე ცრემლმან დაუვისის ვის ედებოდა ვის ალი \*)

\*) იგივე ითქმის ფატმანთან მიწერილს წიგნზე, რომელიც ასე იწ-  
ყება: „პირ-მზე ვწერ, აპა, ხათუნო, დედისა მჯობო დედაო!“ ნესტან-და-  
რეჯან თავისს თავს იქებს და პირ-მზეს ვძახის! ჩემის აზრით, აქ ტექსტი  
შერყენილია და პირველად უნდა ყოფილიყო: „პირ-მზე სწერს, აპა, ხა-  
თუნო“... და სხვ.

თუმიცა ასეთი რედაქცია ლექსთა აზრის სინათლისათვის უფრო სათნო მკონია, მაგრამ ჩემის მოსაზრების დასამტკიცებლად აჩვეითარი დოკუმენტალური საბუთი სელთ არა მაქვს და სანამ ტექსტი პოემის მრავალთა ხელთნაწერთა შედარებით აღდგენილი არ იქნება, ჩემი მოსაზრება მხოლოდ ჰიპოტეზად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ სიმნელე აქ მარტო ტექსტის გასწორებაში როდია, ლექსი ისრუდაც რომ იწერებოდეს, როგორც ზემოდ მოყვანილია, ასეთი ცვლილება მე-1286 ხანის სინამდვილეს მაინც ვერ დაამტკიცებს.

ხანის პირველმა ნასეკარმა გააუწეა, რომ ნესტან-დარეჯან თავის საყვარელს წიგნსა სწერს, ხოლო მეორე ნასეკარი მხოლოდ იმას გვიამბობს, რომ ქაღმა წიგნი დასწერა. — ნამეტანი მზადებაა და მეტად დიდი შესავალი ერთის წიგნის დაწერისათვის. შედეგში ვნახავთ, რომ რუსთაველი ამ გვარს შემთხვევაში ბერს ღაშასავს ერთობ არ უნდება.

მესამე ლექსი, — „დასწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასამირალი“ — გამტკიცებს, რომ მელექსე თავის ხანის წერაში რუსთაველს ჰბაძავდა. გეხსომებათ, რომ ფატმანის საარქივო წიგნს პოეტის სიტყვა მიუძღვის (გვ. 241):

1078. დასწერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,  
 მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიუთა მცნეველი,  
 მისთა მსმენელთა გულისა შემძვრელი, შემარხეველი,  
 უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი.

ფატმანის წიგნისათვის ასეთი ქება და სახელის გაკეთება დიდად საჭირო იყო, ჟურ იმისთვის, რომ ფატმან მკითხველის ახალ გაცნობილი იყო და მისს საქციელს დასასიათება და განმარტება უნდოდა; და შერე—პოეტს სწადდა ფატმანის წიგნი მკითხველთათვის შეეწინარებინა, ხაკონებინა, რომ ვაჭრის-ცოლი, — მრუშობის გარდა, რომელიც მას მოსდგამდა, — წრფელისა და მხურვალე სიყვარულითაც იყო გამსუკავებული. ნესტან-დარეჯანის წიგნისათვის კი უკვლავ რეკომენდაცია მეტია: დიდი ხანია ვიცნობთ უფლისწულს, მისი თვისება და ხასიათი შეგვიგნია და მისი წერილები სხვაც წავგიკითხავს.



ნახამეისა და დედანის შედარებით აღმოჩნდება სიფუტე მე-1286 წანისა, რომელიც კერძ ნესტან-დარეჯანის წიგნის მნიშვნელობას საზღვრავს და კერძ დამწერის სულის მდგომარეობას გვიჩვენებს სიმართლით. ნესტან-დარეჯან გულ-ამოსვენილი და მტირალი თავისს საყვარელს სწერდა, — მოგვითხრობს ძეგუქსე, — და თავისივე ცრემლით მწუხარების აღს იშრეტდა. — მაშ მწუხარების აღი არც ისე მწვაფი უფილა, თუ ცრემლისაგან დაიხსნა!... მერე მსმენელთა გულის გასაგმირალი წიგნი დასწერა და ჯერდი გააბის, გამოჩნდის მუნ ბრალი გამოძიარვალიო, ე. ი. გაიღიმაო. — დიაღ, გაიღიმაო, თუ ის უფრო არ მოგწონთ, რომ წიგნის წერას ფატმანის მონა დაესწროს და უფლისწული მას ელაზარავს და შესცინოს! — თუ გაიღიმა, საგონებელია, იამებოდა რამე, — წიგნის გათავება თუ?...

რამი ექსახამება ეს წარა-მარა ჩმსხვა ნესტან-დარეჯანის წიგნის შინაარსსა ან მისის სულის მდგომარეობას? განა ქალი ტარელის გულის გასაგმირად სწერდა წიგნსა? პირიქით, წიგნიდან სჩანს, რომ უფლისწულს სწადადა თავისი საყვარელი დაქმშიდებინა, ნუგეში ეცა, ჩაგონებინა, რომ რადგან მისი დახსნა ტყვეობით შეუძლებელი იყო, დაეთმო თავისი სატროფო „გულითა კლდისა ცუმბერსითა“ (ს. 1295, გვ. 291). „შევედრნა მისი სულა“ (ს. 1297), დამორჩილებოდა ბედის წერას, წასულაყო ინჯოეთს და „ერგო რა მისსა მშობელსა“ (ს. 1300). ან ის მრავალ-გვარი გრძობა, რომლითაც ნესტან-დარეჯანის წიგნი გამსჭვალულია, — სასარული დაკარგულის საყვარლის დარჩენის ცნობისათვის და მისის ნახვის უიმედობა; წუერვილი მისის შეერთებისა და შიში მისის სიკვდილისა, თუ შეერთება სცადა; თავის-განწირვა და ნუგეში საიქაო შკებისა; წარსულის სკიანობის მოგონება და ოცნების დათმობა, — განა ასეთი გრძობანი და ფიქრნი, რომელნიც საცრდავის ქალის გულში ერთმანერთს ეკვეთებიან და აბრძვიან, ჭქენჯინან მისს სულსა და სიცოცხლეს უმწარებენ, იმით გამოისახვიან, რომ ქალი წიგნის წერის დროს ტირიდა და ცრემლით მწუხარების აღს იშრეტდა და წიგნი რომ გათავა, ჯერდი გააბოღო საუცხოოდ არ უხდება მეტადრე ეს დიმილი იმ თავ-განწირულების გოდებას, რომელიც ად-

მოჭნდა ქალის დატანჯულს გულს წიგნის დასრულებაში: «რისკით-  
 მობრუნდა ბორობადი ჩვენზედა ცისა შეიდასა?!»...

განა ეს არის რუსთაველის ხელაგება რთულის გრძნობის  
 გამოსახებაში? მოიხსენიეთ, როგორ გვიხატავს პოეტი ფატმანის  
 სულის მდგომარეობას საარშაიუა ჩიგნის დაწერის წინ (გვ. 240):

1076 ფატმან ხათუნს ავთანდილის გულსა ნდობა შეუვიდა,  
 სიყვარული მეტისმეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა,  
 დამალვასა ეცდებოდა, მაგრა ჭირთა ვერ ჰმალვიდა;  
 იტყვის: „რა ვქნა, რა მერგების!“ აწვიმებდა, ცრემლსა ჰღვრიდა.

1077. „მიღმა უთხრა: ვაჟ თუ გასწყურეს, შეხედვაცა გამიძვირდეს;  
 თუ არა ვთქვა, ველარ გავძლო, ცეცხლი უფრო გამიხშირდეს!  
 ვთქვა და მოვკვდე, ანუ დავრჩე, ერთი რამე გამიპირდეს,—  
 მას მკურნალმა როგორ ჰკურნოს, თუ არ უთხრას რაცა სჭირდეს“.

თუ ფატმანის გულის ორხმეგანობა რუსთაველმა ასეთის შეე-  
 ნიერებითა და ფსიხოლოგიური სინამდვილით დაგვიხატა, ნუთუ  
 ნესტან-დარეჯანის სულის კვებების აღწერაში ნიჭმა უმეტესა  
 და იმის მეტი ვერ-ღა რა მოახერხა, რომ ამ უკიდურეს მდგომარე-  
 ეობაში ქალი ტირილდა და ვარდს აშობდა? საქმეც ის არის, რომ  
 ამ შემთხვევაში პოეტს ან სრულად უნდა გამოეხატა ქალის უოფა-  
 ან სულ უნდა დაჩუბებუდიყო: დაე, თვით მისი წიგნი იყოს მისთა  
 პატიყთა მტრეკელია. უეჭველია, რომ რუსთაველმა ისევე დუმილი-  
 ირჩია, რადგან ნესტან-დარეჯანის წიგნი თავით თვისით ისეთის  
 სიხარულითა და სიბრუნხლით გვიხატავს მისს გრძნობას, რომ  
 უგულა თხრობა და აღწერა ავტორის მხრით მეტი-ღა იქნებოდა.

\*

მე-1287 ხანით იწყება ვითომც წიგნის ტექსტი.

ნესტან-დარეჯანი მიმართავს თავისს საყვარულს ამ სიტყვას:  
 «ჭე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონადვარებოა... თუ ახსოვს  
 მკითხველებს, ამ გვარსავე ფრანჯს პოემაში კიდევ ორჯან ვპოუბთ:  
 პირველად, ავთანდილის წიგნში უმათა მიმართ, სადაც სპასპეტი-  
 თავისს უმებს არწმუნებს, თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა წიგნისა-  
 წერასაო» (ხ. 165, გვ. 36); და მეორედ, ავთანდილის ანდერძში



როსტკეან მეფისა მიმართ, რომელშიან მოემე თავისს გამზრდელს  
კითხოდ სწერს: «გასრულდა ჩემი ახდენი, ჩემგან ნაწერი სელა-  
თა» (ს. 801, გვ. 178). ამ სამის ლექსის გარდა გეფხის-ტყალ-  
სანშია ვერსად ნახეთ, რომ დამწერი ასე ამოწმებდეს თავის წიგ-  
ნის ნამდვილობას. მე-165 და მე-801 სანების გარჩევის დროს  
მკითხველს, კვინებ, საკმარისი საბუთები წარუდგინეთ, რომ ასეთი  
შემოწმება თავისივე ნაწერისა მეტიც არის და გამოუხადგარიც, რა-  
დგან ვინც დამწერის სელი იცის, მისს ნაწერს შეუმოწმებლად იც-  
ნობს, და ვინც არ იცის და სელის ნამდვილობის ეჭვი აქვს,  
ასეთს მოწმობასაც არ დასჯერდება. ტარიელისა და ავთანდილის  
დროს წიგნს ფოსტით არ ჰგზავნიდნენ, სანდო ვაგს მიაბარებდნენ  
და, თუ წიგნის ნამდვილობის შემოწმება საჭირო იყო, უკეთესი  
მოწამე მომართებოი იწებოდა.

„გეფხის-ტყალსის“ მრავალნი გვირნი შირველად რამ სწე-  
რენ ერთმანერთს წიგნს (მაგალითად: ფატმან და ავთანდილ, ფატმან  
და ნესტან-დარეჯან, ავთანდილ და ფრიდონ, ტარიელ და ნესტან-  
დარეჯან, ტარიელ და რამის მეფე), მაშინაც არ აჯერებენ თავიანთ  
გოგონებსონდენტს, ამ წიგნს ჩემის სელითა ვწერო. რადა საჭიროა  
ამისი თქმა ტარიელისათვის, რომ ვისთვისაც ნესტან-დარეჯანის  
წიგნის მიღება შირველი არ არის და, მაშასადამე, არც სატრფოს  
სელი იწმნება უნობი. ესეც რომ არ იყოს, ვინ ეგულება ნესტან-  
დარეჯანს მისის წიგნის მომართებოი, თუ არ ტარიელსვე მეგობარი  
ავთანდილ, და ნუთუ ეს ვერ მოახსენებს, თუ ტარიელ თვით ვერ  
მისვდება, რომ ესე უსტარი არს მისგან «მონადვანები?»

„გეფხის-ტყალსანში“ არსად არის ხსენება, რომ გვირთ მწიგ-  
ნობარნი ჰსლავებოდათ, რომელნიც მათ მაგიერ წიგნებს უწერვიდნენ,  
როგორც მაგალითად, „ვისრამიანში“, სადაც ვისის მწიგნობარი,  
ქაჯისებერ სიტყვა-მოპოვებულა, მისს მაგიერ რამინს წიგნებსა  
სწერდა, შეუძლებელია, რომ რუსთაველს სამიჯნურა მიწერ-მოწერა  
იხვევ ესმოდეს, როგორც „ვისრამიანის“ ავტორს. ამიტომაც უნ-  
და ვიგულისხმეთ, რომ „გეფხის-ტყალსის“ გვირნი თავიანთ მი-  
წერ-მოწერას და მეტადვე სამიჯნურა, თვითონვე განაგებდნენ. ნუ

სტან-დარეჯანსაც, ქაჯეთის ციხეში დამწვედუელს, რასაკვირველია, მწიგნობარნი არ ეუფლებოდა და განა სსსაცილო არ იქნებოდა, ტარეელს რომ ეტვი შეეტანა, ვამ თუ ეს წიგნი სხვამ დაუწერა!

ამიტომაც უეჭველია, რომ წიგნის დამწერისაგან თავისივე ნაწერის შემოწმება რუსთაველის იდეა არ არის, მაგრამ სანამ ამ საგანზე საუბარს გაკათავებდე, საჭიროდ მიმაჩნია პოემიდან ერთი წიგნი მოვიყვანო, რომელიც პირველის შესდგომით თითქმის ეწინააღმდეგება ზემო სსენებულს ჩემს აზრს, — ეს არის წიგნი ხატაველთა მეფისა ტარეელის წინაშე მიწერილი პასუხად (გვ. 87):

398. მოეწერა: რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიელსა;  
 ვამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენგან მონაწერსა:  
 რა გვარა თუ მანდა გეხმე, ვინ ვპატრონობ ბევრსა ერსა,  
 ამის მეტსა ნულარ ვნახავ კვლავ-ლა წიგნსა შენ მიერსა!

თუ შემთხვევით ამ წიგნის კილოს დააკვირდა, უეჭველია, მისელებოდა, რომ პირველი ლექსი წიგნის ნამდვილობის შემოწმებისათვის კი არ დაუწერია რამაზ მეფეს, არამედ უჩვენოს ტარეელს მისი და მეფის უტოლობა, დიდ-პატარაობა შეკენებინოს. ტარეელი უჩვენებდა ხატაველთა მეფეს, თავის ნებით ინდოეთს მოსულიყო და ფარსადან მეფეს დამორჩილებოდა. დიდგულს და ამპარტავანმა რამაზ მეფემ ასეთი წვევა ითაკილა და ამისთვის სტუქსავს ინდოეთის ამიბარს: მე ხატაველთა მეფე, ბერძნის ერის პატრონი, კილაც ტარეელს, შენგან მოწერილს თავსდურს წიგნზე პასუხად მოკლედ და გადაჭრით ამას გიწერ, რომ ამას იქით აღარ გაბედო და ეგეთი სიბრძნე აღარ მოგიუდესო. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში პირველი ლექსი წიგნის შესამოწმებლად კი არ არის დაწერილი, არამედ მისი გამოსაცხადებლად, რომ ამიბარსის მოციქულობა რამაზ მეფემ არაფრად მიიჩნია და ტარეელისათვის შეურაცხყოფა უნდა მიეყენებინა.

დაუბრუნდეთ ისევ მე-1287 ხანას. ნესტან-დარეჯან, რა დაჯერა თავისი სიყვარული, რომ ამ წიგნს მე ვწერო, ახლა იმას უამბობს, თუ რა მასალასა და იარაღს ნმარობს წიგნის დასაწერად, და მათგან პირველი: «ტანი კალმად მკქს, კალამი ნაღველთა ამო-

ნაწებიო... ამ საკვირველს მეტაფორას, რომელმაც ლამის ზოეტის ლექსის აწობოს (მელნად ვინმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“ ს. 4. გვ. 2), თეიმურაზ ბატონიშვილი ასე გვიხსნის: «რამაცა გრძნობა ჩემ შორს არს (ანუ ჩემს გვამს შორის არის) კალმად მას ვხმარობ. და მწუხარება რადგანაც კაცის ნაღველიდან დაიწეება და ნაღველიც შავ არს, მელნად მას ვხმარობა-ო. დ. ჩუბინაშვილი ამ ბინდ-ბუნდს აზრს თავის განმარტებას დასძენს: «ეს მწუხარებაზე არის ნათქვამი: მწუხარებით ჩემი ტანი კალამისავით წერილი გამხდარაო, რომელიც სინაღვლით გამხდარი არისო». სწასნ, კომენტატორნი ცდილობენ ლექსის უგუნურობას გზა აუქციონ და სიტყვების გამოცვლით რაიმე აზრის თეორი დასდონ. ნესტან-დარეჯანი რაიცა მისს გვამს შორის არს, იმას ვი არა ხმარობს კალმად, არამედ თვით გვამს, «ტანსა», და ეს ტანი-კალამი ნაღველთა ამონაწებია, ესე იგი გვამი იმაშია ამონაწები, რაიცა მას გვამს შიგან არის... რასაკვირველია, ეს მეტაფორა ზესთა შთაგონებული იდეა არის იმ საწერ-კალამისა, რომელიც მოლოდ ამ საუკუნის დამლეკს გამოიგონეს: კალამი, რომლის ტარიც მელნით არის აკსებული და წერის დროს ეს მელანი თან-და-თან ჩამოდის და კალამს ასველებს!... არც დ. ჩუბინაშვილის კომენტარი ეშესაბამება ლექსის აზრს, რადგან ნესტან-დარეჯანი იმას ვი არ ამბობს, ვითომც მწუხარებისაგან ტანი დასწვლილებოდეკ, არამედ—ჩემი ტანი კალმად ვინმარეო. გამხდარი იყო, თუ მსუქანი, ტანი, კალმად ნახმარი, მანც უგანო ხატია, ყველა ზოეტურს გრძნობას მოკლებული. ეტყობა ვი, რომ ლექსის დამწერს ტანი კალამისავით გამხდარი და კალამი ნაღველში ამონაწები მწუხარების გამომსახველს მეტაფორად გაუგონია, მაგრამ იმდენი უნარი მანც არა ჰქონდა, რომ ეს საშაიროო მასალა გონიერად გამოეყენებინა.

ნესტან-დარეჯანის ტანი-კალამსა და ნაღველ-მელანს შესაფერო ქალაქიჩა აქის: «მე გული შენი ქალაქად და გულისავე ჩემსა ვაწებიო», — აუწეებს ვითომც უფლის-წული თავისს საყვარელს. თუ ქალის ტანი საწერ-კალამად გამოდგება, მისი საყვარლის გული, დასტურ, ქალაქად ვარგა, და ამ ორს მეტაფორაში მეორე, რასაკ-

ვირველია, ათას წილად სჯობია ჰირველს. მაგრამ საუბედუროდ, მუ-  
 ლეჟესე ამას არ დასჯერდა და საყვარლის გული მის სატროფოს გულს  
 რისთვისღაც დააწება. ამ უცნაურის საქმის მიზეზს თეიმურაზ ბა-  
 ტონისშვილი ასე განმარტებს: როგორცდაც რომ ქაღალდი ქაღალ-  
 დზე დაწებოს და მას ზედა უფრო რე, — ქარტის სიმტკიცისათვის, —  
 უკეთ დაიწებება, კერძოვე ჩემსა და შენს გულზე, როგორცდაც რომ  
 ქაღალდს, ერთმანერზე მიწებებულზე, ჩვენი სიყვარული და ერთმა-  
 ნერთის მოშორების მიწხარება იწებება ხსენებულის კალმითა და  
 ნაღველის მეღნითა. მაშასადამე, ტარიელის გული — ქაღალდი ისე-  
 თი თხელი და სიფრიფანა უოფილა, რომ საწყინად ვერ გამოდგე-  
 ბოდა და, მეღანი რომ არ ერთხმოდას, მის გასამტკიცებლად და  
 გასასქელებლად, ქაღმა თავის გულზე დაიკრა...

ახლა კი ნესტან-დარეჯანს საწყრი მასალა და იარაღი სრულად  
 აქვს: კალამი, მეღანი და კაი სქელი ქაღალდი, — რაღა დარჩა? წიგ-  
 ნის წერა... მაგრამ ქალი ჯერ არ ეშურება, საგონებელია იმიტომ,  
 რომ ქაღალდის სიმტკიცეზე გული დაჯერებული არა აქვს: ეს გუ-  
 ლი გულზე ხომ დაკავარია, ახლა, ვინ იცის, ვაი თუ ასძერკოს! —  
 და ამისათვის ეკედრება გულს, (თავისას თუ ტარიელისას, — ძნელი  
 გამოსაცნობია): გულა, შავ-გულა, დაბმულხარ, ნუ აქსნები, აწ  
 ებიოა!... ტურფა და ზოგით საკესე სურათი რომ არ იხატება ჩვენ  
 თვალ-წინ? — ქაღმა თავისს გულს საყვარლის გული ქაღალდად გა-  
 აკრა და ზედ აწება და სტკეპნის: ჭა, ნუ აქსნები, მაგრად დაებიო!  
 ეს ლეჟესე წინა ლეჟესების აზრის გაგრძელებაც რომ არ იყოს, თა-  
 ვადაც უგუნურია. მართლად, რას ეგვეწება ნესტან-დარეჯანი ტარი-  
 ელის, ან თავისს გულს: შავ-გულა(?!), ნუ აქსნები და აწ ებიო?  
 ნუთუ მათის გაკვირვისა და ერთობისა არა სწამს. რა? ნუთუ კვკი აქვს  
 თავის გულის სიმტკიცისა, ან ტარიელისაგან განწირვისა ემი-  
 ნიან?

აი რამოდენა სისულელეს და უგვანობას მიადწევს მეტაფორა  
 უნიჭო მიწიერობის ხელში.

\*

ამდენის მზადების შემდეგ ნესტან-დარეჯან თითქმის წიგნის სა-  
 განს უნდა შეუდგეს, — დროა, აცნობოს საყვარელს, რაც სათქმელია



აქვს. მკითხველსაც, რა დაასრულებს მე-1287 ხანას, ჰგონია, წიგნის შესავალს მოკრძი და ამას იქით თვით წიგნი დაიწყებაო. მართლაც, თითქმის იმას ჰგავსო, მე-1288 ხანის ზირველს ლექსს რომ წაიკითხავთ. «ქსედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქნელია? — ჰკითხავს უფლისწული ტარიელს. — სმენა იყოს და გავგონება, აბა ახლად დაიწყება საშინელი გამხილება სოფლის მუხთლობისა! მაგრამ სანამ ამ სასტიკის საკითხის ვასუხს მოისმენდეთ, მუხსიერება მოსკუნებას არ გაძლეკთ და ჩაგრურულეთ: აცა, თითქმის ეს ლექსი სადღაც გამოგონიაო.. შორს ნუ წახვალ, მკითხველო, წინა გვერდზე მოსძებნე და ფატმანთან მიწერილს წიგნში ვხედავ, რომ იგივე ნესტან-დარეჯანი გაჭრის-ცოლსა სწერს: «მისგან ტყუე-ქმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას ვხედაო» და რაც სოფელმან უყო, ქალი ასე განმარტებს: «მე გლახ მათ ჩემთა ვატიყთა სხვაცა დამართო ზედაო» (ხ. 1279, გვ. 287). ასეთსავე სოფლის მღურვას ვხედავთ ქვემოთ. ტარიელთან მიწერილს წიგნში: «აწ კვლავ ვქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეუეებების. აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მიმისართა» (ხ.ხ. 1292—1293 გვ. 290). ესრედ, მე-1288 ხანის ლექსი, ფორმითა და შინაარსით, რუსთაველის ნათქვამის მიბაძვა, ხალხი ნაბაძსა და დედანს შორის განსხვავებაც არის.

ზოგჯერ ნათქვამში ნესტან-დარეჯანის სამღურავს მიზნად ისა აქვს, რომ სოფელი მას მუდგრად სდევნის, ძველს ჭირს ახალს ართავს. მე-1288 ხანაში კი რაღას აბრალებს ქალი სოფელს? — «რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელიაო», — აი თურმე რა დაუმაჰვებია სოფელსა. საუცხოოა, მაგრამ ნეტა რა უნდა იყოს ის სინათლე, რომელიც ნათობს, ნესტან-დარეჯანისათვის კი მანაც ბნელია? თუ მე-1288 ხანის ზირველსა და მეორე ლექსს შუა რაიმე ჯგუფური კავშირია, «სინათლე» აქ სოფლის სინონიმად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ასეთი შეწონება აქ უოკლად შეუძლებელია. ნესტან-დარეჯანი რომ ემღერის სოფელს, — ჭირი ჭირს მომიმატაო, დიდაც მართებს, რადგან სოფლის ხელში ჭირიც არის და ღვინიც, და თუ სოფელმა მხოლოდ ჭირი მიაყრა, უბედურს ქალს სიმართლე აქვს ინიჭილს: სინათლეს კი როგორ დაუბრალება ბნელი, რომელსაც ნათობის მეტი არა შეუძლიან-რას?! «სინათლე» ვერც ბუნდო-

რებად დაისასვიც ამ ლექსში, რადგან თუ ბედნიერებას უფუგვს, (სინათლე ნათობს), უბედურებას (ბნელს) ადგილი არ ექნება. რაღა თქმა უნდა, რომ «სინათლე» აქ არც თვალისწინად ჩათვლება. ღვითთ, ნესტან-დარეჯანი ჯერ არ დაბრძანებულა, რომ სინათლე დაჭბნულე-ბოდეს. ერთა მნიშვნელობაც აქვს სინათლეს. სინათლე, მზე და აგრეთვე დღე სიცოცხლის სინონიმად იხმარება. რუსთაველიც იმავე აზრით ხმარობს ამ სიტყვას, როდესაც, მაგალითად, მეფე როსტეგანს ათქმევინებს: «მზე ჩაკვისკენდა, ბნელსა ვჭკრეტო დამესა ჩვენ უმთვარესა» და «რადღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელსა» (ჩ.ხ. 35 და 36, ვკ. 9). დიდი ჭკუის გამჭრიახობა არ უნდა, კაცი მიხვდეს, რომ სინათლე, რომელსაც ბნელი ახლავს, სიცოცხლის დასრულებასა, სიკვდილის მოახლოებასა და სიბერეს ნიშნავს. სოლო სინათლე, რომელიც ნათობს ჩემთვის გი ბნელაო—ფრანზა, რომელიც უსინათლო კაცს ეთქმის; სოფლისა, ბედნიერებისა და სიცოცხლის მეტაფორად გი ვერ გამოდგება, რადგან ბუნებისა და კაცის გონების წინააღმდეგია.

სოფლის მღურვის სამართლიანობას ნესტან-დარეჯანი ვიღაც ბრძენთა ავტორიტეტით უმტკიცებს თავის სავუარულს: «ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით,—მათგან საწუნელაო». რასაკვირველია, ბრძენთა მოწმობამ უნდა დააჯეროს ტარიელ, რომ რაც მისმა სატრფომ სთქვა, წინ-დაუხვდავად და მოუფიქრებლად არ წამოსცდა, მაგრამ რას მოწმობენ ბრძენნი? იმისა, რომ სოფელი საწუნელია, რადგან ისეთი საქმე ჰქნა, რომ სინათლე, რაზომცა ნათობს, ნესტან-დარეჯანისათვის მანც ბნელაა. ნეტა ვინ არიან ის საუცხოო ბრძენნი, რომელთაც უფლის-წულის ასეთი ამბავი შეუტრეიათ და სოფელსა «სწუნობენ მით?» აქამდის ესლანდელი მისი გაჭირვებული მდგომარეობა იციან მხოლოდ ზოთნდილმა, ფატმანმა და მისმა გრძნეულმა მონამ,—ესენი ხომ არ არიან სოფლის დამწუნებულნი ბრძენნი?...

სოფლის მღურვას ბინდ-ბუნდად გამოთქმულსა და ბრძენთა ავტორიტეტით შემოწმებულს, ნესტან-დარეჯანი მით ათავებს, რომ მოულოდნელად წამოიძახებს: «უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე რა დიდი ძნელაო!» ძლივს არ მივხვდით ქალის გულის შასუსსაო,—იტ-

შუის გასარბეული მკითხველი, ბოლოს რომ ერთს ნათელს ფრანსას ჰქმნის. დიდად კარგი ლექსია, მოზარული და უადგილოდ ჩანს მისი რომ არ იყოს. ჩასხედთ ისევე ფატიმანთან მიწრილს წიგნში და იქ ნახათ ამ ლექსის დედანს: «უძისოდ ჩემი სიტყვსე, კამე რა დიდი ბრალა» (ს. 1282, გვ. 288). ასე ამოიხსნის ნესტან-დარეჯან, როდესაც მოაგონდება, რომ ავთანდილს ტარიელი უნახავს, და მისს ბედნიერებას შენატრის, — «მაგრამ მას ვნატრი, უნახავს მზე, ამაღ არ დამეცრალა». მე-1288 ხანში კი რაზე მოაგონდა სიტყვსელის სიბნელე უტარიელი? — იმას, რომ ბრძენი სოფელს იცნობენ და სწუნობენ?

\*

მთელი ერთი ხანა ნესტან-დარეჯანი თავის საყვარელს სულ იმას ჩანჩინებდა, თუ «სოფელი რათა საქმეთა მქნელა», ბნელი სინათლე აძება, თავისი წუნის დადება ბრძენთა მოწმობაზე დაამყარა და კიდევანობა საყვარელს შესწავლა. მაგრამ, ეტყობა, გული მანც დაჟვრებული არა აქვს, რომ ტარიელმა სოფელი საკმაოდ შეიძულა და მათი კიდევანობა შეიგნო, და ესლა მე-1289 ხანში კვლავ იწუებს თავისივე ნათქვამის გამოცრებას, მხოლოდ სხვა ფრივ, მათქმის კილოზე.

«ქსედავ, ჩემო, ვით გავყარნა სოფელმან და ჟამინ კრულმან», — აუწუებს, ან ჰქვითხავს ქალი თავისს საყვარელს. უწუბა, თუ საკითხი, — რა ივე უქმია, რადგან ტარიელი იმავე კიდევანობის ტყვსელში იწვის, კარგად ჰქსედავს და ესმის, რომ თავის სატრფოს აღარ ახლავს და მავისი ჩავონება დიდად არ ეჭირვება.

ტარიელმანც და ჩვენც, მკითხველებმა, ვინცთ ვით გაჭერის სოფელ სოფელი მიჯნურთ, და ამიტომაც, როდესაც მიიზიდვენ ჩვენს გულს-სურს ასეთის ფრანით თუ — «ქსედავ, ჩემო, ვით გავყარნა სოფელმან და ჟამინ კრულმან» — ერთს რამე საგანგებო და არა-ჩვეულებრივს გარემოებას მოკვლით, რომელიც იმ გაურას მოსდევს. როგორღა უსახავს ნესტან-დარეჯანი თავის საყვარელს თუ «ვით გაჭერნა სოფელმან?» — «კვლავ გნახე საყვარელი მხიარული მხიარული მანო!»... სოფელმა ისე გავყარა მიჯნურნი, რომ ერთმანერთს ვე-

ღარ ხედავს, — განა საკანგებო და უცხო ამბავი არ მომხდარა? გუტმა რომ სთქვას: ჰხდავ, ვით დაკუთვლილი, თუ ვით რომ კვლავ დაკვდივარ! — სასაცილოდ აიგდებენ, — რიდას გუტი იქნებოდა, თუ თუ ვით გველოდ. ყაღბის-მქნელმა კი ის სისულელე რომ წამოაგონოს, ჩვენ აღტაცებაში უნდა მოვიდეთ: ვიშ, რა აზრის სიდიდაა, რა გრძობათა სიმძლავრე და რა ტურთავად თქმულია რუსთაველის აგაზი..

ნუ გვინათ, ვითომც მხიარული მხიარულმანა-ის მიმტებით ლექსს რაიმე აზრი შეეძინა. გყრდილმა საყვარლებმა ერთმანეთით რომ ნახონ, ოღონდაც გამხიარულდებიან; ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ურთავში კი მიჯნურით ისე სწუწურით ერთმანეთის ნახვა, რომ არამც თუ მხიარულს, სუკდიანს შეურაცხველ დასჯერდებიან. ასე რომ, სიტყვებს, მხიარული მხიარულმანა-ს აქ არავფერი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვთ და არცა სასაკუთრად რომელსამე იმის გარემოებას, თუ ღვთის გარდა სოფელმანა მიჯნურნი. ეს სიტყვები მხოლოდ ლექსის დასაშვენად და შესაკვებლად არის... ნახესებო. გეხსომებათ რუსთაველის ღამაში ლექსი: — ღმირი თქვენი მხიარული მხიარულსა კვლავ მიჩვენა (ს. 144, გვ. 31), რომელსაც აკთანდილი მეფე როსტკვანს ეუბნება გამოსაღმებისას, გეფის-ტყარსის საძებრად რომ მიდის. დასტურ, მოსწრებული თავაზიანობა ასეთი გამოსაღმება მეფის გაზრდილის სპასპეტის მხრით, რომელიც ნუგეშის სტკმს შეწუხებულს გამზრდელს და მხიარულს შეურაცხველად. მე-1289 ხანში კი მხიარული მხიარულმანა-ის მიმტებით ნესტან-დარეჯანს ტარიელისათვის თითქო ის უნდა ეთქო, რომ სოფელმა ისე გავგუარა, რომ მწუხარემ მწუხარე განსეო, მხიარულმა მხიარული კი ვერ განსეო.

ნეტარ რა ჰქნას უშენომან გულმან, შენგან დაღასკრულმანო! — განაგრძობს თავის მოთქმას ნესტან-დარეჯანი, თითქო ერთი ვინმე ბეჩავი და ოსური ქალი იყვოს, რომელსაც უბედურობაში გონება დაჰბნევიდა და წუწუნებს: ნეტა რა გქნა?!... თავით თვისით ეს ლექსი მხოლოდ ვარაუდით მე-1288 ხანის ლექსისა: — ეშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია — სხვა ვილონე თქმული, სოფელ ამ ჩივლის სიცრუის გასამხილებლად საკმარისია ნესტან-

დარეჟანის წიგნი გადავიკითხოთ. ამ წიგნიდან ცხადად სჩანს, რომ უფლისწულს თავისი და ტარიელის მომავალი უკვლავ გაუგია და გა-  
დაუწვევებია და მტკიცედ იცის, რაც უნდა ჰქმნას მისმა გულმა და  
ტარიელისამაც. მიჯნურთ სსკა ღონე არა დაჩენიათ—რა მის მეტი,  
რომ თავიანთს ბედის-წიკას დამორჩილდნენ: ტარიელმა უნდა დას-  
თმოს თავისა სატრფო გულისათა კლდისაც უმაგრესითა და მის  
მშობელის საშველად და სანუგეშოდ ინდოეთს დაბრუნდეს; ქალს  
კი საყვარლის წინაგონს ჟეოფის მისად იმედად გულისადა; უკუ-  
ლას ჭირი მათის მდგომარეობისა ქალმა თავისთვის ირგუნა და რაც  
უნდა მოუვიდეს,—თავს მოიკლავს და საყვარელს კი არ უღალატებს.  
ვისაც თავისი საქმე არ გაუგია, პირღია და უსუსურად თავისს სა-  
ყვარელს როდის შესტირის: ნეტარ რა ჰქმნას უშენობის გულმან,  
შენგან დალასკრულმანო!

მე-1289 ხანის უგანასკნული ლექსი — „გაგიცხადა დამალული გო-  
ნებამან დაფარულმან“ — პირველის შესდევით გაუგებელ გამოცხანად  
სჩანს, იმიტომ, რომ არავითარნი კავშირი არ აქვთებს მას ხანის  
სსკა ლექსებთან. მართლაც, შეუძლებელია „დამალულის გამოცხა-  
დება“ ვითომც იმას შეესებოდეს, რომ სოფელმა მიჯნურნი გაჰყარა,  
ან ქალმა თავისი საყვარელი „მხიარულმან“ კვლარ ხასა, ან უმისოდ  
არ იცის რა ჰქმნას; კერც იმას შეესება, რომ ტარიელ გადაწხა ცო-  
ცხალი. უკვლავ ეს ტარიელისთვის დამალული არ არის და მამასა-  
დამე გამოცხადებაც საჭირო არ იყო, ამ შეუსაბამობის გამო მკით-  
ხველიც კვკობს, ლექსს დაფარული რამ არის ხომ არა აქვსო? მა-  
გრამ ლექსის უაწრობასა და უადგილობას ადვილად შევიგნებთ, თუ  
დვანს შევადარეთ. დვანს-მეთქი, რადგან ლექსი რუსთაველისგან  
არის ნასესხები. როდესაც სამთა გმირთა ნესტან-დარეჟან ქაჯეთის  
ცინიდან იხსნეს და გამარჯვებულნი ფრიდონის ქვეყნას მივიდნენ,  
ასმათ, რომელიც მუღლაზანსარს დაჩენილიყო, გამოეგება და რა  
უფლისწული და მისი მოასლე შეიყარნენ (გვ. 326)

1447. ასმათ ჰვადრა: „მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არ დაზ-  
ბოლოდ ასე გააცხანდა გონებამან დაფარულნი, | რულნი,  
სიკვდილიცა სიცოცხლედ მჩანს, ოდენ გნახენ მხიარულნი,—  
სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“.

იმდენი ჭირის შემდეგ, რაც ნესტან-დარეჯანსა, ტარიელსა და თვით ასმითსაც გარდასდა, ყველა ბედნიერების იმედი რომ გადაწყდა, ჭირი კი მუდმივი დაუბოლოებელი გახდა, ნესტან-დარეჯანის ტყვეობით ხსნა და მაჰმურთან დაქორწინება, დიდად მთელი დანული ბედნიერება იყო. აქამდის ცხადი მხოლოდ პატივი იყო, ღვინო კი არსაით ჩანდა და არცაა მოასწავებდა მის მოვლენას, ამიტომაც სრულიად სიძარცვით ამბობს ასმითი: «ბოლოს ასე გაცხადნა გონება-მან დაფარულნიო!» სოფლისაგან ჭირის მეტს არას მოკვლადიო და ღვთის განგებას საბოლოოდ თურქე ჩემთვის ბედნიერება ნდომებიაო.

მე-1289 ხანის ლექსში, რომელიც უპოვებელია, მე-1447 ხანის ხსენებულს ლექსსა ქბამკს, შეუძლებელია, სიტყვა «დაფარული გონება» სხვას რასმეს ნიშნავდეს, თუ არ ღვთის განგებას, მაგრამ დიდად სავითარია, თუ რა არის ის «დამალული», რომელიც გაუცხადდა ტარიელს «გონება-მან დაფარულმან?» რომელ საიდუმლო გამხილებას ნიშნებს ნესტან-დარეჯანი თავის საყვარელს? ჭირისა და უბედურების მეტი მათ თავს არა გადახდომიანთ რა აქამდის, და ნუ თუ მაგას ქბამკს დამალულის გამოცხადება? მას შემდეგ, რაც ბედმა საყვარელს გაჭყარა, ნესტან-დარეჯანს მრავალჯერ დაუსახავს თავისი მდგომარეობა და არსად არა სჩანს, რომ თავის გაჭირებულს ყოფაში რაიმე «დამალულის გამოცხადება» დაენახოს. ესეც სწორს, ტარიელს: სოფელმა რაც მას შეეფერება ისა ქბამკს, — «უარესი ჭირი ჭირსა მიმისართა», მაგრამ ამისი მიზეზი იგივეა, რაც სხვა მრავლის ჭირისა, — «ბედმან გვიყო ყველაგაი, ჩემო, რაცა დაგვიძარა» (ს. 1293, გვ. 290).

როგორც კერძოდ ასმითის მაგალითიდანაც სჩანს, ღვთის განგების გამოცხადებას მანამ ასწავლებენ, როდესაც ცხოვრების მოკვლევითა მსუფთაობაში მთელი დანული ისეთი ცვლილება მოხდება, რომელიც იმ მსუფთაობას ეწინააღმდეგება და რომლის მიზეზიც კაცთათვის მიუხვდომელია. მაჰმურთან კიდევანობაში კი ჯერ არაფერი ცვლილება მომხდარა, რომ იდუმალი ღვთის განგება ტარიელისთვის გამოცხადებულყოფიყო. ესეც, თუმცა მაჰმურთ ერთმანეთის დარჩენა შეიტყუეს, კვარამება მანც კერა სცვლის მათს მდგომარეობას.

მარტოებს, რადგან ნესტან-დარეჯანის აზრით, ტაროელ კერ იხსნის მას ტყეობიდან და, მასთანადაც, ესლან უწინდელსავით ერთმანერთისთვის დაკარგულნი არიან.

ნესტან-დარეჯანის წიგნში უკვლავ მოყვანილი ფაქტები რომ ამ გეგმადვე გადასინჯოთ, ისეთს ვერც ერთს ვერ ვხედავთ, რომელიც იმდენი დედატაროელს გონებას კითხვით რაიმე „დამაღწევი“ გამოცხადდეს ტაროელისთვის. ამიტომაც მე-1289 ხანის უკანასკნელი ლექსი უადგილოდ და უზრუნველ არის ნესტან-დარეჯანის წიგნში ჩართული.

ესრედ, ჩემგან გარჩეული ხანა (1296—1286) თვით წიგნი კი არ არის, — რადგან მზადება წიგნის საწყობად და აზრის გაშლისათვის უკლებად. იმას ვგაგონებ, რომ დამზადებულს, სანამ ადგილობრივ და გაივლიდეს, ერთს ადგილას ტოვებს და ბარბაცობს. ერთი აზრით არ არის ამ წიგნის შესავალში, რომ წიგნის საგანს პირდაპირ ეხებოდეს, დამწერის აზრსა, ან გრძნობას განსაზღვრით და გონკრებულად გამოსთქმადეს, — სულ ფუჭი ფრაზებია საზოგადო და გამოუკრეკელის აზრისა. ამიტომაც ამ ოთხის ხანისა მოშლით, არამც თუ დააკლებს — რა ნესტან-დარეჯანის წიგნს, პირიქით, მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება ნამდვილი ტექსტი, წიგნის დასაწყისი: „შენმა მშენს, აქანამდის შენ ცოცხალი არ მკვნი“. და სხვანი.

მართლაც, დასთავებდით, როგორ უნდა დაეწყო თავისი წიგნი ქალს, ნესტან-დარეჯანის მდგომარეობაში მყოფს? მას აქვთ, რაც ტაროელმა ხედავს მთავრად და გვარდა, უფლის-წულს, თვითონაც გადაკარგულს, საყვარლის ამბავი არა სმენია, მაგრამ მაშინდელის კითხვების მიხედვით, რაში ერთი რომელიმე უნდა მომხდარიყო: ან ინდოთ მეთესა და მის ამირბარს შორის რაიმე ასტრუდობადა, ან ტაროელი უკვლავად სჯემს თავს დაანებებდა და დაკარგულის სტრეფის სიმბრად წავიდოდა. არსავე შემთხვევაში გვირს, უკვლავია, ერთი რამ უბედურება უნდა სწეოდა, რომ აქამდის არსადახნდა და არც მისი ამბავი ისმოდა. ამ საგონებელში, როდესაც ყოველი ღონე და იმედი გადაწყდა, ნესტან-დარეჯანს მოსდის ამბავი, რომ მისი საყვარელი ცოცხალია და, სხვა, მის დასასხნელადაც მოკა... რა უნდა

გამოეთქვა ქალს პირველად თავისს წიგნში, თუ არ ის უზომო სი-  
 ხარული, რომელიც ასე ანდაზეულად მისს გულის სკდა? ნუ თუ არ  
 იფეთქდა და არ წასქდებოდა მისს გულს გრძნობა, რომლითაც იმ  
 წამს სასვე იყო? ნუთუ ასეთის ძლიერის გრძნობით განმსჭვალულ-  
 სა, გული მოუთმენდა დამჯდარიყო და, თითქო აქ არაფერი მომს-  
 დარაო, რაღაც მეტაფორები ეთხზა,—ჩემი ტანი კალმად ვისმარე  
 და შენი გული ქალღადადაო; ან სოფლისათვის, ვიღაც ზესამისტ-  
 ბრძენთა მიზამკით, მღურვა დაწყო; ან კიდევ საყვარლისათვის ეჩი-  
 ვლას და წუწუნს მოჭყოლიყო, კვლარ განსე მხიარულიო და უშენოდ  
 რაღა ვქნაო!..

მკითხველს, რასაკვირველია, ქალებთან მიწერ-მოწერა ექმნებო-  
 და და, თუ დატკვირებია, შეამჩნევდა კიდევ მათს ჩვეულებრივის წე-  
 რის მანერას. ქალი ისე ეშურება თავის გრძნობისა ან აზრის გა-  
 მოთქმას, რომ წერას ძლივს ასწრობს ხოლმე, თითქო აზრი წინ  
 მირბის, და სიტყვა ვერ ეწევაო. თუ წიგნი დიზლამატიურია არ არის  
 და ქალს გულში ეშმაკობა რამ არ უდევს, თავისს გრძნობას ყოველ-  
 თვის პირდაპირ და დაურბებულად გამოაცხადებს და პირველად იმ  
 გრძნობას, რომელიც მეტადრე აღეგებს მისს გულს წიგნის წერის  
 დროს. ასეთივეა ნესტან-დარეჯანის წიგნები ტარბელთან მიწერილი.  
 ესლანდელს უსტარს გარდა, უფლისწულმა თავისს მიჯნურს ორი  
 წიგნი მისწერა, ბუნდარებაში ყოფნის დროს, და აი როგორ იწ-  
 ეებს ამ წიგნებს: პირველს, როდესაც თავისს საყვარულს უცხადებ-  
 და—ნუ დაინეკ, ღამო, წელულსა, მე შენი ვარ, ნუ მოტკეკდება...  
 (ს. 373, გვ. 79) და მეორეს, ნადიმს ნახვის შემდეგ ტარბე-  
 ლის სიტურთვე რომ მოეწონა,—უნახე სიტურთვე წყაღჯარისა  
 შენისა. ომ-გარდასდილ შეკრდიო... (ს. 488, გვ. 107). ასეთის  
 ნესტან-დარეჯანის საუსტარო სტილი, — არცარა მხნადება და არცარა  
 შესაკალი და წინასიტყვაობა, პირდაპირ, უსაშუალოდ სწვდება წერის  
 საგანს და რაც გულში აქვს, ერთბაშად, დაუფერებელივ აცხადებს  
 მისი ნაწერი მღურვივე ტბრესაკით რადია, რომელშიაც მკითხველი  
 ტომავს და თავი და ბოლო ვერ შეუგნია,—ძლიერსა და ანკარა წყაროსა  
 ჭკავს, კვლდის გულიდან გამომჩქეფარსა.

აღ. ს.—შვილი



## ძველად აღბეჭდილნი წიგნნი მოსკოვის სინოდალურს სტამბაში

მოსკოვის სინოდალურ სტამბაში დაცულია რამდენიმე ძველად აღბეჭდილი წიგნები. საიში იგინი აღნიშნული არიან №№ 4636 — 4702. <sup>1)</sup> რადგანაც ამ რიცხვში ისეთი წიგნებიც არიან მოყვანილნი რომელნიც მე-XIX საუკუნის ნასეკრამდის აღიან, ამიტომ ჩვენ ჩამოკველით მხოლოდ მე-XVIII საუკ. წიგნებს და დაკუმატებთ რამდენსამეს მე-XIX საუკუნეში აღბეჭდილ წიგნს.

№ 4636 წმ. სასარება, აღბეჭდილი სუცურად მოსკოვს, 1739 წ. 4<sup>0</sup> მასარობლებს სლავიანურად აქვს მინაწერი. პირველს ფურცელზედ vers გამოყვანილია საქართველოს გერბი. ამავე ფურცელზედ კეითხულობთ: «სადიდებულად წმ. სამებისა უძისა დიდად ამღლებულისა სდ რუსეთის და თვით მშეობელისა კეთილ მოწმუნისა იმპერატორისა ანნა იოანესისა. ბრძანებითა მეფის ბაქარის გასტანგის ძისათა. შენდობითა და გურთხეკითა წთა მართლ მადიდებულთა სინოდთა. საფასითა და წარსაგებლითა არქიებისკობრისა იოსებისათა <sup>2)</sup> გაკეთდა სხებჭდავი ესე და დაბეჭდა წე ესე სასარება დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამიდან გე აქამომდე ხხმე, ქეს აქეთ ჩლეთ (1739), ქქსა უჩე (1738), თთვესა <sup>3)</sup>».

<sup>1)</sup> Рукописный каталогъ старопечатнымъ и новымъ книгамъ, нах о-  
дьящимся въ Московской Синодальной типографіи.

<sup>2)</sup> სამებელი.

<sup>3)</sup> ორნაირი დატა 1753 და 1739 ქრისტეს დაბადებიდან და ქართული ქორონიკონით.

მესამე გვერდზე: უნა დადად აღლღებულისა იჯთ სდ რუ-  
 სეთის მხეობელისა და კეთილ მორწმუნის იმხეობრიცა ანა ია-  
 ნესსა მე მდაბაღმან არქიუზისკობზომან და კასეთის მწიგნობართ  
 უხუცესის ქვაბულის ძის თამარის ძემან, იოსებ, ვილვაწე და გა-  
 ვაკეთებინე სიფსითა ჩემითა სტამბა ესე ფდითა შრამითა და თა  
 შექმნობითა გუკამისშვილის მღდელ-მონაზონის ქეფარესით. თუ-  
 მცა სარგებელ რამე გექმნასთ ესე... ვითხოვ მონსენებსა. დაიბეჭ-  
 და წმ. ესე სასარება ჩვენს პლს სტამბის სახარებაზე თვინიერ  
 მისის საძიებელისა. ხ საძიებელი რუსული გამჭობინეთ ადვილად  
 ზოგნისა და მისდომისათს (ასსსა ამ საძიებელისა). მდაბაღი ამათ  
 მბეჭდავთა ზედა მდგომელი უღირსი მღდელ-მონაზონი ქრისტე-  
 ფორე.

მე-4 გვერდზე: შესსმა წმ. მხარლებელისა მათესი სოფორ-  
 ნის-მიერ თქმულია. (მოუკანილია შესსმა).

დასასრულ: გავიმართა ხელითა ტფილისის სიონელის გერმ-  
 ნეს მისწულის ცს მღვდლის მონესითა.

უკანასკნელ უდაზე მხედრული ასრებით: ესე წმ. სასარება ზი-  
 რაქ ბერისა არის. ვინც მოიხაროს, ამ წმ. სასარებას მადლი გაუ-  
 წერეს, მისისა პ. მივიღე ესე სასარება **ჩღუზ** (1793 წ.). პირველი  
 უღის გვერდზე; „Изъ книгъ прѣвосвященнѣйшаго Евлогія“.

№ 4637. ფსალმუნი დაკითხისა 1705 წ. მოსკოვი. 80. ეს  
 წიგნი ურთველესად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი უსწრობს  
 ეახტანგის სტამბას ტფილისში და ბაქარისას — მოსკოვში. პირ-  
 ველს გვერდზე რუსულად დაბეჭდილია შემდეგი: „Во славу святаго и  
 Троицы, повелѣниемъ благочестиваго великаго государя нашего па-  
 ря и великаго князя Петра Алексѣевича вся великия имамы и  
 бѣлыя россии самодержца, и благороднѣйшемъ государѣ нашемъ,  
 царевичѣ и великомъ князѣ Алексѣй Петровичѣ, благословениемъ  
 же прѣвосвященныхъ архiereевъ между патриаршествомъ напеча-  
 тана сия богодохновенная книга Псалтырь *имеретинскимъ* *дiалек-  
 томъ и письмены*: въ царственной московской типографii, въ  
 лѣто отъ сотворенiя мiра 541, отъ Рожтва же по плоти Бга  
 слова *афе* (=1705) индикта 11, мца марта“.



მეორე გვერდზე სურველად: სადიდებულად წმინდა და ერთგონის ცხოველ-მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა... მეფობისა დიდისა ბატონისა მეფისა და დიდისა მთავრისა უნა დიდისა, ცოტასი (sic!) და თეთრისა რუსეთისა თვით-მზურბელისა და კეთილად შობილსა ჰე აღექვის შვილისა და მეფას შვილისა დიდის მთავრის აღექვისა ჰეტრეს შვილისა ჩემ-მაჟ მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ილიქსანდრისაჲ დაიბეჭდა წიგნი ესე დთა სამეფოსა ქაჯქას მოსკოვის, წელთა დასახამიდან შვიდი ათას ორას ორმოცდაათსა და განსორცელებიდან ღვთის სიტყვის ათას შვიდას ოცდაათსა (=1705) ინდიკტიონისა ი ოცდაათსა, თთვეს მარტისა ითა.

შემდეგი მოყვანილია წინა შორის მამისა ჩვენისა ათანასე ელექსანდრიელ პატრიარქისა.

№ 4639. ფსალმუნი დაკითხა. ტფილისი. 1795\*) 120. ესა დიდებულად სამებისა უდა უბრწინებადესისა უკეთილმისხურესისა ღმერთადლებელისისა ირაკლი მეორისა, მეფისა საქართველადსა და კეთილ-მოწმუნისა ღმერთადლისა დარეჯან დადიანისა ასულისა და კეთილმოწმუნეთა მეფისა მეთა და ასულთა გურთხევეთა უნეტარესისა და უწმიდესისა მეფისა მის ირაკლის მეორის ანტონი პატრიარქისა უნა საქართველადსა დაიბეჭდა დავ სულაიერი წიგნი ესე ფსალმუნთა წმინდისა დაკითხისა, სამეფოსა ქაჯქას ტფილისისა, პალატის სამეფოსა. წელთა დასახამიდან სოფლისა ხსშ (შემდეგი ამოგლეჯილია), სოფლთა განსორცელებისა სიტყვისა დთა ოცდაათსა (შემდეგი ამოგლეჯილია), თთვეს აგვისტოსა, რინსხსა ბ.

პირველს გვერდზე გამოხსნულია ქართული გერბი.

№ 4653. შეცდომით რუსულად მინაწერი აქვს: „греческая“. ეს წიგნი ბერძნული კი არა, ქართული უამნია, დაბეჭდილი ტფილისს 1791 წ. 80.

ესამს მეფისა ირაკლი მეორისა... და გურთხევეთა ოუნეტარესისა და ოუნდესისა ყოვლისა საქართველადსა პატრიარქისა ანტონისა დაიბეჭდა ტფილისს დასახამიდან სოფლას ხსშთ, გან-

\*) კატალოგში აღნიშნულია „1705 წე“, თუმცა თვით წიგნს აკლია უკანასკნელი ასო რიცხვისა.

სარწიელებიდან სიოტუვისა ღმრთისა ჩღჷმ, თთვესა მასის, რიცხ-  
 სს იღ.

მეორე გვერდზე დაბეჭდილია გეგმა და შესამეზე სამება ამ  
 სიოტუვებით:

«სამებაო, წმიდაო! ადიდე მადიდებელი შენი მეფე ყოვლისა სა-  
 ქართველომასა ირაკლია».

№ 4654 სადღესასწაულო, მოსკოვი. 1805. in folio. მინა-  
 წერი „M. Ioha“.

მეორე გვერდზე: «გუღმოდგინებითა შრომითა და ღვაწლითა  
 უწმიდესისა და უმართებულისა სინოდის ჩლენისა და კაკალერისა  
 ანხიებისკობისა ვარლამ ქსნის ერისთავის დაკითხს მისათა.  
 თანაშრომითა და წუნზურობითა უღ სამღვდელს მიტროპოლიტის  
 იონა გველანის საწდლის გაბრეღის მისათა. ზედამხედველობით  
 საქართველოს მეფის იესეს შვილის შვილის დიმიტრი გიორგის მის  
 ბაგრატიონისათა, ფრიადითა შრომითა იღუმენის ნიკიფორეს თელავის  
 კარის ეკკლესიის მღუდლის მინაილის მის მინაილოვისათა. მებრ-  
 ძანა უწმიდესის სინოდის ჩლენის (sic!) ვარლამ ანხიებისკობისა-  
 საგან მე ზაიქაძე მესტამეს წიგნის ამის სადღესასწაულოს დაბე-  
 ჭდუბ, ვინაჲდან არა იყო ქართულსა ენასა ზა დაბეჭდილო.  
 მორჩილ ვიქმენ ფრიადის გუღსმოდგინებთ ოთხსა წელსა არა და-  
 ვრსებ შრომითა და რღუძარებითა, თუთ ანხანს მოჭრითა, მწეობი-  
 თა, ჩაკითხუთა, დღაქის ჭრითა და ურსავე სტამბისა ამის სახმა-  
 რისა განმართვითა და სრულ იხილოთ, ნუ მწეუბთ, არამედ ღოც-  
 ვასა ჭყოფდეთ ჩემ წოდვალისათუ!»

ვინაჲთუგან უწმიდესის კათოლიკოსმან საქართველოსაგან ანტო-  
 ნი მეფის იესეს შემან მრავლითა შრომითა, ღვაწლ[ის]ა და გუღ-  
 მოდგინებითა ისრაჲთა განჭმევენება ენათა საქართველომასაჲ და მრ-  
 ვალნი წიგნნი ფღ სახმარ სასარგებლონი თვით ჭმენ და მრავალნი-  
 ვე წიგნნი სთვლოლონი საღნს-მეტუწლნი და საეკკლესიონი  
 სხუთაგან ენათა ქართულსა ენასა ზა გარდმოღებულ ჭყო ფრია-  
 დითა კეთელშეწეობილებითა და ვინაჲთუგან ესეცა წიგნი სადღესა-  
 სწაულო მისითა შრომითა იყო განმართულ და შეწეობილ ქართუ-  
 ლსა ენასა ზა, ამისთვის მეცა ვერლარა კანდიერ ვიქმენ შესებად და



შეცვალებად რაჟსამ და კითხრც მის მიერ იუჟნეს განმართულ უ-  
თურთ, ესრეთ უცჷსებულად დაბეჭდილ იქმნა სადიდებულად წის  
სამებისა და სასარგებლოდ სულისა ყოველთა ძეთა საქართველთა-  
სათა.

სინოდის ჩლენი კარლასი არსიებესკოპოსისა.

№ 4656 სასარება. დაბეჭდილი ტფილისს 1786 წ. in folio.  
მეფე ირაკლის და კათალიკოზის ანტონის დრეს. (შუად. წინასი-  
ტეპობა № 4653).

№ 4658. ზადიკი. დაბეჭდილია ტფილისს 1788 წ. 40.

ზირველს გვერდზე გამოსატულია ქართული გერბი. ამის გარ-  
შემო კსედავთ: მზეს კანის სახეთ, შუამდეგ ღრუბელს და სული-  
წმიდას, რომელიც დასტკერის მოუწყობელ დედამიწას. ამას ქვემოდ  
გამოსასულისა ანგელოზი. მარჯვნივ-მალღა მთავარე მონახანს. მარც-  
ხნივ ღვთისმშობელი გვირგვინით: მარცხენა ხელში უჭირავს სვი-  
პტრას და მარჯვენაში დიდი ჯვარი, გულზე მას გამოსატულია აქვს  
მზე, რომლის სხივებიც მოკუთნებთან მსოფლიოს გერბს ქვემოდ.  
მარჯვნივ ღვთის-მშობლისა გამოსასულისა ბარძიმი და გასადები.  
გერბის ბოლოს გადაშლილი წიგნი სძეკს. ამ წიგნს მარჯვნივ ან-  
გელოზი უდგია და მარცხნივ—არწიკი. გერბის მარჯვნივ კსედავთ  
სარონს კვერთხით და საცეცხლურით.—მეორე გვერდზე გამოსატუ-  
ლია ლადგომას ქრისტესა. წიგნში ჩადებულია ნახევარ ფურცელი  
რადც წიგნისა, რომელზედაც აწერია: „Переводчикъ колл. секр.  
И. Мозваровъ“.

№ 4661. მანხანი. დაბეჭდილი ტფილისს 1793 წ. in folio.  
ქართული გერბით.

სადიდებულად სამებისა... ბრძანებითა ირაკლი მეორისა, მის  
ცხუბელის მეფის თეიმურაზ მეორისა, რომელმან მიიღო მეფობა  
კასეთზე წელს განხორციელებიდან სიტუიის ღმრთისა ჩლმდ და  
შუამდგომად ნეტარ-სსენებულისა მამისა თეისისა წელს ჩლმბ შუ-  
მაერთებულისა რთავე სამეფოთა სვიპტრათათა ქართლისა და კა-  
სეთისათა, დრესაჲ თანამეცხედრისა... დარასსა... ძეთა... კათო-  
ლიკოსის პატრიარქ ანტონისა დაბეჭდა წიგნი ესე სამსაგალბე-  
ლი წმიდათა დიდთა მარხუათა სამეფოთა ქალაქსა ტფილისს ჩლშბ.

№ 4665. პარაკლიტონი, დაბეჭდილი ტფილისს 1772 წ. in folio. ორი ტალი.

წიგნის დასასრულს დაბეჭდილია: ესე უწყოდეთ ერთი მკითხველთა ამის წიგნისა პარაკლიტონისა, რომელიცა [ი]მრომა უწმიდესმან ძმამან ჩვენმან ერთსა ზემოდასა საქართველოდას კათოლიკოს-პატრიარქმან მეფის ძემან ანტონი. მიიღო განსწორებისა ზესა წიგნისა ამის პარაკლიტონისა, ვა თუთ ჰესწერს ანდერძსა თუსსა შა წიგნისა ამის თუსსა მდებარესა, ბერძულისაგან გარდმოღებულსა ექმნა რუსეთს ყოფასა თუსსა ქალაქსა ვლადიმირს, ვდ არა აქვსთ სურობად კანონი დისმშობლისა, გარდა ორთა მათ კანონებთა, რომელთა თვით მოუთხრობს და აქაცა დიდებულ არს იგი... და ჩვენსა საქართველოდას ერნი განამთავან საკუთარ-წოდებულ დისმშობლისა წილ-ხდომილად ერთად წოდებულ ვართ, ფრიად სურვილი გვაქმნდა დისმშობლის სურობის კანონისა თანდადება პარაკლიტონისა ამის შა. ამისათვის ჩნ რელიცა დთ ჩნსა დაბეჭდილი ქალაქსა ამის პარაკლიტონი იყო და მს შა სურობის კანონი დთსმშობლისა იგი დაკდევით და განგაწესეთ დაბეჭდვად და თანაშერთვად წიგნისა ამის.

მეფე ქართლისა და კახეთისა  
ირაკლი.

ბოლოს არშიაზე მხედრულად მინაწერია: თაკიდან ბოლომდამს ეს ფურცელი როგორ არის, დაბეჭდოს.

არსიერი ზაფხოტი.

4698. Собрание російскихъ разговоровъ въ общежитіи употребляемыхъ разговоровъ съ приложеніемъ перевода, въ пользу „Благороднаго юношества“.

შეკრება რუსულთა უბნობათა საზოგადოდ ცხოვრებისა შინა სახმარებლად დართვითა ქართულისა თარგმანისათა სსსარგებლად კუთილშობილთა ერმათა. არ. 1826. 80. ორი ტალი.

Оглавление

ს ა რ ჩ მ ვ ი

Букварь російській съ грузин-скимь.  
 Числительныя имена количественныя.  
 Дни недѣльные.  
 Разговоры.  
 Какъ спрашивать и объяснить о здаровьѣ.  
 О времени.  
 Покупать что-на платье.

ანბანი რუსული ქართულითურთ.  
 რიცხვთა სსხელები რაოდენობითნა.  
 დღენი კურთხისანი.  
 უბნობანი.  
 როგორ უნდა ჰკითხოს და შეატყობინოს სამართალე.  
 ღრმადსათჳს.  
 სუადჳს რისამე ტანისამოსისათჳს.

და სსხა და სსხა... თარგმანში აქა-იქ რუსიციზმები შეჰმარჯიათ: მაგალითად, — „Потише, вы мнѣ дѣлаете больно“: ნელა, თქვენ მე მატკენთ. „Я вамъ общаю“, — მე თქვენ დაგზიბებიავარ...

№ 4699. ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა წერილისა. მოსკოვი. 1825. 80.

«მსგავსად რუსულისა, შეწუობილია და დაბეჭდილი ტარასის მიერ მღუბელთ-მონაზონისა სოლომონ დეკანოზის ძის ალექსიკვისა, რომელცა ჰსძღუნის სამდაბლით კეთილ-გონიერთა ყრმათა საქართველოსათა. დააბეჭდა ბრძანებითა უწმიდესის სინოდისა მოსკოვის ჩღვმ.

შემდეგ ხუცურისა და მხედრულის ანბანის აღნიშნულია:

«ლექსნი ქარაგმანნი (ღთი — ღმერთი და სსხ.) მხედრულად:

«მოკლე წებობითი სწავლანა. მაგალითად: «გახსოვდეს მარადის, ყრმაო, რომელი ღმერთი არათუ მხოლოდ საქმესა კაცისასა, არამედ თუთ გონებასაცა და განზრახსუნისა მისისა (?) ჰსკვადეს».

ხუცურად: «შემოკლებული კატეხიზმო.»

კითხვა: «რასთვის გეწოდების შენ ქრისტიანე?»

მიგება: «ამისთვის, რომელი მრწამს მე უნ ჩვენი იესო ქრისტე და მიზურა ეს წმიდა ჰსჯული მისია».

კითხვა: «რადისა სწავლებს ქრისტიანობრივი სარწმუნოება?»

მიგება: «ასწავლებს ყოველსავე ჰეშმარიტს».

შემდეგ მოყვანილია «შემოკლებული სამღუდლო ისტორია» (ძველი და ახალი აღთქმიდან).

№ 4700. სუცურად „ქართული ღრამატიკა“. 8<sup>0</sup>. 144 გვ.  
 მსედრულად: § 1. ღრამატიკა არს ჭსწავლა სელმძღვანელთ კანონი-  
 კრის უბნობისა და მართლ-წერისადმი.

§ 2. ღრამატიკა განიყოფების სამთა ზედა ნაწილთა (ეტი-  
 მოლელია, სინტაქსი და ორთოდრამთა).

დასასრული ვიწველისა ნაწილისა.

4701. ანბანი. 8<sup>0</sup>. 18 გვ. ქართული სუცურით და მსედრუ-  
 ლი ანბანით გამოსახულია ოსური გამოთქმანი და დამატებულია ერ-  
 თი ასო 2, რომელიც გამოთქმის 2 და 3 შორის, გამოთქმის,  
 როგორც შენიშვნა იუწეება, «ბრჯგუდა».

დასასრული, სუცურად დაბეჭდილია: «შედგენილ არს და თარ-  
 გმულ ქართულითგან ოსურსა ენასა ზედა ბუნებით ოსურთაგანის  
 (= ოსთაგანის) აზნაურის (= ოსურის) იოანე ივლიუზის მის  
 მიერ».

დასასრული ორიოდუ სიტყვა კიდევ: 1872 წ. შედგენილ იქმ-  
 ნა ანალი კატალოგი მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკისა. \*) აქ,  
 სხვათა შორის მოხსენებულია ორი ქართული წიგნი. 1825 წლის  
 კატალოგით სინოდალურ წიგნთ-საცავში დაცულია ორი წერილი  
 ანუ გრამატიკა \*\*) არჩილ მეფისა ჰატრიატქ სიმეონთან მიწერილი  
 იმ მიზნით, რომ მან იშუამდგომელს მოსკოვის მეფესთან, (სახე-  
 ლი არ სჩანს), რათა მიეცეს ნება ჰირად მოსკოლისა მოსკოვს. მე-  
 რე სიგელი შეესება ამავე მეფე არჩილს და მიწერილია საქართუ-  
 ლის კათალიკოსის ნიკოლოზის მიერ ჰატრიატქ იოაკიმესთან თხრ-  
 კნით, რომ არჩილი, კასტანგის ძე, კეთილად იქმნას მიღებული მო-  
 სკოვს. წერილს უზის რიცხვი: „2-го июля, 1687“ წ. (Ср. № 47.  
 Горскій, Невоструевъ.)

აღ. ხახანაშვილი

\*) *Савва*. Указатель для обозрѣнія Москов. патріар. бібліотеки, издание 2-е. М. 1858 г. стр. 20.

\*\*) *ibid.* стр. 58—62.



# ბატონყმობა სამეგრელოში

კ. ბარაზდინისა

## I

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აქაურს მეფუტკრეობა-საც. ამ დარგს მეურნეობისას მისდევენ ენგურისა, ტეხურისა და ცხენისწყლის ხეობების მცხოვრებნი. სკები ხეებზეა ხოლმე მიკრული და თაფლი და ფიჭი ერთად ამოაქვთ წელიწადში ერთხელ, ასე, საახალწლოდ. ზოგიერთ გლეხს 100—150 სკა ფუტკარი ჰყავს. ფუთ თაფლს 4—5 მანეთადა ჰყიდიან, ხოლო სანთელს—15 მანეთად. ბარის სამეგრელოში, ზღვის მახლობლად, მდ. ჭურის ნაპირებზე, მშვენიერი თაფლი იცის. აქაურ თაფლს **კაშურჭს** ეძახიან. მეტის-მეტად თეთრი და გემრიელია, ფიჭი თითქმის არა აქვს, ცარიელი თაფლია და პირდაპირ იკმევა, შაქრიელსავით; საუცხოვო სუნიცა აქვს. საკვირველი ის არის, რომ **კაშურჭა** როგორღაც შემთხვევით გამოერევა ხოლმე, თვითონ გლეხებმაც არ იციან, რომელ ფუტკარს ექნება კიბურჭი გაკეთებული: რამდენსამე როგო თაფლს ერთი როგო კიბურჭი გამოერევა. ალბად, ფუტკრები რომელიღაც განსაკუთრებით სურნელოვან ყვავილებიდან აგროვებენ კიბურჭს და თვით ეს ყვავილები დიდხანს არა ჰყვავიან. თაფლსა და სანთელს მომეტებულად თურქები ჰყიდილობენ აქ და საზღვარ გარედ გააქვთ.

\*) იხ. „მოამბე“ № XI 1899 წ.

საქონლის მოშენებას საქმე სამეგრელოში მეტად დაცემულია. საქონლის ჯიში იმ ზომამდეა დაკნინებული, რომ აქაური ძროხა კარგის ჯიშის წლინახევრის ხზოზე დიდი ძლივასაა. საქონელს სრულებით არ უვლიან: წელიწადი-თორმეტი თვე გარედ დაუდით, და მხოლოდ ზოგიერთები ინახვენ ქრისტეშობისა და იანვრის თვეებში ბოსლებში, უფრო ხშირად კი საქონელი თვითონვე ეძებს საკვებსა. ზამთარში, რაკი ფოთოლი და ბალახი აღარ არის, ბუჩქების ახალ ყლორტებით და ნეკრებით იკვებება. ამგვარ მოუვლელობის მიზეზით საქონელი მეტად დავარდნილია და ხშირად ქირიც მუსრს ავლებს ხოლმე. ადგილობრივ პოლიციას დიდი შრომა ადგია ხოლმე ქირიანობის დროს: თვალ-ყური უნდა ადევნოს, რომ გლეხებმა ქირით დახოცილ საქონელს ტყავი არ გააძრონ და მკვდარიც ღრმად დამარხონ ხოლმე მიწაში; ქირიან საქონელს ხალხი სიღარიბის გამო აძრობს ტყავს და ამის მიზეზით ხშირად თვითონ სოფლებსაც უჩნდებათ სენი.

ცხენებიც დაკნინებულის ჯიშისანი არიან აქ. მხოლოდ შეძლებულ მებატონეებსა ჰყავთ გვარიანი ჯოჯი, რომელშიაც კარგი, ბაჩად წოდებული, თოხარიკი ცხენები გამოერევა ხოლმე. მეცხვარეობას მთების მახლობლად მდებარე სოფლებში მისდევენ, სადაც საუცხოვო მთის საძოვრები აკრავთ ხოლმე. ამ სოფლებში 20,000 მეტი ცხვარი ეყოლებათ. ზაფხულობით უმეტესობა ძროხებისა, ცხენებისა და ცხვრებისა ბარიდან ლეჩხუმში მიუდით ხოლმე, ასხის მთაზე, სადაც კარგი საძოვრებია. აქ ადგილი მიუვალია, ამიტომ ქურდების შიში არა აქვთ, ხოლო ცხენები იმ ზომამდე ველურდებიან, რომ შემოდგომაზე ქამანდით იჭერენ ხოლმე.

ტყვას წარმოება ჯერ რიგიანად არ იციან. ახლაც მცხოვრებთ ბევრს ალაგას ტყე საერთო საკუთრებად მიაჩნიათ და ჰგონიათ, ყველას შეუძლია მისი ქრა, როგორც და რამდენიც უნდაო. მდიდარი ტყეა რიონიდან სამურზაყანამდე, ზოგან შიგ ცულიც არ შეუტანია ადამიანსა. აქ შეხვდებით



საუცხოვო ხელუხლებელ ტყეებს—მუხისას, წაბლისას, კობიტისას, უშველებელის სიდიდის წიფელისას. რაკი ამ ტყის მყიდველი არავინ არის, მემამულენი დიდის სიხარულით აძლევენ ტყეს გლეხებს უსასყიდლოდ 10—15 წლით, იმ პირობით, რომ ტყე გაჰკაფონ და მიწა საყანედ გასტეხონ. ასწლოვანი ხეები ძირში იჭრება, მიწაზედვე რჩება, ღებება და ნიადაგს ასუქებს. ამ ახალგატეხილ ნიადაგზე ჭირნახული საოცრად ბევრი მოდის, მაგრამ, რად გინდათ? ჰაერი მეტად ცივებ-ცხელებიანია, ყველას, ვინც აქ დასახლებას გაჰბედავს, წყალმანკი უჩნდება ჩაცივებულის ციებისაგან; ყველა გამხდარია და მწვანე ფერი ადევთ. პირველი, მუქთად სარგებლობის, ვადა რომ გაივლის, მემამულე თავის იჯარაძარს დაავალებს შიდა იხადოს ხოლმე მამულის სარგებლობისათვის—მოსავლის მეათედი. გლეხიც ამის შემდეგ მამულზედ რჩება მოიჯარაძრედ.

ამნაირი გაკაფვა ტყისა, რა თქმა უნდა, სამეგრელოს ჰაერს გასწმენდს, რაიცა ცხადად დაეტყო ფოთს, სადაც, როგორც ამბობენ, იმის შემდეგ, რაც გარშემო ტყე შემოაცალეს, ჰაერიც გაკეთდაო. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხშირად ტყე უსარგებლოდ იჩეხება და იღუპება,—ზოქრილი ხე ტყე ღებება, ან იწვის, ხოლო სულ მცირე ნაწილი ხმარდება პატრონს, ან აყიდება. 1858 წ. სამურზაყანოს აზნაურთ ჩხოლარიებმა, გრაფის როზმურდუკის შემწეობით, თავიანთი ტყე რკინის გზათა საზოგადოების თეოდოსიის განყოფილებას მიჰყიდეს. როზმურდუკმა პირობა შეუკრა ამ განყოფილების დირექტორებს ბ.ბ. ტრონსა და გოტრონს,—ჩხოლარიების ტყიდან 160,000 მანეთის ტრავერსებს ჩაგაბარებო, და ამით მოცილედ გაუხდა ინგლისელთა ამხანაგობას, რომელიც ადრე ამ განყოფილებას ხე-ტყეს აძლევდა რკინის გზებისათვის. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ვიცით, ხსენებულმა ამხანაგობამ ამ გზაზე მუშაო? ას თავი დაანება და ამავე დროს ჩხოლარიების ტყის ჭრაც შეჩერდა. ამათ მხოლოდ 9,000 მანეთის აღება მოასწრეს. ეხლა თავადთ მხეიძეთა ტყიდან, რი-

ონის პირიდან, გამოაქვთ მუხა, წაბლი და კოპიტი ფოთის ნავთ-სადგურისათვის მასალად და იხერხება ორთქლის სახერხავში, რომელიც იმავე გრაფმა როზმურდუქმა გააკეთა ქ. ფოთში.

სამეგრელოს ხეობაში შემდეგი ჯიშის ძვირფასი ტყეებია: ბზა, რომელიც თურქებს გააქვთ საზღვარ-გარედ, უნთხელი და ძელქვა. ამ უკანასკნელის ჯიშის ხე აქაურს ხეებს სხვა-ყველასა სჯობია თავის ღირსებით, მაგრამ ეხლა ცოტა-ლა და-რჩა. ნაძვი, სოჭი და ფიჭვი მიუვალ მთებზე ხარობს და მხოლოდ ცხენისწყლის ხეობაში, სოფ. კინჩხიის მცხოვრებნი სჭრი-ან ცოტასა და ასაღებენ. ამ ხეებისას ხლიან ყავარს, სთლიან ხის ჯამ-ჭურჯელს, აკვნებს და წვრილმან ნივთებს, და მხრით მოაქვთ ხოლმე ოც და ათის ვერსის მანძილზე იმერეთში, ხო-ნის ბაზარზე გასასყიდად.

—

ახლა აღვნიშნავთ მენაგეობას და ჩაჯგადობას: ამ ორს ხელობას მეურნეობასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს, მაგრამ საინტერესოა მითი, რომ ორსავე მისდევს კარგა მოზრდილი ნაწილი სამეგრელოს მკვიდრთა.

საქილაოს საზოგადოების ხოფლები: კოდორი, სირია-ჩქო-ნი, ჭალადიდი და სხვა რიონის სანაპირო სოფლები მენავეო-ბას მისდევენ. აქაურს მცხოვრებლებს ნავებით დააქვთ საქო-ნელი დაბა ორპირსა და ფოთს შუა. ნავს ჩვეულებრივ თხმე-ლის ხისაგან აკეთებენ. ძირი ბრტყელი აქვს და შიგ ეტევა 500 ქილა საქონელი, მაგალითად: სიმინდი, მარლილი და სხვ. რიონზე გემებიც გაჩნდა და აქაურებს ეშინოდათ, მენავეობას ფასი დაეკარგებოთ, მაგრამ ნავების რიცხვმა, ის კი არა, უფრო იმატა. ამ ჟამად რიონზე 300 ნავი მუშაობს. ორპირიდან ქვე-ვით ფოთამდე ერთი გზა ნავისა 8—12 მანეთად ღირს, ხოლო წყალ-აღმა ღირს 20—30 მანეთად. ნავი წყალ-დაღმა ერთს ღლეს ჩადის ფოთში, ხოლო წყალ-აღმა სიარულს უნდება ხუთი ღლე, ერთი კვირა, ზოგჯერ მეტიც, თუ დარი ხელს არ უწყობს.

შავის ზღვის ნაპირებზე, შეკვეთილიდან მოკიდებული გაგრამდე სანდლებით დადიან. აქ მეზღვაურნი თურქები არიან, მაგრამ ხშირად მეგრელებსაც შეხედებით. დიდი იალქნიანი გემები არ არის აქ. ამიტომ რომ ასეთი გემები ნაპირებს ძნელად მიადგება, ან და, საჭიროების დროს, ხმელეთზე გატანა მათი არ შეიძლება. პატარა ნავებითა და სანდლებით კი ეს აღვილია. ასეთი ნავები 150-ია; მუშაობა მთელს წელიწადს აქვთ, გარდა მკათათვისა და მარია-მოობისთვისა. ეს დრო საშინელის ციებ-ცხელების დროა და მენავენი იძულებულნი არიან თავიანთს სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ერთი სანდლი ღირს 200—1,000 მანეთად, ხოლო ნავი—75—150 მან. სანდალზე ექვსი კაცია მენავე, ნავზე კი ნაკლები; მათ შორის ერთი შკიპერია და დანარჩენები—მატროსები. შკიპერი ზოგჯერ პატრონიცაა სანდლისა, მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში კი სხვას ქირით უდვას ხოლმე და წელიწადში 400 მანეთამდე აიღებს, ხოლო მატროსი—ამის ნახევარს. მატროსები, როგორც სანდალში ისე ნავში, მოგებულს ფულს ასე იყოფენ. საქონლის პატრონისაგან აღებულ ფულიდან ჯერ საერთო ხარჯს გამოორიცხავენ საქმლისთვის, დანარჩენი ფულის ნახევარს სანდლის პატრონი იღებს და მეორე ნახევარს მენავენი; მაგრამ აქაც შკიპერს მატროსზე ერთი-ორად მეტს წილს უდებენ. 1861 წ. სანდლების პატრონები—შკიპერები იყვნენ 5, ხოლო მოჯამაგირენი—14; მატროსები 100 კაცამდე იყვნენ.

საქონდიდლოში, რომელსაც შეადგენს მთელი რიგი საეკლესიო სოფლებისა, მცხოვრებნი ჩაღვაძრებს ეტანებიან. აქ 8,500 ცხენი ეყოლებათ მუდამ ჟამს; თითოეულს ცხენს 20 ბათმანის ან 9 ფუთ საქონლის აკიდება შეუძლია. ორპირიდან ტფილისამდე ჩაღვაძარს მიაქვს ყოველ ფუთ საქონლის წასაღებად ექვსიდან ათ შაურამდე, დარის მიხედვით.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი განსაკუთრებული მხარე სამეგრელოს სოფლის ცხოვრებისა. ჩვენ ვამბობთ ბაზ-

რობის შესახებ. ბაზრობა, მართალია, სამეგრელოს გარდა, გური-იმერეთის სოფლებშიაც იციან, მაგრამ ვერც აღმოსავლეთ-საქართველოში შეხვდება კაცი და ვერც მუსულმანთა პროვინციებში. აღმოსავლეთ საქართველოში სოფელნი თავიანთს ნაწარმოებს, სახლიდან არ გადიან, ისე ასაღებენ ყოველ სოფელში დაბუდებულს ან და სხვა ქალაქიდან მოსულ ვაჭარ-სომეხზე. თელავი, სიღნაღი, გორი—ბუდეა სომეხ-ვაჭრებისა, რომლებიც მწარმოებელთაგან ყოველგვარ სოფლის ქირნახულსა ჰყიდულობენ და მერე გააქვთ ტფილისისა და სხვა ბაზრებზე გასასაღებლად. ამ გვარად, ორი სულ სხვა-და-სხვა გვარი კლასი გაჩნდა: ერთი მუშა და მწარმოებელი, მეორე — ჩარჩია; ამ მეორე კლასმა ძალა მოიკრიბა და მწარმოებელი სრულ ყურმოჭრილ ყმად და მოსამსახურედ გაიხადა. ფასების აწევ-დაწევა სომეხებზეა დამოკიდებული, ფულიც იმათს ხელშია. ესენი ბატონობენ მთელს სოფელში, თარეშობენ როგორც უნდათ, იმიტომ, რომ მებატონესა და გლეხს ყველას სათითაოდ იცნობენ, იციან მათი ცხოვრება, არ გამოეპარებათ—ვის როდის რა უჭირთ, სოჭეხი სირაჯი კახეთში ღვინის სასყიდლად მაშინ მიდის, როცა მისი გამოანგარიშებით, გლეხს სახელმწიფო გარდასახადი აქვს მისაცემი, ან და მებატონეს „პრიკაზის“ ვალის სარგებლის შეტანის დრო დაუდგა; სომეხმა იცის, რომ ამ დროს ფული გლეხსაც და მებატონესაც ძალზე უჭირთ, რომ გაჭირვების დანაყელთან არის მისული, იცის, რომ მის ფულს იქით ხსნა არსით აქვთ, სარგებლობს მათის გამწარებულის დღით და მათს ნაღვაწ-ნაამაგარს ჩალის ფასად იგდებს ხელში; მებატონე და გლეხი ფეხებში უვარდებიან, შენი ქირიმე, ოლონდ გვიხსენ და ქირნახული, როგორც გინდოდეს, ისე წაიღეო. სამეგრელოს მკვიდრნი ამ მხრივ კარგს ყოფაში არიან. აქ ყოველს დიდს სოფელში კვირაობით და პარასკევობით ბაზრობა იციან, ხოლო დაბებში: ზუგდიდს, სენაკს, ხონს, ნაოლაღევს, ლაილაშს, სუჯუნას და ორპირში, გარდა ამ ყოველ კვირეულ ბაზრობისა, წელიწადში რამდენჯერმე დიდი ბაზრობა იციან. გლეხს



ბაზარზე გამოაქვს ყველაფერი, რასაც კი რამე ფასი აქვს, და იქავე ჰყიდის და ან შემოტანილ საქონელზე სცვლის. აბრეშუმი, თუთუნი, პური, მწვანილი, შინ ნაქსოვი შალები, ხისა და თიხის ჯამ-ჭურჭელი, ფეხ-საცმელი, თაფლი, სანთელი, ღვინო, შინაური ფრინველი, ცხვარი, ძროხა, ხარი, ცხენი—ყოველივე ეს შემოაქვთ და შემოჰყავთ სხვა-და-სხვა სოფლებიდან, აქავე ჰყიდნიან და სცვლიან მარილზე, მატყლზე, ჩითეულობაზე, იარაღზე, შეკერილ სამოსელზე და მრ. სხვ. ვაჭრები—იგივე მეგრელები არიან, ამიტომ მათსა და მწარმოებელთ შორის სიძულვილი არ არის, და აქაური ვაჭრები, სომხებსავე, ცალკე განკერძოებულს კორპორაციას არ შეადგენენ. აქაურს ვაჭრებში ურჩებიც ურევიათ. ესენი აქ უხსოვრის დროიდან არიან ჩამოსახლებულნი, მგონი თვით ბაბილონის ტყვეობის დროიდან; განსაკუთრებით აბრეშუმს ჰყიდულობენ და საზღვარ-გარედ გააქვთ. ურჩებს, გულითაც რომ უნდოდეთ, მაინც თავის ნებაზე ვერც ასწევენ ფასებსა და ვერც დასწევენ, რადგან საშიში მეტოქეები ჰყავთ—მეგრელი ვაჭრები. გლეხს საშინლადა სწამს—ბაზარზე ისე აღვილად ვერ მამატყუილებენო, იქ ყოველთვის კარგ ფასად გავყიდი საქონელსაო, და ამიტომ, თუ რამე აქვს გასასყიდი, ალაგობრივ, სოფელში, ძნელად გაჰყიდის; თუ კარზე მიადგა და რამე სთხოვა—მომყიდეო, გლეხი მაშინათვე ექვს შეიტანს ვაჭარზე, ალბად მოსატყუებლად მოვიდაო. დიად, მეგრელს ეს თვისება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, ყველაფერი ბაზარზე უნდა ჰყიდოს, ან სცვალოს. როცა ცხოვრების მოთხოვნილებანი მოემატება აქაურს მცხოვრებს და მეურნეობაც წინ წაიწევს, მაშინ ამ თვისების წყალობით მეგრელი, უექველია, ვაჭრობაში საპატიო აღგილს დაიჭერს. გარდა ამისა, აქაური ხალხი მოძრავია, ფულის მოსაგებად სხვაგან წასვლა, გარჯა არ ეზარება. მაგალითად, მეგრელს ნახავთ, რომ კახეთში ამოუყვია თავი, იქ ბალის შემუშავება აუღია სანახევროდ, ან შავის ზღვის პირად გადასულა, დუქანი გაუღია და ვაჭრობს თავისთინ, ან კიდევ სცდილობს საბაჟოზე დაყენებულ მოხელეებს თვალი აუ-

ხეოს და მათს წინ დაუბაჟავი საქონელი გააპაროს... 1860 წელს ქერჩში მუშები დასჭირდათ სიმაგრეთა ასაშენებლად. ამ ამბავმა ერთ მეგრელ იჯარაღარის ყურამდე მოაღწია, იმანაც ფიცხლად, სად იყო და სად არა, 500 კაცს მოუყარა თავი, ჩასვა გემში და ქერჩში ამოჰყა თავი. ძნელი საპოვნელია ასეთი ნიჭიერი, სწავლის მოყვარული და მიხვედრილი ხალხი, — მეგრელები თავისის საზოგადოებრივი თვისებებით და ყველაფრის შემფერებელ ხასიათით — კავკასიის ფრანგები არიან. მაგრამ ერთი კილი სჭირთ: ჯერ კარგად არა აქვს შემუშავებული იურიდიული წესები იმისა, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ბუნებისაგან ბოძებულის სიმდიდრით, ამიტომ პატიოსან შრომას აქ ჯერ აღვილი არა აქვს. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივ ზნეობის ძირითადს ნაკლულევანებაში; აქაურს ზნეობას ჯერ კიდევ ატყვია კვალი ამ ქვეყნის ისტორიისა, რომელიც აღსაესვა განუწყვეტელის ძარცვა-რბევით და შიშინაობით.

## II

მოკლე მიმოხილვა სამეგრელოს წარსულისა. — დღემდე დარჩენილი ჩვეულება ძალ-მომრეობისა და ტაციობისა. — ჩხუბი. — ცხენისა და საქონლის ქურდობა. — წინანდელის მთავრობისა და რუსის ადმინისტრაციის მოქმედება ამ საზოგადო სენის წინააღმდეგ. — უმეცრება და ცრუ-მორწმუნეობა. — საზოგადოების მიდრეკილება კარგ წეს-წყობილებისადმი. — ადათი. — ურთიერთი ნდობა. — გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობის გავლენა ხალხის ზნეობრივ განვითარებაზე.

ცხენის წყლიდან მოყოლებული მდ. ენგურამდე სამეგრელო წარმოადგენს ერთს ვაკეს, სადაც აქა-იქ თუ შეხვდებოდა კაცი სერებს. საზღვრები მისი ბუნებისაგან დაუფარავია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძველად ორივე მხრიდან ხშირად ეწვევოდნენ ხოლმე დაუპატიებელი სტუმრები. ერთის მხრით, იმერეთის იმეთი — რასმე მოიმიზეზებდა და თავისს ჯარს



მიუსევდა დასარბევად და დასაწიოკებლად, მეორე მხრით, დადიანის მიერ მოსახმარებლად მოწვეული მხედრობა აფხაზთა დაუნდობლად ანადგურებდა ყოველსავე, რაც კი შეხვდებოდა. ან-და წინაუკმო მოხდებოდა: აფხაზები დაესხოდნენ თავზე სამეგრელოს, ხოლო იმერეთის მეფე ეხმარებოდა, მაგრამ ორსავე შემთხვევაში წაგებულნი სამეგრელო რჩებოდა. შინაურობაში დაუსრულებელი შუღლი და განხეთქილება იყო და ამის კვალი აშკარად ეტყობა ტრადიციებს, როგორც მთავრებისა, ისე გავლენიან თავადების გვაროვნობისას. მე-XIV საუკუნიდან XIX საუკუნემდე სამი დინასტია გამოიცვალა მთავრებისა: ჯერ ბედია იყო, მერე ლიპარტიანი ღ ბოლოს—ჩიქაუანი; თითოეული გვარი იმის ცდაში იყო, —მეორე გვარი ტახტიდან ჩამოეგდო და მთავრობა თვითონ დარჩენოდა; და დღეს უძველეს გვარის წარმომადგენელი უბრალო აზნაურებად-ლა არიან. შარდენი ამბობს, რომ იმის დროს საბათართა გვარი თვალ-საჩინო მებატონეებს ეკუთვნოდაო, და დღეს მათნი შთამომავალნი მცირე-მამულიანი აზნაურები არიან. საცა ომი იყო, იქ მეომარი ნაწილი საზოგადოებისა, უეჭველია, ერთს დღეს დაეცემოდა, მეორე დღეს ამალღებოდა და წინაუკმო. დღეს ქედები და სერები დაფარულია კოშკთა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებითა, —ოდესღაც ამებში სცხოვრობდა ეს მეომარი წოდება. გლეხები, ზარის ხმა გაისმოდა, თუ არა, ამ ციხე-კოშკებს მიაშურებდნენ, ხოლო მებატონენი მტრისაგან იფარადნენ და სამაგიეროდ გლეხებს სხვა-და-სხვა ხარკს ახდევინებდნენ და ვალად ადებდნენ, —ციხე-სიმაგრენი განეახლებინათ ხოლმე, როცა კი ეს საჭირო იქმნებოდა. ამ ხარკს საცხე ერქვა; შემდეგში საციხეს მაგივრად ფულს იხდიდნენ გლეხები და დღესაც იხდიან (კომლზე ათ შაურს) თავიანთის მებატონეების სასარგებლოდ, თუმცა თვით ციხეები დიდი ხანია დაინგრა.

სამეგრელოს ცხოვრების ამ ხანში სათურქოს ბატონობა იმაში გამოიხატებოდა, რომ აქედან სათურქოში დიდძალი ქალები გაჰყავდათ და ტყვეებსა ჰყიდდნენ. ყოველ წელიწადს დადიანი სათურქოს ხარკად აძლევდა ლამაზ ქალებს, რომლებიც

მერე არმხანების შშვენებად და თვალად ითვლებოდნენ. ხოლო ტყვეების ყიდვა შარდენის დროს მეტად გავრცელებული იყო. ამის შესახებ, სხვათა შორის, ერთს მეტად სასაცილო ამბავს მოგვითხრობს: „ერთს აზნაურს შეჰყვარებია ერთი ქალი და გადაუწყვეტია მისი შერთვა, თუმცა ცოლიანი იყო. თავისი სურვილი ქალის დედ-მამას გამოუცხადა და ისინიც დათანხმდნენ. მაშინ ჩვეულებად ჰქონდათ, საქმროს საცოლეს უნდა ეყიდნა, ხოლო ამ ყიდვის დროს საჭირო იყო გვარიშვილობა, ახალგაზღობა და სილამაზე. საქმრომ არ იცოდა, საიდან ეშოვნა საცოლეს სასყიდი ფული, ამასთანავე, ქორწილისათვისაც სჭიროდა ხარჯი... არც აცივა, არც აცხელა. სთქვა, ტყვეებს გავყიდო, და სიყვარულისაგან სასოწარკვეთილმა შემდეგს ხერხს მიმართა. მოიწვია 12 მღვდელი და სთხოვა, ერთი დიდის ამბით მიწირეთო. მღვდლები დიდის სიამოვნებით მოვიდნენ,—აბა რას იფიქრებდნენ, რომ მასპინძელი ტყვედ გაყიდვას უპირებდათ. მასპინძელი მეტად სტუმართ-მოყვარულად დაუხვდა, სთხოვა სწირეთო, და მერე ბრძანა ძროხა დაეკლათ და სტუმრებს სანაქებოდ გაუმანსპინძლდა. როცა დათვრნენ, გულუხვმა მასპინძელმა ბრძანა ხუნდებლები გაეყარათ მათთვის, თმა წვერი გაეპარსათ და მეორე ღამეს ოსმალთა ხომალდზე წაიყვანა, სადაც ტანისამოსიანად თურქებს მიჰყადა, მაგრამ ეს ფული მაინც არ ეყო საყვარლის გამოსახნელად, და ამიტომ ამ ვეფხვმა (შარდენი ასე ეძახის ამ კაცს) იმავე გემზე თავისი ცოლი გაჰყიდა“. ვსთქვათ, რომ ეს ანეგდოტია, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი ანეგდოტი მხოლოდ მეტად გახშირებულ ტყვეთა-გაყიდვის დროს შეიძლება მოხდეს.

აი ამგვარის ეპიზოდებისაგან შესდგება ქარგა სამეგრელოს წარსულის ცხოვრებისა, ამიტომ საზოგადო ზნეობას კიდევ შერჩა მათი კვალი. ტყვეებს ახლა, რა თქმა უნდა, აღარ ჰყიდნიან, ძარცვა-გლეჯაც აღარ არის, მაგრამ ჩვეულება ძალ-მომხრეობისა, ტაციობისა და სხვის საქონლის მისაკუთრებისა კიდევ დარჩი და ყოველ დღეს მეორდება.

ხენა-თესვის დაწყებისათანავე, გაზაფხულზე, შეიქნება ერთი ტაციობა ყანებისა; მამულები ჯერ ისევ გაუმიჯნავია, თავისი საზღვრები არაფინ იცის და ყველა ცდილობს სხვას იქით გადაუხტეს. მეტი გზა არ არის, პოლიცია უნდა ჩაერიოს და გაიგოს—ვინ მტყუანია და ვინ მართალი. რაც რუსის მართვა-გამგეობა შემოდებულ იქნა, მამულის საკუთრება ოთხის თვის მფლობელ ოზის და კვალად ითვლება. გაზაფხულზე, გარდა ამისა, ერთი ვაი-უშველებელი აქვთ მებატონეთა და გლეხებს,— მებატონენი სჩივიან, გლეხები ღალას არ გვაძლევენ, არ გვემსახურებიანო; მერე შემოდგომა დგება, სიმინდის მოწვევას და რთველს იწყებენ და თან ჩხუბი იმართება ერთ ხელეურ ღომისა ან ჰურისათვისა, ან კიდევ გიდელი ყურძნისათვისა. ჩხუბისათვის მიზნები თავის დღეში არ გამოვლევით და პოლიციის მოხელენი იმის ცდაში-ლა არიან, როგორმე სოფლებით ააცდინონ სისხლის ღვრა, ამიტომ ამ წუთას რომ აქ არიან, მეორე წუთას მეორე სოფელს უნდა მიაშურონ, და თუ დაჩაგრულს მხარეს დროზე ვერ მიეშველნენ, ტუყებსა და სატევრებს მიმართავენ და მაშინ მშვიდობით, ცოლო და შვილო!.. ხანდისხან ნამდვილი ომი იმართება ხოლმე და სარდლებად მებატონენი არიან. აქ აღენიშნავ ერთს, ჩვენის ნათქვამის დამასურათებელს ამბავს.

ცხენის-წყალი მეტად ჩქარი მდინარეა და დაქანებულად მოდის; გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს რომ აღიღდება, ზარსა და რისხვასა სცემს ხოლმე მცხოვრებთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრ ალაგას გაუვალი ხდება და მეორეც იმიტომ, რომ, რაკი ხეობიდან ბარად გაიშლება, იქაურობას ჰგლეჯავს და იკლებს, მისის ნაპირების ახლო მცხოვრებთ ძირიანადა სთხრის: ხანდისხან ორას-სამას დღიურს მიწას მოსტაცებს და მეორე შემამულეს მიუზომავს; მაშინ, რა თქმა უნდა, ასტყდება დაუსრულებელი დავა და ყოველს შემთხვევაში წაგებულნი და დაზარებულნი ისა რჩება, ვისაც ამ ბუნებრივმა მომტაცებელმა წაართვა მიწა და, ხშირად, სახლკარიცა. ერთხელ ცხენის წყალი ისეთნაირად აღიღდა და წყალი ნაპირის ახ-

ლო მდებარე სოფლის ეკკლესიას მიუახლოვდა. სოფელენი ხედავდნენ, რომ ღვთის ტაძარს ვერ გადაეარჩინათ და გადასწყვიტეს სხვა ალაგას გადაეტანათ, თან ისიც დაადგინეს: რადგან ამ ეკკლესიას სასაფლაო აღგილი ჰქონდა, ახალ აღგილასაც ამდენივე მიწა მიუზომოთ ეკკლესიასაო. გადასწყვიტეს ესა და საქმესაც შეუდგნენ. ეკკლესია გადაიტანეს და ჯერი მიდგა სასაფლაოს. წინანდელ სასაფლაოზე თავადები, აზნაურები და გლეხები თითოეული ოჯახი ცალკ-ცალკე იმარხებოდა თავისთვისვე მიჩენილ აღგილებზე, ასე რომ გლეხები და აზნაურები ერთმანერთში იყვნენ არეულნი. ახალ სასაფლაოზე კი თავადებმა და აზნაურებმა გლეხებს აი რა უთხრეს: სასაფლაო ორ ნაწილად გავყოთ,—ერთი ნაწილი კეთილშობილებისა იქმნება სამარხად და მეორე—გლეხებისთვის. გლეხები ამაზე ყაბუღს არ გაუხდნენ და უთხრეს, არა, ჩვენ კეთილშობილთა შორის უნდა დავიმარხოთო. გაიმართა ლაპარაკი, მოციქულობა, მაგრამ ვერაფერმა უწველა. მაშინ კეთილშობილთ ჩუმად თათბირი გამართეს და გადასწყვიტეს: ლამით ჩუმად ნახევარ სასაფლაოს ლობე გავავლოთ და ამნაირად სამუდამოდ დავეპატრონოთ ჩვენს ნახევარ სასაფლაოსაო. ამასთანავე გადასწყვიტეს, თუ რამ შეკეთება და განახლება დასჭირდა ლობეს, გლეხი არ გავირიოთო. მაგრამ არც გლეხებს ეძინათ. მოწინააღმდეგე ბანაკში ერთი კეთილი ადამიანი გამოერია, რომელმაც გლეხებს კეთილშობილთა განზრახვანი უთხრა და გლეხებმაც სათანადო ღონე იღონეს. დანიშნულ ღამეს კეთილშობილთ ბლომად მოიყარეს თავი სასაფლაოზე, ყოველივე საჭირო მასალა თან მოიტანეს და საქმეს შეუდგნენ. ამ დროს იმდენივე გლეხებიც მოვიდნენ ტუკებით შეიარაღებულნი და თავს დაესხნენ. არც აცივეს, არც აცხელეს—მაშინათვე ჩხუბს შეუდგნენ. მეორე დღეს ოლქის სასამართლოს წინ ორსავე მხარეზე ხალხი იდგა ორ ჯგუფად ისე, როგორც სცენაზეა ხოლმე ოპერის დროს. ორსავე ჯგუფს ცხვირპირი გასისხლიანებული ჰქონდა უფრო შემბრალონო და ზოგს ხისხლით მთელი პირისახე ჰქონდა მოთხუზნული. ზოგს ფალას-



ფულასით შეეხვია თავი, ტანისამოსი დაგლეჯილი ეცვათ და ერთხმად რაღასაც ყაყაბებდნენ. აღმიანს უჭირდა გაეგო მათი ნათქვამი და ოლქის უფროსი იძულებული იყო დიდხანს გამოეკითხნა ამბავი, სანამ ბოლოს და თავს გაუგებდა. კაცს რა უნდა ექმნა ასეთს ტრაგიკომიკურს შემთხვევაში?... რა კანონის ძალით უნდა გაეჩინა სამართალი?... საქმე, ჩვერლებრივ, აქაც შორიგებით გათავდა. კეთილშობილთ დაუთმეს, ამიტომ რომ საზოგადოება გლეხებს ამართლებდა. მას დღეს აქეთ გლეხები კეთილშობილთა შორის იმარხებოდნენ და თავიანთი გამარჯვება ძალიან უხაროდათ.



მაგრამ ასეთ მოდავეთა დაშოშმინება აღგილობრივის აღმინისტრაციისათვის იმდენად თავში საცემი არ არის. პოლიციას საქმეს უჭირებს აქაურ მცხოვრებთა თავი და თავი ჩვეულება: ძალმომრეობა, საქონლის და, განსაკუთრებით, ცხენის ქურდობა. იმერლებმა იმის გამო შემდეგი ანეგდოტი მოუგონეს თავიანთს მესობლებს: „მეგრელი სამოთხეში შესულა, იქ უნახავს, რომ წმ. გიორგის ჯორი ბალახსა სძოვდა; მეგრელს გულმა ეგრ მოუთინა, მოიპარა და სამოთხიდან გამოიქცა“.

ძნელი დასაჯერებელია, იმდენი საქმე გროვდება ამ წვირილ ქურდობათა შესახებ. ქურდობა მეგრელებს ხელობადა აქვთ გადაქცეული და ამისთვის თავისი დროცა აქეთ შერჩეული. მოპარულ ცხენებს დღემდე აფხაზეთში ასაღებენ და თუ ერთი ამ ჩხარეში ჩიყვანეს მერე კვალ-წმინდად იკარგება ყოველივე უმეტესი წილი ნაქურდალ საქონლისა იმერეთიდან მოჰყავთ და კრდევ ამიტომ გამოუგონეს იმერლებმა მეგრელებს ასეთი გესლიანი ანეგდოტი.

ქურდობის სეზონი გიორგობისთვეში იწყება და მთელს ზამთარს გასტანს ზოლმე, ხანდისხან აპრილამდეც კი გაგრძელდება. ამ დროს ხვანათესავა და ბალებში მუშაობა შეწყვეტილია ზოლმე; მდინარეები თუშცა ბევრია სამეგრელოში, მაგრამ პატარებია და ფონში გასვლა ყველგან შეიძლება; ღამეები დიდი და ბნელია თითქმის სულ მუდამ მოღრუბლულ ცის მიზეზით;

ერთის სიტყვით, — ქურდს ყველაფერი უწყობს ხელს, რომ იმე-  
 რეთში მოპარული ცხენი აფხაზეთში გადაიყვანოს ადვილად.  
 გზაზე, რა თქმა უნდა, ყველგანა ჰყავთ ქურდებს მასპინძლები,  
 აგენტები, ყველგანა აქვთ შესასვენებელი ადგილები.

ექვი არ არის, მაღალი წოდება ქურდობას ხელს რომ  
 არ უწყობდეს, ეს ხელობა დიდხანს თავს ვერ დაიჭერდა.  
 მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში თავად-აზნაუ-  
 რობა, თუ თვითონ არ ქურდობს, ქურდებს მაინც ხელს  
 უწყობს. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში სტუმართ-  
 მოყვარეობის ჩეულებას; ვინც უნდა მაწანწალა იყოს,  
 რაკი თავშესაფარსა სთხოვს მასპინძელს უნდა შეუშვან  
 სახლში, თორემ უარის თქმა ასეთს შემთხვევაში და მით  
 უმეტეს გაცემა — თავის მოჭრად და დიდ სირცხვილად ითვ-  
 ლება. ამასთანავე, ქურდობამ გატაცება იცის, — ზოგიერთთ  
 ისე გაუტკებიათ, რომ მერე ხელს ვერ იღებენ ამ ჩეულებაზე.  
 რამდენისამე წლის წინად რამდენიმე ქალი კეთილშობილ ოჯა-  
 ხისა, კაცურად ჩაცმული, საქურდლად დადიოდა. თვით სასუ-  
 ლიერო წოდებაშიაც ურევია რამდენიმე გაწაფული მოყვარუ-  
 ლი სხვისის ავლა-დიდებისა. ჩვენ პირადად ვიცნობდით ერთს  
 მთავარ-დიაკონს, გვარად დანელიას, რომელსაც ცხენის ქურ-  
 დობაში სწორი და ბადალი არა ჰყავდა. როცა რუსის მართვა-  
 გამგეობა შემოვიდა სამეგრელოში, ეს დანელია მთავრობას  
 ხელში ჩაუვარდა ნაქურდალ ცხენითურთ; რა თქმა უნდა, კო-  
 კა ერთხელ უნდა გატეხილიყო წყალზე, — გაკრიჭეს და ციმ-  
 ბირში გადაასახლეს. ასე, ორმოცდა ათის წლისა იქნებოდა,  
 თერთად გადაპენტილ წვერულვაშიანი და მეტად ლამაზი.

მთავარი დავით დადიანი თვისის მთავრობის პირველ  
 ხანში მეტად მრისხანედ ეკიდებოდა ქურდებს: ხორციელ სას-  
 ჯელს აყენებდა, ხელფებში ხუნდებს უყრიდა, სამეგრელოდან  
 სხვაგან ჰყრიდა, და, ბოლოს, ძველ ჩვეულების თანახმად, ერთ  
 ქურდისთვის ხელი მოაჭრევინა. მაგრამ ამბავი მთავრის მიერ  
 თვისთა უფლებათა ასეთის აღმატებისა კავკასიის მთავარ-მარ-  
 თებელმა გრაფმა მ. ს. ვორონცოვმა გაიგო და დიდი საყვედური

უთხრა. ამის შემდეგ მთავარმა გამოსცვალა წესი ქურდების დასჯისა, მაგრამ, უნდა აღვიაროთ, რომ ეს წესი უარესი შეიქმნა სამეგრელოსთვის. მთავარმა დაჯარიმება შემოიღო. ერთ ნაქურდალ ცხენისთვის ქურდს ხუთი ცხენი უნდა გადაეხადა, რომელთა ერთი ნაწილიც პატრონს ეძლეოდა, ხოლო მეორე ნაწილი — პოლიციას და თვით მთავარს. ამის შემდეგ ქურდობამ არამც თუ იკლო, მეტის-მეტად იმატა კიდევ. მთელი ბრბო შესდგა ქურდებისა და თუ, ვინცობაა, ქურდს დაიჭერდა პოლიცია, ეს დასი მაშინათვე ერთ ცხენისთვის ხუთს ცხენს იხდიდა და სამაგიეროდ დაუყოვნებლივ იპარავდა ახალ ცხენებს და დანაკლისს ერთი-ორად შეივსებდა; და რადგან სოფლის მოხელეთათვის ხელ-საყრელი იყო ბევრის ჯარიმის აღება, ისინიც ხელს არ უშლიდნენ ქურდებს და ნებას აძლევდნენ თავის ნებაზე ეთარეშნათ. ამ ჯარიმებიდან მთავარს ბევრი შემოსეულია.

რუსის ადმინისტრაცია ბევრს ეწვალა სანამ ნებას მიიღებდა, რომ ამ საზოგადო სენს შესაფერის ღონისძიებით შებრძოლებოდა. ქურდები ისე იყვნენ დაოსტატებულნი, ისეთს ხერხს ხმარობდნენ, რომ აუცილებლად საქირო იყო ჯერ მათის ოსტატობის შესწავლა. მაგალითად, როცა ნაწვიმარი იყო და მიწას ცხენის კვალი აშკარად აჩნდებოდა, მოპარულს ცხენს უკუღმა დასჭედადნენ, ასე კაცი კვალს ჩრდილოეთისაკენ მიჰყავდა, ცხენი კი სამხრეთისაკენ იყო წაყვანილი. კაი დარში კვალი ძნელად აჩნდება; მაგრამ სულ არ ეტყობოდესო და ქურდები ნაბდებს უფენენ ნაქურდალ ცხენს და ასე გაატარებენ ასე ნახევარ ვერს მოპირდაპირე მხარესკენ; ასე რომ ცხენი კვალწმინდად იკარგება. თუმცა ქურდი ასე აშკარად იქცევა, მაგრამ მეგრელს ისე აქვს თვალი გამოცდილი და გაეარჯიშებულნი, რომ ძნელად თუ ვერ მიუხედება — საითკენ წაიყვანეს მისი ცხენი. კვალის მიტანა და დაკარგული ცხენის ძებნაც ხელობად არის გადაქცეული და ამის მოხელენი სასყიდლოს იღებენ საქონლის მოძებნაში. ქურდები ამ მაძებართ იცნობენ და უფროთხიან კიდევ.

ცა, ზოგიერთებს კი ურიგდებიან და მათის საშუალებით პატრონს მოპარულს ცხენს უბრუნებენ, ასე რომ ესენი შუამავალნი არიან და, თუ გაქირდა, მთხრობლებიცა. იშვიათად მოხდება, რომ ქურდი ნაქურდალითურთ დაიქიროს კაცმა, ხოლო დაზარალებულის განცხადების თანახმად წარმოებულის გამოძიებით მაინც ბევრი ვერაფერი რიგდება ხოლმე.

გამოძიების დროს მეგრელები მაშინათვე უარის თქმას მიმართავენ ხოლმე. „რუსული ატკაზი“ (უარის თქმა) მეტად მოსწონთ. მაგრამ კაცმა მართალი უნდა სთქვას, რუსის ადმინისტრაციამ მაინც შესამჩნევად შეაკვეცა ფრთა აქაურს ქურდობას. ახლა აფხაზეთშიაც რუსის მთავრობაა და, უეჭველია, ორსავე კუთხის ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში ერთი-მეორეს ხელს შეუწყობს და ამ სენისაგან სრულიად განკურნავენ ხალხს. განსაკუთრებით იმას უნდა ეცადოს ადმინისტრაცია, რომ იმერეთსა და აფხაზეთს შუა გზას, რომელზედაც მოპარული ცხენები დაჰყავთ, ყურადღება მიაქციოს, უნდა სისტემატიურად სდევნოს ისინი, ვინც ქურდებს ამ გზაზე ღამეს ათევენებენ და ხელს უწყობენ. ჩვენ ისიცა გვწამს, რომ ჯიქებისა და ჯიბების გადასახლებაც სამეგრელოსა და აფხაზეთს, ცოტა არ იყოს სულს მოათქმევენებს, ამიტომ რომ აფხაზები ამათზე ასაღებდნენ მონაპარს ცხენებსა.

—

კოდვა იქმნება იმის თქმა, რომ ხალხს სამართლიანობის გრძნობა და სათნოების ალღო არა აქვსო. ამას ამტკიცებს თვით სიტყვა მახინჯი, რომელსაც მეგრელები ქურდს ეძახიან; მაგრამ მთელის საუკუნოებით სუფევდა აქ შიშინობა და ურთიერთ შორის ჩხუბი, რაიმე მკვიდრი მართვა-გამგეობა არა ჰქონიათ, რომ კანონი და სამართალი გაეჩინა ხალხისათვის, ამის წყალობით ძალ-მომრეობა გაბატონდა და ხალხს არაფერი აძულებდა ბოროტებას და ავკაცობას. ამიტომ აქ სიტყვასა და საქმის შორის უშველებელი უფსკრულია. თქვენთან მოვა რომელიმე პატივსაცემი მოხუცი და მთელი საათი იმის შესახებ და-



გიწყებთ ჩივილს, რომ ქურდობა არ ისპობა, მეტად საჭიროა მისი ამოფხვრა და დამნაშავენი მკაცრად უნდა დაისჯონო. ცოტა ხნის უკან გაიხედავ, იმავე მოხუცს მოპარული ძროხა შეუყვანეს ეზოში და ისიც ყიდულობს, რა თქმა უნდა, ჩალის ფასად. სარწმუნოებამაც ვერ უშველა ხალხს ზნეობრივად აღმადღებინა, და აქაურები უფრო იმის ცდაში არიან—გარეგნულად აასრულონ სარწმუნოების კანონები. მარხვას მეტის-მეტის სიწმინდით ინახავენ, ვერ ნახავთ ვერც აზნაურის და ვერც გლეხის ოჯახს, რომ მარხვაში ერთ დღესაც სახსნილო სქამოს; ეკკლესიებში ხშირად დადიან, განსაკუთრებით, მაღალი წოდება; ზოგს მოხუცს შეხედებით თავადებში რომელმაც საღმრთო წერილი და საეკკლესიო წესები მღვდლებზე უკეთესად იცის, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვეულებაა, შეგნებული კი არა აქვთ, როგორ უნდა მოიქცნენ ნამდვილ ქრისტიანის შესაფერად. ვსთქვათ, რომელიმე ქურდი აღმინისტრაციამ დაიჭირა, დაატუსაღა, მაგრამ ისევ განათავისუფლა,—ეს კაცი მიდის და სატუსალოდან გამოსვლის მეორე დღესვე ისევ იპარავს რასმე, მაგრამ იგივე ქურდი, რაც ხანი სატუსალოში იქნება, ათას ქისა მარჩილისათვის არ მიეკარება, თუ მარხვაა, სახსნილოს და უმაღლ შიმშილს ირჩევს. ასე რომ საღმრთო წერილის სიტყვას უფრო აქცევენ ყურადღებას, ვიდრე მისს შინაარსს. ამასთან ერთად მეტად ცრუ მორწმუნენიც არიან. მაგალითად, ყველა დარწმუნებულია, რომ კუდიანები და ტარტაროზები არიანო, და ხან-და-ხან მეტად დრამატიული ამბებიცა ხდება. ოსმალოს ომის შემდეგ ზუგდიდის გარშემო სოფლებში საქონლის ქირი გაჩნდა; სთქვეს, კუდიან დედაკაცების ბრალი იქნებო. სამურზაყანოში ერთი თურქია, რომელიც კუდიანებს იცნობს, და ის უნდა მოვიყვანოთო. მოიყვანეს კიდეცა. თურქმა სოფლის დედაბრები ყველა შეკრიბა და გლეხებს უთხრა: წყალში ჩაყარეთო, ვისაც დასძირავეს—კუდიანი არ იქნება, ხოლო ვისაც მოიტვიტოვებს—კუდიანებიანო. ზოგი დედაბერი, ალბად ტანისამოსის წყალობით, წყალმა ზევით მოიტვიტოვა. თურქმა ეს საცოდავები ამ ნაირად

დასაჯა: დაანთებინა უშველებელი კოცონი, დედაბრები გა-  
 ტიტვლებინა და უბრძანა: გაღახით და გაღმობხით ამ ცე-  
 ცხლზედაო. მანამდის აწვალა დედაბრები, სანამ არ ათქმეინა,  
 კირი საქონელს ჩვენ დაფურიეთ და ამის შემდეგ ჯვარი სწე-  
 რიაო. რამდენიმე დედაბერი ცოცხლად დაიწვა. ამ ამბავმა სა-  
 მეგრელოს უძალდეს მთაფრობამდე მიადწია. ამანაც ბევრის მე-  
 ცადინეობისა და შრომის შემდეგ მოსპო ეს ჩვეულება ადამი-  
 ანთა წვისა ხოლო თურქის დაჭერა კი გაუჭირდა, იმიტომ რომ  
 ხალხი იფარავდა, ბოლოს, როგორც იყო, გაგზავნილ იქმნა  
 ნერჩინსკში. ამის გარდა, ყველას ახლაც ახსოვს რა სასაცილო  
 ამბავი მოხდა 1851 წელს მზის დაბნელების დროს. ხალხმა მზის  
 დაბნელება ქათმებსა და მამლებს დააბრალა, ნაწლევებში პატა-  
 რა გველები გაუჩნდათ და იმათ დააბნელეს მზეო. ამ დანაშა-  
 ულისათვის იმდენი გასწყვიტეს, რომ მთელ ნახევარ წლის გან-  
 მავლობაში ქათამი იშვიათი საშოვნელი იყო.

—

ხატების თაყვანისცემაშიაც საშინელი ცრუ-მორწმუნეობა  
 ეტყობათ. ხატებს ადამიანის ზნე-ხასიათებს ათვისებენ. ყოველ  
 სოფელში ჰყავთ თითო მკვანა ხატა 'რომელნიც ადამიანთ  
 მოქმედებაში მონაწილეობას იღებს. ამ ხატებში ყველაზე მე-  
 ტად სახელ განთქმულნი არიან წმ. გიორგის ხატები ქაახასა  
 და ყუფასა. მეგრელთ იმდენი რადი და შიში აქვთ ამ ხატე-  
 ბისა, რომ როცა კი დააფიცებენ ამ ხატებზე, იშვიათად თუ  
 არ იტყვიან სიმართლეს. დაფიცების დროს თუ სთქვეს ტყუი-  
 ლი, კარგი ხნის შემდეგ მაინც იტყვიან მართალს ამასთანავე  
 მეგრელი დარწმუნებულია, რომ თუ ერთ-ერთ ამ ხატზე თა-  
 ვისი მტერი გადასცხა (დასწყევლა), არც სააქაოს დაეყრება  
 სიკეთე გადაცემულს და არც საიქიოსაო; იმიტომ თუ გაიგო  
 მეგრელმა, ამა და ამან ხატზე გადამცაო, მაშინათვე მიდის,  
 ზარალს ზედმეტად მიუზღავს და აღობასა სთხოვს, ესე იგი  
 თავს დაახსენებებს გადაცემისაგან. ჯერჯერობით მხოლოდ  
 ამ ცრუმორწმუნე შიშით თუ-ღა შეიძლება ამ ხალხის ბავ-

შეურ მდგომარეობაში მყოფი ზნეობა სიკეთის გზაზე დააყენოს  
კაცმა.

—

მართალია, ხალხში ამდენი ცრუმორწმუნეობაა, ცუდი ჩვეულება ბევრი აქვს, მაგრამ ამასთანავე სათნოებისა და სამართლიანობისადმი მიდრეკილებაც ეტყობა. ყოველ დღე აუარებელ პირობებსა ჰკრავენ ურთიერთ შორის სიტყვიერად, და ყოველსავე პირობას წმიდად და დაურღვეველად ასრულებენ; ადათი, პრაქტიკულის მოსაზრებით შექმნილი, ბევრსა შევლის აქაურებს სხვა-და-სხვა დავის გარჩევისა და სანართლის გაჩენის დროს—იმ შემთხვევებში, თუ ვინიცობაა, მეზობელმა თავის მეზობელს უცოდნელობით ყანა გაუფუქა, ან ღობე გაურღვია ან და სხვისი წისქვილის წყალი თავის წისქვილს მიუგდო. საექვო შემთხვევებში მოპასუხე ფიცსა სდებს, და ამ ფიცს დიდი მნიშვნელობა აქვს და საზოგადოდ ყოველი საქმე როგორც სამოქალაქო ხასიათისა, ისე სისხლის სამართლისა ამ ფიცის შემდეგ ასე თუ ისე თავდება. რუსულ სამართლის წარმოების დროს მოწმეებს კაცი ადვილად იშოვნოს, მაგრამ ამგვარ მოფიცვებს ვერას გზით ვერ დაიყოლიებს თავის სასარგებლოდ ათქმევინოს რამე. ამიტომ რომ ყოველი მოფიცარი დარწმუნებულა, თუ ტყუილად დავიფიცე, მთელი ჩემი სიცოცხლე დამსჯის ხატიო. ასეთ ტყუილ მოფიცარს მერე რომ ვინმე მოუყვდეს, ან ოჯახში ზარალი რამ რომ მიეცეს, იტყვის, ესა და ეს ხატი მსჯის ტყუილ ფიცისათვისო. მაშინათვე მომჩივანთან მიდის, ზარალს ერთი-ორად მიუზღავეს და სთნოვეს აჯობა მისცეს; ან და ისიც მოხდება, რომ თვით მოპასუხე ამბობს, მართალია, საქმე კი მოვიგე, მაგრამ მართალი არ ვიყავიო, და მიდის მომჩივანთან, უბრუნებს მოგებულს, ერთი-ორად კიდევ უმატებს, ოღონდ ალობა მიიღოს. ხანდისხან ისეთი საყურადღებო ამბები მოხდება ხოლმე, რომ თვით ბრძენთა-ბრძენი სოლომონი ვერ შესძლებს გზა-კვალის გაგნებას. ნიმუშად ერთს ამბავს აღვნიშნავთ. მეზობელთან,—ამბობს მთხოვნელი,—ამ 15 წლის წი-

ნად დავა ამიტყდა მამულის თაობაზე. ჩენი საქმე მღვიანბე-  
 გებმა გაარჩიეს. მე ხატზე დავიფიცე, მომჩივანის თანხმობით,  
 ჩემთან ერთად ათმა კაცმა ხატზე დავიფიცა ჩემს სასარგებ-  
 ლოდ. მღვიანბეგებმა მიწა აიღეს და მე ჩამაბარეს. მას აქედ  
 არავინ დამდავებია, ისე ვფლობდი ამ მიწას. ორი წელი-  
 წადი რომ გავიდა საქმის გათავების შემდეგ, ამ მამულის ნა-  
 ხევარი ერთს მღვდელს მივყიდე, მაგრამ დიდ ხანს არ გაუფ-  
 ლია, ისე ოჯახში უბედურება უბედურებას დაერთო (ჩამო-  
 თვალა, რა დაემართა) და დავრწმუნდი, რომ ტყუილ ფი-  
 ცის ბრალი იყო. ოღონდ კი ხატის რისხვა ამცდეს მეთქი და  
 გადავწყვიტე მოგებული მამული ისევ თავისს პატრონს და-  
 ვუბრუნო, მაგრამ საქმე ის გახლავს, რომ ის მღვდელი უარ-  
 ზე დგას,—ჩემს წილს არ დავუბრუნებო. რა ფული არ ვაძ-  
 ლიე, მაგრამ მაინც არა ჰქნა. ახლა იმისთვის ვიახელით, რომ  
 უბრძანოთ მღვდელს ის მიწა ისევ მომყიდოს და რა ფასსაც  
 კეთილ-სინიღისიერები გადასწყვეტენ, იმაზე მეტს მივსცემ; თუ  
 ფიცისაგან არ გამათავისუფლეს, სულ ერთიანად ამოვსწყდები,  
 ბატონო“. რა თქმა უნდა, აღმინისტრაცია ვერ გაერია ამ საქ-  
 მის გარჩევაში, მაგრამ მღვდელმა-კი, თუმცა პირველად დიდს  
 უარზე იდგა, ბოლოს, რაკი გლეხი და მისი ნათესაეები არ  
 მოეშვნენ, მაინც დაუბრუნა, სამაგიეროდ ფასი მეტი გადაახ-  
 დევინა. მოპასუხე მხოლოდ მაშინ დამშვიდდა სრულიად, რო-  
 ცა მთელი მამული დაუბრუნა მომჩივანს.

ნდობა მეტის-მეტი აქეთ ერთმანეთისა. ფულის სესხების  
 დროს საკმარისი არის,—ქალაქის ნახევზე დაწერილი თამა-  
 სუქი, რომ მსესხებელს მოვალემ თავის დროზე პირნათ-  
 ლად დაუბრუნოს ვალი. ხანდის-ხან რომელსამე საქონელს,  
 მაგალითად, ცხენს ან ძროხას, ორი ან სამი კაცი ყი-  
 დულობს საზიაროდ და ყველა მოზიარენი თანხმობით სარ-  
 გებლობენ; მის ნამრავლითაც ამნაირადვე სარგებლობენ, სა-  
 ნამ იმდენი არ გახდება, რომ თანასწორად გაყოფა შეიძ-  
 ლებოდეს. როცა საქმე იჯარით არის ასაღები და გასაკე-

თებელი, აქაურებს საზიაროდ აღება სამუშაოსი უფრო ემარჯვებათ. სხვათა შორის, სოფელი ლესიქინო ვიცი, სადაც სადადიანო გლეხებია 70 კომლი, სიქინაეების გვარისა. თავისს ყოველგვარს საეპრო და სამრეწველო საქმეებს ერთად აკეთებენ; ეს სოფელი ცნობილია თვისის ზნე-დაცულობით და სიმდიდრით. გეოგრაფიულ მდებარეობასაც მცირედი მნიშვნელობა კი არა აქვს ამ ხალხის ზნეობრივად განვითარების საქმეში; იმერეთის მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებნი თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ზნეობრივად განვითარების მხრივ სამურზაყანოსთან მეზობლად მდებარე სოფლების მცხოვრებთაგან. ბევრი კარგი რამ გადაიღო იმერეთიდან სამეგრელოს იმ ნაწილმა, რომელიც მის მოსაზღვრედ არის; ხალხი უფრო მშვიდობიანის ზნე-ჩვეულებისა შეიქმნა, მეურნეობასა და საქმიანობას მიჰყო ხელი. მაგალითად საქალავო, სუჯუნა და ჭალადი დიდად განსხვავდებიან სამეგრელოს სხვა სოფლებისაგან. აქ ზნეობრივადაც დაწინაურებულნი არიან მკვიდრნი და მრეწველობის მხრივაც, იმ დროს როცა ყველას გუშინდელ დღესავით ახსოვს, თუ როგორ ძალას ატანდა მთავარი დავითი დადიანი სამურზაყანოს მოსაზღვრედ მცხოვრებლებს, რომ მეურნეობისათვის მიეყოთ ხელი. ხოლო ძალდატანება იმიტომ იყო საჭირო, რომ მუშაობა სასირცხვილო საქმედ მიაჩნდათ. მანამდე კი აქაურები მარტო მოპარულ ცხენების გადაყვანას მისდევდნენ და თოხი ხელში არ აუღიათ. სამწუხაროდ, ასეთს საეჭვო სოფლებს დღესაც შეხვდება კაცი: მცხოვრებნი სირმაში ამოვლულ ტანისამოსით დადიან, მათს ცოლებს აბრეშუმის კაბები აცვიათ, ხოლო მათს მამულს სახნისი არ მიჰკარებია; ახლა ერთი ჰკითხოს კაცმა ამ ვაებატონებს: საიდას, როგორ ახერხებენ ასეთს კონტაობას? ეს სოფლები მთავარი ბუნაგებია იმ საზარელ ხელობისა, რომელიც აჩანაგებს და ანორწყლებს მშრომელ გლეხის ნაოფლარსა და ნაწვავ-ნადაგსა.

მართალია, აქაურ საზოგადოების ჩამორჩენის მიზეზი — მისი ზნეობრივი ნაკლულევანება არის, მაგრამ ისიც უნდა მო-

ვიხსენიოთ, რომ ამ ნაკლულევეანების სათავე უმეტესათ ის უკულ-  
 მართი საზოგადო წყობილება და პირობებია, რომელთა აღწე-  
 რას ახლა შევუდგებით.

თ. ს.



## კავკასიაში სწავლა-განათლების მდგომარეობა

1898 წელსა.

ქ. ტფილისში ყოველ შემოდგომაზე გამოდის ერთი ციფრებით სავსე და შეიარაღებული საკმაოდ მოზდილი წიგნი— „ანგარიში“ ბ. მზრუნველისა. ეს ანგარიში დიდად საინტერესო და შინაარსიანია, მაგრამ სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, ეს ყოველ მხრივ საგულისხმეოა წიგნი ჩვენ, ქართველთათვის, სრულიად შეუმჩნეველად რჩება\*) ხოლმე, რაიცა სხვა საბუთებ შორის ერთი თვალსაჩინო დამამტკიცებელია ამისი, თუ რაოდენად ყურადღებას აქცევს ქართველი საზოგადოება საზოგადოდ სწავლა განათლების გავრცელებას კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. მე ამ წერილში მსურს „მოამბის“ მკითხველს წარუდგინო „ანგარიშიდან“ ამოღებული ზოგი რამ საგულისხმო ციფრები მთელს კავკასიის მცხოვრებთა შესახებ და უფრო დაწვრილებით სამის დაწინაურებულის ეროვნების: რუსთა, ქართველთა და სომეხთა შესახებ.

საანგარიშო წელს მთელს ოლქში (კავკასია და ამიერკასპის მხარე) ყველა უწყების 5116 სასწავლებელი ყოფილა. 1897 წ. შედარებით უმატნია 258 სასწავლებლით, ანუ 5,9 პროცენტით. ამ საერთო რიცხვს სასწავლებლებისას „ანგარიში“ აკლებს 1990 მუსულმანთა სასწავლებელ და 38 ებრაელთა. „ანგარიშის“ აზრით, მუსულმანთა და ებრაელთა სკოლები სათვალავში ჩასაგდები არ არიანო, რადგანაც არც კი არიან ღირს-

\*) აქ სიამოვნებით აღვნიშნავ ბ. იაკობ გოგებაშვილის მშვენიერს წერილს, იხ. „მოამბე“ № 12. 1898 წ.

ნი მათ სასწავლებელი უწოდოთ მათი უმნიშვნელობისაგამო სწავლა-განათლების მხრივ. ეს უკანასკნელი სკოლები რომ გამოვაცალოთ, მთელს ოლქში დარჩება სხვა-და სხვა უწყების 3,088 სასწავლებელი, რომელთა შორის მარტო მზრუნველის ხელ-ქვეშ ყოფილა სამინისტრო თუ კერძო სასწავლებელი: 1669. საანგარიშო წლის განმავლობაში უმატნია 12,3 პროცენტით, ანუ 183 სასწავლებლითა. მთელის ოლქის სასწავლებლებში (სამინისტრო და კერძოში) ყოფილა: 49 საშუალო სასწავლებელი, \*) 67 დაბალი და 1553 კერძო და პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ეს სასწავლებლები ასეა დანაწილებული: ყუბანის ოლქში 408 სასწავლებელი (24,4%), ტფილისის გუბერნიაში 256 (15,5%), სტავროპოლისაში 229 (13,7%), ქუთაისის გუბ. 228 (13,7%), თერგის ოლქში 156 (9,3%), ბაქოსაში 107 (6,4%), განჯის გუბ. 82 (4,9), ერევანისაში — 771 (4,6), შავი ზღვის პირის გუბერნიაში 47 (2,8) და იმიერკასპიის მხარეში 40 (2,4%), ყარსის ოლქში 22 (1,3). დაღესტანში 17 (1,0%) სასწავლებელი. მხედველობაში რომ მივიღოთ, რომ მთელს ოლქში (კასპიის იქითა მხარეს გარდა) 9,5 მილიონი მცხოვრებია, მაშინ ორთა შუა რიცხვით გამოდის 10 ათას მცხოვრებზე მხოლოდ 1,72 სასწავლებელი (1897 წელს კი 1,56), ანუ ექვსჯერ ნაკლები, ვიდრე ასის წლის წინად ნორმალურად ცნობილია — 1000 მცხოვრებზე ერთი სასწავლებელი.

ცალ-ცალკე რომ ავიღოთ, ყველაზე უფრო კარგს პირობებში ყოფილა შავი ზღვის პირის გუბერნია, სადაც 10,000 მცხოვრებზე მოდის 8,7 სასწავლებელი, ჩრდილო კავკასიაში და საქართველოში (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში) მოდის თითქმის 2 სასწავლებელი; ყველაზე უკან ჩამორჩენილა დაღესტანი, სადაც 10 ათას მცხოვრებზე მოდის მარტო 0,29 სკო-

\*) ჩვენის ფიქრით, შეცდომითაა გამოტოვებული ამ რიცხვიდან ტფილისის სათ.აზნურო გიმნაზია და ქუთაისის პროგიმნაზია.



ლა, ანუ ერთი სკოლა მოდის თითქმის 40 ათას მცხოვრებზე. მხედველობაში მართა პირველ-დაწყებითი სასწავლებლები მივიღოთ, მაშინ ორთა შუა რიცხვით მთელს კავკასიაში ერთი სკოლა მოდის 6900 მცხოვრები. იმიერ კავკასიაში კი—5,100 მცხოვრებზე და ამიერ კავკასიაში—8900 სულ მცხოვრებზე. ეროვნებათა შორის ეს სკოლედი ასეა განაწილებული: ერთი სკოლა მოდის: 4,100 რუსზე, 6000 ქართველზე, 8400 სომეხზე, 24,300 თათარზე და 20,200 მთიულზე.

აქვე მომყავს შემდეგი საინტერესო ცნობა, თუ როგორ არის განაწილებული სახალხო სკოლები ეროვნებათა შორის ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში.

	რუსები			ქართველები			სომეხები		
	რაოდენობა მცხოვრებთა ათასობით.	სკოლების რაოდენობა.	რამდენ ათას მცხოვრებზე მოდის ერთი სკოლა.	რაოდენობა მცხოვრებთა ათასობით.	სკოლების რაოდენობა.	რამდენ ათას მცხოვრებზე მოდის ერთი სკოლა.	რაოდენობა მცხოვრებთა ათასობით.	სკოლების რაოდენობა.	რამდენ ათას მცხოვრებზე მოდის ერთი სკოლა.
ტფილისისა .	84 *)	22	3,8	564	88	6,4	290	46	6,3
ქუთაისისა .	5	3	1,7	945	166	5,7	16	5	3,2
სულ . .	89	23		15,09	254	5,9	306	61	

მთელს ოლქში მართლ-მადიდებელ სასულიერო უწყებას აქვს 1322 სასწავლებელი, რომელთა შორისაც ყოფილა: 4 სასულიერო სემინარია, 9 სავაგო სასულიერო სასწავლებელი, 4 საეპარქიო ქალთა სასწავლებელი და 1375 სამრევლო და წერაკითხვის სკოლა (ШКОЛА ГРАМОТЫ). ამ რიცხვს რომ მივემატოთ

\*) ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა რაოდენობა უტყუარად მისაჩნვეი არ არის. მაგ. 1897 წ. ანგარიშით ამერეთში ქართველობა ითვლებოდა 468 ათასი.

27 სხვა უწყებების სასწავლებელი, გამოდის 1419 სასწავლებელი, რომელიც ისევ ჩრდილო და ამიერ კავკასიაზე უთანასწოროდაა განაწილებული: პირველში 820, მეორეში კი—597 სასწავლებელი. „ანგარიში“ ამის მეტს დაწვრილებითს ცნობებს არ იძლევა,—სათანადო მთავრობათა საჭირო ცნობები აღარ მოგვაწოდესო. ზევით ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენ ათას მცხოვრებზე მოდის ერთი სამინისტრო სკოლა. ეხლა სხვა-დასხვა უწყების სკოლები შეუდაროთ მცხოვრებთა რაოდენობას. (3088 სასწავლებელი  $9\frac{1}{2}$  მილიონ მცხოვრებზე) გამოდის, რომ ერთი სკოლა მოდის ორთა შუა რიცხვით 3000 მცხოვრებზე, ანუ ერთი სკოლა—450 სასკოლო ჰასაკის ბავშვზე!! ერთი სიტყვით, სამჯერ ნაკლები, ვიდრე ასის წლის წინად საფრანგეთში ნორმალურად იყო მიღებული: 1000 მცხოვრებზე ერთი სკოლა. სამწუხაროდ, ცნობების უქონლობისა გამო ველარ გამოვარკვით ერთი სასწავლებელი (ყველა უწყებისა) ამა, თუ იმ ეროვნებისა რამდენ ათას მცხოვრებზე მოდის. ეს კია, რომ ამ შემთხვევაში პირველ ადგილს დაიჭერენ რუსები და ქართველები, რადგანაც სამრევლო სკოლები თითქმის სულ ერთიანად მათ ეკუთვნით.

როგორც ვიცით, მთელს ოლქში 3088 ყველა უწყების სასწავლებელია (როგორც უკვე შევნიშნეთ, ამათ ანგარიშში არ შედის მუსულმანთა და ებრაელთა სკოლები), რომელშიაც სწავლობს სულ 200,974 მოსწავლე, მათ შორის მარტო მზრუნველის ხელ-ქვეშ მყოფ სასწავლებლებში \*) სწავლობს 139,768 მოსწავლე. მათში 104,684 ვაჟი ( $74,90\%$ ) და 35,084 ქალი ( $25,10\%$ ), ანუ ას მოსწავლე ვაჟზე მოდის 33 მოსწავლე ქალი. ას მოსწავლე ვაჟზე ყველაზე უფრო მეტი მოსწავლე ქალი მოდის ტფილისის გუბერნიაში—56 ქალი, ყველაზე ნაკლები—ქუთაისის გუბერნიაში—18 ქალი. სანგარიშო წელს მზრუნვე-

\*) ამათ რიცხვში, როგორც ზევითაც შევნიშნეთ, კერძო სასწავლებლებიც არის.

ლის ხელ-ქვეშე მყოფ სასწავლებლებში მოწაფეთა რიცხეს უმატ-  
ნია 10,8 პროცენტით, ანუ 13,701 მოსწავლეთი.

დანარჩენ უწყებების სკოლებში სწავლობდა სულ 61,206  
მოსწავლე. საანგარიშო წელს მომატებია 5,588 მოსწავლე.  
სამწუხაროდ არ არის ცნობაში მოყვანილი, — ამათში რამდენი  
ქალია და რამდენი ვაჟი: ამისთვის საჭირო ცნობები სტერო-  
პოლის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს არ წარმოუდგენია. რაც  
შეეხება სამრევლო სკოლებს და სასულიერო სემინარია-სასწავ-  
ლებლებს ქუთაისისა დმ ტფილისის გუბერნიებში, შემდეგი ცნო-  
ბები ამოვკრიბეთ: 1) ტფილისისა და ქუთაისის სასულიერო  
სასწავლებლებში სწავლობს 465 მოსწაფე, 2) საქართველოს  
ექვსს სავაჟო სასულიერო სასწავლებელშია 1720 მოსწავლე,  
3) ტფილისისა და ქუთაისის (გაბრიელის) საქალებო საეპარქიო  
სასწავლებლებში სწავლობს 323 ქალი (პირველში—130, მე-  
ორეში—193) და 4) საქართველოს ყველა სამრევლო სკო-  
ლებში სწავლობს 14,879 ვაჟი და 3,908 ქალი. ამ მოსწავ-  
ლეთა რიცხვი ეპარქიებს შორის ასე განაწილდება: 1) ტფი-  
ლისის ეპარქიაში\*): 2039 ვაჟი და 1531 ქალი, 2) იმერეთი-  
საში 4227 ვაჟი და 505 ქალი, 3) გურია-სამეგრელოსაში—  
6,943 ვაჟი და 1497 ქალი და 4) სოხუმის ეპარქიაში (შავი  
ზღვის პირის გუბერნიის გამოკლებით)—1670 ვაჟი და 375  
ქალი.

სულ საქართველოს სასულიერო უწყების სასწავლებლებ-  
ში სწავლობს 17,064 ვაჟი და 4,231 ქალი, ანუ ორივე სქე-  
სისა 21,295 მოსწავლე. დანამდილებით არ ვიცით, თუ რამ-  
დენია ამათში ქართველი მოსწავლე. არ ვეჭვობთ, რომ  $\frac{3}{4}$  ქარ-  
თველები შეადგენენ.

საანგარიშო წელს ყველა უწყების 3,088 სასწავლებელზე  
დაიხარჯა 6,621,437 მანეთი, ანუ 748,686 მანეთით მეტი,

\*) მარტო ტფილისის გუბერნიის სამრევლო სკოლებში მოსწავლე-  
თა რიცხვი გვაქვს აღებული.

ვიდრე 1897 წელს. ამ ფულიდან მზრუნველის ხელ-ქვეშ მყოფ 1,669 სასწავლებლებზე დახარჯულა 4,887,597 მანეთი,—წინაწლისაზე 590,459 მანეთით მეტი. სასულიერო უწყების სკოლებზე დახარჯულა საანგარიშოა წელს 932,689 მანეთი,—წინა წლისაზე საანგარიშოა წელს უმატნია 180,798 მანეთით.

ბიუჯეტი სამოსწავლო ოლქისა ასე შემდგარა: 1) ხაზინა —1,610,208 მანეთი, 2) ქალაქისა თუ სოფლის საზოგადოებანი 1,362,256 მან. და 3) სწავლის ფული (плата за право учения)—1,449,174 მან. თუ როგორ შედგა ბიუჯეტი სამოსწავლო სკოლებისა და სასულიერო სემინარია-სასწავლებლებისა, ჩვენ არ გვაქვს ცნობა.

რომ გავყოთ თანასწორად მცხოვრებთა რიცხვზე ის ფული, რაც სულ სწავლა-განათლებაზე დაიხარჯა მთელს კავკასიაში—6,621,437 მან., გამოდის საშუალო რიცხვით ერთ მცხოვრებზე 50,8 კაპ.,—მოსწავლეზე—34,8 მანეთი.

ესეც თანასწორად არაა განაწილებული კერძოდ გუბერნიებსა და ოლქებ შორის. აქაც ბედი ულიმის შავი ზღვის პირის გუბერნიას, სადაც თითო სულ მცხოვრებზე 3 მანეთზე მეტი მოდის მაშინ, როდესაც დაღესტანში ერთს სულზე მოდის—15 კაპ. და ყარსის ოლქში—12 კ. რაც შეეხება ჩვენს საქართველოს, აქაც ამერეთ და იმერეთ შუა დიდი განსხვავებაა: ტფილისის გუბერნიაში ორთა შუა რიცხვით ერთს მოსწავლეზე დახარჯულა 50,8 მანეთი, ერთ სულ მცხოვრებზე მოდის 96,85 კაპ., ქუთაისის გუბერნიაში კი ერთს მოსწავლეზე დახარჯულა 25,8 მანეთი, ერთს სულ მცხოვრებზე მოდის 50,2 კაპ.

აქვე მომყავს ცხრილი, რომელშიაც მოქცეულია რაოდენობა მოსწავლე რუსთა, ქართველთა და სომეხთა სხვა-და-სხვა მზრუნველის ხელქვეით მყოფ სასწავლებლებში და თითო-

ეული ეროვნობისა და წოდების მოწაფეების წარმატების პროცენტი:

სასწავლო წლის დასაწყისი: ი.ე.	რუსები		ქართველ.		სომხები		წოდებანი.				
	რიცხვით.	წარმატ. %	რიცხვით.	წარმატ. %	რიცხვით.	წარმატ. %	თავ-მ.	სასულიერ.	სამოქ.	დას.წ.	
<b>I. საშუალო სასწავლებლები:</b>											
1) სევერო გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების . . . . .	2,786	78,9	969	80,2	1,968	78,7	81,2	78,2	79,1	74,1	
2) რეალურ სასწავლებლებში . . . . .	1,814	76,5	284	73,0	670	75,2	72,8	70,8	73,2	75,0	
3) საქალბო გიმნაზ. და პროგიმნაზიების . . . . .	4,326	87,9	1,095	84,9	1,830	81,0	87,2	80,2	84,9	80,6	
4) სამოსწავლო ინსტიტუტში და სემინარიებში . . . . .	196	89,7	69	94,1	32	85,0	91,7	92,8	80,0	80,0	
სულ . . . . .	9,122	" "	2,417	" "	4,560	" "	" "	" "	" "	" "	
პროცენტებით . . . . .	48,5%	" "	12,9%	" "	24,2%	" "	" "	" "	" "	" "	
<b>II. დაბალი სასწავლებლები:</b>											
1) სამოქალაქო სასწავლებლებში . . . . .	3,972	76,9	2,372	79,3	2,908	67,8	76,9	72,8	72,0	77,8	
2) მთიულეთის სკოლებში . . . . .	202	77,8	20	77,8	30	68,8	80,8	100,8	79,8	76,8	
3) მარიამის სკოლებში . . . . .	235	86,8	38	70,2	441	68,8	89,8	" "	71,8	68,8	
4) სამრეწვე. სკოლებში . . . . .	563	76,1	177	67,8	200	74,8	68,8	81,8	66,8	80,8	
სულ . . . . .	4,972	" "	2,607	" "	3,579	" "	" "	" "	" "	" "	
პროცენტებით . . . . .	37,9%	" "	19,8	" "	27,2	" "	" "	" "	" "	" "	
<b>III. კერძო და პირველ-დაწყებ. სასწავლებლები:</b>											
1) კერძო სასწავლებლებში . . . . .	1,920	" "	2,014	" "	2,729	" "	" "	" "	" "	" "	
2) პირველ-დაწყ. სკოლებში . . . . .	54,417	" "	19,205	" "	13,430	" "	" "	" "	" "	" "	
სულ . . . . .	56,337	" "	21,219	" "	16,159	" "	" "	" "	" "	" "	
პროცენტებით . . . . .	52,8	" "	19,8	" "	15,0	" "	" "	" "	" "	" "	
სულ ერთად . . . . .	70,431	" "	26,242	" "	24,298	" "	" "	" "	" "	" "	
პროცენტებით . . . . .	50,8%	" "	18,8%	" "	17,8%	" "	" "	" "	" "	" "	

აი, ეს ზემო მოყვანილი ცხრილი ხელახლა უარს ჰყოფს იმ ცრუ აზრს, ვითომც ქართველ მოზარდ თაობას არ შეეძლოს პატიოსანი შეჯიბრება, მეტოქეობა გაუწიოს სწავლა-განათლებაში თავისს ამხანაგებს: რუსებსა და სომხებს, რომ წარ-

მოვიდგინოთ ქართველთა, რუსთა და სომეხთა ნიჭით თანასწორობა, მაშინ უექველად პირველობა, ბელადობა სწავლა-განათლებაში უკანასკნელ ორ ტომის შევირდობას უნდა ერგოს შემდეგი მიზეზების გამო: რუსს ხომ სამშობლო ენაზე სწავლა საგნებისა უნახვერებს შრომას ცოდნის შესათვისებლად; ამ მხრივ თითქმის სომეხიც ამავე პირობაშია: ისიც გაქალაქებულია და რუსული ენა სკოლამდის სახლში, თუ ქუჩაში საკმაოდ შეთვისებული აქვს, მეორეც, რუსებიც და სომეხებიც ჩვენზე უფრო შეძლებული ხალხია, და შეძლებას რა არ შეუძლიან, მკითხველო! ჩვენი მოზარდ თაობის უმეტესი ნაწილი კი საშინელს საღარბეშია ჩავარდნილი, და ცარიელს კუჭზე მუშაობა რა უნდა იყოს, ადვილად მისახვედრია და წარმოსადგენი. ამას დაურთეთ ხშირად სიღარიბისა გამო საჭირო სასწავლო ნივთების უქონლობაც, უფრო კი რუსული ენის უცოდინარობა ქართველ მოსწავლეების შრომას უორკეც-უსამკეცებს: პირველ ხანებში მაინც ყოველი მარჯვე ნაბიჯი მეცნიერებაში სისხლისა და ოხერის ფასად აქვს გადადგმული! მიუხედავად ამ დამაბრკალებელ მიზეზებისა ჩვენი მოსწავლეები, მათდა სასახლოდ, არა თუ სომეხებისა და რუსების უკან არ რჩებიან, არამედ ბევრს სასწავლებელში წინ უსწრებენ, სწავლა-განათლების საქმეში თავისს ამხანაგებს. მაგრამ სჯობს თვით ციფრები ავალაპარაკოთ. საეაჟო გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებსში ქართველების წარმატების პროცენტია 80,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>, რუსთა 78,9<sup>0</sup>/<sub>0</sub> და სომეხთა—78,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>. საქალებო გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებსში რუსთა წარმატებითი პროცენტია 87,9<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ქართველთა 84,9<sup>0</sup>/<sub>0</sub> და სომეხთა 81,0<sup>0</sup>/<sub>0</sub>. მხოლოდ რეალურ და სამრეწველო სასწავლებლებში ქართველებს დაუთმიათ პირველობა დანარჩენ თავისს ამხანაგებისათვის. ვისაც აინტერესებს ეს აზრი, ვსთხოვთ ზევით მოყვანილს ცხრილს ყურადღება მიაქციოს, იქვე იპოვის წარმატების პროცენტს ამა თუ იმ წოდების მოსწავლეებისა.

როგორც მკითხველი ჰხედავს იმავე ცხრილიდან, საშუალო სასწავლებლებში სწავლობს 2,417 ქართველი მოსწავ-

ლე \*), ანუ ამავე სასწავლებლების მოსწავლეთა 12,9%, ეს მაშინ, როდესაც ქართველები შეადგენენ კავკასიის ყველა მცხოვრებთა 16<sup>0</sup>/<sub>0</sub>-სა, ამიერ კავკასიაში კი—26,2% \*\*) სიმართლით ქართველი მოსწავლენი ყველა მოსწავლეთა ამდენივე პროცენტს მაინც უნდა შეადგენდნენ. რუსებს რომ თავი დავანებოთ, სომხებს შეხედეთ: ისინი შეადგენენ მცხოვრებთა 12,6% და ამავე სასწავლებლებში ჰყავთ კი 4660 მოწაფე, ანუ 24,8%, ერთი სიტყვით, ორჯელ მეტი ადგილი უჭირავთ საშუალო სასწავლებლებში, ვიდრე იმათ სიმართლით ერგებათ. სინიღისის ქვეშ რომ ვსთქვათ, ღირსნიც არაან ამისა.

ჩვენ, ქართველებს, დაბალსა და პირველდაწყებითი სკოლებში შეგვიჩრჩენია კუთვნილი ადგილი: პირველში 19,6%, მეორეში კი 19,6%.

ეხლა ცოტა რამ დაწვრილებით პირველ დაწყებითი სკოლებზე ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში. ჩვენ პირველ ცხრილში მოვაქციეთ, თუ რამდენი მცხოვრებია ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში (ცალ-ცალკე) ამა თუ იმა ეროვნებისა და თვითოეულ ეროვნებას რამდენი მოსწავლე ჰყავს. ანგარიშა შენიშნავს, რომ ამერეთის მცხოვრებთა რაოდენობაში შეცდომა შემოგვეპარაო, რადგანაც მოქალაქეთა რიცხვი (рубрика въ томъ числѣ городскихскихъ) ორჯელ აღებული იქნაო. ჩვენ კი ეფიქრობთ, რომ ქართველთ შესახებ აქ შეცდომა არა არის-რა: \*\*\*) ამერეთის ქართველობას, რომ მივემატოთ

\*) ამ რიცხვს რომ მიუმატოთ ტფილისის (537 მოსწავლე) და ქუთაისის (367 მოს.) სათავდაზნაურო სასწავლებლების მოწაფეთა რიცხვი 904, გამოვა—3,321 მოსწავლე, და პროცენტიც შესამჩნევად აიწევს...

\*\*) პირველ შემთხვევაში, ქართველები არა ქართველებად ცნობილ ქართველებიანათ, ჩვენის ფიქრით, უნდა შეადგენდნენ 18—19%<sup>0</sup>/<sub>0</sub>, მეორე შემთხვევაში კი 29.—30 პროცენტსა. დროა მართლა ქართველთ რაოდენობა ცნობაში მოყვანილ იქმნას. ავტორი.

\*\*\*) მართლა, მოქალაქეთა რიცხვი რომ ორჯერ ყოფილიყო აღებული, მაშინ სომხებს უნდა ემატათ შესამჩნევად და არა ქართველებს: 1897 წ. ანგარიშის ნაჩვენებზე საანგარიშო წელს ქართველები 96 ათასით მეტია ნაჩვენები, სომხები კი—60 ათასით.

ამერეთისავე ქართველ-კათოლიკენი და ქართველ-მაჰმადიანნი, მაშინ ანგარიშში ნაჩვენები რიცხვი ქართველთა (568 ათასი) გაზვიადებულად არ ჩაითვლება...

მიუხედავად ამისა, რომ ჩვენ ეკვის თვალთ შევხედოთ ამერეთის ეროვნებათა რაოდენობას და ავილოთ 1897 წელს ნაჩვენები მათი რაოდენობა,—გამოდის, რომ ტფილისის გუბერნიისაში ქართველობა ყოფილა 468 ათასი მცხოვრები, ჰქონიათ 88 პირველ-დაწყებითი სკოლა: ერთი სკოლა, მოდის 5,8 ათას მცხოვრებზე. სომხები 230 ათასი, ჰქონიათ 46 სკოლა; ერთი სკოლა მოდის 5,0 ათას მცხოვრებზე. თათრები—228 ათასი, ჰქონიათ 14 სკოლა, ანუ ერთი სკოლა მოდის 16,29 ათას მცხოვრებზე. რუსები—67 ათასი, ჰქონიათ 22 სკოლა; ერთი სკოლა მოდის 3,0 ათას მცხოვრებზე.

ქუთაისის გუბერნია: ქართველები 945 ათასი, ჰქონიათ 166 სკოლა, ანუ ერთი სკოლა მოდის 5,7 ათას მცხოვრებზე. რუსები—5 ათასი მცხოვრები, ჰქონიათ სამი სკოლა; ერთი სკოლა მოდის 1,7 ათას მცხოვრებზე. სომხები—16 ათასი, ჰქონიათ 5 სკოლა, ანუ ერთი სკოლა მოდის 3,2 ათას მცხოვრებზე. თათარი 28 ათასი,—არც ერთი სკოლა არა ჰქონებიათ. მთიულნი—64 ათასი \*) ჰქონიათ 16 სკოლა, ანუ ერთი სკოლა მოდის 4,0 ათას მცხოვრებზე. ამერეთის პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლობს 13,207 მოსწავლე. ამათში ქართველია 4,999 ანუ 37,9% ყველა მოსწავლეთა, რუსი 1,813 (13,7%), სომეხი 4,270 (32,8%). იმერეთში სახალხო სკოლებში სწავლობს 15,711 მოსწავლე; მათ შორის 14,010 ქართველია (89,1%), რუსი 234 (1,5%), სომეხი 5433,6%).

ყველა სახალხო სკოლებზე, ამერეთში, დაიხარჯა, საანგარიშო წელს, 217,932 მანეთი; ორთა შუა რიცხვით ერთს სასწავლებელზე დახარჯულა 957 მან., ერთ ბავშვზე კი 13,69, მანეთი. ამერეთში ყველა სახალხო სკოლებზე დახარჯულა

\*) ამათ რიცხვშია მოქცეული 40 ათასი სამურხაყანოელნიც.



156,156 მან. საშუალო რიცხვით ერთ სკოლაზე დახარჯულა 787 მან., ერთ ბავშვზე 9,92 მან.

ამერეთს. თითქმის, ყველა 88 ქართულს სკოლაში სწავლა სწარმოებს სამშობლო ენაზე რუსული ენის დახმარებით (съ учаііемъ русскаго языка), ანგარიშის ჩვენებით. იმერეთში კი ყველა 166 ქართულ სკოლაში სწავლა სწარმოებს „რუსულს ენაზე“ (на русскомъ языкѣ), უკეთ ვთქვათ, მუნჯურ მეთოდით!

ამერეთში სწავლობს სახალხო სკოლებში, როგორც ზევითაც შევნიშნეთ, 4,999 ქართველი ბავშვი. ეს რიცხვი რომ გავყოთ მცხოვრებთა რაოდენობაზე, 4,999 მოსწავლე: 468 ათას მცხოვრებლზე ათას ქართველ მცხოვრებზე მოდის 10,68 მოსწავლე, იმერეთში კი ათას მცხოვრებზე მოდის (14010: 945) 14,8 მოსწავლე. აქედან ჩანს, რომ (თუმცა იმერეთ-ამერეთში თანაბრადაა განაწილებული სკოლები) ლტოლვილება, მისწრაფება იმერთა სკოლებისადმი თითქმის ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე ამერთა (14,8 10,6). ასევეა სამრევლო სკოლებშიაც. ორთა შუა რიცხვით ათას ქართველ მცხოვრებზე მოდის (4,999 + 14,010): (468 + 945) 13,8 მოსწავლე! ჩვენ ვიცით-რომ დაახლოებით ათას მცხოვრებზე სასკოლო ჰასაკისა მოდის 143 ბავშვი (ათასის მეშვიდედი) და აი ამ 143 ბავშვიდან მხოლოდ სწავლობს 13,8 ბავშვი, დანარჩენი 129,8 კი სკოლის გარედ რჩება! ყოველ ათას მცხოვრებზე 9,8 სასკოლო ჰასაკისა რომ სამრევლო სკოლებს დაუთმოთ\*), მაშინ ყოველ ათას მცხოვრებზე სკოლის გარეშე რჩება 120 სასკოლო ჰასაკის ბავშვი, ანუ (120 ბ. X 1413) 169,560 ბავშვი!! აი რამდენი სასკოლო ჰასაკის, ქართველი, ღეთის ანაბარადაა დაგდებული! უბრალო წერა-კითხვა რაა, ამასაც თავის დღეში ველარ ელირსებიან ეს საწყლები! ამათ რომ დაუმატოთ ოფიციალურად არა ქართველებად ცნობილ სასკოლო ჰასაკის ქართველ-

\*) დაახლოებით ასეც გამოდის: ყველა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში სწავლობს 21,295 შეგირდი,  $\frac{1}{4}$  ამ რიცხვისა მანაც ქართველობაა. სამწუხაროდ დანამდვილებით არ ვიცი, რამდენია.

ნიც, მაშინ შესამჩნევად იმატებს მათი რიცხვი. რა ბევრია, მკითხველო, სკოლის გარედ დარჩენილი ქართველი?! აქედან აშკარაა, რომ ხუთ-ექვსჯერ რომ გაუმრავლოთ ხალხს სასოფლო სკოლები, მაინც ვეღარ დაუკმაყოფილებთ პირველ დაწყებითი სწავლის შექმნის სურვილს: ასე ვართ ჩვენ დაშორებულნი სკოლას! ბნელში ჯერ სქლადა ვართ ჩვენ, ქართველნი, გახეუთლნი, და ვინ იცის, როდის მოვიშორებთ მისს ძალასა?

გული გეწვის, სული გიღონდება, როცა პირდაპირ ამ შემზარავ სურათს შეხედავ, და მასთან იმედი ბედნიერს მომავალისა გიღვივის გულში, როცა უკუ მოიხედავ და გაითვალისწინებ, რა ვეება ნაბიჯი მარჯვედ და მედგრად გადასდგა ჩვენმა ხალხმა, ამ ორმოცდა ათის წლის განმავლობაში, სწავლა განათლების სარბიელზე! საკმაოა შევნიშნოთ, რომ 1849 წლამდის ამერეთში იყო მარტოდ-მარტო 6 სასოფლო სკოლა, იმერეთში კი ერთი! და ეს სკოლებიც ქართველთათვის არ არსებობდნენ. დიად, ქეშმარიტად, ღვთის წინაშე, ღირსნი არიან ქართველი მოსწავლეები და მასწავლებლები გამრავლებისა, აღორძინებისა, პატრონებისა!“ გავიმეოროთ, ჩვენს პედაგოგის ბ. გოგებაშვილის ეს სიტყვები და ამით გავათავოთ ჩვენი შენიშვნებიც.

## 6. ჯანაშაა



## ზინაური მიმოხილვა

საზოგადო კრებათა სეზონი.—თავდა-აზნაურთა კრება.—ორიოდე სიტყვა თავდა-აზნაურობისა და წოდებრივ დაწესებულებათა მნიშვნელობის შესახებ.—საზოგადო საჭიროებათა შესახებ შუამდგომლობა.—სათავად-აზნაურო მამულის გადაკეთება და გამგეობა.—თავდა-აზნაურთა ახალგაზღობა.—საშვილი შვილო საქმე.—სამეურნეო ბანკის წევრთა კრება.—ამ ბანკის ზრდა-განვითარება.—რა იმედები ვერ გაამართლა მან?—მიმართულების შეცვლის საჭიროება.—ერთი კითხვა თავდა-აზნაურთა ბანკის მომავალ კრებაზე.—მიზეზები დამარბებელ საზოგადოებათა დაქვეითებისა.—დახმარების აღმოჩენის საჭიროება.—კიდევ რამდენიმე სიტყვა „კვალს“ და მის სულის ჩამდგმელს.

დადგა გაზაფხული და დაიწყო საზოგადო კრებები. გროვდებიან წევრები სხვა-და-სხვა ჩვენებურ დაწესებულებათა, რათა განიხილონ წლის ნამუშევარი არჩეული გამგეთა. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ-ჯერობით იმდენად ვერ შეგვიგნია თვითმართელობის დანიშნულება, იმდენად ვერ შეგვითვისებია საზოგადო საქმეთა და საჭიროებათა დიადი მნიშვნელობა, რომ შევიძლოთ შესაფერის ყურადღებით და გულმოდგინეობით განვიხილოთ ნამოდვაწევი ამა თუ იმ საზოგადო დაწესებულებისა. უფრო ხშირად წევრები გროვდებიან, რათა ფორმალურად აღასრულონ თავისი ნოვალეობა: კანონის მოთხოვნილების ძალით დაამტკიცონ ანგარიშები და აირჩიონ გამგენი. არც კრიტიკას, არც მსჯელობას აქ აღვილი თითქმის არა აქვს: დამსწრენი შერებიან იმას, რასაც უბრძანებენ საქმის გამგენი; არჩევანშიაც, რასაკვირველია, ხელმძღვანელობენ იმავე გამგეთა ნებით და სურ-

ვილით. ბევრსა ჰგონია, რომ ეს გამგეთა ბრალია, რომ ისინი ხმარობენ ყოველგვარ ღონისძიებას, რათა დასაწყისშივე მოსპონ კრიტიკა, ყოველივე ოპპოზიცია. მაგრამ ეს არ არის მართალი: თვით საზოგადოება იმდენად განუფითარებელია ჯერ, რომ მას მოსწონს, როდესაც სხვა ჰეიქრობს და მოქმედობს მის მაგიერ, და გამგენიც ძალა-უნებურად სარგებლობენ ამგვარის გარემოებით. საზოგადოების ამგვარი ინდიფერენტისმი ბოლოს და ბოლოს აფუჭებს გამგეთ: უკანასკნელნი ეჩვევიან თვითნებობას, დესპოტიურ თვისებებს იძენენ და კიდევ შემდეგ უკადრისობენ კრიტიკასა და მსჯელობას... მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენს ერს და საზოგადოებას ამაშიაც დაეტყო წინმსვლელობა. ჩვენის ცხოვრების საერთო წარმატებას მოჰყვა გაუმჯობესობა ჩვენთა საზოგადო საქმეთა და მასთან დაიბადნენ ნიშნები ჩვენის ინდიფერენტისმის ნელ-ნელ გაქარწყლებისა. უწინ, საზოგადო კრების შესადგენად, ორიოდღე და ინტერესებულ პირთ კალთები უნდა დაეგლიჯათ ნაცნობ-უცნობთათვის და ძლივს მორეკავდნენ კრების დარბაზში ხუთმეტრიოდღე წევრს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში არც გაეგებოდათ—რისთვის მოვიდნენ და რას თხოულობენ მათგან. ეხლა ეს აღარ არის. მართალია, საზოგადოებრივი ინდიფერენტისმი ჯერ კიდევ არ არის სრულიად ძლეული ჩვენებურ საქმეებში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეხლა ბევრი ხალისით მიდის კრებებზე და მონაწილეობასაც იღებს საქმეებში. წელს მაგალითად, თავად-აზნაურთა მორიგ კრებაზე, ერთი კვირის განმავლობაში, ყოველდღე ორასამდე კაცი დადიოდა; სამეურნეო ბანკის კრებას ასზე მეტი წევრი დაესწრო, რომელთაც ორიოდღე საგანი გამგეთა აზრის წინააღმდეგ გადასწყვიტეს კიდევ! წარმატება უტყუარი და ნამდვილია, მაგრამ ეს წარმატება უფრო ფორმალური, უფრო გარეგნულია, ვიდრე არსებითი; ჯერ კიდევ მეტი გაევროპიელება გვჭირია, რომ საზოგადო საქმეს უფრო მეტის ყურადღებით და გულმოდგინებით მოვეკიდოთ, ვიდრე საკუთარს საქმეს ვეკიდებით...

იმ საზოგადო კრებებიდან, რომელთაც ამ გაზაფხულზე ჯერჯერობით აღგილი ჰქონდათ, ჩვენ შევეცებით აქ მხოლოდ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას და ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრებას, როგორც უფრო მნიშვნელოვანთ და საინტერესოთ.

თავად-აზნაურთა კრებებს ჩვენს დროში ისეთი მნიშვნელობა აღარ აქვთ, როგორც წინედ უნდა ჰქონოდათ. გლებთა განთავისუფლებამ სრულიად შესცვალა სოციალური წესწყობილება ჩვენის ერისა. ამ უდიდესმა რეფორმამ შეჰქმნა სრულიად ახალი პირობები მთელის რუსეთის და მასთან ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრება-განვითარებისათვის. მთავრობის პოლიტიკაც ამტკიცებდა და ამაგრებდა აქ ახალს პირობებს იმით, რომ დახმარებასა და შეელას უჩენდა ვაჭრობა მრეწველობას; ხოლო მიწად-მომქმენდი, მეურნე ხალხი—გლებიც და თავად-აზნაურიც—მოუმზადებელი და უმწეო დარჩნენ მათთვის სუსხიანს დროში. ახალმა პირობებმა ღონივრად დაანძრის ნატურალურ ცხოვრების ბოძები და აღნიშნეს ახალი ხანა, კაპიტალისტურ განვითარებისა. ეს ხანა არღვევს ძველს წოდებრივს ურთიერთობას და ანვითარებს ევროპიულს მოქალაქეობრივს ცხოვრებას, რომელშიაც წოდებათ აღარ აქვთ ფაქტიურად წინანდელი მნიშვნელობა. მართალია, კანონმდებლობა იცავს კიდევ ერთ ხანას ძველს იურიდიულს ურთიერთობას, მაგრამ, რადგანაც ცხოვრებაში ახალი ელემენტები გაჩნდნენ, რომელი ხელში ნელ-ნელა გადადის მატერიალური და მასთან პოლიტიკური ძალაც ქვეყნისა, ამიტომ კანონ მდებლობაც ჰკარგავს თავის ძალასა და ხდება თითქმის უბრალო ფორმად. რამდენად მაგრდებიან მატერიალურად ახალი ელემენტები, იმდენად იკარგება იურიდიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ძველ ხანის მმართველ წოდებისა. ეს სოციალური კანონია და მისი შეცვლა ან შეჩერება კაცის ხელთ არ არის. ამიტომ შეუძლებელია ხელოვნურის ზომებით სიცოცხლე ჩაჰბერო ჩვენს დროში ისეთს დაწესებულებას, ისეთს ელემ-

მენტს, რომელიც დროთა ვითარებით უნდა მოისპოს და მოიშალოს.

ჩვენს ჩამორჩენილს ქვეყანაში ახალი ხანის პირობები ნელა იჩენენ ძალას. სხვა-და-სხვა გარემოებათა მიზეზით, რომელიც ვერ უწყობენ ხელს ჩვენში კაპიტალისტურ წეს-წყობილების მსწრაფლ და შეუჩერებელ განვითარებას, ახალი ელემენტები ჯერ კიდევ აღმოცენის ხანაში არიან (въ периодѣ зарожденія); ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ნახევრად ნატურალურ პირობებში სცხოვრობს და მისი ახალი ელემენტები ჯერხანად ფულის აგროვებენ წერილ-წვრილად (периодѣ наклоненія капиталовъ), რათა შემდეგ შეუდგნენ განვითარებულ ვაჭრობა-მრეწველობას. თუმცა ბ. ფილიპე მახარაძე ერთ დროს დიდის ამბით გვიმტკიცებდა, რომ სვანეთშიაც კი გასაკვირველის ჩქარის ნაბიჯით შედის კაპიტალიზმიო, მაგრამ ეს, რასაკვირველია, მხოლოდ ოცნების ფაქტად ქცევაა და გაზვიადებაა, მხოლოდ desiderata არის და არა ფაქტი. სვანეთი ისევ ძველ პირობების გავლენის ქვეშაა ჯერ, იქ სრულიად გამეფებულნი არიან ძველის ვითარების კანონები; დანარჩენი საქართველო, რასაკვირველია, სვანეთზე ბევრად მალლა სდგას, მაგრამ იმ ხანისაგან, რომლის გამეფებას ბუკისა და ნალარის ხმებით გვიმტკიცებენ „კვალისტები“, ის ჯერ კიდევ შორს არის. გლენტა განთავისუფლებამ ჩვენში შექმნა ახალი შანსებია ეკონომიურ-პოლიტიკურის განვითარებისა, მაგრამ ეს იმას კი არ ჰნიშნავს, რომ ახალს ხანას მაშინვე წაერთმიოს ნიადაგი ძველისათვის, რომ საქართველო ბელგიად გადაქცეულიყოს იმ დღესვე, რა დღესაც გაწყდა მონობის ჯაჭვი... მეორეს მხრით კი ისიც უეჭველია, რომ რაკი კაპიტალისტურ ხანის პირობებში ჩავდექით, ძველის დროის დაბრუნება შეუძლებელია და ნელ-ნელა ისობა ძველ სოციალურ წყობილების დაწესებულებანიც. ამიტომაც ვთქვით ჩვენ ზემოთ, რომ თავად-აზნაურთა კრებებს და, საზოგადოთ, მათ მოღვაწეობას აღარ აქვს ეხლა მნიშვნელობა. მათ საქმეებს მხოლოდ იმდენად აქვთ ფასი და მნიშვნელობა, რამდენად ეს საქმეები მთელს ერს ეხე-

ბიან და არა წოდებას, როდესაც თავად-აზნაურობა ისეთს საზოგადო საჭიროებაზე ჰფიქრობს და ზრუნავს, როგორც მაგალითად, ერობაა, მაშინ ის ახალის დროის მოთხოვნილებას ასრულებს და ამიტომ თანაგრძნობის ღირსია, მაგრამ, როდესაც მაიორატის შესახებ დაიწყებს ლაპარაკს, ამ შემთხვევაში მას წოდების გამაგრება აქვს სახეში და დროის კანონის წინააღმდეგ სურს წავიდეს; მაშინ მას ვერაფერ ვერ თანაუგრძნობს, რადგანაც გაცოცხლება მოუწადინია იმისა, რასაც დროთა ვითარებამ სიკვდილი მიუსაჯა... ამ მხრით, ქართველ თავად-აზნაურობამ ბოლოს წლებში სწორედ თავი ისახელა: ტფილისშიაც და ქუთაისშიაც მან აღძრა ისეთი შუამდგომლობანი, რომელნიც მთელს ქვეყანას პირველ საჭიროებად აქვს დღეს მიჩნეული, სახელდობრ: შუამდგომლობანი—ერობის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა და მიწების გამოჯგენის დაჩქარების შესახებ.

წრევანდელს კრებას ტფილისის თავად-აზნაურობისას ასეთი დიდ-მნიშვნელოვანი რამ არაფერი გადაუწყვეტია. ის პატარა, შინაურ საქმეებით იყო გართული, თუმცა ზოგიერთი მათგანი საზოგადოების ყურადღების ღირსია უთუოდ. ასეთი იყო, მაგალითად, ტფილისის თავად-აზნაურთა მამულის (არწრუნისეულ ქარვასლის) საქმე... როგორც უწყიან მკითხველებმა, ეს ვეგებერთელა მამული თავად-აზნაურობამ შეიძინა საზოგადო საჭიროებათა, სახელდობრ—თავად-აზნაურთა მოზარდ თაობის აღზრდა-განათლების საჭიროების დასაკმაყოფილებლად. რაკი ასეა, ამ მამულს კარგი გაძლოლა, კარგი მოვლა-პატრონობა სჭირია. ხუმრობა კი არ არის—წელიწადში მამულს დღეს შემოაქვს 60—70 ათასი მანათი, რომელიც ვალის გასტუმრების შემდეგ (6—7 წლის შემდეგ), სწავლა-განათლებას მოხმარდება ერთიანად. ამ ფულით კი ერთის გიმნაზიის შენახვა შეიძლება! თუ მამულს კარგი პატრონობა ექმნა და თუ იგი შესაფერად გადაკეთებულ და გადიდებულ იქმნა, მაშინ შემოსავალი, უეჭველია, გაორკეცდება და თავად-აზნაუ-



რობას საშუალება მიეცემა ყოველ წლივ ასი ათას მანათზე მეტი დახარჯოს სწავლა-განათლების საქმისათვის!

როგორ უვლით თავად-აზნაურობა ამგვარ მამულს? ხმარობს თუ არა ღონისძიებას მის გაფართოებისათვის? წრევანდელს კრებაზე ამ საკითხის შესახებ დიდი ლაპარაკი იყო გამართული. კრებას წარედგინა დასამტკიცებლად ინსტრუქცია მამულის მართვა-გამგეობისა. ამ საქმეს ინსტრუქცია აბარებს გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს; გარდა ამისა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოსაც უნდა ექიროს, ex officio, თვალ-ყური მამულისათვის. თუ გაეიხსენებთ, რომ თავად-აზნაურთა კრებებსაც ეკუთვნება ხმა მამულას მართვა-გამგეობის საქმეში, დავინახავთ, რომ ინსტრუქცია ჰქმნის მთელს და რთულს დაწესებულებას, ათხს ორგანოდან შემდგარს. ამ ვეებერთელა დაწესებულებამ უნდა განაგოს ერთი შენობა! საკვირველია, რამ აიძულა კომისია ამგვარ უმნო დაწესებულების შექმნისათვის?! ნუთუ შეიძლება ასეთმა რთულმა ორგანომ ჰმართოს ისეთი ცოცხალი და მასთან მარტივი საქმე, როგორიც ქარვასლაა? — არა გვგონია! „У семи няпекъ дитя безъ глазъ“-ო, სწორედ ამგვარ შემთხვევისთვისაა ნათქვამი. კრებაზე თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა განმარტა ზედამხედველობის ამგვარი ორგანიზაციის უეარგისობა და სამართლიანად ურჩევდა თავად-აზნაურთ ერთის გამგის ჯამაგირით დაქირავებას. ამ საშუალებით შეიძლებოდა ერთის მხნე და გამოცდილ ახალგაზდა კაცის მოწვევა და ეს უფრო საიმედო მომვლელი იქმნებოდა მამულისა, ვიდრე მთელი დეპარტამენტი საპატიო პირთა.... მაგრამ კრებამ კომისიის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია ირჩია და დაამტკიცა. არა გვგონია, რომ ამით მან საქმე გააწესრიგა და გააუმჯობესა!

არა ნაკლები ილაპარაკა კრებამ ქარვასლის გადაკეთების შესახებ. არავისთვის საიდუმლო აღარ არის, რომ ქარვასლას დიდი რემონტი ექირვება და თუ ზომები დროზე არ იქმნა მიღებული, ის, შესაძლებელია, თავზე ჩამოგვენგრეს. ამის შესახებ სჯა-ბაასი უკვე რამდენიმე წელიწადია გამართული





აქვს თავად-აზნაურობას, მაგრამ საქმე ჯერ არ სჩანს... რემონტის შესახებ ლაპარაკს დაერთო ფიქრი ქარვასლის გაუართოებისა და გადაკეთების შესახებაც. თავად-აზნაურთა მამულში ძალიან დიდი თავისუფალი ადგილია; ექვს გარეშეა, რომ ამ ადგილს მოხმარება უნდა. საკვირველი ის არის, — როგორ არის ამდენხანს უხმარებლად დატოვებული ეს ადგილი, თორემ ამიერიდან რომ მისი ექსპლოატაცია აუცილებლად საჭიროა, ამაში ეჭვი განა იქნება კიდევ? თვით ახლანდელი შენობა უხერხულად არის აგებული. ბევრი სამალაზიო თვლები ნოტიოდ დასრულიად ბნელს ადგილებშია გამოკუნჭული, რის გამო მათ არაერთარი შემოსავალი არ მოაქვთ. ამიტომ შესაძლებელია ახლანდელი შენობა გაირღვეს და სასახლის ქუჩიდან ფრეილინის ქუჩამდე დიდი პასსაჟი გაიმართოს მრავალის მალაზიებით. თეატრისთვის და სხვა ჩვენ დაწესებულებათათვის ადგილი კიდევ დარჩება. თავად-აზნაურთა მამული შესანიშნავ ალაგას არის; რაც ქალაქში საუკეთესო ვაჭრობაა, სულ აქ სწარმოებს. ამით სარგებლობა უნდა და დროზედ, თორემ, თუ შენობა მეტის-მეტად შემოგვაძველდა ხელში, შეიძლება ვაჭრობამ სხვა ადგილი გაიჩინოს. ამგვარ საქმეში ყოყმანი და შიში არ ვარგა. მიემართოთ და ვკითხოთ თუნდ ბ. რობის—რას იზამდა ის, რომ თავად-აზნაურთა მამული ჩაუარდნოდა ხელში? ყველა ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ ბ. რობი ერთ წამსაც არ მოიცდიდა და მაშინვე შეუდგებოდა ქარვასლის გადაკეთება-გაფართოვებას. ამისთვის იგი არც ვალს მოერიდებოდა და არც ვაზშს. ასე რომ არ მოქცეულიყო, ჩვენ პირველნი ავიგდებდით სამასხროდ. თუ ეს ასეა, როგორ არის, რომ თავად-აზნაურობა ასეთს უადგილო ყოყმანსა და უზრუნველობას იჩენს? ძნელი გასაგებია, მაგრამ ფაქტი კი არის: აგერ რამდენიმე წელიწადია ამის შესახებ ლაპარაკია და წელსაც საქმე ლაპარაკით გათავდა, — რემონტ-გადაკეთების საქმე კიდევ გადიდვა რამდენიმე წლითი..

ამ საკითხის შესახებ კამათის დროს შეიძლებოდა შეგემჩნიათ, რომ წევრთა შორის ორი აზრი ტრიალებდა: ერთნი მო-

ხუცნი და საპატო პირნი—status quo-ს დამცველნი იყვნენ, მეორენი—ახალგაზღობა—რეფორმის მომხრენი. მაგრამ რა საკვირველი განსხვავება იყო მოპირდაპირეთა შორის?! მაშინ, როდესაც პირველნი ენერგიულად, ცოცხლად და ცხარედ იცავდნენ თავის აზრს, მეორენი ძლიერ ჰბედავდნენ ლაპარაკს და ისე ირჯებოდნენ თითქოს ის, რასაც იცავენ, მათთვის სრულიად საინტერესო არ იყო. ასე უგულოდ, უგემურად თავის აზრის დაცვას ჩვენ არ შევსწრებივართ არსად! საზოგადოდ, აქაურ თავად-აზნაურთა კრებებზე თავად-აზნაურობის ახალგაზღობა საკვირველ ინდიფერენტის იჩენს საქმეებში. ის არც ემზადება წინ-და-წინ, არც ცდილობს მომხრეები მოიპოვოს საზოგადოებაში, არც კავშირდება საერთო მოღვაწეობისათვის; ხოლო ბრძოლის წაგების შემდეგ, ან სასოწარკვეთილებით გაიძახის—ცუდად მიდის ჩვენი საქმეებიო ან გაკვირვებულია, როგორ მოხდა რომ „იმათ“ აზრმა გაიმარჯვაო. საქმე კი ისეა დაყენებული, რომ საკმარისია ახალგაზღობამ ხელი გაანძრიოს, შეთანხმებით იმოქმედოს, მომზადებული იყვეს და თითქმის ყოველივე ისე გადაწყდება, როგორც მას უნდა...

სხვა საგნებ შორის საყურადღებო იყო კითხვა დამფუძნებელთათვის ბანკიდან დასაბრუნებელ თანხის შესახებ. ვერ იქმნა და ვერც ეს კითხვა გარდაწყდა. ორი წელიწადია აგერ თავად-აზნაურობა ბჭობს, როგორ მოვიქცეთ, რომ ეს ფული საზოგადო საქიროებას მოხმარდეს ისე და ნაწილ-ნაწილად არ იქმნას გატანილიო, მაგრამ ვერ დააბოლოვა. გამორჩევა უკვე, რომ ამისათვის მხოლოდ ერთი გზაა: სათითაოდ ყოველს დამფუძნებელს მოაწერიონ ხელი პირობაზე, რომ იგი უარს ამბობს თავის ზედრის წაღებაზე და სწირავს მას საზოგადო საქიროებისთვის. დიდი უმეტესობა დამფუძნებელისა ამის წინააღმდეგი არც არის და არც იქმნება, საქიროა მხოლოდ ენერგიული მოთავეობა, რომ ეს საქმე რიგიანად დაბოლოვდეს. კრებამ კი ისევე კომისია აირჩია და ვაი თუ კომისიამ ხელ-ახლავ გააქიანუროს საქმე...

ხოლო ყველაზე უფრო საყურადღებო საგანი კრების დანიშნული საქმეთა შორის კი არ ყოფილა, არამედ თვით კრებაზე აღიძრა. ვორის მაზრის ერთმა მემამულემ წინადადება წარუდგინა კრებას—ვიშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს საძოვარ ადგილების პატრონობა - სარგებლობის მოწესრიგების შესახებაო. აი ამ საგნის შესახებ კამათის დროს თავ. ლევან ჯანდიერმა დააყენა უფრო ზოგადი საკითხი: უმჯობესი იქნება ვიშუამდგომლოთ, რომ მოწეს-რიგებულ იქმნას თავადაზნაურთა და დროებით გლეხთა ურთიერთობაო; ეიშუამდგომლოთ, რომ მოსპობილ იქმნას დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტიო. ამ მეტად საყურადღებო კითხვის შესახებ კრებამ სჯაც არ იქონია და მისი განხილვა მიანდო იმავე კომისიას, რომელმაც უნდა გაარჩიოს საძოვარ ადგილების შესახები საკითხი. ეს უყურადღებობა მეტად სამწუხაროა, რადგანაც თავ. ჯანდიერის მიერ დაყენებულს საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელის ჩვენის ქვეყნისათვის, მის მომავალ განვითარებისათვის.

როგორც მკითხველებმა უწყიან, რუსეთში და ჩვენში ერთნაირად არ მომხდარა გლეხთა განთავისუფლება. იქ სახელმწიფომ შეისყიდა გლეხის „ნადღეები“ მებატონეთაგან და ამრიგად სრულიად მოსპოა ყმათა და ბატონთა შორის დამოკიდებულება. გლეხები-კი ნაწილ-ნაწილ უხდიან თვით ხაზინას გამოსყიდვის ფასს (выкупные платежи). ჩვენში-კი შექმნეს ინსტიტუტი „დროებით ვალდებულ გლეხთა“. გამოსყიდვა სავალდებულო კი არ ყოფილა, არამედ მებატონისა და „ვალდებულ გლეხის“ შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ამგვარს წესს ცუდი შედეგი მოჰყვა ჩვენის ქვეყნისათვის: დასავლეთ საქართველოში და უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში დიდი უმრავლესობა გლეხებისა ჯერ ისევ გაუნთავისუფლებელია. მეოცე საუკუნეში ვიწყებთ ცხოვრებას და ქვეყანაში ნახევრად ისევ ბატონ-ყმობა ჰსუფევს! ამაზედ მეტი ჩამორჩენა შეუძლებელია!! ამგვარი მოუწყობლობა გლეხთა შესამჩნევად აფერხებს მათ

ეკონომიურს განვითარებას და მთელის ქვეყნის წინსვლას. ჩვენში საზოგადოდ აწეწილ-დაწეწილია გლახთა კანონმდებლობა: აგერ ხიზანთა დებულება, აგერ საძოვარ ადგილების წესები, აგერ ღროებით ვალდებულ გლახთა „უსტანეი ღრამოტები,—ყოველივე გამოურკვეველია და ეს გამოურკვეველობა მეტად აბრკოლებს სოფლის მცხოვრებთ. მათ „ხელ-ფეხი შეზორაკილი აქვთ და როგორ-ღა უნდა ეომონ ყოველგვარ ხელშემშლელ გარემოებათ?!... აუცილებლად საჭიროა ამიტომ, ჩვენშიაც სავალდებულოდ გახდეს ერთბაშად გლახთა განთავისუფლება; ხოლო ამისთვის ჩვენშიაც სახელმწიფო უნდა დაეხმაროს გლახთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ისევ დღევანდელს ვითარებაში დარჩება...

ვისურვოთ, რომ ხსენებულმა კომისიამ სრულის ყურადღებით მოეპყრას აღძრულ საკითხს და სასურველი მიმართულება მისცეს ამ საშვილიშვილო საქმეს!

საანგარიშო თვეს მოხდა აგრეთვე „ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების“\*) წევრთა მორიგი კრება. საინტერესოა ამ ახალგაზდა დაწესებულების ზრდა-განვითარება. სულ მეოთხე წელიწადია რაც ის დაარსდა და უკვე მკვიდრ საკრედიტო დაწესებულებად ჩაითელება: შესამჩნევად იმატების წევრთა რიცხვმა, მის თანხებმა და მის მოქმედებამაც. 1899 წლის განმავლობაში სამეურნეო ბანკმა სულ დაატრიალა 6,096,938 მანეთი, წინა წელთან შედარებით 1,112,256 მანეთითმეტრ. ცალ-ცალკე რომ აღვსახოთ, ბანკის ოპერაციებმა საანგარიშო წელს იმატეს შემდეგ ნაწილებში: სახელდახლო ანგარიშზე ბანკს შემოუვიდ-გაუვიდა სულ 836.048 მან. 57 კაპ., წინა წელთან შედარებით 137,768 მან. და 46 კაპიკით მეტი; სარგებლიანი შემოტანილის (процентные вклады)—სავადოსი და უვადოსი—სავარაუდო ოპერაცია იყო 335,342 მანეთი,

\*) ამ გრძელ სახელის მაგიერ ტფილისის საზოგადოებამ უწოდა ახალს დაწესებულებას „სამეურნეო ბანკი“ და ჩვენც ამ სახელით ვისარგებლებთ.

წინა წელთან შედარებით 99,342 მან. მეტი; თამასუქებით გაიცა სულ 467,005 მან. 73 კაპ., წინა წელთან შედარებით 66,710 მან. 73 კაპ. მეტი; გაიცა სარგებლიან ქალაქის გირაოთი 64,518 მან. 72 კ., წინა წელთან შედარებით 44,801 მან. 32 კაპ. მეტი; გაიცა სამეურნეო ნაწარმოებთა გირაოთი—9,941 მ. 10 კ., წინა წელთან შედარებით 1,718 მან. 47 კაპ. მეტი. იმავე წლის განმავლობაში ბანკის ოპერაციებმა იკლო მხოლოდ ორ ნაწილში: 1) გაიცა საქონლის გირაოთი 26,121 მან. 50 კაპ., წინა წელთან შედარებით 1540 მან. 50 კაპ. ნაკლებ და 2) გაცვლილ იქმნა თამასუქები 19,975 მანეთისა, წინა წელთან შედარებით 3,125 მან. ნაკლებ. ამ ციფრებიდანაც სჩანს, რომ ბანკის საქმე კარგად მიდის.

სულ საანგარიშო წელს ბანკის წევრად ყოფილა 774 კაცი, მათგან უმთავრესი შემოსატანი—250 მანეთი—შეუტანი 115 კაცს, 200 მანათი—98 კაცს, 150 მანეთი—12 კაცს, 100 მანეთი—155 კაცს, 50 მან. 141 კაცს და სხვა. წვრილ შემოსატანად რომ ვიანგარიშოთ 5 მანეთიდან 100 მდე, ენახეთ, რომ 774 კაციდან 538 „წვრილი წევრია“. უდიდესი ფასი თამასუქისა ყოფილა 1250 მან., უმცირესი—20 მან., შუათანა—635 მან. ამ ციფრებიდან, სხვათა შორის ისიც სჩანს, რომ ბანკი, შედარებით, წვრილ მეპატრონე-მრეწველთათვის მუშაობს.

მართალია, ყოველივე ამებში ბანკმა მოლოდინსაც გადაჭარბა და რიგიანად წაიყვანა საქმეები, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც მან ვერ აასრულა და რაშიაც იმედებს ფრთები შეუტრუსა... როდესაც ეს ბანკი არსდებოდა, საზოგადოებას იმედი დაებადა, რომ მისი მოღვაწეობა სოფელსაც მისწვდებოდა. ეინ არ იცის, როგორ საქიროებს კრედიტს სოფელი? მეფაშეობამ და ჩარჩობამ გაჰყვლიფა ჩვენებური სოფელი და დასცა მეურნე. ერთად ერთი შეველა და ხსნა მისი ფულშია: თუ მივაწვდით მეურნეთ იაფ-ფასიან და შესაფერს კრედიტს, ის შესძლებს

ჩარჩის ძლევას და მეურნეობის განვითარებას, თუ ვერა და მაშინ მას სული ამოხდება წლებლებთან ბრძოლაში და საცხოვრებელი ჩარჩი-ბაკაცებთ დარჩებათ. სამწუხაროდ, სოფელს ჯერ არსაიდან არ მოდის ხსენებული დახმარება... დიდი იმედო, როგორც ვაქვით, ტფილისის სამეურნეო ბანკზედაც იყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით სანუგეშო ცოტა ხნანს: ბანკმა 1898 წლის განმავლობაში სამეურნეო ნაწარმოების გირაოთა გასცა 8222 მან. 63 კ., 1899 წელს ცოტა მეტი—9941 მან. 10 კ.; იღებს მსესხებელთაგან 9<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ბანკის ეს ოპერაცია მეტის-მეტად მცირეა! ასი თუმნის სესხის გაცემა სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი სახსენებელიც არ არის იმ საჭიროებისთანა და მოთხოვნილებასთან შედარებით, რომელიც არსებობს ჩვენს სოფელში! მაშინ როდესაც ბანკის სხვა ოპერაციები შესანიშნავად იზრდებიან, სამეურნეო სესხის ოპერაციებს ძლივს ეტყობა წარმატება. ბანკის გამგენი თავს იმით იმართლებენ სულ, რომ ახალ დაწესებულებამ ჯერ ნდობა უნდა მოიპოვოს ქვეყანაშიო, ჯერ უნდა გაძლიერდესო და ამისთვის სიფრთხილეა საჭიროო. მაგრამ წელს თვითვე ამბობენ მოხსენებაში „дальнѣйшему развитію нашего учрежденія положено прочное основаніе“. თუ ეს ასეა, მაშინ სანამდის უნდა ვუცადოთ კიდევ? გარდა ამისა, განა ბანკს ნდობა დაეკარგება ან ძალა შეუსუსტდება, თუ მეურნეს მიჰხედა? პირობით, საფიქრებელია, რომ, თუ საქმეს რიგიანად და საჭირო წინდახედულებით მოაწყობენ გამგენი, ბანკს სახელიც მეტი ექნება და სახრავიც. ამიტომ მართლის უმართლესი იყო საზოგადო კრება, როდესაც გამგეთა თავის მართლება არ მიიღო პატივდებაში და დაავალა მათ შემუშავება პროექტისა ხსენებულ საქმის გაუმჯობესებისათვის და ამ პროექტის საგანგებო კრებისთვის წარდგენა.

—

საყურადღებო საკითხი უნდა გააჩიოს აგრეთვე ტფილისის თავად-ახნაურთა ბანკის რწმუნებულთა მომავალ მორიგ კრებამ. როგორც „ცნობის ფურცელმა“ გვაუწყა ამას წინად,



ხსენებულ ბანკის ზედამხედველ კომიტეტს თხოვნა მისვლია, საზოგადო კრებისთვის წარსადგენად, ქვემო-მაჩხაანის დეპოს-თვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ.

უკვე კარგა ხანია ვაზეთებიდან ყველას შეტყობილი გვაქვს, რომ მაჩხაანის დეპოს საქმე ცუდათ წავიდაო. ამ ამბავმა თავის დროზე მიიქცია ქართველ საზოგადოების ყურადღება და დააღონა კიდევ იგი... ჩვენებურ მომხმარებელ საზოგადოებათ ერთი უბედურება სჭირთ: მათ ან უზომო მოტრუიალე ჰყავთ ან სრული უარის მყოფელნი. დაარსდება თუ არა ამგვარი საზოგადოება, ერთნი უზომო სიხარულით და აღტაცებით იწყებენ ყვირილს *urbi et orbi*—აი ეხლა მოგვეცა შვება-ლხენაო: დებო გვიხსნის სამუდამოთ ჩარჩ-ბაცაცებიდანაო, გავამდიდრებსო და სხვა; მეორენი იმდენად უმნიშვნელოდ სთვლიან ამ გვარ საზოგადოებათ, რომ სრულიადაც ყურადღებას არ აქცევენ ახლად დაარსებულს დაწესებულებას. ასე იყო სწორედ მაჩხაანის დეპოს დაარსების დროსაც. ერთმა ჯგუფმა და მათ შორის დეპოს დამაარსებლებმაც, ბ-ნმა ნადირაძემ, მთელი ქვეყანა შესძრეს ლაპარაკით, რომ კახეთის ხსნისა და აყვავების დღე ეხლა დადგაო, რომ ჩარჩობა მოისპო და აილაგმა ამიერიდანაო. ამგვარ უზომო სიხარულს და გადამეტებულს იმედებს დიდი ვნება მოაქვთ ჩვენში დამხმარებელ და მწარმოებელ საზოგადოება-ამხანაგობათათვის. ხალხს მართლა ებადება დიდი იმედები, ხოლო როდესაც აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას ან ამხანაგობას არ ძალუძს აღასრულოს ბევრი რამ ან როდესაც დაინახვენ, რომ რაიმე მიზეზებისა გამო, დაწესებულება ქვეითდება, —ხალხს გული უტყდება ამგვარ დაწესებულებაზე სამუდამოდ... ან და რა საქიროა იმის გაზვიადება, რის მნიშვნელობა ისედაც საპატიო არის? დებოებს, რასაკვირველია, არ ძალუძთ სოფლის ეკონომიურის ვითარების შეცვლა-მეურნეობა და სოფლის ეკონომიური ცხოვრება ექვეითებარება ეკონომიურს კანონებს, რომელთა მოქმედებისა და ზედგავლენის მოსპობა არავითარ კაცის დაწესებულებას არ შეუძლიან. სოფელი ეხლა გადამავალს ეპოქაშია: ირდვევა ძველი

ნატურალური წყობილება და ვითარდება მეორე, კაპიტალისტური. ამისთანა ხანაში სოფელმა მეტად მძიმე განსაცდელი უნდა ნახოს და ბევრი გაქირვება გამოიაროს. აი ამ გაქირვების შემსუბუქება, შესუსტება შეუძლიათ სხვა-და-სხვა გვარდამხმარებელ საზოგადოებათ და ამიტომაც საპატიოა მნიშვნელობა სიღნაღისთანა დეპოებისა და სამწუხაროა მათი დაქვეითება.

ამ დაქვეითების მიზეზები ბევრია, რასაკვირველია. ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებული მიზეზებიც უნდა ვეძიოთ. მაგრამ არის ორი დიდი მიზეზი, რომელიც საერთოდ, ყველა ჩვენებურ დეპო-ბანკებს, აბრკოლებს. ეს არის: გამოუცდელიობა დამფუძნებელთა და გამგეთა და ნაკლებობა საშუალებათა. უმეტეს შემთხვევაში დეპოებს სათავეში უდგებიან პირნი, რომელთაც არასფერი არ გაეგებათ ეაქრობისა. შორიდან დეპოს საქმე ადვილად ეჩვენება კაცს: იყიდე პირდაპირ მწარმოებელიდან საქონელი და თითქმის იმავე ფასად მიაწოდე წვერს ან, საზოგადოდ, სოფელს. მაგრამ ეს ოპერაცია რთულია და საშიშიც: საქიროა საქონლის არჩევის ცოდნაც, ფასების ცოდნაც, დროსა და ბაზრის კარგი შერჩევაც, დავთრების კარგი წაყვანაც, წვერთა შორის ურთიერთობის გაწესრიგებაც და სხვა მრავალი. თუ ყველა ეს პირობა კარგად არ იქმნა დაცული, დეპო, რომელსაც ათასი მტერი ჰყავს და უჩნდება სოფელში, ვერ იხეირებს, რაც უნდა ეცადნონ და იყვირონ გამგეებმა. საშუალებათა უქონლობა უფრო მძლავრი მიზეზია, რომელიც აბრკოლებს დეპოებს მოღვაწეობის დასაწყისშივე. ის თანხა, რომელიც სდგება წვერთა პაიებისაგან, სრულიად საკმარისი არ არის საქმის წაყვანისათვის; სესხის მიღება რომელიმე საკრედიტო დაწესებულებიდან მეტად ძნელია (ახალგაზდა დაწესებულებას არავინ ენდობა) და ხშირად მომხდარა ისეთი სამწუხარო და მასთან სასაცილო ამბავი, რომ დეპოს ფულის საშოვნელად ისევ იმ ჩარჩებისთვის მიემართავს, რომელთაგან სოფლის განთავისუფლება უკისრია!..



ქვემო-მაჩხაანის დეპოს გამგებლობა ამ ქამად უკისრიათ მხნე, საპატოო და სანდო პირთ, რომელთ განუზრახაეთ ყოველი ღონისძიება იხმარონ და ეს საჭირო დაწესებულება ფეხზე წამოაყენონ. ამისთვის ისინი ეხლა ცდილობენ საკმაო თანხის მოპოვებას და, სხვათა შორის, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკსაც სთხოვენ, თუ არა ეცდებით, 500 თუმანს. ამ ბანკს კანონად უწერია დახმარება აღმოუჩინოს ტფილისის გუბერნიის „მიწად-მფლობელთ და მიწად-მომქმედთ“. დეპოს, რომელსაც საგნად აქვს სწორედ მიწად-მფლობელისათვის და მიწად-მომქმედისათვის ხელის გამართვა, გაჭირვებაში დანმარება, უექველია იმ საზოგადო საჭიროებად უნდა ჩაითვალოს, რომელთა დასაკმაყოფილებლად ბანკი აგროვებს წმინდა მოგებას. მეტად საჭიროა ამიტომაც, რომ ბანკის მომავალ კრებამ უყურადღებოდ არ დასტოვოს დეპოს თხოვნა. ეს 500 თუმანი რომ კიდევაც დაეკარგოს ბანკს, მას ევრაფერს დააკლებს და დეპო კი, აღვილად შესაძლებელია, ამ ფულმა სამუდამოთ გამოაცოცხლოს და შეაძლებინოს მას შესაფერის სარგებლობის მოტანა.



წარსულ წერილში („მოამბე“ № 2) ჩვენ აღვნიშნეთ, სხვათა შორის, ბ-ნ ჟორდანიას ცილისწამება, ვითომც ჩვენ კაპიტალისტებს გამოვქომაგებოდეთ ოდესმე. ბ-ნ ჟორდანიას, დასამტკიცებლად იმისა, რომ ტყუილი არ უთქვამს, უჩხრეკია და „ნოვ. ობოზრ.“-ში ერთი წერილი ამოუჩხრეკია, რომელიც ჩვენ ბ-ნ ივანოვიჩის წინააღმდეგ გვაქვს დაწერილი. მაგრამ დახეთ სადამდის მიიყვანს აღვირ-წაშვებულს მწერალს პოლემიკა? რა ხრიკებსა და რა „переходжк“-ებს არ მოაგონინებს.

ბ-ნ ივანოვიჩის წერილი, რომლის წინააღმდეგ ჩვენ დავსწერეთ მოწინავე სტატია, დიდი ფელეტონია. ბ-ნი ივანოვიჩი ეხება იქ ნავთის წარმოებას, მწარმოებელთ, მუშებს, პროგრესიულ მწერლის მოვალეობას, ტარიფის მნიშვნელობას და სხვას. ჩვენ ამ ფელეტონში შემცდარად მოგვეჩვენა ბ-ნ ივანოვიჩის

მხოლოდ ერთი აზრი — ტარაფის მნიშვნელობის შესახებ და სწორედ ამ აზრის წინააღმდეგ დაწვერეთ წერილი, რომლის სათაურია „Къ вопросу о значеніи високаго тарифа“. ბ. ჟორდანიას კი, პოლემიკურს გატაცებაში, აი რა ხრიკს იგონებს. მას ამოუწერია ბ-ნ ივანოვიჩის ფელეტონიდან სწორედ ის ადგილი, რომელიც ეხება მუშებს და პროკრესიულ მწერლის მოვალეობას და ამის შემდეგ ჩემ წერილიდან ამოუგლეჯია ფრაზა: „Намъ кажется, что съ положеніемъ, высказываемымъ г. Ивановичемъ въ этой статьѣ, совершенно нельзя согласиться“. გამოდის, რომ ჩვენ ვეწინააღმდეგებით ბ-ნ ივანოვიჩის აზრს მუშების შესახებ! ამაზედ უცხადესი და „უნაგლ“-ესი (გვაბატიე, მკიხველო, ეს უცხო სიტყვა წამოგვცდა და აღარ წავშალეთ, რადგან კარგი დამახასიათებელი სიტყვაა ამ შემთხვევაში) ხრიკი ძნელია კიდევ მოიძებნოს საპოლემიკო ლიტერატურაში! ჩვენ სრულიადაც არ შევხებივართ ბ-ნ ივანოვიჩის აზრებს მუშებისა, მწერლისა და სხვათა შესახებ; ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო იყო ფელეტონისტის სიტყვები ტარიფის მნიშვნელობის შესახებ და სხვა არაფერა და ამიტომ ბ-ნ ჟორდანიას ყოჩინი — მუშებზე და მათ ინტერესებზე ლაღმა ერთი სიტყვაც არ თქვა — სრულიად უადგილო ხრიკია, მოგონილი მხოლოდ იმისთვის, რომ თავის უმეცარ თაყვანისმცემელთ კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს, რომ ის ბ-ნი ჟორდანია, ყოველგან და ყოველთვის იხსენიებს ხალხს, მისი მოწინააღმდეგენი კი განზრახ ივიწყებენ ხალხსა და მის ინტერესებს!...

მაგრამ ამ ხრიკით არ კმაყოფილდება ბ-ნი ჟორდანია. ის ჰლამობს დააჯეროს ვიდაცა, ვითომც ტარიფის შემცირების შესახებ ლაპარაკი კაპიტალისტების გამოქომაგება იყოს. „კვალის“ პუბლიცისტი ჩვეულებრივად თავს არ იწუხებს აზრების დასაბუთებისათვის. აი მთელად ის, რასაც ამბობს ბ-ნი ჟორდანია:

... (ლადი) ამტკიცებს ტარიფის შემცირების სარგებლობას ბაქალე. ი. (კლასიკური ესე იგია) გამოადის კაპიტალისტთა და ისიც მილიონერთა, ინტერესებისაგან. ის პარდაზარ ექსტრება ივანოვიჩის

მოწინააღმდეგე ზაქარა კაპიტალისტს და იმერებს(!) მის სიტყვებს, ხალხი მუშებსე და მათ ინტერესებსე, რაზედაც ივანოვიცა ღამა-რავობდა, ერთი სიტყვაც არ ეჭკს. ახლა ერთი შიშხარით, რას ნიშნავს ეს, თუ არა კაპიტალისტების გამოქომაგებას? რაც დაწერილა კვლამთა, — იმას ვერ ამოგვლებ ცუდითა — ამბობენ რუსუბა და კარგი იქნება ბ-ნი ღაღიაც სშირად გაიხსენებდეს ამას.

ცხადია, ბ. ჟორდანიას უსაბუთოდ, დაუმტკიცებლად, მხოლოდ სიტყვების რაბა-რუხით სურს დააჯეროს მკითხველი, რომ ტარიფის შემცირებაზე სჯავ-ბაასი მამაკვდინებელი ცოდვაა და ნიშნავს კაპიტალისტების გამოქომაგებას. ვნახოთ.

ბ. ივანოვიჩი რუსულს ლიტერატურაში უკვე კარგა ხანია ცნობილი მწერალია. ის ეკუთვნის ეგრედ წოდებულს „ნაროდნიკებს“ და როგორც ამ მიმართულების მიმდევარი სასაცილოდაც-კი აიგდეს ამას წინად „ნოვოე სლოვოში“ რუსის მარქსისტებმა; ჩვენმა არა მკითხე... უკაცრავად, ჩვენმა „მარქსისტებმა“ სხვის წახედვით რამდენიმე მათრახი უთავაზეს ბ. ივანოვიჩს თავის ნახატებიან „კვალში“. მაგრამ დახე პოლემიკას, რა სასწაულის შექმნა შესძლებია: „მარქსისტი“ „ნაროდნიკს“ იმოწმებს და მერე რა საკითხში არ იტყვი, მკითხველო? მრეწველობას მნიშვნელობაში, სწორედ იმ საკითხში, რომელიც შეადგენს ერთ ქვაკუთხედს მარქსისტებისა და ნაროდნიკების შუა არსებულ უთანხმოებისას! მაგრამ, ნურაფერი ვაგვიკვირდება ჩვენებურ „მარქსისტებიდან“... ნამდვილი ნაროდნიკი, კაპიტალისტურ წარმოებას საზოგადოდ მტრულის თვალთ უყურებს. მისი წარმოდგენით, რუსეთში კაპიტალიზმს სრულიადაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რომ „თემი“ (община) და „არტელი“ იცავენ რუსეთს კაპიტალისტურ წარმოებისაგან და წეს-წყობილებისაგან. ამ შეხედულების ძალით ის უარჰყოფს ყოველივე ზომას, რომელსაც კი მთავრობა იღებს კაპიტალისტურ წარმოების გაფართოებისათვის და მამაკვდინებელ ცოდვათაც მიაჩნია, როდესაც ლიტერატურაში ამავებუა ლაპარაკი. ნაროდნიკი არ არჩევს კაპიტალისტურ მრეწველობას თვით მწარმოებელისაგან და თუ სადმე სთქვი, რომ კაპიტალისტურ მრე-

წველობას ესა და ეს უპირატესობა აქვსო, მაშინვე კაპიტალისტების მოსარჩლედ გამოგიყვანს. გაიხსენეთ, ბ. ჟორდანიანი, თუნდ ის დევნა, რომლითაც ისახელეს თავი „ნაროდნიკებმა“ 3. სტრუვესთან პოლემიკის დროს...

ყოველივე ეს უნდა ესმოდეს ბ-ნს ჟორდანიანს, როგორც მარქსისტს. მან უნდა იცოდეს, რომ შეიძლება ტარიფის შემცირების შესახებ ლაპარაკი და რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს კაპიტალისტების მომხრეობას. მან უნდა იცოდეს, რომ, თუ სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი, ილიინი და სხვანი კაპიტალისტურ წარმოების უპირატესობათა შესახებ ლაპარაკობდნენ, ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, ვითომც ისინი კაპიტალისტების ჯიბეების გასქელებაზე ჰფიქრობდნენ... ცუდია ბ-ნო ჟორდანიანი, თუ ეს იცით ყოველივე და მაინც დასწერეთ ზემოთაღნიშნული თქვენი სიტყვები და კიდევ უფრო ცუდია. თუ არ გესმით, რა დასწერეთ, რადგანაც მაშინ უმეცარი ყოფილხართ სრულიად იმ საკითხებში, რომელთა შესახებაც ასეთის რიხითა და ზეიმით სწერთ ხოლმე თქვენს „სამეცნიერო“ ორგანოში...

მაგრამ საცილობელ საგანს სხვა მხრიდან მოუაროთ; შეიძლება ამ მხრიდან უფრო ნათლად დამტკიცდეს უმეცრება სამეცნიერო ორგანოს სულის ჩამდგმელისა და მისი სრული არცოდნა ეკონომიურ ლიტერატურისა. აქ ჩვენ დავინახავთ აგრეთვე, ესმის თუ არა, შეგნებული აქვს თუ არა მუშების სარგებლობა ამ ბატონს, რომელმაც მუშებზე ფიქრი თავის მონობოლიად აღიარა *urbi et orbi*.

ტარიფის სიდიადესა თუ სიმცირეს დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთის მრეწველობაში. ბაქოს კეროსინი ხარისხით, ღირებით სჯობია ამერიკის კეროსინს; მისი აფეთქების ნორმა (норма вспышки) უფრო მაღალია ვიდრე ამერიკის ნავთისა; ადგილობრივ, ბაქოს ნავთის წარმოება ორი-სამი კაპეიკით უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ამერიკისა. მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობა ბაქოს ნავთის მხარეზეა, საერთაშორისო ბაზარზე ამერიკის ნავთი უფრო ხეირობს და რუსეთის



კეროსინმა გერმანიაც კი ვერ დაიპყრო. ამას თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ მთავარი მიზეზი ის არის, რომ ბაქოს კეროსინის გადაზიდვა გაცილებით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ამერიკისა. იმდენად ზღვის ფრახტი არ არის დიდი და საგრძნობელი, რამდენად ბაქოდან ბათუმამდე რკინის გზის ტარიფი. ამის სიდიადე აბრკოლებდა ბაქოს ნავთის წარმოების გაფართოებას, რადგანაც ნავთი ვერ უწყვედა კონკურენციას ამერიკისას. ამ რიგად ბაქოს წარმოებას ხელოვნურად აფერხებდნენ და უშლიდნენ მას გაფართოვებულს. რა შედეგი მოჰყვებოდა ხოლმე ამას? საზოგადო კრიზისი, წარმოების შემცირება, ქარხნების ღ წყარობის დახურვა და (ისმინეთ, ბ-ნო ჟორდანია!) მუშების ათასობით ქუჩაზე განდევნა... მიბრძანეთ ეხლა, ბ-ნო ჟორდანია: ნუ თუ კაპიტალისტების გამოსარჩლება იქნება იმ აზრის გამოთქმა, რომ მრეწველობას არ უნდა წაუჭიროთ ყელში ბაწარი, არამედ უნდა ხელოვნური დაბრკოლება ააცდინოთ თავიდან. ეს კიდევ არაფერი. გაგიგონიათ თქვენ, ბ-ნო ჟორდანია, რომ რაც უფრო ფართოა ესა თუ ის სამრეწველო საქმე (კაპიტალისტური), მით უმჯობესია მუშათა მდგომარეობა? უფრო დიდს, უფრო ფართო მწარმოებელს მეტი საშუალება აქვს გააუმჯობესოს ტექნიკური მხარე საქმისა, სასანიტარო ნაწილი, უკეთესი სადგომები იქონიოს მუშებისათვის, ბიბლიოთეკა სამკითხველოები დაარსოს მათთვის და სხვა. ხოლო, რაც უფრო პატარაა სამრეწველო საქმე, მით უარესს ფორმას იღებს მუშების ექსპლოატაცია. ბაქოში როტშილდის, ნობელის და ბენკენდორფის (ყოფილის) ქარხნებში მომუშავეთა მდგომარეობა სჯობია, ვიდრე სხვა ბაქოელ მწარმოებელთა ქარხნებში. ბენკენდორფმა პირველად შემოიღო თავის ქარხანაში 9 საათის მუშაობა, პირველად არა თუ ბაქოში, არამედ თითქმის მთელს რუსეთში...

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ბაქოს ნავთის მრეწველობის გაფართოება არასფერს არ გააფუჭებდა, რომ ეს წარმოება ისედაც ფართოვდება, რომ ხელოვნური დაბრკოლება არ ვარგა, რომ მუშებისთვისაც უმჯობესია მრეწველობის გაფართო-

ვება, გაცხოველება (оживление)... ნუ თუ ყოველივე ეს პირველად გესმით, თქვენ, ბ-ნო ჟორდანიანო? თუ არა, მაშ როგორ მოხდა, რომ ცოდვად ჩამომართეთ, „ნაროდნიკ“ ივანოვიჩთან ერთად, ტარიფის შემცირების შესახებ ლაპარაკი?

დიად, აქ ნახტომი წაგინდათ, მაგრამ სადა გაქვთ იმდენი მოქალაქობრივი მამაცობა, რომ გამოტყდეთ შეცდომაში. პირიქით, თქვენ ამჯობინებთ, ალბათ, კიდევ შეთხზათ რამე და იქორიკავოთ. *Allez-vous*, მე არ დავიშლით ამ გვარს ვარჯიშობას!

რაც შეეხება თქვენს „მაცდურს“ კითხვას—ჰქვია თუ არ ჰქვია ხალხი „ას ერთ ტფილისელს მოსამსახურეს“, ამის შესახებ არც ღირს ლაპარაკი, მაგრამ რაკი დავიწყე, სჯობს ბარემ გავათავო. ბ-ნ ჟორდანიანს უთუოდ უნდა „მომადლოროს“. თუ ვთქვი „ას ერთი“ ხალხია, ის გამოაცხადებს, მაშ მართალი ვყოფილვარო, თუ ვთქვი „ას ერთი“ ხალხი არ არის-თქო, მაშინ მეც დაბაბუღებს ხალხთან, როგორც „ივერიის“ ახალმოსული დაბაბუღა... მაგრამ, საკვირველია, რად დასჭირდა ბ. ჟორდანიანს ასეთი გადაჭრილი პასუხი? განა წარსულ წერილში ვერ ამოიკითხა მან თუ რა ფასს ვსდებთ ჩვენ კერვალეების ბრბოს, ოომელიც გარს ახვევია „კვალის“ ბელადთ? გარდა ამისა, ჩვენ ნდობა დავკარგეთ ბ-ნ ჟორდანიანს ცოდნისადმი ხალხის და არა ხალხის გარჩევის საქმეში იმ დროიდან, რა დროსაც ბ-ნმა ჟორდანიანმა კალისტრატე ჩიკვაძის მიერ შეგროვილს ბრბოს უწოდა ხალხის სახელი და მის წინაშე თავი მოიხარა...

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ ამდენს ხანს შევაჩერეთ მისი ყურადღება ასეთს, შედარებით უმნიშვნელო საგანზე. მით უმეტეს გვწყენია ეს, რომ „კვალთან“ და „კვალისტებთან“ ჩვენ უფრო საინტერესო საბაასო მასალა გვექნება.

დალა

## უცხოეთის მიმოხილვა

ინგლის-ტრანსვაალის ომი.—რუსეთის დიპლომატიის გამარჯვება სპარსეთში.—გერმანიის გაძლიერება მცირე აზიაში.—მსოფლიო გამოფენა პარიზში.—გერმანიის შინაური საქმეები.—ჰეინცეს კანონი.

ბლუმფონტენის დაქერის შემდეგ ინგლისელების უმთავრესი ძალები, რობერტის წინამძღოლობით, უძრავად გაჩერდნენ ორანჟეს რესპუბლიკის დედა-ქალაქში. როგორც აღმოჩნდა, რობერტის სამხედრო სურსათი და სანოვაგეც შემოაკლდა და ფრენჩის კავალერიის—ცხენები. ინგლისელების ჯარები გარდა ამისა აქა-იქ ორანჟეს რესპუბლიკაში და კაპის ახალშენში გაფანტულ იყვნენ და მთავარ-სარდალის ბრძანებით ბლუმფონტენისაკენ დაიძრნენ. იქითკენვე დაიძრა ნატალში მდგომი დიდძალი ჯარი ბულოერის წინამძღოლობით. ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ რობერტი კვლავ აგროვებს დიდძალ ჯარებს, რათა შემდეგ გაემართოს ტრანსვაალისაკენ. მაგრამ ეს გაჩერება და ძალების მოკრება ძვირად დაუჯდა მას: მთელის მარტის განმავლობაში ინგლისის ჯარებს მოსვენება არ უნახავთ. ბევრ ადგილას ისინი დაამარცხეს ბურებმა, ბევრჯან საქმე გაუჭირეს აჯანყებულებმა.

ბურებს, კრონიეს დამარცხებისა და დატყვევების შემდეგ, კიდევ ეწვიათ დიდი უბედურება: 15 მარტს გარდაიცვალა მთავარ-სარდალი ტრანსვაალის ჯარებისა გამოჩენილი გენერალი ჟუბერი. ეს იყო მტკიცე ხასიათის და დიდის ენერჯიის პატრონი კაცა, ამასთანავე გამოცდილი და გამჭრიახი სტრატეგი.

მან ზედმიწევნით იცოდა თავის ქვეყნის ყოველი კუთხე, ბურების ხასიათი, ინგლისელების ტაქტიკა და ამიტომ მშვენივრად მთავარსარდლობდა ჯარებს და შემდეგში, როდესაც ინგლისელები ტრანსვაალს შეესევოდნენ, კიდევ უფრო მეტად გამოადგებოდა თავის საყვარელს სამშობლოს; მაგრამ, საუბედუროდ, არ დასცალდა: მოხუცებული მეომარი და პატრიოტი გარდაიცვალა სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ქვეყანა გასაჭირში ჩაეარდა!

კრონეს დატყვევებამ და ქუბერის გარდაცვალებამ სასოწარკვეთილება მოგვევარა ბურების ყველა თანამგრძობელთ ევროპაში და ამერიკაში; მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ბურებს კიდევ ბლომათა ჰყავთ ნიჭიერი წინამძღოლნი. ქუბერის მაგიერ ყველა ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა ახალგაზდა გენერალი ბოტა; ცალკე რაზმებს სარდლობენ—დევეტი, დელარეი, ოლივიე, ლუკა მეიერი და სხვანი. ყველა ამათ მალე ისახელეს თავი და აცნობეს მტერსა და მოყვარეს, რომ სამშობლოს კიდევ ჰყავს ღირსეული დამცველი.

პირველი დებეშა ინგლისელების დამარცხების შესახებ მოვიდა მარტის პირველსავე რიცხვებში. იგი იტყობინებოდა, რომ ბურებმა წაართვეს მტერს ბლუმფონტენისა და ტაბანჩუს შუაგზაზე 6 ზარბაზანი და 200 ფურგონი სურსათით დატვირთული; ზოლკოვნიკის ბროდფურდისა და პილჩერის რაზმებს დიდი ზარალი მისცეს ჩასაფრებულმა ბურებმა. გაიგო თუ არა რობერტსმა ეს ამბავი, მაშინვე გაგზავნა „ზარბაზნების უკანვე დასაბრუნებლად და ბურების დასასჯელად“ გენ. კოლვილის დივიზია. მაგრამ უკანასკნელი მალე დაბრუნდა ბლუმფონტენში და გამოაცხადა—მტერი ვერ ვნახეო... პატარა ხნის შემდეგ დებეშამ ამბავი მოიტანა ინგლისელების დამარცხების შესახებ ბრანდფორტისა და ბლუმფონტენის შუა.

ამ ამბებმა ძალიან გაამხნევეს ბურები, ხოლო ინგლისელები კვლავ მწუხარებამ მოიცვა. რობერტსის დაპირების თანახმად ლონდონში ღლე-ღლეზე მოელოდნენ, რომ მათი ჯა-



რები ტრანსვალში შევლენო. მის მაგიერ კი აღმოჩნდა, რომ თვით რობერტსი ჩავარდა გასაკირში და ბურემი, ლამის, დაამწყვდევნ მას ბლუმფონტენშიო. შეიქნა ისევ ჯარების გადაყვან-გადმოყვანა და რობერტს უოველ მხრიდან გაუგზავნეს მიმშველი ჯარეი... მაგრამ სანამ ისინი ძალებს მოიკრებდნენ, ბურებმა რამდენჯერმე შესანიშნავად დაამარცხეს. 19 მარტს დევეტმა დაამარცხა ინგლისელთა მძლავრი ჯარი მდ. მოდერზე წყლის მილთან; მან წაართვა მტერს 7 ზარბაზანი. ხოლო 24 მარტს ქალაქ რედდესბურგთან, ბლუმფონტენიდან 53 ვერსის მანძილზე, ბურებმა ტყვედ წაიყვანეს სამი როტა ქვეითი ჯარისა და ორი როტა ამხედრებულ ქვეითა ჯარისა.

დროებით, როგორც სჩანს, ბელის ჩარხი ისევ ბურებისაკენ დატრიალდა. მაგრამ ექვს გარეშეა, რომ მალე ისევ ინგლისელები წავლენ წინ გამარჯვებულნი. მათ ახლაც დიდი ჯარი ჰყავთ ბლუმფონტენში, ხოლო როდესაც ბულლერიც მიემატემა ნატალის ჯარებით, მაშინ ძნელი შეიქნება მათი შეჩერება. თვით ბურებიც კარგად გრძობენ ამას და ამიტომ კვლავ მიჰმართეს ევროპას შველის სათხოვნელად: პრეტორიიდან წავიდა ევროპისა და ამერიკის მოსარებად მთელი დეპუტაცია. საექვოა, რომ ამ დეპუტაციამ რამე გააწყოს, რადგანაც ევროპა მტკიცედ აპირებს ნეიტრალიტეტის დაცვას. რომ ეს ასე არ იყოს, რომ ევროპას გარდაწყვეტილი არ ჰქონდეს ნეიტრალიტეტის მტკიცე შენახვა, მაშინ უთუოდ ისარგებლებდა მშვენიერის შემთხვევით, რომელიც მოულოდნელად დაატყდა მას თავს. ეს შემთხვევა იყო — პორტუგალიის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევა ინგლისელების სასარგებლოდ. ყველასათვის მოულოდნელად ინგლისელების ჯარმა გაიარა, რასაკვირველია პორტუგალიის ნებართვით, პორტუგალიის ახალშენი და გაემართა როდენიისაკენ. ცხადია, ინგლისელებმა განიზრახეს ჩრდილოეთიდანაც მოუარონ ბურებს... ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, როგორ ღვთის ნებაზე არიან მიტოვებულნი საცოდავი ბურები: ევროპა არა თუ არ ჩაერია ომში, სუსტი პროტესტიც არ გამოუცხადებია ინგლისელებისა და პორტუგალიელთა

თათვის.. ცოტაოდენი იმედი ისევ ამერიკელებზე რჩება. იქ საზოგადო აზრი ბურების მხარეზეა და ენერჯიულადაც ქადაგებს ომში ჩარევას. საქმე იქამდისიც კი მივიდა, რომ პრეზიდენტის არჩევნებზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს, პარტიები პროგრამაში იმასაც ჰპირდებიან ამომრჩეველთა რომ, თუ ჩვენს კანდიდატს ამოირჩევათ, ბურებს დახმარებას აღმოუჩენს იგიო...

სანამ ინგლისი სამხრეთ-აფრიკაში იკეთებს საქმეს და ბრძოლაშია გართული, მისი ინტერესები აზიაში, ცოტა არ იყოს განსაცდელში არიან. ინდოეთში საშინელი შიმშილობა ათასობით სწყვეტს ხალხს. მართალია, ინგლისის მთავრობა ძალიან ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს დამშეულთ, მაგრამ „ზღვის დაღვევა კოვზით არ შეიძლება“, ნათქვამია და ინგლისიც ვერ მოერგვა იმ საშინელს შიმშილობას, რომელიც ეწვია თითქმის 20 მილიონ ხალხს. გაქირვებული ინდოეთის ხალხი აქა-იქ აჯანყებასაც კი აპირებდა, მაგრამ მალე იქმნა დაწყნარებული... ცუდი საქმე ინგლისის გავლენასა და სახელს სპარსეთში მოუვიდა: იქ შესამჩნევად გაიმარჯვა მისმა მუდმივმა მეტოქემ — რუსეთმა.

სპარსეთში უკანასკნელს წლებში საფინანსო კრიზისი იყო. ირანის მფლობელს ცალკე ვალები აწუხებდნენ, ცალკე შინაური გაქირვება. ბოლოს და ბოლოს ცხადი შეიქმნა, რომ სპარსეთის მთავრობას უნდა მიემართნა თხოვნით რომელიმე უცხო სახელმწიფოსთვის; ხოლო რადგანაც თეირანში მუდამ ორ სახელმწიფოსა ჰქონდა გავლენა და ბრძოლა ერთმანეთში — ინგლისსა და რუსეთს — შაჰსაც ერთი ამათგანი უნდა აერჩია. წინად მეტი გავლენა და მეტი სახელი ჰქონდა სპარსეთში ინგლისს, უმთავრესი კრედიტორიც სპარსეთისა ის იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ 10 — 15 წელიწადში რუსეთის გავლენამ იმატა, ხოლო ინგლისისამ საგრძნობლად იკლო. ამ ჟამად კი რუსეთის დიპლომატიამ ხელთ იგდო მარჯვე დრო, ისარგებლა ინგლისის გაქირვებით აფრიკაში და სრულიად გაბატონდა თეირანში... ეხლახან გამოქვეყნებულის ხელშეკრულობით, რუსეთმა



22<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი მანეთი ასესხებინა სპარსეთს. სესხის გადახდის უზრუნველყოფისათვის კი რუსეთმა უნდა თვალყური აღევნოს სპარსეთის ფინანსებსა და შემოსავალი იღოს სპარსეთის ჩრდილოეთ დამოქნებიდან. ამ სესხით სპარსეთმა უნდა გადაუხადოს ვალი ინგლისს და ამ რიგად სრულიად განთავისუფლდეს დიდ ბრიტანიის კონტროლიდან. ეს ხელშეკრულება დიდს გამარჯვებას მოასწავებს რუსეთისათვის, რადგანაც ის ამიერიდან თითქმის ხელთ იღებს სპარსეთის მართვა-გამგეობის საქმეს: ვინც ფინანსებს დაებატრონება, იგი პოლიტიკის ჩარხსაც ისე დაატრიალებს, როგორც მოუნდება...

რუსეთის ამგვარმა მოქმედებამ სპარსეთში დიდი მღვლეობა გამოიწვია ინგლისში: პარლამენტში მთავრობას დაეკითხნენ, ჟურნალ-გაზეთებმა შექნეს ყვირილი. სხვა დროს ინგლისი უთუოდ სამაგიეროს მოიმოქმედებდა რასმე, ან სპარსეთშივე ან სხვაგან სადმე, მაგრამ ახლა მას არა სცალია და მოთმინებით არის... რუსეთის დიპლომატია ახლა ოსმალეთში მოღვაწეობს; ის ცდილობს რკინის გზის გაყვანის ნება გამოსთხოვოს ოსმალეთს ერზერუმამდე. ინგლისი აქაც გაჩუმებულია, თუმცა რუსეთს გარდა მას კიდევ გაუჩნდა მძლავრი მეტოქე მცირე აზიაში. ეს მეტოქე—გერმანია არის.

იყო დრო, როდესაც გერმანია თითქმის ყურადღებულსაც არ აქცევდა აღმოსავლეთს. ბისმარკის ფრაზა—აღმოსავლეთის კითხვა არ ღირს პომერანიელ ერთ საღდათის ძვლებათაცაო—უბრალო ფრაზა კი არ იყო, არამედ თითქმის სინამდვილის გამომეტყველი. მაგრამ წარვიდნენ დრონი... მას შემდეგ 15—20 წელია განვლო და გერმანია მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოვიდა. უწინ ის მხოლოდ ევროპაში გამაგრების შესახებ ჰფიქრობდა; მისი წადილი და ზრუნვა იყო—ელზას-ლორენი არ დაეკარგა ისევე ამიტომაც ავსტრ-უნგრეთსა და იტალიას შეუკავშირდა საფრანგეთისა და რუსეთის მოსაგერებლად. ამასობაში გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობა განსაცვიფრებელის ნაბიჯით წავიდა წინ. ჩამორჩენილი გერმანია გვერდში ამოუდგა ამ მხრით არა თუ საფრანგეთს, არამედ ინგლისსაც. ვაჭრობა-მრეწველო-

ბის გაძლიერებამ გერმანია ძალა-უნებურად გამოიყვანა „დიდს გზაზე“ ახალშენებისა და ბაზრების მოსაპოვებლად. თავდაპირველად გერმანიამ ბედი სცადა აფრიკაში. იქ მას მოწიწებით დაუთმეს ადგილები უფროს სახელმწიფოებმა. მაშინ გერმანია წათამამდა და ერთ მშვენიერს დღეს თავი ამოყო ჩინეთის იმპერიაში, სადაც დაიპყრო კიაო-ჩაო და ახლო მდებარე ტერიტორია. გერმანიის ამ ნაბიჯმა წაახალისა მთელი ევროპა და ყველა გაექანა ჩინეთისაკენ; რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა მაშინვე იგდეს ხელში „ეკვივალენტები“. ამ ქამად გერმანია მხნედ მუშაობს მახლობელს აღმოსავლეთშიაც, რისთვისაც ძალიან „დაუმეგობრდა“ ოსმალეთს. ეხლა გერმანია იმ აზრის აღარ არის, რომ აღმოსავლეთთან მას არავითარი საქმე არა აქვს; პირიქით, ეხლა ის ჰფიქრობს, რომ მის მეტს ადგილი არ უნდა ჰქონდეს მცირე აზიაში არავის... გერმანიის დიპლომატიის მოღვაწეობამ ნაყოფიც მოიტანა: ოსმალეთმა ნება მისცა გერმანიას—გაიყვანოს რკინის გზა მცირე აზიაში ბალდაღზე სპარსეთის ყურემდე. ეს რკინის გზა ხელში ჩაუგდება გერმანიას მცირე აზიის ვაჭრობას და მით მეტად გაძლიერებს გერმანიის გავლენას არა თუ მარტო აღმოსავლეთში, არამედ მთელს მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე.

სხვა, უფრო მოხერხებულს დროს, გერმანიას მცირე აზიაზე წინააღმდეგობას ინგლისი გაუწევდა, მაგრამ ეხლა ჰოპენ-ცოლერნის იმპერია უმეტოქედ დარჩა. საფრანგეთიც კი, რომელსაც საკმაოდ დიდი ინტერესები აქვს მცირე აზიაში, ხმას არ იღებს. ეს სახელმწიფო ამ ქამად თავის მსოფლიო გამოფენით არის გატაცებული და აღარაფერი აღარ ახსოვს. მისი დაუძინებელი მტერი—ინგლისი—ეხლა ისეთს გაქირვებულს მდგომარეობაშია, რომ შეიძლებოდა საფრანგეთს ესარგებლა შემთხვევით და ზოგიერთი დიდი ხნის სადავო საგანი მაინც გაერიგებინა თავისდა სასარგებლოდ. მაგრამ მსოფლიო გამოფენამ ხელფეხი შეუბორკა ფრანგთა რესპუბლიკას და ის მხოლოდ იმასა ჰფიქრობს, რომ რამე ნაირად მშვიდობიანობა დაიკვას,

სანამ მოაჩვენებდეს „მშვიდობიანობის და შრომის დიდს დღესასწაულს“...

ინგლის ტრანსვალის ომმა და საფრანგეთის მსოფლიო გამოფენამ მიიპყრეს ამ ქაშად განათლებულ ქვეყნიერების მთელი ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში საყურადღებო ამბები ხდება. ამგვარი ამბავი მოხდა ენლახან გერმანიაში. იქ ამ ბოლოს დროს ყველა—საზოგადოება, ქურნალ-გაზეთობა, რეისტაგი, პოლიტიკური პარტიები—გაიტაცა შესანიშნავმა ბრძოლამ. აი საქმე რაში იყო.

ჯერ კიდევ 1892 წელს ბერლინში სასამართლომ გაარჩია ვილჰელმ ვინტერსაქსი, რომელსაც ბრალდებოდა სხვა-და-სხვა ბოროტებისა და უზნეო საქმეების ჩადენა. ვინტერსაქსი ეკუთვნოდა ვერდელ წოდებულ სუტენერებს, რომელნიც უზნეო ქალთა ხარჯით სცხოვრობენ და ვინ იცის რა ავანტიურას არ სჩადიან ევროპის დიდ ქალაქებში. ვინტერსაქსის პროცესსა აღმოაჩინა, რომ ბერლინში მეტად გავრცელებულია გარყვნილობა და სხვა-და-სხვა ბოროტება გარყვნილობასთან შეკავშირებული. საზოგადოება აღელდა და იმპერატორმა ვილჰელმმა უბრძანა იუსტიციის მინისტრს—შეიმუშავებინა კანონები გარყვნილობის მოსასპობლად. მთავრობამ ბრძანება აღასრულა და მალე რეისტაგს წარედგინა ახალი კანონ-პროექტი, რომელსაც საზოგადოებამ მოკლე სახელად უწოდა „ვინტერსაქსის კანონი“. პროექტი შეეხებოდა სუტენერებსა და უზნეო ქალებს; მას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა არც ლიტერატურასთან, არც ხელოვნებასთან. პირველად, რეისტაგში პარტიები ვერ შეთანხმდნენ კანონ-პროექტის შესახებ და იგი უარყოფილ იქმნა. შემდეგში კონსერვატორები ისევ დაუბრუნდნენ კანონ-პროექტს და თავისებურად გამოიყენეს იგი. მათ შეიტანეს კანონ-პროექტში ახალი მუხლები, რომელნიც ეხებოდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებას. სახელდობრ, პროექტით პოლიციას ნება ეძლეოდა აეკრძალა გაყიდვა ყოველ იმ წიგნისა ან მხატვრობისა, რომელსაც იგი უზნეოდ იცნობდა. ამგვარი კანონი რასაკვირველია, დიდს ძალას აძლევდა ხელში ადმინისტრ-

რაცის, რომელსაც საშუალება ეძლეოდა თავის შეხედულობით შეეფიწროებინა და შეეწუხებინა ლიტერატურა. მთაერობის პროექტის ამგვარმა გადასხვაფერებამ დიდი აღელვება გამოიწვია მთელს გერმანიაში. არა თუ დემოკრატია, ლიბერალური წრეებიც და ჟურნალ-გაზეთობაც წინააღმდეგენ „ჭეინცეს კანონს“ და დიდის ბრძოლისა და აგიტაციის შემდეგ უკანვე წააღებებს იგი მთაერობას.

უკვე კარგა ხანია გერმანიის მთაერობა და კონსერვატული პარტიები ცდილობენ გააძლიერონ რეაქცია, რათა მით შეაჩერონ გერმანიის დემოკრატიის შესანიშნავი ზრდა. თითქმის ყოველს წელს რეიხსტაგს წარუდგენენ ისინი რებრესიულს კანონებს სხვა-და-სხვა სახელითა და „სოუსით“ შეზავებულს, მაგრამ ამაოდ: გერმანიის ხალხი მედგრად სდვას და საკვირველის ენერგიით იცავს პროგრესს და მუშაობს მომავალისათვის. ეუსურვოთ მას სრული გამარჯვება, მკითხველო!

ლხლა